

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მ ა ი ა ფ უ რ ც ხ ვ ა ნ ი ძ ე

პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებანი
ქართულსა და ინგლისურში

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის

დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: მანანა ღარიბაშვილი - პროფესორი

ნუნუ გელდიაშვილი - პროფესორი

თელავი

2017 წ.

შინაარსი

შესავალი 4

I თავი

წერის სტილის გენდერული იდენტიფიცირება ორიგინალ ტექსტებსა და თარგმანებში

1.1 ქალ და მამაკაც ავტორთა წერის სტილის გენდერული მახასიათებლები	13
1.2 ქალ და მამაკაც პერსონაჟთა აღწერისა და გენდერული მეტყველების თავისებურებანი განსხვავებული სქესის ავტორთა ნაწარმოებებში.....	19

II თავი

გენდერული მეტყველების ლინგვისტური მახასიათებლები და მათი განმაპირობებელი ზოგადი ფაქტორები

2.1 გენდერული მეტყველების ლინგვისტური მახასიათებლები.....	48
2.1.1. ენის ფუნქციათა გენდერული ვარიაციები საკომუნიკაციო აქტებში	66
2.1.2 გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ქართულ და ინგლისურენოვან ნაწარმოებთა სათაურებსა და მათ თარგმანებში.....	81
2.1.3 გენდერული მეტყველების ფონოლოგიური და მორფო-სინტაქსური თავისებურებანი (აგლუტინაციის ინდექსის გავლენა სინთეზურ და ანალიზურ ენებში გენდერულ მეტყველებაზე)	87
2.1.4 წინადადების სტრუქტურისა და პუნქტუაციის ზოგიერთი საკითხისათვის.....	109
2.2 გენდერული მეტყველების განმაპირობებელი ზოგადი ფაქტორები (ეპოქა, პერსონაჟის ადგილი ნაწარმოებში, სოციალურ-კლასობრივი მდგომარეობა).....	113
2.3 კოლოკვიალური ლექსიკა ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში	121

თავი III

გენდერული მეტყველების სემანტიკური ასპექტები ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებსა და თარგმანებში

3.1 გენდერული ექსპრესიის ზოგადი მახასიათებლები.....	134
3.2 ქალ პერსონაჟთა მეტყველების ექსპრესიის ასპექტები ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებსა და თარგმანებში.....	138
3.2. 1 დადებითი ემოციის ექსპრესიულობა ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში	141
3.2.2. უარყოფითი ემოციის ექსპრესიულობა ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში....	143
3.2.3. კორპორალური (სხეულთან დაკავშირებული) სიტყვები და არავერბალური ექსპრესიული ხერხები ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში.....	150
3.3. მამაკაც პერსონაჟთა მეტყველების სემანტიკური ასპექტები ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებსა და თარგმანებში.....	152
3.3.1 დადებითი ემოციის ექსპრესიულობა მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში .	160
3.3.2. უარყოფითი ემოციის ექსპრესიულობა მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში	162
3.3.3. კორპორალური (სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული) სიტყვები და არავერბალური ექსპრესიული ხერხები მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში.....	166
3.4 გენდერული მეტყველების თარგმანის სემანტიკური ასპექტები.....	171
დასკვნა.....	182
გამოყენებული ლიტერატურა.....	190
საანალიზო წყაროები	200

შესავალი

გენდერი ანუ სოციალური სქესი განიხილება ფართო ფსიქოლოგიურ და კულტურულ კონტექსტში. გენდერი განსხვავებულია, როგორც გრამატიკული, ასევე, ბიოლოგიური სქესისაგან. იგი ასახავს პიროვნების ქცევების, თვისებებისა და დამოკიდებულებების ნაკრებს, მემკვიდრეობით მიღებული და სოციუმში ჩამოყალიბებული ლინგვისტური სისტემის შედეგს, რასაც გენდერული ლინგვისტიკა შეისწავლის. ამ უკანასკნელს საფუძვლად „ტრადიციულობა, ეროვნულობა ედება - ინდივიდის ცნობიერება ემყარება მისივე მშობლიური ენის კონცეპტუალურ თავისებურებებს“ (გერსამია & სხვ. 2016:141).

გენდერი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანურ ურთიერთობებში დაბადების მომენტიდან, როცა განსხვავებული სქესის ადამიანებს შთაუნერგავენ ქცევის მკაცრად განსხვავებულ კოდექსს ბიოლოგიური სქესიდან გამომდინარე, რაც პირდაპირ ასახავს პოვნებს გენდერულ დისკურსში. “უმეტესწილად ეს როლები განიცდიან პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ როლთა გადანაწილების გავლენას, სადაც მამაკაცები ქალებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან” (Coats, 1986:33), რაც ხელოვნების დარგებს შორის ყველაზე მეტი სიცხადით აისახება ლიტერატურაში.

თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, ნამდვილად განსხვავდება თუ არა პერსონაჟთა მეტყველება სქესის მიხედვით, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება და რამდენად იცვლება იგი ენისა და საზოგადოების განვითარებასთან ერთად. გენდერული როლების განსხვავებულობის ნეიტრალიზაცია რთულია, თუმცა, ბევრმა მამაკაცმა ავტორმა სცადა აღეწერა სამყარო ქალების პერსპექტივიდან, გამოეყენებინა მათთვის დამახასიათებელი ლექსიკა და ენობრივი სტრუქტურა. ასევე, საინტერესოა ქალი ავტორების მიერ გადმოცემული ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაზე დაკვირვება და მისი ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებების შესწავლა. ამ მოვლენის აღწერა, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების ანალიზით, ლიტერატურული ტექსტების

ორიგინალებისა და მათი თარგმანების მიხედვით, წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

მთავარი კვლევითი კითხვა, რაზეც აიგო ჩვენი ნაშრომი, ასე ჟღერს: ნამდვილად განსხვავდება თუ არა ქალი და მამაკაცი პერსონაჟების, ასევე, ქალი და მამაკაცი ავტორების, მეტყველებისა და წერის მანერა, გამომდინარე მათი განსხვავებული სოციალური როლებიდან, არსებული გამოცდილებიდან და საზოგადოების მიერ თითოეულის როლზე შექმნილი ტრადიციულ-სტერეოტიპული წარმოდგენიდან? დავინტერესდით, ახდენს თუ არა ზეგავლენას ენის გენდერულ მარკირებულობაზე ენის სისტემა და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. ლიტერატურული ტექსტების მაგალითზე შევისწავლეთ განსხვავებული სისტემის ენებში პერსონაჟების მიერ ენის ფონოსემანტიკური, ლექსიკური და გრამატიკული სისტემების გამოყენების გენდერული განსხვავებები, გავაანალიზეთ მათ შორის არსებული იზომორფიზმები და ალომორფიზმები და დავაკვირდით, არსებობს თუ არა რაიმე ტიპის მიმართება გენდერული ლექსიკის თავისებურებებსა და ენის სინთეზურობას შორის, ან ხომ არ შეინიშნება ურთიერთდამოკიდებულება გენდერლექტსა და ენის აგლუტინაციის ინდექსს შორის. როგორც ცნობილია, აგლუტინაცია ეს არის ენის მორფოლოგიაში მიმდინარე პროცესი, როცა რთული სიტყვები წარმოიქმნება მორფემებისაგან, ისე, რომ არ იცვლება მათი წარმოთქმის წესი და ფონოლოგიური თვისებები, ხოლო ერთმა სიტყვამ შეიძლება სრული წინადადება მოიცვას. „აგლუტინაციას ადგილი აქვს როგორც სინთეტიკურ, ასევე ანალიტიკურ ენებში, უბრალოდ, მათი ხარისხებია განსხვავებული.“ (გამყრელიძე, & სხვები 2003: 456) **ნაშრომის მიზანი და ამოცანები ჩამოვაყალიბეთ იმაზე დაყრდნობით, თუ რამდენად ახდენს გავლენას აგლუტინაციის ხარისხი პერსონაჟთა მეტყველების გენდერულ მარკირებაზე, მის ექსპრესიულ და ემოციურ თავისებურებებზე.**

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი არის ლიტერატურულ პერსონაჟთა მეტყველების ლინგვისტური მახასიათებლებისა და მათი განმაპირობებელი ზოგადი ფაქტორების, ასევე, ემოციური და ექსპრესიული ფორმების შესწავლა ტიპოლოგიურ ჭრილში; გენდერული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა-

ფრაზეოლოგიის კლასიფიკაცია და ქართული და ინგლისურენოვანი ტექსტების შედარებითი ანალიზის გზით ორ ენაში არსებული მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა, მათი თარგმანის პროცესში არსებული გამოწვევების დაძლევა, კერძოდ, ემოციური ექსპრესიის უთარგმნელობის პრობლემასთან გამკლავების გზების ძიება.

მიზნის მისაღწევად დავისახეთ ისეთი ამოცანები, რომლებიც დაგვეხმარა პასუხები გაგვეცა შემდეგი კვლევითი კითხვებისათვის:

- ❖ რა განაპირობებს პერსონაჟთა მეტყველების სტრუქტურულ განსხვავებულობას და რამდენად ეხება ეს ქართულსა და ინგლისურს, როგორც საანალიზო ენებს;
- ❖ ახდენს თუ არა გავლენას პერსონაჟთა მეტყველებაზე ენის აგლუტინაციის ინდექსი და ენის სტრუქტურა (სინთეზურობა და ანალიზურობა);
- ❖ ახდენს თუ არა გავლენას პერსონაჟის სქესი სამეტყველო აქტის სხვადასხვა ასპექტზე: **ლოკუცია** (ობიექტური რეალობის აღწერა საკომუნიკაციო აქტში), **ილოკუცია** (ფაქტის აღწერა და მისი დაინტერესების გამოწვევა მსემენელში), **პერლოკუცია** (ფაქტის აღწერა, ინტერესის გამოწვევა და შესაბამისი რეაგირების მოლოდინი მსემენელის მხრიდან);
- ❖ რა ცვლილებას განიცდიდა და განიცდის გენდერული მეტყველების თავისებურებანი დროთა განმავლობაში და როგორ აისახება ეს ტენდენციები ინგლისურიდან ქართულ ან ქართულიდან ინგლისურ ენაზე ნათარგმნ მხატვრულ ნაწარმოებებში;
- ❖ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა სიახლეებს მოვიძიებთ უნივერსალიებზე დაყრდნობით და რა რეკომენდაციებს შევიმუშავებთ ორ ენას შორის სამომავლო კონტრასტული კვლევების მიმართულებით.

კვლევის ვალიდურობას განაპირობებს ლიტერატურული წყაროების ხელმისაწვდომობა ორივე საანალიზო ენაზე და თანამედროვე ლინგვისტიკაში გენდერული დისკურსის მიმართ გაძლიერებული ინტერესი. კვლევის პროცესში ძირითადად გამოვიყენეთ ისეთი ლიტერატურული ტექსტები, რომელთა კორპუსზე დაკვირვება შესაძლებელია, როგორც ორიგინალში, ასევე, თარგმანში. საანალიზო წყაროებზე დაყრდნობით განვახორციელეთ კვლევის შედეგად გამოვლენილი უნივერსალიების კლასიფიკაცია, შევისწავლეთ ისინი მორფო-ფონოლოგიური,

სინტაქსური და სემანტიკური ნიშნით. გავანალიზეთ გენდერული ლექსიკისათვის დამახასიათებელი მსგავსება-განსხვავებები ორ ენას შორის შედარება-შეპირისპირების გზით.

ქალ და მამაკაც მოსაუბრეებს შორის განსხვავებები პირველად ანთროპოლოგებმა და დიალექტოლოგებმა შეისწავლეს მე-17 საუკუნეში, როდესაც სხვადასხვა ერის მეტყველების ლინგვო-კულტუროლოგიურ ასპექტებს აკვირდებოდნენ. ტერმინი „ქალური“ და „მამაკაცური“ მეტყველება სათავეს სწორედ აქედან იღებს, რაც მოგვიანებით გენდერლექტიკისა და გენდერული-ფემინისტური თეორიების საფუძვლად იქცა. იმ დროს ენათმეცნიერების ინტერესს წარმოადგენდა ძირითადად ის განსხვავებები ქალ და მამაკაც მოსაუბრეებს შორის, რაც ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ დონეებზე იყო შესამჩნევი. ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი სწორედ ამ განსხვავებულობის შესწავლაა ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ კორპუსზე დაკვირვებით.

ლინგვისტები, სოციოლოგები, ენის ლინგვოკულტუროლოგიური და ფსიქოლინგვისტური ასპექტების კვლევით დაინტერესებული მეცნიერები, ბოლო რამდენიმე ათწლეულია განსაკუთრებული ინტერესით იკვლევენ მეტყველების გენდერულ ასპექტებს. საინტერესო და სასარგებლო მიგნებები აქვს გენდერლექტის მიმართულებით მათა კობახიძეს, რომელმაც შეისწავლა გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ტიპოლოგიური ჭრილში ქართული და ინგლისური ენების მიხედვით, ასევე, საინტერესო ხედვას გვთავაზობს პროფესორი როინ ჭიკაძე გენდერული მეტყველებისა და გენდერული ანთროპონიმების შესახებ თავის ნაშრომში “გენდერის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები ქართულში” (ჭიკაძე, 2013: 551-555). ჩვენი დაკვირვების მიხედვით, ქართული ენის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ინგლისურისაგან, არის მამრობითი სქესის სახელებისა და ნაცვალსახელების განზოგადებული, ნორმის ტოლფასი მნიშვნელობით გამოყენება. მაგალითად: “He“-ს (მამრობითი სქესის, მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი) გამოყენება ორივე სქესის აღსანიშნად, ან “They“ (მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი) ასევე ორივე სქესის მარკერად. ქართულ ენაში გაცილებით მეტია ის

კომპონენტები, რომლებშიც მდედრობითის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ატარებენ საზოგადო მნიშვნელობას: მაგალითად: „მშობელი“ - “Parent” ორივე საანალიზო ენაში დღეისათვის ნეიტრალური ორივე სქესის მშობლის აღმნიშვნელი სიტყვაა, თუმცა, ქართულში „მშობელი“ სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონების მიხედვით მშობელი არის ოდენ დედა” (ჭიკაძე, 2014: 53). საინტერესო ტერმინია: „გუთნისდედა“, რაც ქართულში აღნიშნავს მამაკაცს - მიწის მუშას, რომელიც ხვნის დროს სახვნელს უძღვებოდა, აწესრიგებდა გუთნის მიმართულებას, ხნულის სიღრმესა და ბელტის სიგანეს, ხელმძღვანელობდა შრომის პროცესს. გუთნისდედა სოფელში საპატო კაცად ითვლებოდა. ფეოდალურ საქართველოში ხვნის სეზონში გუთნისდედას უფლება ჰქონდა, თავის ნაცვლად სხვა გაეგზავნა სამხედრო სამსახურში. ოჯახის გაყრის დროს გუთნის ღვედს, სახნის-საკვეთელს, გუთნის იარაღს მას აკუთვნებდნენ. ამ და მსგავსი ენობრივი მოვლენების საფუძველი ქართულ ენაში, მის მიწათმოქმედ კულტურას და ქრისტიანობამდელი მითოსიდან ცნობილი „დიდი დედის“ - უმთავრესი ღვთაების სახელსა და სახეს შეიძლება უკავშირდებოდეს. ქართულ ენასა და კულტურაში ქალისა და დედის სახელთან დაკავშირებულ ანთროპონიმებს საინტერესო მახასიათებლები და რთული ეტიმოლოგია აქვს. ამდენად, საინტერესოა მათი შესწავლა ლიტერატურულ კორპუსზე დაყრდნობით, განსაკუთრებით სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მეტყველების გენდერულ ექსპრესიასთან მიმართებით.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, გენდერული მეტყველების მახასიათებლების შესწავლა ლიტერატურული კორპუსის საფუძველზე კონტრასტულ ჭრილში, რაც თანამედროვე ქართული ლინგვისტიკისთვის ახალი სფეროა. ქართული და ინგლისურენოვანი მხატვრული ტექსტებისა და მათი თარგმანების შედარებით-შეპირისპირებითი, ტიპოლოგიური კვლევა გენდერული დისკურსის თვალსაზრისით ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა და იგი, ძირითადად სოციოლოგიური ასპექტით შეისწავლება. პრაქტიკულად, ვერ მივაკვლიეთ ნაშრომს, რომელიც შეეხებოდა პერსონაჟთა მეტყველებაში გენდერული მარკერების შედარება-შეპირისპირებას ორ საანალიზო ენაზე შექმნილ ტექსტებს შორის სინქრონულ ან დიაქრონულ ჭრილში. ეს არის ჩვენი კვლევის გამოწვევაც და მისი უნიკალურობაც

ერთდროულად. ამიტომ, შევეცადეთ, ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, სიღრმისეულად შეგვესწავლა სხვადასხვა ეპოქის, ასევე, ჩვენი თანამედროვე ავტორების ნაშრომებში და მათ თარგმანებში ასახული გენდერული დისკურსის უნივერსალიები. პარალელები გავავლეთ ამ ორი, განსხვავებული სისტემის ენაზე შექმნილ ტექსტებში სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მეტყველებაში გამოვლენილ ლექსიკურ, გრამატიკულ ფონეტიკურ და ფონოლოგიურ თავისებურებებს შორის და გავაანალიზეთ მათი ინტერ-კულტურული ინტერპრეტაციების ტენდენციები **რაოდენობრივი, თვისობრივი, შედარება-შეპირისპირებითი და აღწერითი კვლევითი მეთოდების გამოყენებით.**

ორი განსხვავებული სისტემის ენაზე შექმნილი ნაწარმოებების პერსონაჟთა მეტყველების **შეპირისპირებითი ანალიზის** დროს გავითვალისწინეთ, რომ „გენდერი ენაში არის დასტური იმისა, რომ ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების ჩამოყალიბებაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს არა ბიოლოგიური სქესი, არამედ კულტურული ფასეულობანი“ (Brown, 2003), რაც განსაკუთრებით ცხადად აისახება ლიტერატურულ კორპუსში.

კვლევის მნიშვნელობა მდგომარეობს მის მიზანმიმართულ კონცენტრაციაში ლიტერატურულ კორპუსზე და მხატვრულ დისკურსზე, სადაც საინტერესოდ ვლინდება გენდერული მეტყველების სხვადასხვა ასპექტი. როგორც აღვნიშნეთ, გენდერული დისკურსის ანალიზი ახალი საკითხია ქართული ლინგვისტიკისთვის, ევროპელი და ამერიკელი ენათმეცნიერების კვლევებში კი მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თუმცა, მხატვრული ნაწარმოებების საფუძველზე, ლიტერატურულ პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებების შედარებით-შეპირისპირებითი შესწავლის მცდელობა ტიპოლოგიურ ჭრილში არც დასავლურ ენათმეცნიერებაში გვხვდება უხვად, თუ არ ჩავთვლით ვირჯინია ვულფის (Wolf, 2006: 27) მეტად საინტერესო ანალიზს ქალი და მამაკაცი ავტორების მხატვრული ექსპრესიისა და მათი წერის სტილის შედარებით დახასიათებას.

შერჩეული პრობლემატიკა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც XXI საუკუნეში, როცა საზოგადოებრივ დისკურსში გენდერული როლების შესახებ აზრთა სხვადასხვაობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, აუცილებელია, გავაანალიზოთ

ენის წიაღში, კერძოდ, ლიტერატურულ კორპუსში ასახული გენდერული დამოკიდებულებები და მათი გამომხატველი ექსპრესიული საშუალებები. აუცილებელია, შევისწავლოთ, ორი ენის, ინგლისურისა და ქართულის გენდერული ლექსიკისთვის დამახასიათებელი მსგავსება-განსხვავებები და დავაჯგუფოთ კვლევის შედეგად გამოვლენილი უნივერსალიები მათი მორფო-სინტაქსური, ფონოლოგიური და სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით. **ნაშრომის აქტუალურობას** განაპირობებს შევისწავლოთ ეს მახასიათებლები, რომლებსაც, თავის მხრივ, საფუძვლად ედება შემდეგი წინაპირობები:

1. ქართული ენა, რომლის ისტორიის, სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხებს მრავალი ნაშრომი ეძღვნება, თითქმის შეუსწავლელია ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. ამავდროულად, არ მოგვეპოვება ლიტერატურული ნაწარმოებების საფუძველზე პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებების მეცნიერული ანალიზი. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზს ნაწილობრივ შეავსებს გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, ვერბალურ და არავერბალურ საშუალებათა თარგმანში, რითაც ჩვენი შრომა მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკისა და თეორიის განვითარებას საქმეში.
2. ლინგვოკულტუროლოგია, ასევე გენდერლინგვისტიკა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ჩამოყალიბების სტადიაშია. კონკრეტული ენების, ჩვენს შემთხვევაში, ქართულისა და ინგლისურის გენდერული ლექსიკის შესწავლა პერსონაჟთა მეტყველების საფუძველზე და მათი თარგმანის თავისებურებები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი.
3. ლინგვისტიკაში არ მომხდარა გენდერულად მარკირებული ენობრივი კატეგორიების, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის კლასიფიკაცია სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მეტყველების მიხედვით და არ არის დადგენილი ენის სტრუქტურის, კერძოდ, მისი აგლუტინაციის ხარისხის, სინთეზურობისა და ანალიზურობის მიმართება პერსონაჟთა მეტყველების ექსპრესიულობასთან, უფრო კონკრეტულად, გენდერულად მარკირებული სამეტყველო უნივერსალიების ჩამოყალიბებასთან არც ქართულ და არც ინგლისურ ენებში.

4. გენდერულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებით მოპოვებული მასალისა და ლიტერატურული ნაწარმოებების კორპუსის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ენობრივი უნივერსალიების შესწავლა, მათი ინტერპრეტაცია და თეორიული განზოგადებანი მომავალში დაგეგმარება, დავადგინოთ აღნიშნული დისციპლინის საზღვრები და დავაზუსტოთ მისი სამომავლო კვლევის ობიექტები.
5. თითოეული ენისათვის დამახასიათებელი ექსპრესიული საშუალებები შესწავლილი და განზოგადებულია უნივერსალიების დონეზე. ჩვენ ვცადეთ ტიპოლოგიურ ჭრილში გაგვეანალიზებინა ამ უნივერსალიათა თარგმანის დროს გამოვლენილი მსგავსება-განსხვავებანი და ემოციის გადატანის (შენარჩუნება, გაძლიერება, შესუსტება) ხარისხი მათი ინტერპრეტირების პროცესში.

კვლევის წყაროდ გამოვიყენეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის საანალიზო კომპიუტერული უზრუნველყოფა, რომელიც აერთიანებს ქართული ენის როგორც წერილობით, ისე ზეპირმეტყველების ნიმუშებს. იგი მოიცავს ქართული ენის განვითარების სამივე საფეხურის ტექსტებს და შედგება ძველი ქართულის (GNC ძველი ქართული), საშუალი ქართულის (GNH საშუალი ქართული) და ახალი ქართული ენის (GNH ახალი ქართული) ლიტერატურული ნაწარმოებების ქვეკორპუსებისაგან; კორპუსში ასევე შესულია მეგრული და სვანური ტექსტები და ტრანსკრიბირებული დიალექტური ჩანაწერების ორი ქვეკორპუსი (GDH და SSGG). საანალიზო ლიტერატურულ ნაწარმოებთა მონაკვეთები იმ პრინციპით იქნა შერჩეული, რომ ქალ და მამაკაც პერსონაჟებს შორის დიალოგების კლასიფიკაცია ყოფილიყო შესაძლებელი. შეგროვებული მასალა გადავიტანეთ სპეციალურ ლინგვისტურ-სტატისტიკურ-საანალიზო პროგრამაში TEXTSTAT-ი და შევეცადეთ დაგვეჯგუფებინა ლიტერატურულ პერსონაჟთა მეტყველებაში გამოყენებული გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია. გავაანალიზეთ ისინი რაოდენობრივად და თვისობრივად ტიპოლოგიურ ჭრილში ქართული და ინგლისური ტექსტების მიხედვით, რის საფუძველზეც გამოვლენილ იქნა ამ ორ საანალიზო ენას შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები, კონკრეტული ერისთვის (კულტურისთვის) დამახასიათებელი ემოციური ექსპრესიის საშუალებები და მათი ვარიაციები ქართული და ინგლისურენოვანი ნაწარმოებების გმირების მეტყველებაში

(შესაბამისად თარგმანებშიც). სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია დაახლოებით 200-მდე მხატვრული ნაწარმოები და მათი თარგმანები. (იმ შემთხვევაში, როდესაც ოფიციალურ თარგმანზე ხელი არ მიგვიწვდებოდა, საანალიზო მონაკვეთების თარგმანი თავად უზრუნველყავით). გამოვაცალკევეთ საპირისპირო სქესის პერსონაჟთა მეტყველების მახასიათებელი ლინგვისტური ხერხები, ექსპრესიულ-კომუნიკაციური საშუალებები და ფორმები და დავაჯგუფეთ ისინი საკომუნიკაციო კომპეტენციებად. ეს კლასიფიკაცია ეყრდნობა სქესებს შორის არსებულ განსხვავებებს, მათი კომუნიკაციის ფორმებს, კონტექსტს, პერსონაჟის როლსა და ადგილს ნაწარმოებში, საკომუნიკაციო ფონს ე.წ. “ბექგრაუნდს” და ვცადეთ გაგვეკეთებინა მისი სიღრმისეული ანალიზი ლექსიკური, სემანტიკური, ფონოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება ნაშრომში დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. იგი შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან (189 გვერდი); ასევე, მოიცავს გამოყენებული ლიტერატურისა და საანალიზო წყაროების ჩამონათვალს და მთლიანობაში შეადგენს **205** გვერდს. ნაშრომს ერთვის ორი დანართი: 1. ქალისა და მამაკაცის აღმნიშვნელი ანთროპონიმები მხატვრულ ტექსტში; 2. ფერთა გამა ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში. დისერტაცია შეიცავს ცხრილებსა (15 ცხრილი) და რაოდენობრივი მონაცემების გრაფიკულ გამოსახულებებს (4 დიაგრამა).

თავი I

წერის სტილის გენდერული იდენტიფიცირება ორიგინალ ტექსტებსა და თარგმანებში

1.1 ქალ და მამაკაც ავტორთა წერის სტილის გენდერული მახასიათებლები

1975 წელს ლაკოფმა (Lakoff, 1975) ამერიკაში, ხოლო დეილ სპენდერმა (Spender, 1975) დიდ ბრიტანეთში, რომლებმაც კოგნიტურ ლინგვისტიკას ჩუყარეს საფუძველი, ხმამაღლა დაიწყეს საუბარი სექსიზმის გამოვლინებებზე მამაკაცის საუბრის მანერაში. მათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს, მოსაზრება, რომ ქალი და მამაკაცი მოსაუბრეების სტილებს შორის არსებობს მკვეთრი განსხვავება, ასევე ჩამოაყალიბეს თეზისი, რომ სქესთა შორის კომუნიკაცია მხოლოდ ორ სქესს არ მოიცავს და აქ სხვა სახესხვაობებიც გვხვდება (Spender, 1984: 78), მაგრამ ამ თეორიის მეცნიერული მტკიცებულება უამრავ გამოწვევასთანაა დაკავშირებული დღესაც კი, რომ არაფერი ვთქვათ, გასული საუკუნის 70-იან წლებზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევა მთლიანად ქალ და მამაკაც პერსონაჟებს შორის ინტერაქციის ანალიზს მივუძღვენით, ხოლო, საკითხის სხვა ასპექტებით შესწავლა მომავალი კვლევების საგნად დავიტოვეთ. მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული თეორიების თანახმად, მამაკაცებს ახასიათებთ დომინირება საუბარში, ნიშანდობლივი ტენდენციაა თანამოსაუბრის შეჩერება აზრის დასრულებამდე ანუ ინტერაფცია. კოგნიტური ლინგვისტიკის მიმდევრები ამ ყოველივეს აბსურდულად მიიჩნევენ და საპირისპირო მოსაზრებები წამოსწიეს. განსაკუთრებით მიუღებლად მიაჩნდათ მოსაზრება დისკურსში მამაკაცების დომინირების ტენდენციის შესახებ და შეხედულება, რომ მათ ახასიათებთ ინტერაფციები, ანუ მეორე მოსაუბრისთვის კომუნიკაციის აქტის შეწყვეტის მცდელობები ორსქესიან (ქალსა და მამაკაცს შორის) ინტერაქციაში, “რაც საბოლოოდ ქალის „დუმილით“ არის გამოხატული” - ამბობს ტანენი (Tannen, 1989: 98) და ამ მოვლენას მთლიანობაში მამაკაცების მიერ შექმნილ ენას უწოდებს. განსაკუთრებით კარგად „ქალების დუმილი“ სწორედ ლიტერატურული და კლასიკური ტექსტების მაგალითზე ვლინდება. ქართული და ინგლისური ლიტერატურის ანთოლოგიებსა და ლინგვისტური კორპუსის

კატალოგებში მე-20 საუკუნის დასაწყისამდე სულ ორიოდ ათეული ქალი მწერლის სახელი შეიძლება ამოვიკითხოთ. მათი რაოდენობა დღეისათვის მამაკაცი მწერლების რაოდენობას დიდად არ ჩამორჩება. მსოფლიო იცნობს ნობელის, პულიცერის და სხვა ლიტერატურული პრემიების ლაურეატ ქალ მწერლებს, რომლებიც ძირითადად მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ და დღემდე მათი რაოდენობა მზარდია. შედარებით უფრო ადრეული ეპოქებიდან ქალი მწერლების სახელებიც კი არ არის ჩვენამდე მოღწეული. გარკვეული სტერეოტიპები ქალი მწერლის მიმართ დღემდე არსებობს, მაგალითად, თანამედროვე ქართველი მწერალი ქალი სალომე ბენიძე წერს: „ქალი მწერლები საქართველოში ჯერ კიდევ კრიტიკის საგანი შეიძლება გახდნენ „თამამი“ თემების გამო, რადგან საზოგადოების მოლოდინი არის უფრო კონსერვატორული ქალი ავტორებისადმი, ვიდრე მამაკაცი ავტორებისადმი (ბენიძე, 2010: 4). სპენდერი (Spender, 1980: 34) მე-20 საუკუნის 70-იან წლებში საუბრობდა ამ ტიპის დისკრიმინაციაზე ევროპელი ქალი ავტორებისადმი, რისი დასტურიცაა ის ფაქტი, რომ ქალი ავტორები ხშირად ფსევდონიმის ქვეშ აქვეყნებდნენ საკუთარ ნაშრომებს, რათა მათ ნაწარმოებებს მკითხველამდე მიეღწია. თავად სპენდერიც (Spender, 1980: 34), ერთ-ერთი მეტად გემოვნებიანი და პოპულარული ავტორი, ცდილობდა საკითხის სიმწვავე არა მხოლოდ ბრიტანელ, არამედ, კონტინენტური ევროპისა და ამერიკელი მკითხველის ყურამდე მიეტანა. 1981 -1995 წლებში მან ათამდე წიგნი გამოსცა, რომელთა სათაურები, უკლებლივ ყველა, ავტორის ფემინისტური მესიჯების ილუსტრაციაა: „კაცური მეცნიერების მოდიფიკაციები“ (1981), „უხილავი ქალები“ (1982, 1989), „ქალები იდეებით და რა უქნეს მათ მამაკაცებმა“ (1983, 1989), „ქალები კიბერსივრცეში“ (1989) და მრავალი სხვა.

ენობრივი გენდერული სტერეოტიპების კვლევის თვალსაზრისით დასავლური ენათმეცნიერება ტანენისა (Tannen, 1983: 292) და ლაკოფის (Lakoff, 1982: 17) შემდეგ უფრო შორსაც წავიდა. მაგალითად, 21-ე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა თეორია სხვადასხვა სქესის ჯგუფებს შორის კომუნიკაციის, ასევე, ჰომოგენურ გენდერული ჯგუფის შიგნით ინტერაქციის შესახებ, რომლებიც წინა თეორიებს უპირისპირდებოდა. კამერონი (Cameron, 2012: 98) არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, თითქოს ქალები უფრო კოოპერაციულები არიან, ან მამაკაცები

ცალსახად გავლენის მოპოვებას ცდილობენ თავიანთ კომუნიკაციაში. ჩვენ დაკვირვებას ლიტერატურულ ტექსტებზე, ხშირად, სწორედ საპირისპირო დასკვნებამდე მივყავართ და ვრწმუნდებით, რომ ამ განსხვავებულობას განაპირობებს არა იმდენად, სტერეოტიპული მოსაზრება, თითქოს, ქალები ცდილობენ თავაზიანობას და დათმობას, ან საერთოდ დუმილს არჩევენ, არამედ ამას განაპირობებს განსხვავება ეპოქებს შორის, განსხვავებული აღზრდის წესი და სამიზნე ჯგუფის დემოგრაფიული მონაცემები (ასაკი, სოციუმი, განათლების დონე, ჯგუფზე კუთვნილება). მხატვრულ დისკურსში განსხვავებული სქესის პერსონაჟთა, კერძოდ, გოგონა და ვაჟ პერსონაჟთა მეტყველების შესწავლა ანალოგიური დასკვნების საშუალებას იძლევა. (სოციოლოგიურ კვლევათა უმრავლესობა ადასტურებს, რომ ქალები უფრო პასიურები არიან კომუნიკაციაში, ვიდრე მამაკაცები, როგორც ოჯახში, ასევე საგანმანათლებლო და პროფესიული დაწესებულებებში.) ამ საკითხს უფრო დეტალურად განვიხილავთ მე-3 თავში, სადაც ვისაუბრებთ ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველების მსგავსება-განსხვავებებზე.

ნიშანდობლივია, რომ ენებში, რომლებიც სიმბოლოთა სისტემას იყენებს, უამრავი გენდერული იეროგლიფია, მაგალითად, მანდარინ ჩინურში სიტყვის „ჰარმონია“ აღსანიშნად ერთი სახლი და ერთი ქალი გამოიყენება. მხატვრულ ტექსტებშიც მრავლად გვხვდება ქალის მეტყველებისადმი გავრცელებული და ფეხმოკიდებული დამოკიდებულება, კერძოდ, სოფოკლეს, ჩოსერის და შექსპირის პოეტიკაში, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ისტორიულად ქალის როლი და მისი ადგილი საზოგადოებაში იცვლება და კვლავაც განაგრძობს ცვალებადობას კაცობრიობის განვითარებასთან ერთად:

„ქალს დუმილი უხდებაო“ სოფოკლე- “Silence gives the proper grace to women!”

“How hard it is for women to keep counsel” (Shakespeare, 1856: 448)!

„რაოდენ რთული დავალებაა ქალს სთხოვო რჩევა“ (შექსპირი, 1986: 89)

Her voice was ever soft, gentle and low, an excellent thing in a woman” (Shakespeare, 1856:459). “She has brown hair, and speaks small like a woman“ (Shakespeare, 1856: 798).

„მას (ქალს) წაბლისფერი ჰქონდა თმები და ბევრს არ იტყოდა, ქალს არ შეჰფერის“ (შექსპირი, 1986: 91).

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებათა უმრავლესობაში ფეხმოკიდებული პატრიარქალური ურთიერთობები გენდერულ როლებს შორის ასიმეტრიულობას იწვევს, კერძოდ, მამაკაცი დომინირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე, ხოლო ქალის როლი შედარებით მოკრძალებულია. ეს ურთიერთობები ცხადად აისახება ლიტერატურულ ტექსტებში, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე შექმნილ ნაწარმოებებში, თუმცა, ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო არაკოჰულარული და არარელევანტური ხდება თანამედროვე ლიტერატურასთან მიმართებით, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი შესწავლა დიაქრონიულად. ამის დასტურად ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილი ექსპერიმენტის მასალებიც კმარა. თუმცა, სანამ მათ განხილვაზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს, რომ ქალებისა და მამაკაცების იძულებით და ხელოვნურად მოქცევა საზოგადოების მიერ თითოეულისთვის მინიჭებული როლების ფარგლებში, კიდევ უფრო ამყარებს არსებულ სტერეოტიპებს. ჩვენ ვცადეთ ამ სტერეოტიპების გაფანტვა და ქალური თუ კაცური მეტყველების არსებული ლინგვისტური უნივერსალიების გამოყენების ტენდენციები გავანალიზეთ ქალ და მამაკაც პერსონაჟებთან. სამწუხაროდ, მსგავსი სტერეოტიპების მაგალითებს ვაწყდებით არა მხოლოდ ლიტერატურულ კორპუსში და მხატვრულ პერსონაჟთა დისკურსში, არამედ სოციალურ ქსელებსა და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ კომუნიკაციაში სქესთა შორის, მაგალითად, სუზან ჰერინგი (Hering, 1996: 29) თავის სტატიაში: “გენდერული განსხვავებულობები კომპიუტერულ მედია კომუნიკაციებში” (ანუ სოციალურ მედიაში) საუბრობს ამ ძველ და ცნობილ სტერეოტიპებზე და მის გამყარებაზე თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით. ის აღნიშნავს, რომ კომუნიკაციის მონაწილე ქალი და მამაკაცი წევრები განსხვავებული ლინგვისტური სტრუქტურითა და გზავნილების რიტორიკით ხასიათდებიან, რაც აიხსნება იმით, რომ სოციალურ ქსელებში ისტორიულად დომინირებდნენ მამაკაცები და ძირითადი ტერმინოლოგიაც უფრო „მამაკაცურია“.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მამაკაცების მიერ სოციალურ ქსელებში გამოყენებული ლექსიკა 68% შემთხვევებში შედგება კონფლიქტური მესიჯების შემცველი სიტყვებისაგან, მოსაუბრე მამაკაცის მეტყველებაში შეიმჩნევა ტენდენცია

გააქილიკოს, გააკრიტიკოს და დაიჭიროს დისტანცია თანამოსაუბრისგან, რითაც ცდილობს საკუთარი ადმატებულობის ხაზგასმას. “Hey Dude, are you crazy?” – „ეი, ხომ არ გაგიჟდი?“ იმავე ტიპის დისკუსიაში სოციალურ ქსელებში ქალები, რომლებიც რაოდენობრივად შედარებით ცოტანი არიან, საუბრობენ ტერმინებით, რომლებშიც უხვადაა მოზოდშიება, რისკების მართვის სტრატეგიები (ჰეჯირება), კითხვების დასმა და არა მტკიცებულებები, ისეთი ფიქრებისა და შეგრძნებების აღწერა, რომელიც მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. “Hey Listen, do you think it is important?” “I am sorry to say that, but I think....” (Weaver, 2012: 47). „მისმინე, მართლა გგონია რომ ეს მნიშვნელოვანია?“, „ვწუხვარ რომ ამას ვამბობ, მაგრამ მე ვფიქრობ..“ (Weaver, 2012:47 ჩვენეული თარგმანით). ეს ორი მაგალითი სოციალური ქსელიდან არის ტიპური ტონის მატარებელი, რომელიც ორი სხვადასხვა სქესის მეტყველებას ახასიათებს და დაახლოებით მსგავს ფორმულაზე არის აგებული კომუნიკაციის სხვა მოდელებიც. გვხვდება მცირედი განსხვავება „ქალი - ქალი“, „კაცი - ქალი“ კომუნიკაციურ წყვილებში, თუმცა, მოდელი სრულად არის შენარჩუნებული თითქმის ყველა დიალოგში სხვადასხვა სივრცეში: სკოლა, სამსახური, სუბ-კულტურები.

მხატვრულ ტექსტებში ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველების თავისებურებების შესწავლის პროცესში მსგავსი ტენდენციები ხშირად იკვეთება, ეს ეხება, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ლიტერატურას, თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ ენაზე შექმნილ ტექსტებს შორის არის ის, რომ ქართულში უფრო მეტად, ვიდრე ინგლისურში, ქალი პერსონაჟების „ხმა არ ისმის“, ისინი შედარებით ნაკლებად არიან წარმოდგენილი რაოდენობრივად და ნაკლებად აქვთ დიალოგი სხვა პერსონაჟებთან.

“Tell me what it is,” she said in a low voice.”

“I think I shall be quite plain, Agnes, liking him so much” (Dickens, 2004 : 228)?

„იქნებ მითხრათ ეს რას ნიშნავს?“ იკითხა დედამ მშვიდად

„ვფიქრობ, უმჯობესია თუ პირდაპირ ვიტყვი, აგნესას მეტისმეტად მოსწონს ის“ (დიკენსი, 1989 : 457).

- „აჰ! ეს შენა ხარ?“ - მითხრა მან

- „მამ, შენ მიცანი, ემი?“

- „თითქოს შენ კი არ მიცანი!“ - მიპასუხა ცელქმა (დიკენსი,1989: 458).

Miss Murdstone took no heed of me ... gave me her cold finger-nails, and asked me in an iron swishper, if I had been measured for my mourning. –

I said: “Yes.”

“And your shirts,” said Miss Murdstone; “**have you brought ‘em home?**”

“Yes, ma’am. I have brought home all my clothes.”

This was the **consolation that her firmness administered** to me. I do not doubt that she had a choice of pleasure in exhibiting what she called her self-command, and her firmness, and her strength of mind, and her common sense, and the whole diabolical catalogue of her unamiable qualities, on such an occasion. **She was particularly proud of her turn for business;** and she showed it now in reducing everything to pen and ink, and being moved by nothing” (Dickens, 2004: 108).

„მის მორდსტონმა არავითარი ყურადღება არ მომაქცია... გამომიწოდა თავისი ცივი თითები და მკითხა ფოლადისებური ჩურჩულით:

- აიღეს შენი ზომა?
- დიახ, ქალბატონო.
- შენი პერანგები წამოიღე?
- დიახ, მის მორდსტონ, ყველა ჩემი ნივთი მოვიტანე სახლში.

და მეტი რაფერი. არავითარი ნუგეში აღარ გამიგია ამ ენერგიული ლედისგან. მის მორდსტონი უეჭველია ამაყობდა თავისი სულის სიმტკიცით. როგორც ჩანს არაფერი არ ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას მის მორდსტონის რკინის ბუნებაზე. იმ დღის ბოლომდე, და მეორე დღესაც, ადრიანი დილიდან შუადღემდე, იგი საწერ მაგიდას უჯდა. მისი კალამი საშინლად ფხაჭნიდა ქაღალდს და აღუმფოთებელი ჩურჩულით მიმართავდა ყველას. არც ერთი კუნთი არ შერხევია სახეზე, არც ერთი ნაოჭი არ განძრეულა მის კაბაზე“ (დიკენსი, 1989: 138).

მოცემულ მონაკვეთში დიალოგი მიმდინარებს ჯერ ორ ქალ პერსონაჟს, შემდეგ ქალ და მამაკაც პერსონაჟებს შორის. მიუხედავად განსხვავებული სტატუსისა, ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა, ქალი პერსონაჟები თითქმის ერთნაირად ინტენსიურად იყენებენ ყველა ზემოხსენებულ საკომუნიკაციო საშუალებებს,

როგორცაა: კითხვის დასმა: „აიღეს შენი ზომა?“ “Did they take your measures?” “Have you brought your shirts?” „პერანგები წამოიღე?“, ჰეჯირება „Say, My dear sir,“ „ჩემო პატარა ბატონო!“ “you little know my poor Jack Maldon when you ask the question” „ცოტა რამ თუ გსმენია ალბათ საბრალო მალდონ...“ დამოწმება: “Say? Not he. You might drag him at the heels of four wild horses first”, „თქვი, რომ ეს მას არ ჩაუდენია, ცხენის კუდზე უნდა გამოაბა ეგ სულელი..“ (დიკენსი, 1989: 68) ხოლო მამაკაცი პერსონაჟები უხვად იყენებენ მტკიცებულებებს; “I did ma’am” „დიახ ქალბატონო!“, “Everything was done for the best, everything was done for the kindest and the best I know.. „ყველაფერი გაკეთდა მისი ინტერესებიდან გამომდინარე და მის სასიკეთოდ..“ და დისტანცირების საშუალებებს: “That bastard did not even say hello” (Anderson, 1999: 127)! „იმ ნაძირალამ გამარჯობაც კი არ გვითხრა“ (Anderson, 1999: 127 თარგმანი ჩვენეული)! როგორც ვხედავთ, ქალურ და მამაკაცურ მეტყველების მანერას შორის არსებული განსხვავებები, ყოველდღიური სამეტყველო დისკურსის გარდა, აისახება სოციალურ ქსელებში, ლიტერატურულ პერსონაჟთა მეტყველებასა და განსხვავებული სქესის ავტორთა წერის მანერაში.

1.2 ქალ და მამაკაც პერსონაჟთა აღწერისა და გენდერული მეტყველების თავისებურებანი განსხვავებული სქესის ავტორთა ნაწარმოებებში

განსხვავებული სქესის ავტორთა ნაწარმოებებში საპირისპირო სქესის პერსონაჟთა მეტყველების შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეანალიზებინა, თუ რამდენად ახერხებენ ავტორები თანდაყოლილი სქესის როლიდან გამოსვლას და განსხვავებული სქესის პერსპექტივიდან წერას და არის თუ არა ეს მცდელობა წარმატებული. ამისათვის შევისწავლეთ ქალ პერსონაჟთა რაოდენობრივი მონაცემები ქალ და მამაკაც ავტორთა შემოქმედებაში და წმინდა მათემატიკური პრინციპით დავითვალეთ ისინი სინქრონულ და დიაქრონიულ ჭრილში. საბოლოო დასკვნები დაეფუძნა შემდეგ ვარაუდებს:

მამაკაცი პერსონაჟის დომინირება საუბარში ქალ პერსონაჟთან შედარებით, რაც თავის მხრივ, ფოლკლინგვისტიკის (folklinguistics - ლინგვისტიკის შედარებით ახალი დარგი, რომელიც ფსევდო ლინგვისტიკის სახელითაცაა ცნობილი და ბუნებრივი ენის წარმოშობისა და ბავშვის მიერ მისი ათვისების საკითხებს სწავლობს) კვლევებითაც დასტურდება. საკვლევ წყაროებში ცხადად იკვეთება ტენდენცია, რომ ქალი პერსონაჟები უფრო ნაკლებს საუბრობენ, ვიდრე მამაკაცი პერსონაჟები და ეს დომინირება გამოხატულია მამაკაცი პერსონაჟის მიერ ქალი პერსონაჟის მისამართით ინტერაფციული ენობრივი საშუალებების გამოყენებით, მაგალითად: „დაიცადე“ - “Wait”, „მე ასე არ ვფიქრობ“ - “I do not think so”, „შესდექ“ - “Stop”, „საკმარისია“ - “Enough”. ნიშანდობლივია, რომ ეს და კიდევ სხვა ინტერაფციები მრავლად გვხვდება ქართულ და ინგლისურენოვან ორიგინალ ტექსტებში და მათი 99% უცვლელად ითარგმნება, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მიუხედავად კულტურული განსხვავებულობისა, ორი ენის სამეტყველო და ლიტერატურული ენა ბუნებრივად იღებს მსგავს “ინტერაფციებს”, როგორც მათ ციმერმანი და ვესტი უწოდებენ (Zimmerman, & West, 1975: 98) და ისინი შეიძლება იზომორფულ ენობრივ უნივერსალიებად მივიჩნიოთ.

“Well, I made it to watch the sun rise, like I said I would” – she said

“Only sunrise was not visible today” – He said

“I have not danced like that for years” – she said

“When did you get back?” – he returned

“Oh it must have been around three. That was when party finally broke up..” she responded back and took a breath to go on but she was interrupted again.

“Did we dance at our wedding?” – her words made him think that perhaps his memories had been failing him“ (Lahiri, 2011: 119).

„მე ის მზის ამოსვლის საყურებლად მოვიტანე, როგორც შეგპირდი“ - თქვა მან (ქალი)

„მაგრამ დღეს მზის ამოსვლა არ ჩანდა“ - უპასუხა მან (კაცი)

„ამდენი წელია არ მიცეკვია“ თქვა მან (ქალი)

„უკან როდის დაბრუნდი?“ - დაუბრუნა მან აზრი

„ალბათ სამი საათი იყო, წვეულება მხოლოდ იწყებდა დაშლას“ უპასუხა მან (ქალი) კიდევ აპირებდა გაგრძელებას, მაგრამ მან შეაწყვეტინა.

„ჩვენს ქორწილში ვიცეკვეთ?“ - ქალის სიტყვებმა აფიქრებინა, რომ მას მეხსიერება დალატობდა“ (ლაპირი, 2011: 119. თარგმანი ჩვენეული).

მოცემული მონაკვეთი ცხადად უჩვენებს, თუ რა ენობრივი საშუალებებით აწყვეტინებს, გადააქვს და ცვლის ქალი მოსაუბრის წამოწყებულ საუბარს თანამოსაუბრე მამაკაცი და როგორ აისახება ეს ტექსტის თარგმანში თითქმის უცვლელად.

მამაკაცთა ინტერესების სფეროს მომცველი საკითხების (ე.წ. „მამაკაცური თემების“) დომინირება ტექსტში და ქალის მეორეხარისხოვანი (დამხმარე) როლი სქესთა შორის კომუნიკაციაში. სქესთა შერეულ კომუნიკაციაში ჩვენ მიერ განხილული ტექსტების ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა, რომ „მამაკაცური საკითხები“ უფრო ხშირად განხილება და მათ დიალოგში წამყვანი როლი აქვთ მორგებული მაშინ, როცა ქალი პერსონაჟი დამხმარე როლში გვევლინება და იგი მამაკაცის ისტორიის შემავსებელია. ქალი პერსონაჟის, თუნდაც მთავარ როლში მყოფის, ისტორია ყოველთვის სხვა მამაკაცების ისტორიის ფონზე, მასთან კავშირში ან მამაკაცი პერსონაჟის მიერ არის გადმოცემული. „ქალ და მამაკაც პერსონაჟს შორის დიალოგის აღქმა ავტორების უმრავლესობისთვისაც გავს მშობელსა და შვილს შორის ან ექიმსა და პაციენტს შორის გამართულ დიალოგს“, - ამბობს ლი პელეგრინი (Pellegrini, 1997: 98). ბუნებრივია, მამაკაცი პერსონაჟი უმეტეს შემთხვევაში საუბრის უფრო „გავლენიან“ (Powerful) მხარეს დგას. ამის დასადასტურებლად ჩვენ შევისწავლეთ ქალ და მამაკაც პერსონაჟთა ინტერაქციის შემცველი პასაჟები დეტალურად. დისერტაციის ერთი ნაწილი მთლიანად ეძღვნება „გავლენიანი“ (Powerful) – „სუსტი გავლენის მქონე“ (Powerless) მეტყველების მანერას, მისი გამოვლენის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური საშუალებების გამოყენებას მეტყველებაში და იმის ანალიზს, თუ რომელი სქესის პერსონაჟთა ატრიბუტია მეტყველების ესა თუ ის მანერა და რა უფრო მეტად განაპირობებს ამას - სქესი თუ კონტექსტი.

გრამატიკული სტრუქტურის განსხვავებული გამოყენება ქალი და მამაკაცი პერსონაჟის მიერ საანალიზო წყაროების შესწავლამ გამოავლინა, რომ ქალი და


მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაში შეიმჩნევა გრამატიკული წესების განსხვავებული გამოყენება, უფრო მეტად ეს ინგლისურ ტექსტებს ეხება, ვიდრე ქართულს, რაც ენის სტრუქტურული განსხვავებულობითაა განპირობებული და რის დეტალურ შედარებით-შეპირისპირებით ანალიზს ცალკე ქვეთავი დავუთმეთ დისერტაციის მეორე თავში. საყურადღებოა კოლოკვიალური (სასაუბრო) და ვულგარული ლექსიკის გამოყენება, რომელიც საკმაოდ განსხვავებულია ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაში და მათ საკომუნიკაციო სტრატეგიებს ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს. შესწავლილმა მაგალითებმა პრაქტიკულად გამოავლინა ტენდენციები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ბრაუნის (Brown, 1980) მოსაზრებასთან იმის შესახებ, რომ ქალი პერსონაჟები ნაკლებად იყენებენ ვულგარულ გამონათქვამებს საუბარში, მამაკაც პერსონაჟებთან შედარებით. მათ მეტყველებაში, თითქოს, ბუნებრივად ჟღერს: **Fuck**“, „**Damn**“, **”Go to the Hell**“, და ისიც მხოლოდ ინგლისურ წერილობით ტექსტში, ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში ორიგინალიდან ნათარგმნი იგივე სიტყვები შედარებით შერბილებული ვერსიით გვხვდება: **„ღმერთმა დასწყევლოს“**, **„ემშაკმა დალახვროს“**, **„ჯანდაბამდე გზა ჰქონია“**. ქალი პერსონაჟების მეტყველებას კი უფრო მეტად ახასიათებს მის მიერ სათქმელი მკვეთრი ფრაზის ან სკაბრეზული გამონათქვამის შელამაზებული ფორმით გადმოცემა **“an ugly man”** „უკეთური“, **“unbearable, can not stand it”** „აუტანელი“, **Oh fudge my hair is on fire”** – **„დალახვროს, თმები ყალყზე დამიდგა“**, რასაც პოტენციური ზრდილობისა და პრაგმატული სტრატეგიის ჭრილში განიხილავს ლაკოფი (Lakoff, 2010: 36). ამ სტრატეგიის მიზანს და მოტივაციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქალი მოსაუბრე, რომელსაც ზრდილობიანი ექსპრესიის თვალსაზრისით უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოება, მაინც ცდილობს საკუთარი „მძაფრი სათქმელი“ შერბილებულად გადმოსცეს იგივე სკაბრეზული გამონათქვამით.

ჩვენი ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ და ლიტერატურული კორპუსის ანალიზმა დაგვანახვა საჭიროება იმისა, რომ მეოცე საუკუნის ბოლოსათვის გავრცელებული და მეტად პოპულარული თეორიები მამაკაც მოსაუბრეთა დომინირების შესახებ ორსქესიან ინტერაქციაში, ერთი ნაბიჯით წაგვეწია წინ და სქესთაშორის კომუნიკაცია და მოსაუბრის საუბრის მანერა

შეგვესწავლა არა მხოლოდ მამრობითი სქესის დომინირების ჭრილში, არამედ ზოგადად კონტექსტის, ქვეტექსტისა და პრესუპოზიციის ჭრილში. ეს ფაქტორები, ხშირად, უფრო მეტად ახდენს გავლენას მოსაუბრეთა მანერაზე, ვიდრე ცალკე აღებული სქესი. იგი მეტად აქტუალური ხდება იმ მოცემულობაში, როდესაც „სქესს, როგორც მხოლოდ ორპოლუსიან სიდიდეს არ განიხილავს თანამედროვე გენდერული ლინგვისტიკა“ (Fisherman, 1978: 675). მაგალითად, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი ან სოციალურ-პროფესიული სტატუსის მქონე ქალი პერსონაჟი დაბალი ფენის მამაკაც პერსონაჟთან საუბრის დროს დომინანტ როლს არ თმობს და აქტიურად იყენებს გავლენიანი საუბრის მანერას ე.წ. „Powerful Speech“- ის ენობრივ ელემენტებს: კითხვა-მახილის, ბრძანების, მოწოდების წინადადებებს; თავდაჯერებულობის გამომხატველ ლინგვისტურ ერთეულებს: „არა“ „No“, „კი“ „Yes“, „არ მსურს“ „I do not want“, „მსურს“ – „I wish“, „ვბრძანებ“ „I order“; ექსტრალინგვისტურ საშუალებებს: კორპორალური ლექსიკა და საუბრის მანერა. მაგ: „men’s eyes in the room were fastened on her“; - „ოთახში მყოფი მამაკაცები თვალებით ჭამდნენ მას“; „her gloved hands were crossed“ – „ხელთათმანიანი ხელები ერთმანეთზე გადაეჭდო“; „handshaking“ „ხელის ჩამორთმევა“, „clasping hands“ – „ტაშისცემა“; „wash hands off smth“ – „ხელის დაბანა რაიმესგან“, „პასუხისმგებლობის მოხსნა“ და სხვა. თავისივე კლასის წარმომადგენელ მამაკაც პერსონაჟთან ინტერაქციაში ქალი პერსონაჟის საუბრის მანერა შედარებით მოდერირებულია და მხარდამჭერი ფუნქციით ხასიათდება, რისთვისაც შესაბამის ენობრივ საშუალებებს იყენებს და მძლავრად მოჰყვება თავაზიანობის ელემენტიც, გამოხატული ისეთი ლექსიკური ერთეულებით, როგორცაა: **“Please”, “could you”, “would you”, “may I kindly ask you?” “Would you do me a favour?” etc** ამ ორის საპირისპირო შემთხვევებში, კერძოდ, მაღალი საზოგადოების მამაკაცი პერსონაჟი თავისსავე წრის ქალ პერსონაჟთან, ისევე როგორც უფრო დაბალი წრის პერსონაჟთან, თანაბრად იყენებს მისი მეტყველებისთვის დამახასიათებელ ვულგარულ სიტყვებს, სლენგს, კოლოკვიალურ ლექსიკას და ტაბუირებულ სიტყვებს. მოსაუბრე-მსემენელს შორის არსებული ეს გენდერული ასიმეტრია ვცადეთ გადმოგვეცა დიაგრამით, რომელიც ასახავს,

როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი საანალიზო წყაროების მიხედვით გაკეთებულ დასკვნებს.

დიაგრამა # 1



აღნიშნული დიაგრამა შევადგინეთ ერთი ეპოქის ორი (2) ქართველი ავტორისა და ორი (2) ინგლისურენოვანი ავტორის ოთხ (4) ნაწარმოებზე დაყრდნობით: დათო ტურაშვილი, „ჯინსების თაობა“, ნაირა გელაშვილი, „დედის ოთახი“, სომერსეტ მოემი, „მთვარე და ექვსპენიანი“, ჩარლზ დიკენსი „დიდი მოლოდინები“, სკოტ ფიცჯერალდი „დიდი გეტსბი“ და მათ თარგმანებზე დაყრდნობით. ძირითადი მიგნებები და დასკვნები მექანიკური გადათვლის გზით მიღებული რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბეთ. უფრო დეტალური და საინტერესო ანალიზის საშუალებას იძლევა სამიზნე მხატვრულ ტექსტებში პერსონაჟთა მეტყველებაში გამოყენებული: ლექსიკა, სკაბრეზული და ტაბუირებული ენა, გრამატიკა, მართლმეტყველება, გამოთქმა და უხვსიტყვაობა, რასაც დეტალურად განვიხილავთ ნაშრომში.

არსებობს შეხედულება, რომ მამაკაცი ავტორები ვერ ახერხებენ დამაჯერებლად წერას ქალთა საკითხებზე, უჭირთ, გადმოსცენ ქალის იდეები და შეხედულებები, რამდენადაც მათი გამოცდილება საგრძნობლად განსხვავდება ქალის გამოცდილებისგან და გაჯერებულია საზოგადოების მიერ ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის თავს მოხვეული სტერეოტიპებით საკუთარ როლებთან


დაკავშირებით. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქალის ცხოვრება ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც კი მეტწილად ქალი ავტორების მიერ არის აღწერილი, და არა მამაკაცი ავტორების მიერ. ამ თეზისის რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც გამოიკვეთა ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე, მოცემულია გრაფიკული გამოსახულების სახით (დიაგრამა #3 და #4). საანალიზოდ გამოვიყენეთ მე-19, მე-20 და 21-ე ეს საუკუნეების 16 მამაკაცი და 16 ქალი ავტორის ნაწარმოები, მათგან 8 იყო ქართველი და 8 - ინგლისურენოვანი ქალი ავტორი, შესაბამისად, ავიღეთ 8 ქართველი და 8 - ინგლისურენოვანი მამაკაცი ავტორის ნაწარმოები.

TEXTSTAT-ის შესაბამისი ფუნქციის მეშვეობით გავაანალიზეთ თითოეული ნაწარმოების კონტენტი, დავაჯგუფეთ ისინი ავტორის სქესის მიხედვით და ვცადეთ, მაქსიმალური სიზუსტით გამოგვეთვალა, თუ რამდენი ქალი და რამდენი მამაკაცი პერსონაჟი გვხვდება თითოეულ საანალიზო ტექსტში. გრაფიკის სახით წარმოვადგინეთ ამ ექსპერიმენტის რაოდენობრივი კვლევის შედეგი გენდერულ ჭრილში, გავაანალიზეთ დიაქრონულად შედარებით ადრეული ეპოქის ნაწარმოებებსა და თანამედროვე ტექსტებზე დაყრდნობით. დადგინდა, რომ მთლიანობაში ოცდათორმეტივე მხატვრულ ტექსტში გვხვდება 253-მდე პერსონაჟი, მათგან მხოლოდ 60 არის ქალი, ხოლო დანარჩენი 193 მამაკაცი პერსონაჟია. ქალ ავტორთა ნაწარმოებებში, ხსენებული 60 ქალი პერსონაჟიდან, გვხვდება - 43 ქალი და 95 - მამაკაცი პერსონაჟი; შესაბამისად, მამაკაცი ავტორების გმირებს შორის (60 ქალიდან) მხოლოდ 17 ქალი პერსონაჟი არის წარმოდგენილი და (193 მამაკაციდან) 98 მამაკაცი პერსონაჟი. კიდევ უფრო რომ ჩავუღრმავდით, აღმოჩნდა, რომ ქალი ავტორების ნაწარმოებში ქალი გმირები საკუთარი სახელით საშუალოდ მოხსენიებული არიან - 3 700-ჯერ, ხოლო, მამაკაცი გმირების სახელები მათ ნაწარმოებებში დაახლოებით, საშუალოდ 5 489-ჯერ გვხვდება. იგივე მონაცემი მამაკაც ავტორებთან ასე გამოიყურება: ქალი გმირების საკუთარი სახელები დაახლოებით 500-ჯერ გაიჟღერებს, მაშინ როდესაც მამაკაცი გმირების საკუთარი სახელები - 9 845-ჯერ. მთლიანობაში, ქალი გმირები ორივე სქესის ავტორთან


მოხსენიებულია - 4 200-ჯერ, მამაკაცი გმირებისა - 15 000- ჯერ, რაც სამჯერ აღემატება ქალის მოხსენიების სიხშირეს.

აქედან დასკვნა ბანალურია: ქალი პერსონაჟები, მამაკაც პერსონაჟებთან შედარებით რაოდენობრივად ნაკლებად ფიგურირებენ ქალ და მამაკაც ავტორთა ტექსტებში. ისინი შედარებით მეტად არიან ქალ ავტორებთან, ვიდრე მამაკაცებთან, ხოლო მათი საკუთარი სახელით მოხსენიების რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით, მამაკაცი პერსონაჟები დომინირებენ ორივე სქესის ავტორთა ნაწარმოებებში. რაოდენობრივად გამოხატული გენდერული დისკრიმინაცია ლიტერატურულ კორპუსში საგრძნობლად შემცირებულია შედარებით თანამედროვე ავტორებთან. ორივე სქესის ავტორებს თითქმის თანაბარი რაოდენობით ჰყავთ შექმნილი ქალი და მამაკაცი პერსონაჟები, ხოლო მათი საკუთარი სახელით მოხსენიების სტატისტიკა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან ნაწარმოების შინაარსის მიხედვით. ზემოხსენებული რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე მიღებული მონაცემი გამოვსახეთ გრაფიკულად.

დიაგრამა # 2 ქალი და მამაკაცი პერსონაჟების რაოდენობები ქალ და მამაკაც ავტორებთან 95%-იანი საიმედოობის ინტერვალი



დიაგრამა # 3 - ქალი დ მამაკაცი პერსონაჟების მოხსენიება საკუთარი სახელით ქალ და მამაკაც ავტორებთან 99%-იანი საიმედოობის ინტერვალი



საკუთარი სახელის რაოდენობრივი მონაცემები TEXTSTAT-ის მეშვეობით არის დამუშავებული. ცდომილების ალბათობა დაბალია და საიმედოობის ინტერვალი შეადგენს 99%-ს. გმირების მთლიანი (headcount) რაოდენობა მანუალურად - მექანიკურად არის დათვლილი. მოვიშველიეთ ანთოლოგიის წინასიტყვაობებიც, თუმცა გადამოწმების პროცესში, სადაც 16-იდან 4 ნაწარმოების პერსონაჟების რაოდენობები ხელახლა გადავთვალეთ, შემთხვევითი შერჩევის წესით, მივიღეთ, რომ 35 პერსონაჟიდან მხოლოდ 2 პერსონაჟი იყო გამოტოვებული, შესაბამისად, სავარაუდო ცდომილება არის 0.057 ($2:35=0.057$), რასაც თუ მთლიან რაოდენობას შევადარებთ, მივიღებთ 253 პერსონაჟიდან 8 პერსონაჟის უზუსტობას ანუ 0,0316-ს ($8:253=0,0316$), რაც კიდევ უფრო დაბალი ცდომილებაა და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საიმედოობის ინტერვალი 95%-ია.

როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა, მხატვრულ ტექსტებში მნიშვნელოვნად დომინირებენ მამაკაცი პერსონაჟები რაოდენობრივად ორივე სქესის ავტორებთან, რაც ხასიათდება „მამაკაცური თემატიკის“ სიჭარბით. საანალიზო წყაროებზე დაკვირვების შედეგად ჩამოვყალიბეთ ჰიპოთეზა, რომ მამაკაცი ავტორების ტექსტებში შეიძლება შევხვდეთ შემდეგ პატერნს (კანონზომიერებას): ისინი უფრო ხშირად წერენ ომზე, ნადირობაზე და ტექნიკურ მეცნიერებებზე, ვიდრე ქალი ავტორები. ამაში დაგვეხმარა ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ანთოლოგიები, ქართულ ბიბლიოთეკებში და ლიტერატურული კორპუსის პროგრამაში ხელმისაწვდომი კლასიკური ლიტერატურის კატალოგები. დაკვირვებამ არსებული სტერეოტიპიდან ოდნავი გადახვევის საშუალებაც კი არ მოგვცა და ზემოხსენებული ჰიპოთეზა დადასტურდა იმ ფაქტით, რომ შესწავლილი ქალი ავტორების უმრავლესობის სათაურში ჭარბობდა ქალი პერსონაჟების სახელები, ე.წ. „ქალური საკითხები/თემები“ და ნაწარმოებების შინაარსიც მელოდრამატული ან რომანტიკული ხასიათისა იყო: ოჯახური ურთიერთობები, სასიყვარულო სამკუთხედი, ტრაგიზმი, ეგზისტენციალური საკითხები. დისერტაციის ამ ნაწილის საკვანძო კითხვა ასე ჩამოვყალიბეთ: შეუძლია თუ არა განსხვავებული სქესის ავტორს სათანადო სიცხადით წეროს საპირისპირო სქესის გმირზე ან მეორე სქესის პერსპექტივიდან?

რაც უფრო ჩავუღრმავდით ჩვენს საკვლევ ობიექტს, გენდერულ დისკურსს, ორი შესაპირისპირებელი ენის ლიტერატურულ კორპუსში, უფრო თვალნათელი გახდა, რომ არსებობს ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია ავტორის სქესისაგან განსხვავებული სქესის პერსპექტივიდან. ამ ტექნიკას ყველა მწერალი ერთხელ მაინც მიმართავს თავის შემოქმედებაში, რასაც თან სდევს ორი უმთავრესი გამოწვევა: ის მოითხოვს, რომ ავტორმა წეროს საკუთარი გამოცდილების მიღმა, საპირისპირო სქესის გადმოსახედიდან და ძალიან იოლია დაუშვას სტილისტური შეცდომა, გადაჭარბებულ მცდელობაში მიახმავსო მეტყველების მანერა და სტილი გმირის ან მთქმელის სქესს.

ინგლისურენოვან ლიტერატურაში ვხვდებით ორ ურთიერთსაპირისპირო (დიქტომიური) სათაურის მქონე ანთოლოგიას სახელწოდებით: „ქალები წერენ სამეცნიერო ფანტასტიკას მამაკაცური მანერით“ და „მამაკაცები წერენ სამეცნიერო ფანტასტიკას ქალური მანერით“. როგორც სათაურებიდან ჩანს, შედარებით ძველ ავტორთა მცდელობა ფსევდონიმის ქვეშ მოეხერხებინათ საკუთარი ნაწარმოებების გასაჯაროება, ამ შემთხვევაში ოდნავ სახეცვლილია და ადგილი აქვს, პირველ პირში, თხრობას განსხვავებული სქესის პერსპექტივიდან. ისტორია და გმირები უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ პერსონაჟების სახელები: თუ პირველ წიგნში გვყავს **ვიქტორია** მეორეში იგივე გმირი არის **ვიქტორი**, შესაბამისად, ოდნავ იცვლება მეტყველების მანერა და გენდერულად მარკირებული მიმართვის ფორმები. საბოლოოდ ვიღებთ უცვლელი შინაარსის, მაგრამ განსხვავებული სქესის პერსპექტივიდან მოყოლილ იდენტურ ისტორიებს, რომლებიც არც მხატვრული ღირებულებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ლი ა. ზელდისი (Zeldis, 1976: 189) ამ ექსპერტიმენტის შესახებ წერდა: „არც ერთი ამ ტექსტთაგან არ წარმოადგენს დასტურს იმისა, რომ რომელიმე სქესის ავტორმა შეძლო საპირისპირო სქესის მსოფლმხედველობის გადმოცემა აკურატულად: გმირთა ლექსიკა და მეტყველების მანერა მეტნაკლებად შეესაბამებოდა მათი სქესის მახასიათებლებს, მაგალითად, ქალები იყენებდნენ ბევრ საალერსო მიმართვის ფორმებსა და “კუდიან შეკითხვებს”, მაგრამ ყველაფერი მაინც ჟღერდა, როგორც მამაკაცის ნათქვამი და პირიქით, ქალი პერსონაჟები მიმართავდნენ ე.წ. მამაკაცურ ტექნიკებს: ზეგავლენის მოპოვება,

ინტერაფციული ლექსიკა, თუმცა ქალი ავტორის მანერა მაინც შესამჩნევი იყო. მაინც რაში მდგომარეობს ეს განსხვავებულობა?” ენათმეცნიერი თავად პასუხობს საკუთარ შეკითხვას: “ხსენებულ ავტორებს გაეპარათ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ლიტერატურულ ნაწარმოებს გენდერულ მარკირებას ანიჭებს და მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისგან ქალი და მამაკაცი ავტორის ტექსტს, კერძოდ, ქალი ავტორები უფრო ხშირად იყენებენ ფუნქციურ სიტყვებს: “for” “with” “she”; მათ მიერ წარმოთქმული წინადადების სტრუქტურა სიტყვათაწყობის დადგენილი წესით გამოყენებას და ჰიპერკორექტულ გრამატიკას გულისხმობს, ხოლო მამაკაც ავტორებთან ჭარბობს: განსაზღვრული არტიკლი “The”, და ნაცვალსახელები “this”, “that” “ (Zeldis, 1976: 234). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი, რაც, მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისის ქალ ავტორებთან ლექსიკის გამოყენების თვალსაზრისით, შეიმჩნევა, არის მესამე პირის ნაცვალსახელი “He”-ს გამოყენება მხოლოდ მამრობითი სქესის აღსანიშნად და არა განზოგადებით ყველა სქესის აღსანიშნად, როგორც ეს საუკუნეების განმავლობაში იყო მიღებული. ხოლო მამაკაცების წერის მანერაში დამკვიდრებული მესამე პირის მრავლობითი ნაცვალსახელის “They” გამოყენება მხოლობითის მნიშვნელობით იმავე სიტუაციაში, როცა იგულისხმება ორივე ან სამივე სქესის მესამე პირის პერსონაჟი „he/“she/“it“. ჩვენი დაკვირვებით, ინგლისურენოვან არა მხატვრულ ლიტერატურულ ტექსტებზე, ოფიციალურ დოკუმენტებში სწორედ “he/she” კომბინაციას იყენებენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული გენდერული ნიშნით ლექსიკური დისკრიმინაცია, როცა საქმე ორივე სქესის პიროვნებას ეხება, მაგრამ მხატვრულ ტექსტში უფრო მიღებული და მამაკაცი ავტორებისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა სწორედ პარადოქსული მესამე პირის მხოლობითი “They”, რომელიც კლასიკური გრამატიკული წესების მიხედვით მრავლობითის მესამე პირის ნაცვალსახელი გახლავთ და ითარგმნება, როგორც “ისინი”. განსხვავებით ინგლისურისგან ქართულ ენაში მსგავსი პრობლემა არ დგას, რადგან მესამე პირის ნაცვალსახელები, ისევე როგორც, არც ერთი სხვა ნაცვალსახელი ქართულში, გენდერულად მარკირებული არ არის და როგორც მხოლობითი “ის”, ასევე, მრავლობითი “ისინი” შეიძლება აღნიშნავდეს ქალსაც, მამაკაცსაც და მათ ჯგუფსაც.

მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება ქალი და მამაკაცი ავტორების წერის მანერაში, როცა საქმე ეხება უხამს ხუმრობას ისეთ თემებზე, რაც უფრო საპირისპირო სქესის მახასიათებელია. კაც ავტორებთან ნაკლებად შეხვდებით ფეხმძიმობის, მშობიარობის თემებს და მასთან დაკავშირებული პროფესიული ლექსიკის გამოყენებას, მით უფრო ისინი არ ხუმრობენ უხამსად ხსენებულ თემაზე. ქალი ავტორები უფრო თამამად საუბრობენ და ხუმრობენ მასზე. მაგალითად, ლი ზელდისი (Zeldis, 1969: 98) ფეხმძიმობას მოიხსენიებს როგორც : „G-bomb“ („G - ყუმბარა“), „Big Mama“ (დიდი დედა), „cabbage careeer“ – „კომბოსტოების მტვირთავი“ და სხვა, რაც მსუბუქი ირონიის ექსპრესიას შეიცავს. ქართულ საანალიზო მასალაში ფეხმძიმე ქალის აღმნიშვნელი სარკასტული ენობრივი საშუალებები არ შეგვხვედრია და არც ზემოთხსენებული ინგლისური ფრაზები ითარგმნა შესატყვისი ტერმინოლოგიით.

მიუხედავად ქალ და მამაკაც ავტორთა წერის სტილებს შორის შესწავლილი განსხვავებულობისა, მაინც არსებობს ალბათობა იმისა, რომ ნიჭიერმა ავტორმა წეროს მეორე სქესის პერსპექტივიდან და დაიცვას საპირისპირო სქესის მეტყველების მანერა. ამ მოვლენას მოიხსენიებენ ტერმინით: "Genderfic" (Gender + Terrific - სიტყვასიტყვით: „გენდერულად დიდებული“. ეს არის განსხვავებული სქესის ავტორის მცდელობა ბუნებრივი გენდერული ელფერი შესძინოს მოვლენას, რომელიც მისი სქესისთვის დამახასიათებელი არ არის და ამისთვის უხვად იყენებს ენის შესაბამის ექსპრესიულ, სტრუქტურულ და სემანტიკურ საშუალებებს. სომერსეტ მოემი, ოსკარ უაილდი, ბერნარდ შოუ თავიანთი მაღალმხატვრული სტილით, დიალოგებში შესამჩნევი სიტყვათა სიჭარბით, ასევე ექსპრესიული, მხატვრული ლექსიკის უხვად გამოყენების თვალსაზრისით, შეიძლება შევადაროთ ჯეინ ოსტინს, ბრონტეებს და ვიპოვოთ მსგავსებები მათი წერის მანერას შორის, მიუხედავად განსხვავებული ეპოქებისა და ჟანრისა.

ქალი და მამაკაცი ავტორების წერის სტილზე საუბრისას აუცილებლად უნდა მიმოვიხილოთ ისეთი საინტერესო ფენომენი, როგორცაა საწინააღმდეგო სქესის ფსევდონიმით სარგებლობა. ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ ქალი ავტორები სარგებლობდნენ (ან სარგებლობენ) მამაკაცის ფსევდონიმით ყოველთვის, თუმცა მე-

19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ეს იყო გავრცელებული ტენდენცია. დებმა ბრონტეებმაც საკუთარი ნაწარმოებების გამოქვეყნება სხვადასხვა ფსევდონიმით დაიწყეს. ეს მეთოდი ქალი ავტორებისთვის ერთადერთი გარანტი იყო იმ ეპოქაში, რომ მათ ნაშრომს მზის სხივი ენახა და მკითხველამდე მისულიყო. საყურადღებოა, რომ ეს ეპოქა და საზოგადოება ცდილობდა ქალთა დემონიზაციას და მათ წარმოჩენას უარყოფით რაკურსში, რაც აისახა იმ პერიოდის ქალ პერსონაჟთა დახასიათებებში, მათი ცხოვრების წესსა და მეტყველების მანერაშიც. ეს ყოველივე, ბუნებრივია, ნაწარმოების ავტორთა პირადი გამოცდილებიდან მოდიოდა, რომლებიც ცდილობდნენ საკუთარი ადგილი დაეკავებინათ სამწერლო და ცხოვრებისეულ ასპარეზზე. ამიტომ, არ არის გასაკვირი, თუ რატომ წერდნენ ქალები ფსევდონიმით და როგორ ცდილობდნენ დაერწმუნებინათ რედაქტორები და გამომცემლები, რომ დაებეჭდათ მათი ნაწარმოები. ინგლისური ლიტერატურის ანთოლოგიის შესავალში ვკითხულობთ: „ჩვენ დღის წესრიგში გვიდგას ისეთი საკითხი, როგორიცაა „გამძრომა“. ზოგიერთი ავტორი წარმატებით ახერხებს რედაქტორის გაცურებას და არწმუნებს მას, რომ მისი საავტორო სქესი ე.წ. “Pen Sex” რეალურია, ისე, რომ რედაქტორმა ვერასოდეს გამოიცნოს ავტორის ბიოლოგიური სქესი“ (Pearson, 1958: 48). ამის საპირწონედ, ხშირად მამაკაცი ავტორებიც იღებენ ქალურ ფსევდონიმებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ნაწარმოები ფანტასტიკის ან რომანტიკული ჟანრისაა. მაგალითად, ჰაროლდ ლოური (Harold Lawry 1921-1968) - ამერიკის რომანსების ავტორთა საზოგადოების პრეზიდენტი, წერდა ქალის ფსევდონიმით ლეი გრინვუდი (Leigh Greenwood), ტომ ჰაფი (Thomas Huff 1956) წერდა ჯენიფერ უაილდის (Jennifer Wild) ფსევდონიმით, ასევე ცოლ-ქმარი ეიმი და დევიდ თურლოები (Amy and David Thurlow 1887-1956; 1900-1985), წერდნენ თავიანთ რომანსებს ფსევდონიმით - ეიმის - (Amies) არც ქართული მწერლობისა და პოეზიისთვისაა მსგავსი ხრიკებით გამომცემელთა გაცურება უცხო ხილი. მაგალითად, ელენე დარიანი - პაოლო იაშვილი, უიარაღო - კონდრატე თათარაშვილი, ია ეკალაძე - იაკობ ცინცაძე. ქალი ავტორის მიერ მამაკაცის აღმნიშვნელი ანთროპონიმის გამოყენება ფსევდონიმად ჩვენთვის ცნობილი არ არის ქართული მწერლობიდან, თუმცა, ცნობილი ფსევდონიმებია ბანოვანი - დესპინე გელოვანი, მარიჯანი - მარიამ ალექსიძე-

ტყემალაპე და გარიყული - მარიამ თათეიშვილი. თითქოს საგანგებოდ, ყველა ეს ფსევდონიმი ქალთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულია: **ზანოვანი** მაღალი წრის, დახვეწილ, განათლებულ, მომხიბვლელ ქალბატონს ნიშნავს, **მარიჯანი** - სომხური ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი მარიამის მოფერებითი ვერსიია, ხოლო, **გარიყული** - მარტოსული, ეული და საზოგადოების მიერ უარყოფილი ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვაა.

საყურადღებოა, ინგლისური ტერმინის “pen-sex”- ის წარმოშობის საკითხი. იგი არის პერიფრაზი ტერმინისა, „pen-name“, რაც – „ფსევდონიმის“ ამერიკული შესატყვისია, ხოლო “pen-sex” ავტორის რეპრეზენტაციული სქესი, რომელიც მისი ბიოლოგიური სქესისგან აუცილებლად განსხვავებული უნდა იყოს.

როდესაც საქმე ეხება ქალს და მის მეტყველებას, შესაძლებელია, რომ ქალმა და მამაკაცმა ავტორებმა იგი სხვადასხვაგვარად გადმოსცენ, თუმცა მათ სტილზე აუცილებლად მოახდენს გავლენას გმირისა და ავტორის ეროვნება და კულტურული ფონი ერთდროულად. საანალიზო წყაროებზე პირდაპირმა დაკვირვებამ და მეორადი წყაროების ანალიზმა გამოავლინა, რომ გენდერული დაყოფა წერის და მეტყველების მანერაში უფრო ტენდენციებამდე დადის, ვიდრე ენობრივ უნივერსალიებამდე. თუმცა ეს ტენდენციები ცხადად იკვეთება ერთი და იმავე პერიოდის ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ პერსონაჟთა მეტყველებაში. საანალიზო წყაროებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მამაკაცი პერსონაჟები უფრო ხშირად საუბრობენ:

ა) მოქმედებებზე :

“**I tell you** Clara, said Mr. Murdstone, I have **been often flogged myself**” (Golsworthy, 2012: 654).

„კლარა, თქვა მორდსტონმა, ხშირად **თავადაც არ ვიცი რა მსურს**“ (გოლზუორთი, 2012: 987).

“**I pray you go there**” – „იმედი მაქვს იქ **მოხვდები** ოდესმე“

“ You **hear me**, let me in, right now, **I insist**, Open up the door or I will break in” (Golsworthy, 2012: 654)!

„გესმის, ახლავე შემომიშვი, დაჟინებით გიმეორებ, ახლავე, თორემ კარებს შემოვამტვრევ“ (გოლზუორთი, 2012: 987)!

ბ) იდეებზე :

“In **my opinion** you are the best” - ჩემი აზრით შენ საუკეთესო ხარ“ (გოლზუორთი, 2012: 987)!

“I’ll make sure to **destroy him** that prank!” - thought Soams“ (Golsworthy, 2012: 654).

„მიწასთან გავასწორებ მაგ ქესატ მათხოვარს“ - ფიქრობდა სომსი“ (გოლზუორთი, 2012: 987).

გ) დაკავებული არიან ანალიზით და შეფასებით:

“**It’s all right, said Mr. Barkis, shaking hands;** “I am a friend of your’s. You made it all right, first. It’s all right” (Dickens, 2004: 235).

„არა უშავს, თქვა მისტერ ბარკისმა ხელების ფშვნეტით; ჩვენ ხომ მეგობრები ვართ? ყვეალფერი კარგად იქნება“ (დიკენსი, ჩ. 1989: 367).

განსხვავებით მამაკაცი პერსონაჟებისაგან, ქალი პერსონაჟები უფრო ხშირად აღწერენ და საუბრობენ პროცესზე, ვარაუდებზე და წინასწარგანწყობაზე.

ა) პროცესზე:

“**In the name of Heaven,**“ said Miss Betsey, suddenly, “why Rookery?”

“Do you mean the house, ma’am?” asked my mother.

“Why Rookery?” said Miss Betsey. “**Cookery would have been** more to the purpose, if you had any practical ideas of life, either of you.”

“The name was Mr. Copperfield’s choice,” returned my mother. “**When he bought the house, he liked to think that** there were rooks about it” (Dickens, 2004: 678).

„აბა, - უთხრა მის ბეტსიმ, - როდის მოელით?

მთლად მაკანკალებს - წაილაპარაკა დედამ, - არ ვიცი, ღმერთმანი რა მემართება.

აღბათ სიკვდილი მომიახლოვდა!

არა, არა, არა! - უთხრა მის ბეტსიმ, - აბა, ერთი ჩაი დალიეთ!

აჰ, არ ვიცი! თქვენ გგონიათ რომ ეს ჩემთვის სასარგებლო იქნება? - ჰკითხა დედაჩემმა საბრალო ხმით.

რასაკვირველია, სასარგებლო იქნება, - უპასუხა მის ბეტსიმ. - ყოველივე ეს მხოლოდ ადელვებისგან მოგდით... რა ჰქვია თქვენს ქალს?

მე, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი, ქალი იქნება თუ ვაჟი, ქალბატონო, -

გულუბრყვილოდ უპასუხა დედაჩემმა“ (დიკენსი, 1989: 168).

“I was a nursery-governess in a family where Mr. Copperfield came to visit, Mr. Copperfield was very kind to me, and took a great deal of notice of me, and paid me a good deal of attention, and at last proposed to me, And I accepted him, And so we married,” said my mother simply (Dickens, 2004: 456).

„I kept my housekeeping-book regularly, and balanced it with Mr. Copperfield every night,” cried my mother in another burst of distress, and breaking down again” (Dickens, 2004: 456).

ბ) ვარაუდებზე/წინასწარგანწყობაზე (პერცეფციები) :

“Mrs. David Copperfield, I think” said Miss Betsey; the emphasis referring, perhaps, to my mother’s mourning weeds, and her condition.

“Yes,” said my mother, faintly.

“Miss Trotwood,” said the visitor. “You have heard of her, I dare say?”

My mother answered she had had that pleasure. And she had a disagreeable consciousness of not appearing to imply that it had been an overpowering pleasure.

“Now you see her,” said Miss Betsey. My mother bent her head, and begged her to walk in. (Dickens, 2004: 78).

„მისის კოპერფილდი, თუ არა ვცდები?“ - წარმოთქვა მის ბეტსიმ, როცა თვალი გადაავლო ძაძით მოსილ ორსულ ქალს.

„დიახ“, - უპასუხა დედამ სუსტი ხმით.

„მის ტროტვუდი“, - თქვა ახლად მოსულმა, - „თქვენ რასაკვირველია, გაგეგონებათ ეს სახელი.“

დედამ უპასუხა, რომ ჰქონდა ეს ბედნიერება.

„იგი თქვენს წინ დგას“, - უთხრა მის ბეტსიმ (დიკენსი, 1989: 98).

დიალოგში, ქალისადმი მიმართვის საინტერესო ფორმა და ენობრივი მოვლენა იჩენს თავს: ინგლისურ ვერსიაში მის კოოერფილდს მიმართავენ: “Mrs.

David Copperfield”, რაც ქართულად ითარგმნა, როგორც „ქალბატონი კოპერფილდი“. Mrs. ნაწილაკი გათხოვილი ქალისადმი მიმართვას, ხოლო David - დავითი არის მისი ქმრის სახელი. ეს ორგვარად შეიძლება აღვიქვათ: მსგავსი მიმართვა აღნიშნავს, თუ რომელი კოპერფილდის ცოლია ქალბატონი ან ხაზგასმით მოიხსენიებს, ქალს, როგორც ქმრის არამართო გვარზე, არამედ სახელზე მიჯაჭვულ არსებას ოჯახში. მსგავს მოვლენას შედარებით თანამედროვე ინგლისურ ლიტერატურაში ნაკლებად ვხვდებით და ამ ხერხს უფრო მეტად იყენებენ ადრეული შუა საუკუნეებისა და მე-17-მე-18 საუკუნეების მწერალი მამაკაცები. ქალი ავტორების პერსონაჟებთანაც არაერთხელ ფიქსირდება მსგავსი მიმართვა, მხოლოდ პროფესიული ან ოფიციალური ლექსიკის ფარგლებში. ქართულისათვის ის საერთოდ არ არის დამახასიათებელი, მათ შორის არც გათხოვილი ქალის მოხსენიება ქმრის გვართ არ არის ნორმა, თუ ეს ქალმა თავად არ ისურვა.

გ) მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე (იმპლიკაციებზე):

“You’ll make yourself ill, said Miss Betsey, and you know that will not be good either for you or for my god-daughter. Come! You must not do it!”

“Oh tut, tut, tut!” said Miss Betsey, in a hurry. “Don’t do that! Come, come!”

My mother couldn’t help it notwithstanding, so she cried until she had had her cry out.

“Take off your cap, child,” said Miss Betsey, “and let me see you” (Dickens, 2004 : 567).

„ს-ს-ს-უ... ტა, ტა, ტა!“ - მიაყარა მის ბეტსიმ. – „ასეთები არ იყოს, კმარა!“

დედამ დიდხანს ვერ შეაჩერა ცრემლები, და მანამდე ქვითინებდა, სანამ გულს მოიოხებდა. „მოიხადეთ თავსაფარი, შვილო, - უთხრა მის ბეტსიმ. - დამანახვეთ თქვენი თავი“(დიკენსი, 1989: 98).

ზემოხსენებულ დიალოგები ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მონაწილეობით და მათში გამოყენებული ენობრივი საშუალებები, კერძოდ, მიმართვის ფორმები მიუთითებს ტენდეციაზე, რომ, ქალი მოსაუბრეები ცდილობენ მსმენელში მოიპოვონ კეთილგანწყობა, თანადგომა, მხარდაჭერა, ხოლო მამაკაცები - გვევლინებიან სიტუაციაში დომინანტ მხარედ. ქალი პერსონაჟები იყენებენ ისეთ ენობრივ საშუალებებს, როგორცაა: “I think” - “ვფიქრობ”, I suppose - “იქნებ”, “You’d better take it” - “ხომ არ აჯობებდა აგელო”, “I don’t think the Sam I’ve got to know is capable of that”

(Weaver, 2012: 274)- **“არა მგონია სემი, რომელსაც მე ვიცნობ, ამის გამკეთებელი იყოს”** - რაც არადამაჯერებელი, მაგრამ ინტენსიურია, მაშინ როცა მამაკაცი პერსონაჟების დიალოგებში ჭარბობს იმპერატიული, მტკიცებითი ფორმები: “You will have to lead this conversation” (Weaver, 2012: 239) „ამ საუბარს შენ უნდა გაუძღვე!” (Weaver, 2012: 239 თარგმანი ჩვენი); “We are supposed to go” (Weaver, T. 2012: 249) – „ჩვენ აუცილებლად უნდა წავიდეთ“ (Weaver, 2012: 249 თარგმანი ჩვენეული)! “I am telling you go and pick it up” (Weaver, 2012: 15). - „რომ გეუბნები წადი, და აიღე ის, რაც გეკუთვნის“ (Weaver, 2012: 15 თარგმანი ჩვენეული). სამივე შემთხვევაში, მიუხედავად ტონის იმპერატიულობისა, რჩება თავშეკავებულობის განცდა რომ ის, რასაც მოსაუბრე ამბობს, შეიძლება მოხდეს, შეიძლება - არა. მიუხედავად ჩვენ მიერ საანალიზო ტექსტებში შერჩეული და დაჯგუფებული უნივერსალიებისა, რომლებიც მამაკაც და ქალ მოსაუბრეს ერთმანეთისგან განასხვავებს ლექსიკური და გრამატიკული ნორმების დონეზე, მაინც, წინადადების ფორმირებასა და პერსონაჟთა მეტყველებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს **კონტექსტი, პრესუპოზიცია და ქვეტექსტი**. ამ სამი კომპონენტის გავლენა ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაზე განსხვავებული სქესის ავტორებთან შევისწავლეთ ორი ინგლისურენოვანი ავტორის ანიტა შრივისა (Shreve, 2011: 98) და სომერსეტ მოემის (Maugham, 1984: 56) ნაწარმოებების მიხედვით და მათი პერსონაჟების დიალოგებში გამოყენებულ ლექსიკურ-სემანტიკურ საშუალებებზე დაკვირვებით, როგორც ორიგინალში, ასევე მათ თარგმანებში.

ცნობილი ენათმეცნიერების ჰელინგერის და მოშენბახერის (Moschenbacher, & Helinger, 2010: 96-67) მოსაზრებით, რომელსაც ისინი ავითარებენ ერთობლივ სახელმძღვანელოში „გენდერი სხვადასხვა ენაში“, გენდერი შეიძლება იყოს გრამატიკული კატეგორია, დამოუკიდებელი კულტურული კონსტრუქციისაგან, ისე რომ მისი მნიშვნელობა და ღირებულება არ ასახავდეს მამაკაცსა და ქალს შორის არსებულ ფიზიოლოგიურ განსხვავებულობას, არც მათ შორის გაბატონებულ ისტორიულ ასიმეტრიას; ხოლო ცნობილი სოციოლინგვისტის დებორა ტანენის (Tannen, 1986: 678) თეორიის თანახმად, ბიოლოგიური განსხვავებულობა და სოციალური ინტერპრეტაციები მჭიდროდაა დაკავშირებული ენასთან და მის

ლინგვისტურ სტრუქტურასთან, რაც აისახება კიდევ საანალიზო წყაროებში საპირისპირო სქესის პერსონაჟთა მეტყველების სტილში. შერჩეულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით გავანალიზეთ ქალი და მამაკაცი პერსონაჟის, ასევე, ქალი და მამაკაცი ავტორისათვის დამახასიათებელი მეტყველებისა და ექსპრესიის განსხვავებული სტილი, რომელსაც სოციოლინგვისტი დებორა ტანენი (Tannen, 1986: 678) განსხვავებულობის თეორიით ხსნის და ამბობს, რომ მდებდრობით სქესს ახასიათებს ე.წ. "ჰარმონიული საუბარი" (Rapport Talk), ანუ კომუნიკაცია ურთიერთობის დამყარებისთვის, ხოლო მამრობით სქესს "მოხსენებითი საუბარი" (Report Talk), ანუ კომუნიკაცია აზრის მისაწოდებლად, მოხსენების, ანგარიშის გასაკეთებლად. „სწორედ მეტა მესიჯებს შორის ეს განსხვავება იწვევს მისკომუნიკაციას სქესებს შორის“ - ამბობს ტანენი (Tannen, 1986: 97). მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს ტანენის თეორიას, კვლევის დროს ნიშანდობლივად გამოიკვეთა მისი პრაქტიკულობა და შესაბამისობა კვლევის თითქმის ყველა ეტაპზე, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ შერჩეულ ავტორთა ნაწარმოებების ორიგინალები და მათი თარგმანები. ტანენის თეორიის მიხედვით შექმნილი ე.წ. ტანენის ცხრილი, გამოვიყენებთ სხვა ენობრივი ასპექტების შედარება-შეპირისპირების პროცესში გენდერულ ჭრილში.

ცხრილი # 1 - ე.წ. ტანენის ცხრილი

ქალი პერსონაჟისათვის მნიშვნელოვანია	მამაკაცი პერსონაჟისათვის მნიშვნელოვანია
მხარდაჭერა	სტატუსი
მაგალითად, თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვა მისთვის არის მხარდაჭერა	მაგალითად, თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვა მისთვის არის სტატუსის დაკნინება
თანაგრძნობა	რჩევა
როდესაც ქალი ითხოვს რჩევას, მისთვის საკმარისია მოუსმინოთ და თანაგრძნობა გამოხატოთ	როცა მამაკაცი გთხოვთ რჩევას, იგი ელის კონკრეტულ გადაწყვეტილებას
გრძნობები	ინფორმაცია
ქალისთვის დიალოგის მიზანი არის ურთიერთობის დამყარება	მამაკაცისათვის დიალოგის მიზანი არის ინფორმაციის მიღება ან გაზიარება
შეთავაზება	ბრძანება
ქალი მოლოდინს აფიქსირებს ქალი	მამაკაცი კონკრეტულ მოლოდინს

გეტყვი, ხომ არ დახურავდი კარს? რა მოხდება რომ კარი დახურო?	აფიქსირებს ძახილის წინადადებით
	დახურე კარი! /გეთაყვა
კომპრომისი	კონფლიქტი
ქალები არგუმენტების დროს ცდილობენ თავიდან აიცილონ კონფლიქტი და ცდილობენ შეარბილონ ლექსიკა	არგუმენტების დროს მამაკაცი არ ერიდება დაპირისპირებას და კონფლიქტს და უპირატესობას ანიჭებს კომუნიკაციის პირდაპირ/ნაკლებ დიპლომატიურ სტილს
ინტიმურობა	დამოუკიდებლობა
ქალისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში რჩევას უფრო არამატერიალური მნიშვნელობა აქვს და ინტიმურობის განცდას უძლიერებს	გადაწყვეტილების მიღების პროცესში მამაკაცი ცდილობს არ აიღოს კონსულტაცია და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება

გაგანალიზებთ, თუ როგორ რეალიზდება ტანენის თეორიის თანახმად, ცხრილში ჩამოყალიბებული კატეგორიები საანალიზო წყაროებში სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მეტყველებაში და ავტორის მიერ გამოყენებულ დისკურსში. ამით გავარკვიებთ, თუ რა არის მნიშვნელოვანი კომუნიკაციის დროს მამაკაცი მოსაუბრისათვის და რა - ქალისათვის, რამდენად მკვეთრად არის გამოხატული ეს კატეგორიები საკვლევი მასალის მიხედვით და რა ენობრივი საშუალებები: იოდომები, მეტაფორები თუ ანდაზები გვხვდება მათში გენდერთან დაკავშირებული სოციო-კულტურული იერარქიებისა თუ სტერეოტიპების გადმოსაცემად.

“Her features were strong, what people meant when they said a handsome woman. In the photograph Julia was sitting in a sofa, leaning forward to reach for something out of the frame” (Shreve, 2011: 36).

„მას ძლიერად გამოკვეთილი ნაკვთები ჰქონდა, ისეთი, როგორზეც იტყვიან სიმპათიური ქალიაო. ფოტოზე გამოსახული იყო დივანზე მჯდომი ჯულია, რომელიც ნაზად გადახრილიყო გვერდზე, თითქოს ჩარჩოს მიღმა ცდილობდა რაღაცას დასწვდომოდა“ (Shreve, 2011: 36 ჩვენეული თარგმანი).

„სიმპათიური ქალი“ არ არის ფართოდ გავრცელებული შეთანხმება, რაც ქალის გარეგნობას შეიძლება ახასიათებდეს და იგი უფრო ხშირად მამაკაცის გარეგნული თვისების განმსაზღვრელად გვევლინება. თუმცა, ამ შემთხვევაში

ავტორი ანიტა შრივი (ავტორი ქალია) მას იყენებს, როგორც მხატვრულ ხერხს, რათა გააძლიეროს მკითხველში პერსონაჟის შესახებ შთაბეჭდილება. იქვე, მომდევნო აბზაცში ავტორი იმავე ქალს ახასიათებს ორმოცდაათი წლის შემდეგ, სადაც ამბობს:

”Now Julia was seventy-eight and **wore baggy jeans** that were always slightly too short, loose sweaters that attempted **to camouflage a prominent stomach**. There was no longer any trace of the young woman with the glossy hair and slender waist in the woman with the thinning silver hair who was now with Mattie. Perhaps in the eyes there was resemblance, but even there time had destroyed beauty. **Julia’s eyes were sometimes watery now and had lost nearly all their lashes**” (Shrieve, 2011: 237).

„ახლა ჯულია სამოცდათვრამეტი წლის იყო და ტომარვით ჯინსებს ატარებდა, რომელიც ოდნავ მოკლე ჰქონდა ყოველთვის, ზემოდან სრული ჯემპრები ეცვა რათა მუცელი ოსტატურად დაეფარა. კვალიც კი აღარ იყო იმ ახალგაზრდა ქალისა ბზინვარე თმითა და თხელი წელით ამ გაჭადარვებული ქალის გარეგნობაში, რომელიც ახლა მეტის - თოთხმეტი წლის შვილიშვილის გვერდით იჯდა. შესაძლოა თვალეში ამოგეკითხათ რაღაც მსგავსება, მაგრამ აქაც დროს დაეთრგუნა მისი სილამაზე. ჯულიას თვალეში ზოგჯერ აუწყლიანდებოდა თუმცა მათ ირგვლივ ერთი ღერი წამწამიც არ შერჩენოდა“ (Shrieve, 2011: 237. ჩვენეული თარგმანი).

ეს ორი მონაკვეთი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ქალი ავტორი თავისი გმირი ქალის გარეგნობაში მიმდინარე ასაკობრივ ცვლილებებს დიდი თანაგრძნობით გადმოგვცემს და მკითხველშიც იმავე გრძნობას აღვივებს. თუ ზემოხსენებულ ტანენის ცხრილს მოვიშველიებთ, ორივე აღწერილობაში მრავლად შევხვდებით ცხრილში მოყვანილ ექვსივე კატეგორიას: **მხარდაჭერა, თანაგრძნობა, გრძნობები, შეთავაზება, კომპრომისი, ინტიმურობა**. ეს ტონი ბოლომდე გასდევს ნაწარმოებს და უამრავ სიტყვას, სიტყვათაშეთანხმებას და კომბინაციას აღმოვაჩინოთ, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ექვს კატეგორიასთან არის შესაბამისობაში.

საპირისპიროდ თუ ავიღებთ სომერსეტ მოემის მეტად საინტერესო და საკმაოდ ცნობილ ნაწარმოებს სახელწოდებით „წითური“ – „Red“, ტანენისეული ცხრილის მამაკაცისათვის დამახასიათებელ თვისებებსაც მარტივად ამოვიცნობთ.

“Now the captain could think of nothing more to say, and he smoked in silence. Neilson had apparently no wish to break it. He looked at his guest with a meditative eye. **He was a tall man, more than six feet high, and very stout. His face was red and blotchy**, with a network of little purple veins on the cheeks, and his features were sunk into its fatness. His eyes were bloodshot. His neck was buried in rolls of fat” (Maugham, W.S. 2010: 18).

„შვიპერს სალაპარაკო გამოელია და თამბაქოს მიეძალა. ნეილსონიც არ აპირებდა მდუმარების დარღვევას. იგი ჩაფიქრებით ათვალთვლებდა თავის სტუმარს. შვიპერი მაღალი კაცი იყო: ექვს ფუტზე მეტი თუ არა ნაკლები არ იქნებოდა, თანაც უზომოდ ჩაგოდრებული. მწითური, ლაქებიანი სახე ჰქონდა, ლოყებზე მოლურჯო მარღვები უჩანდა. თვალები ჩასისხლიანებოდა, კისერი ქონის ნაკეცებში ჩაჰკარგვოდა“ (მოემი, 2004: 19).

პერსონაჟების დახასიათებაში არ გვხვდება არც ერთი სიტყვა ისეთი, რომელიც იწვევს გმირისადმი მხარდაჭერას, თანაგრძნობას, აღწერს გრძნობებს, შეთავაზებას, კომპრომისს, ან ინტიმურობას. მხოლოდ მშრალი ინფორმაცია გმირზე, აღწერა და დახასიათება ინფორმაციის გადმოცემის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გმირი მეტად ტრაგიკული ბედით გამოირჩევა, მომდევნო მონაკვეთში კიდევ უფრო მშრალი და უხეში სიმართლე იკითხება მის შესახებ:

“While Neilson went out to fetch whisky and glasses he took a look round the room. It filled him with amazement. He had never seen so many books. The shelves reached from floor to ceiling on all four walls, and they were closely packed. There was a grand piano littered with music, and a large table on which books and magazines lay in disorder. The room made him feel embarrassed. He remembered that Neilson was a queer fellow. No one knew very much about him, although he had been in the islands for so many years, but **those who knew him agreed that he was queer. He was a Swede**” (Maugham, 1939: 86).

„შვიპერი ცოტათი შეკრთა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ ნეილსონს უცნაური კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. თუმცა კარგა ხანია კუნძულზე ცხოვრობდა, კარგად არავინ იცნობდა; ისე კი, ვისთანაც რაიმე საქმე ჰქონია, ყველა ამბობდა, ახირებული კაციაო. - უთვალავი წიგნები გქონიათ, უთხრა შვიპერმა, როცა ნეილსონი დაბრუნდა.

-მერე რა, ვის რას უშლიან? გაილიმა ნეილსონმა. -ყველა წაკითხული გაქვთ? - უმეტესობა. - ცოტ-ცოტას მეც ვკითხულობ. „სათერდი ივინგ პოსტი" მაქვს გამოწერილი“ (მოემი, 2015: 44).

აღნიშნულ პასაჟში ავტორი იყენებს სიტყვას Queer Fellow, ერთ-ერთი მთავარი მამაკაცი პერსონაჟის დასახასიათებლად, რომელიც ქართულ თარგმანში გადმოსულია, როგორც „უცნაური, მოგვიანებით „ახირებული კაცი“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს სიტყვის შეფარული მნიშვნელობით გამოყენებასთან, რამდენადაც, თუ კი მარიამ ვებსტერის ინგლისური განმარტებით ლექსიკონს დავეყრდნობით, სიტყვას “Queer” რამდენიმე მნიშვნელობა აქვს კონტექსტიდან გამომდინარე, ხოლო უკანაკსნელი ათწლეულის განმავლობაში სიტყვამ შეიძინა ახალი მნიშვნელობა და იგი „ჰომოსექსუალის“ აღსანიშნად გამოიყენება.

1. worthless, Counterfeit = queer money არალეგალური
2. questionable, suspicious - საეჭვო, უღირსი, არასაიმედო,
3. differing in some odd way from what is usual or normal = eccentric, unconventional - ექსცენტრული, არატრადიციული,
4. mildly insane = touched ოდნავ შეშლილი, არანორმალური
5. absorbed or interested to an extreme or unreasonable degree = obsessed - შეპყრობილი,
6. often disparaging = homosexual - ჰომოსექსუალი (2) sometimes offensive: gay - გეი, ჰომოსექსუალი; not quite well - არც ისე კარგად (ზმნისზედა)

პერსონაჟს მომდევნო თავებში ავტორი სრულიად განსხვავებულ ჭრილში ახასიათებს და მის გარეგნულ ღირსებებს განსაკუთრებული ენობრივი საშუალებებით გადმოსცემს:

„It appears **that Red was the most comely thing you ever saw**. I`ve talked to quite a number of people who knew him in those days, white men, **and they all agree that the first time you saw him his beauty just took your breath away**. They called him Red on account of his flaming hair. It had a natural wave and he wore it long. It **must have been of that wonderful colour that the pre-Raphaelics raved over**. I don` t think he was vain of it, he was much too **ingenuous** for that, but no one could have blamed him if he hadbeen. He was tall, six feet

and an inch or two - in the native house that used to stand here was the mark of his height cut with a knife on the central trunk that supported the roof - and he was made like a Greek god, broad in the shoulders and thin in the flanks; he was like Apollo, with just that soft roundness which Praxiteles gave him, and that suave, feminine grace which has in it something troubling and mysterious. His skin was dazzling white, milky, like satin; his skin was like a woman's." "I had kind of a white skin myself when I was a kiddie," said the skipper, with a twinkle in his bloodshot eyes (Maugham, 1939: 88).

„ეტყობა წითური ულამაზესი მამაკაცი იყო. მე მის ნაცნობებთან მისაუბრია, თანაც თეთრკანიანებთან და ყველა ერთხმად ამბობდა ისეთი ლამაზი იყო, თვალს მოგჭრიდაო. გრძელი ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ცეცხლივით წითელი. წითურიც ამიტომ შეარქვეს. უთუოდ ის უცნაური ფერი გადაჰკრავდა, პრერაფაელისტებს რომ უყვარდათ. არა მგონია დიდად ეამაყნა თავისი თმით ის ხომ მეტად მიამიტი ადამიანი იყო. თუმცა რომ ეამაყნა, არც იყო გასაკვირი. მაღალი იყო – ექვსი ფუტი და ერთი ან ორი დიუმი. ბერძნული ღმერთივით იყო ჩამოსხმული გაშლილი მხრები, ვიწრო მენჯი, პრაქსიტელის აპოლონის ნაზი ხაზები და მისივე შემპარავი გრაცია ჰქონდა – იდუმალი და ამაღელვებელი. წითურის თოვლივით თეთრსა და ხავერდოვან კანს ყველა ქალი ინატრებდა. ახალგაზრდობაში მეც საკმაოდ თეთრი კანი მქონდა, ჩაურთო შვიპერმა და ეშმაკურად, მოჭუტა ჩაწითლებული თვალები“ (მოემი, 2015: 8).

ნაწარმოებში მოემი საინტერესოდ აღწერს კიდევ ერთ პერსონაჟს, რომელიც უკვე ასაკოვანი ქალია, მაგრამ ახალგაზრდული ემხი და გარდასულ დღეთა კვალი მაინც იგრძნობა მის გარეგნობაში, რასაც შესაბამისი ექსპრესიული საშუალებებით გამოხატავს ავტორი:“

“Neilson **gave a gasp**, for at that moment a woman came in. She was native, a woman of somewhat commanding presence, stout without being corpulent, dark, for the natives grow darker with age, with very grey hair. She wore a black Mother Hubbard, and its thinness showed her heavy breasts. The moment had come” (Maugham, 1939: 89)!

„კარი გაიღო და ოთახში ქალი შემოვიდა. ნეილსონს სუნთქვა შეეკრა. ქალი კანაკელი ჩანდა. დარბაისლური შეხედულება ჰქონდა. საკმაოდ სრული იყო, მაგრამ ტანი არ

დამახინჯებოდა. კანი ძალიან მუქი ჰქონდა (კანაკელები ხანში რომ შედიან, კანი უმუქდებათ), თმა მთლად გაჭაღარავებოდა. გრძელი შავი კაბა ეცვა. კაბა თხელი ნაჭრისა იყო და ძლივს უფარავდა დიდ ძუძუებს. დადგა კრიტიკული წუთი!” სომერსეტ მოემის სტილში იგრძნობა ყველა ის მახასიათებელი, რასაც მამაკაცი მოსაუბრის, ამ შემთხვევაში ავტორის ატრიბუტებად მიიჩნევს ტანენი, ესენია: სტატუსი, რჩევა, ინფორმაცია, ბრძანებითი კილო/იმპერატივი, კონფლიქტი, დამოუკიდებელი აზრი. ამას დავუპირისპირეთ ქალი ავტორის მიერ, დაახლოებით იმავე ასაკის ქალი პერსონაჟის - ჯულიას დახასიათება და მასში გამოყენებული ენობრივი ექსპრესიული საშუალებები, რის საფუძველზეც დავასკვნით:

- ❖ პერსონაჟის განსხვავებული სოციალური წრისადმი კუთვნილება ხშირად ცვლის ერთი და იმავე თვისების და მახასიათებლის გამომხატველი ენობრივი საშუალების ექსპრესიულ დატვირთვას;
- ❖ ქალი ავტორი ცდილობს ისე გადმოსცეს სათქმელი, რომ გმირის შინაგან სამყარო უფრო ემოციურად დაანახვოს მკითხველს, ვიდრე ამას ვხვდებით მამაკაც ავტორთან, რომელიც უფრო გმირის თვისებების კარტოგრაფირებას ახდენს, ვიდრე მასა და მკითხველს შორის ემოციური კავშირის წახალისებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე საანალიზო ენაში ადგილი ჰქონდა გენდერთან დაკავშირებულ ვარიაციებსა და ცვლილებებს დიაქრონულ ჭრილში და ყველა მათგანი ორსქესიანი გენდერული წყვილებით იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ძველი ინგლისური იყენებდა გრამატიკულად მკვეთრად გამოხატულ სქესის კატეგორიას, რომელიც ენის რეფორმის შედეგად ფაქტობრივად გაქრა თანამედროვე ინგლისურში. რთულია, იგივე ითქვას ძველი ქართულისა და ახალი ქართულის შესახებ, რადგან სქესის გრამატიკულად მარკირებული კატეგორია არც ძველ ქართულ გრამატიკაში გვხვდება და არც ახალში. ამ ცვლილებაზე დაკვირვება დაგვეხმარება გამოვიკვლიოთ და გარკვეული დასკვნებიც გავაკეთოთ, თუ რა გზით ახდენენ სტრუქტურული/ენობრივი პრერეკვიზიტები ინტერაქციას შესაბამის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ გარემოებებთან, რომლებიც განაპირობებენ მოცემულ საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის ურთიერთმიმართებას. ამას მოწმობს საკვლევ ტექსტებში სახელებისა და

ნაცვალსახელების გამოყენება, რაც ენისა და გენდერის შესახებ დისკურსის ცენტრალურ ელემენტებს წარმოადგენს. ნებისმიერ ენაში, მათ შორის ქართულსა და ინგლისურში, საკუთარი სახელები ქმნიან ენის ლექსიკის ძირეულ და კულტურულად მნიშვნელოვან ნაწილს. ისინი საჭირონი არიან, რათა მოსაუბრემ წარადგინოს საკუთარი თავი ან სხვები და ძირითადად გამოიყენება ადამიანის, როგორც ცალკეული პიროვნების, იდენტიფიცირების ან მის გარკვეულ ჯგუფზე კუთვნილების აღნიშვნის მიზნით. მათ შესაძლებელია ჰქონდეთ დადებითი ან უარყოფითი კონოტაცია და, შესაძლოა, ქვეცნობიერად კოდირებული იყოს, პროფესიული ნიშანი ან ფსევდო-წარმოდგენა პიროვნების საქმიანობაზე. საკუთარი სახელის სწორად გამოყენება, როგორც მხატვრულ ტექსტში, ასევე, სტანდარტულ დისკურსში, შეიძლება აღნიშნავდეს პიროვნებისადმი პატივისცემის დემონსტრირებას და პირიქით, არამართებული გამოყენება ან სახელის გამეორება დამახინჯებულად (შემთხვევით თუ სპეციალურად), ასევე სახელით არ მიმართვა და დეროგაციული ტონის გამოყენება საკუთარი სახელის წარმოთქმისას, შესაძლოა, გამოხატავდეს უპატივცემულობას და იწვევდეს გაღიზინებას, ბრაზს, არასრულფასოვნების შეგრძნებას. იმდენად, რამდენადაც ადამიანის ან იმავე პერსონაჟის ინდივიდუალიზმის განცდა მიზნულია მის ქალობასთან ან მამაკაცობასთან, მნიშვნელოვანია კარგად გავანალიზოთ, თუ როგორ გადმოიცემა სქესის აღმნიშვნელი საკუთარი სახელები ამ თუ იმ ენაში.

თუ ანიტა შრივის ნაწარმოებს გავანალიზებთ, რომლის სათაური “The Pilot’s Wife” (მფრინავის ცოლი) საინტერესოა ლინგვისტური ექსპრესიის თვალსაზრისით და განსხვავებით მოემის „წითური“-საგან “Red” უფრო თანაგრძნობასა და პოზიტიურ განწყობას ბადებს გმირის მიმართ, ვიდრე მოემის ნაწარმოების სახელწოდება. ნაწარმოების სათაური “Red”, რომელიც, როგორც ვიცით, გმირის მეტსახელიცაა, მსუბუქ ცინიზმსა და გმირისადმი სარკასტულ დამოკიდებულებაზე მიანიშნებს. ეს განწყობა ბოლომდე გასდევს ნაწარმოებს და გმირის დახასიათებაშიც იგრძნობა.

მე-20 საუკუნის ბესტსელერების ანთოლოგიის შესწავლისას გამოვლინდა ტენდენცია, რაც თითქოს კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალ მწერალთა მიმართ

გავრცელებულ სტერეოტიპს, რომ ისინი ქალურ თემებზე წერენ გულის ამაჩუყებლად. მაგალითად, განსაკუთრებით პოპულარული მარიამ ქეიზი (Maryam Keyes) თავისი ცნობილი: "I don't Know how She Does it", "School for Husbands", "Lucy Sullivan is Getting Married" და სხვა, რომლებიც ხშირად გაჯერებულია თანამედროვე ქალების სამყაროში არსებული სტერეოტიპებით. დებორა შვარცი ამტკიცებს, „რომ ქალ ავტორებს შეუძლიათ წერონ ისე მდიდრულად და მწარედ და ისეთი გემო დატოვონ, როგორც კარგმა შავმა ყავამ“ (Shwarz, 1959: 35).

რა თქმა უნდა, ქალებსაც შეუძლიათ წერონ მსუბუქი ხასიათის ნაწარმოებები, ისევე როგორც მამაკაც ავტორებს, არ მოეთხოვებათ აუცილებლად „მამაკაცურ თემებზე“ წერა, და ეს არ ნიშნავს, იმას, რომ რომელიმე სქესის ავტორი ქმნის დომინანტ სტილს, მაგალითად ერთსქესიან კონტექსტს. ინგლისელმა მწერალმა ტანიტ ლიმ (Tanit, 1976) საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა და ძმები გრიმების ნაწარმოებების პარალელურად შექმნა ზღაპრების კრებული დები გრიმებისგან და ყველა გმირს მიანიჭა საპირისპირო სქესი. მისი პროტოტიპი ამ ნაწარმოებში არის ქალი, რომელიც ლამაზი ენით მეტყველებს, იყენებს გრაფიკულად გამომსახველ და მკაფიო მეტაფორებს და მწარედ გადმოსცემს ქალის ცხოვრების სირთულეებს, მაგალითად: "Her hands, which had been dishes for her tears, now lay as if slain in her lap." „მისი ხელები, რომლებიც მისივე ცრემლის ფიალებად გამოდგებოდა, ახლა ესვენა როგორც დაჭრილი ადამიანი კალთაზე“ (Shwarz, 1959: 35 ჩვენეული თარგმანი). ექსპერიმენტმა გამოავლინა, რომ პრაქტიკულად არ დაუკარგავს ექსპრესიულობა არც ერთ ორიგინალ ზღაპარს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სქესი შეიცვალეს, არც ავტორის მანერა იყო მეტად ან ნაკლებად შთამბეჭდავი, მაგრამ შეძლო შეეტანა საინტერესო სტრუქტურული განსხვავებები სინტაქსის, მორფოლოგიისა და პუნქტუაციის თვალსაზრისით.

ამდენად, ლინგვისტური სქესის ცენტრალური ფუნქცია ადამიანური ურთიერთობის დომეინში ანუ სივრცეში არის სხვადასხვა ტიპის გენდერული მესიჯის, იგივე, გზავნილის კომუნიკაცია. სქესის ლინგვისტური გამოხატულება წარმოადგენს ერთ-ერთ განზომილებას, რომელშიც ენები შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ, მიუხედავად მათი სტრუქტურული მახასიათებლებისა და

სოციოლინგვისტური განსხვავებულობებისა. თვით ყველაზე უფრო ცხადი კატეგორიები, როგორცაა გრამატიკული და შინაარსობრივი სქესი, არ შეიძლება ისე დავახასიათოთ, რომ სრულყოფილად მოვახდინოთ მოცემული ენის კულტურული თუ სოციო-პოლიტიკური რეალობის დაკავშირება ენობრივ კატეგორიასთან, შესაბამისად, ვერც განზოგადებული დასკვნების გამოტანას შევძლებთ. რაც უფრო შორს წავიღებთ სქესის შესწავლის საკითხს ფორმალური მანიფესტაციის სფეროდან, მით უფრო რთული და მრავალ-განზომილებიანი ხდება იგი. ამიტომ შედარებით უფრო ხელჩასაჭიდი და სასარგებლო დასკვნების გაკეთება არის შესაძლებელი კონკრეტული ავტორის ნაწარმოებისა და მისი პერსონაჟების მეტყველების ტიპოლოგიური ანალიზის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურში შედარებით უფრო მკვეთრად მარკირებულია სქესი, ვიდრე ქართულში, მარლის ჰელინგერის „გენდერი სხვადასხვა ენაში“ მიხედვით (Helinger, 2014: 89), ე.წ. „უსქესო ენათა“ ჯგუფს განეკუთვნება და მაინც ორივე ენაში შეიმჩნევა ზოგადი ტენდენცია, რომ ძირეულ ცნებათა კონცეფციაში, მაგალითად, პრესტიჟული პროფესიების ან საზოგადო სახელების სქესი, უმეტესწილად მამრობითია მაგ. ინგლისური „Businessmen -Businesswoman“ დიქციონარს ქართულში შეესაბამება - „ბიზნესმენი და ქალი ბიზნესმენი“ წყვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად გენდერი ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, ანუ სწავლობს ქალურ და მამაკაცურ სამეტყველო სტერეოტიპებს. როგორც აღვნიშნეთ, ქართველურ ენებში გრამატიკული სქესი არ გვაქვს, ბიოლოგიური სქესი კი რეალიზებულია ლექსიკის/სემანტიკის დონეზე: მამაკაცი - დედაკაცი (ქართ.) - კოჩი - ოსური (მეგრ.) - კოჩი - ოხორჯა (ლაზ.) მარე/დჰაჰმარე - ზურალ (სვან.) მამალი - დედალი (ქართ.) - მუმული - დადული (მეგრ.) : მამული - დადული (ლაზ.): მამილ - დბდჰ (სვან.) ვაჟი - ქალი, ბიჭი - გოგო (ქართ.) : ბოში - ძღაბი (მეგრ.) : ბიჭი - კულანი (ლაზ.) : ნაღჟურ/ჰყინტ - დინა (სვან.) ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზევეა რეალიზებული გენდერიც (ქართული ენის კორპუსი GNC).

თავი II

გენდერული მეტყველების ლინგვისტური მახასიათებლები და მათი განმაპირობებელი ზოგადი ფაქტორები

2.1 გენდერული მეტყველების ლინგვისტური მახასიათებლები

ქალთა და მამაკაცთა სამეტყველო განსხვავების აღმწერი ერთ-ერთი უძველესი წყარო არის ბაბილონიდან ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, სადაც ნახსენებია, რომ გარდა ჩვეულებრივი შუმერული ენისა, არსებობდა განსაკუთრებული „ქალური“ შუმერული ენა - eme-sal, რომელიც გამოიყენებოდა ქალღმერთთა კულტის აღსანიშნად. იყო ასევე ორი სხვა ენა eme და KU. „აქედან გამომდინარე შუმერებმა შეადგინეს სამეწიფოანი ლექსიკონი აქადურ ენაზე, რომელშიც ერთი და იგივე სიტყვა სამი ფორმით იყო მოცემული 1 - როგორც მას გამოიყენებდნენ მამაკაცები, 2 როგორც მას გამოიყენებდნენ - ნეიტრალური მეტყველების აღსაწერად და 3 - როგორც მას გამოიყენებდნენ ქალღმერთების, ქალების ან საჭურისების მეტყველების გადმოსაცემად“ (დიაკონოვი, 1989:23) მაგ. dimmer=dingir=ilu ეს სამივე სიტყვა ნიშნავს „ღმერთს“ ზემოთხსენებული განსხვავების გათვალისწინებით.

გასაკვირი არ არის, თუ ადრეულ პერიოდში შემჩნეულ ამგვარ განსხვავებებს ზოგჯერ თავისებურ ახსნა-განმარტებას უძებნიდნენ, რაც დღესდღეობით არა თავისი სამეცნიერო ღირებულების, არამედ იმ დროის საზოგადოებაში ლინგვო-გენდერული პოზიციების დაფიქსირების თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. ქალთა და მამაკაცთა მეტყველებაში განსხვავების საფუძველს რომის პაპი ინოკენტი III (1160 -1216) ადამისა და ევას ანთროპონიმულ პირველსაწყისში მოიაზრებდა და ამბობდა, რომ „ყველა ახალშობილი ვაჟი ამ ქვეყანაზე მოვლენისას ტირილის ხმას გამოსცემს ასე: „ააა!“, ხოლო გოგონები: „ეეე!“, რაც, მისი თქმით, ადამისა და ევას სახელების სიმბოლური ექოა და თანამედროვე ენებში, სადაც სქესი ლინგვისტურად მკვეთრად მარკირებულია, ეს მარკირება სწორედ ამ ფონოლოგიური განსხვავებითაა გამოხატული. როგორც ცნობილია, მსოფლიო ენები იმყოფებიან მუდმივი ცვალებადობის პროცესში ფონეტიკის, სინტაქტიკის, ლექსიკის და დისკურსის

თვალსაზრისით, თუმცა ყველა ენა ამ ცვლილებას სხვადასხვა ტემპით განიცდის. კამერონის თანახმად, „ცვალებადობა დასავლურ ენებში გამოიხატა ისეთი ფენომენის ჩამოყალიბებაში, როგორცაა ბოლო პერიოდში ცხადად შესამჩნევი ენის ფემინიზაციის ტენდენცია, როგორც მხატვრულ, ასევე სოციალურ დისკურსში“ (Cameron, 2000: 123) ასევე, ენობრივი ცვლილებები ორენოვან საზოგადოებაში, სადაც ენა შეიძლება იყოს გენდერულად მარკირებული. ცვლილება უმეტესად ეხება ენის გამოყენების წესებს, ის ფოლკ-ლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება და იძლევა განმარტებებს მისი გამოყენების შესახებ. ეს ცვლილება, შესაძლოა, დიაქრონული ვარიაციის ერთ-ერთ ფორმად მოვიაზროთ და დროთა განმავლობაში ენის წიაღში წარმოქმნილი ენობრივი მოვლენების სინქრონულ ცვლილებებთან დავაკავშიროთ, რაც წარმოადგენს ვარიაციებს დროის მოცემულ მომენტში და ლინგვისტური კვლევების უმთავრეს დომენს ქმნის. „მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე სინქრონული ვარიაცია მოიცავდა ენასა და სქესს, რომელთა შორის დამოკიდებულება განიხილებოდა ისეთივე ჭრილში, როგორშიც განიხილავდნენ, მაგალითად, სოციალურ კლასსა და ნათქვამს შორის კავშირს ან ენასა და ეთნიკურ ჯგუფს შორის დამოკიდებულებას“ (Trudgill, 2011: 34). ლესლი მილროი (Milroy, 1948: 76) გენდერს მიიჩნევდა დამოუკიდებელ სინქრონულ ვარიაციად, ხოლო ტრუგილი კონცენტრაციას ახდენდა სინქრონულ განსხვავებულობაზე ქალისა და მამაკაცის მეტყველებას შორის. პარალელურად, ვითვალისწინებთ ამ უკანასკნელის კავშირს სოციალურ კლასთან და კონტაქტებთან. ამავე ჭრილში განვიხილეთ პერსონაჟის პროფესიასთან დაკავშირებული ლექსიკა და პროფესიის მიღმა არსებულ ცხოვრების წესიდან გამომდინარე მეტყველება.

მეცნიერებს შორის ხანგრძლივი კამათი მიმდინარეობდა იმის შესახებ, თუ რომელი ენობრივი ნიშანი „ლიდერობს“ სინქრონული ვარიაციებიდან და რა ახდენს გავლენას დიაქრონულ ვარიაციაზე ენისა და გენდერის ურთიერთიმართებაში, უფრო ზუსტად, ენობრივი ინოვაცია უფრო ქალ მოსაუბრეთა პრეროგატივაა და თუ მამაკაცთა. ლაბოვი, (Labov, 1996: 98) და კამერონი (Cameron, 2003: 57) თვლიან, რომ ქალები არიან ლიდერები ენობრივი ცვლილებისა და მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები არ არის შესწავლილი გენდერულად, ისინი მაინც განიცდიან

ცვლილებას დროსთან, ადგილთან და ამ ენაზე მოსაუბრე ერის განვითარებასთან ერთად.

იმისათვის, რომ პერსონაჟთა მეტყველება სათანადო სისრულით დავახასიათოთ, საჭიროა, სიტყვის წმინდა სემანტიკური ასპექტის გარდა მისი პრაგმატული ასპექტიც გავიაზროთ და ეს ასპექტები ორი სრულიად განსხვავებული სისტემის ენებზე მოსაუბრე ადამიანთა ჯგუფის წარმომადგენლების სამეტყველო ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტებთან დავაკავშიროთ. სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მეტყველების შესწავლისათვის ამ ასპექტებს, ეთნოგრაფიულ და სოციალურ ფაქტორებთან ერთად, მეტად საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ. როგორც გერმანელი ფილოსოფოსი კლაუსი წერდა: „ენობრივ ნიშნებს ადამიანი იყენებს იმისათვის, რომ თავისი აზრები სხვას შეატყობინოს. ამრიგად, ეს ნიშნები ქმნიან კომუნიკაციის საშუალებებს და ცდილობენ დაინტერესონ თანამოსაუბრე, ისე, რომ პარალელურად გამოიწვიონ მისი მხრიდან გარკვეული რეაქცია.“ (Klaus, 1988: 98) იმისათვის, რომ ეს რეაქცია ადეკვატური იყოს, მნიშვნელოვანია პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ასპექტების შესწავლა, მათი თარგმანის წესებზე შეთანხმება, განსაკუთრებით იმ მოცემულობაში, როცა არაერთი ენათმეცნიერისა და სოციო-ლინგვისტის მოსაზრებით სქესთა შორის კომუნიკაცია, მათი მოტივაციისა და განსხვავებული სტილის გამო ისედაც გავს ორ განსხვავებულ კულტურას შორის კომუნიკაციას. მაგალითად, ტანენის „განსხვავებულობის თეორიის“ თანახმად, ქალ მოსაუბრეებს ახასიათებთ ჰარმონიული საუბარი ე.წ. Rapport Talk - საუბარი ურთიერთობის დამყარების მიზნით, მაშინ როდესაც მამაკაცი მოსაუბრის მეტყველება მოტივირებულია მოხსენებითი საუბრის ე.წ. Report Talk -ის სურვილით ანუ საუბარი „მშრალი ინფორმაციის გადმოსაცემად - მოხსენების მიზნით. მოემის და შრივის ავტორობით შექმნილ საანალიზო წყაროებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ორი ძირითადი ასპექტი:

1. ორივე ავტორი (მოემი და შრივი) აქტიურად იყენებს ქალისა და კაცის მეტყველებისთვის დამახასიათებელ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის მეტყველებაში განსხვავებული ლექსიკის, სინტაქსური კონსტრუქციების, წინადადებათა მოდალობების გამოყენებას, მაგალითად:

“The thing is that I cannot even grieve,” Katherine said. “How can I grieve for someone I may not even have known? Who was not the person I thought he was?”

“Grieve for Mattie’s father” - Robert said and she saw that he had thought about this (Shreve, 2011: 293).

„საქმე ის არის, რომ გლოვაც არ შემძლია,“ თქვა კეტრინმა. „როგორ შეიძლება ადამიანმა იგლოვოს ვიღაც უცნობი, ადამიანი, რომელთან ერთად წლები ვიცხოვრე სულ სხვა ადამიანი ყოფილა“

„იგლოვე შენი შვილის მამა“ თქვა რობერტმა და ის მიხვდა რომ რობერტს ამაზე ნაფიქრი ჰქონდა (შრივი, 2011: 45 ჩვენეული თარგმანი).

ა. შრივი ქალი პერსონაჟის ფიქრებს ასე ახასიათებს:

- some premonition of harm would have made Sally seek to dissuade him;
- love possessed her completely ;
- it never occurred to her any power on earth could take him from her...

მამაკაცი პერსონაჟის განწყობები შემდეგი ხერხებით არის გადმოცემული:

- The Swede shot him a look of hatred; The skipper gave a fat, cynical chuckle.
- I like to think that his soul was as comely as his body
- He was telling his story now and interruption made him impatient

2. ორივე ავტორის ნაწარმოებში ვხვდებით ისეთ საშუალებებს, რომლებიც თავად ასახავენ მიმართებებს ცნებებთან „მამაკაცურობა“ და „ქალურობა“. თვალსაჩინოებისთვის იხილეთ

ცხრილი # 2:

	ინგლისური (ორიგინალი)	ქართული (თარგმანი)
ანიტა შრივი - „პილოტის ცოლი“	The Pilot’s Wife	პილოტის ცოლი
ქალი პერსონაჟების მახასიათებლები	Julia was a handsome woman Her features where strong	ჯულია სიმპატიური ქალი იყო მას მკაცრად გამოკვეთილი ნაკვთები ჰქონდა
მამაკაცი პერსონაჟების მახასიათებლები	Jack Lyons had blues eyes, two different blues – one a washed out blue, almost translucent ,	ჯეკ ლაიონსს ლურჯი თვალები ჰქონდა, ორის სხვადასხვაგვარი ლურჯი -

	<p>watercolor sky; the other brilliant, a sharp royal. The unusual coloring drew others eyes to his, made people examine his face as though asymmetrical characteristic suggested imbalance, perhaps something wrong</p>	<p>ერთი გამორეცხილი ლურჯი, თითქმის გამჭვრივალე, ძალიან მკრთალი ცის ფერი; მეორე ბრწყინვალე, სამეფო სიმბოლიკისათვის მახასიათებლად მკვეთრი საფირონისფერი. ეს უცნაური შეფერილობის თვალეზი მუდამ იპყრობდა სხვეზის მზერას და მისი სახე დაკვირვებული შესწავლის ობიექტი იყო, რადგან ფერთა ეს ასიმეტრიულობა, თითქოს რაღაც უკეთურებას მოასწევებდა</p>
სომერსეტ მოემის „წითური“	Red	წითური
ქალი პერსონაჟების მახასიათებლები	<p>She had the passionate grace of the hibiscus Her skin was like a field of ripe corn on a summer day She was too beautiful to be real She was a native, a woman of somewhat commanding presence, stout without being corpulent, dark, for the natives grow darker with age</p>	<p>იგი შველივით მოქნილი იყო მისი კანი ზაფხულის მწიფე ხორბლის ფერი იყო ის არა ამქვეყნიურად ლამაზი იყო ქალი კანაკელი ჩანდა. დარბაისლური შეხედულება ჰქონდა. საკმაოდ სრული იყო, მაგრამ ტანი არ დამახინჯებოდა.</p>
მამაკაცი პერსონაჟების მახასიათებლები	<p>His skin was dazzling while, milky, like satin; his skin was like a woman`s It appears that Red was the most comely thing you ever saw. He was like Apollo, with just that soft roundness which Praxiteles gave him He was a happy accident of nature His immense, shiny surface of forehead, which might have</p>	<p>წითურის თოვლივით თეთრსა და ხავერდოვან კანს ყველა ქალი ინატრებდა ეტყობა წითური ულამაზესი მამაკაცი იყო წითური ბერძნული ღმერთივით იყო ჩამოსხმული მაღალსა და პრიალა შუბლს თითქოს ჰკვიანური შესახედაობა უნდამიეცა, მაგრამპირიქით,</p>

	<p>given him a false look of intelligence, on the contrary gave him one of peculiar imbecility He had the plethoric self-satisfaction of the very fat</p>	<p>მეტისმეტად ყვეყს აჩენდა. ჩაგოდრებული ბერიკაცი</p>
--	---	--

ზემოხსენებულ მაგალითებში ორივე საანალიზო ავტორთან ვხვდებით გენდერული ექსპრესიის გაძლიერების მიზნით გამოყენებულ ფონემებს, გრამატიკას და ლექსიკურ ერთეულებს. ყველა ეს ფაქტორი დეტალურად განვიხილეთ დისერტაციის II თავის ქვეთავებში, სადაც ვცადეთ სათითაოდ ყველა კატეგორიის შესაბამისი მაგალითებისა და მათი თარგმანების საფუძველზე, გენდერული სამეტყველო უნივერსალიების გამოყოფა, მოვახდინეთ მათი ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირება ორიგინალისა და თარგმანის საფუძველზე და გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

მე-18 საუკუნის ცნობილი მეცნიერი ლორდი ჩესტერფილდი (Chesterfield, 1741) წერდა: “ქალების უმრავლესობა და უბრალო ხალხი მეტყველებს ყოველგვარი გრამატიკული წესის უგულებელყოფით.” ჯეინ ოსტინის გმირი რომანიდან „ნორთინგერის სააბატო“ ჰენრი ტინლი, საყვედურობს კეთრინ მორლანდს, რომ, ზოგადად ქალების მიერ წერილების წერის მანერა უნაკლოა, რომ არა სამი ასპექტის ნაკლებობა: მასში არ ჩანს მთავარი აზრი, წინადადებები უსასრულოა, წერტილის დასმა არ იციან და ხშირად უგულებელყოფენ გრამატიკულ წესებს. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს იესპერსენი (Jespersen, 1922: 251), რომელიც თვლიდა, რომ ქალები წინადადებებს არ ასრულებენ, რაც გამოიხატება მათ მიერ ძახილის წინადადებების გახშირებულ გამოყენებაში და ამას იმ ფაქტით ხსნის, რომ ქალები არ ფიქრობენ ბევრს მანამ, სანამ რაიმეს იტყვიან. ამის სადემონსტრაციოდ შემდეგი მაგალითები მოჰყავს: “Mrs. Eversleigh: I must say” (but words fail her) - (Jespersen, 1922: 251) ქართულ თარგმანში ეს ასე ჟღერს: “მისტერ ევერსლი: უნდა გითხრათ, რომ “მაგრამ მას სიტყვები არ ეყო” (იესპერსენი, 1922: 251); “The trouble you must have taken,” Hilda Exclaimed (MacKenzie, 1922) “ვინ იცის რამდენი ტანჯვა გამოიარეთ” წამოიძახა ჰილდამ (MacKenzie, 1922 ჩვენეული თარგმანი) ეს ისეთი წინადადების

წყობაა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება შეგვხვდეს რეალურ ცხოვრებაშიც და ნაწერ ტექსტში. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ორივე ენისთვის მახასიათებელი ტენდენცია იყო წერილობითი ტექსტის უპირატესობა ზეპირმეტყველებასთან შედარებით, რითაც შეიძლება აიხსნას ნახევრად დასრულებული წინადადების გამოყენება ქალის მიერ ზეპირსიტყვიერებაში, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ დიდი ხნის განმავლობაში მამაკაცები იღებდნენ ფორმალურ განათლებას, ხოლო ქალების ენა უფრო არაფორმალურ ხასიათს ატარებდა და მასზე წერილობითი ენის წესები საკმარის გავლენას ვერ ახდენდა. თანამედროვე ლიტერატურული წყაროებიდან ამის დასტურს წარმოადგენს ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, სადაც დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ელიზაბეტ დულიტლის მეტყველება სრულიად მიუღებელი და გაუგებარია საშუალო და მაღალი კლასის წარმომადგენელი მამაკაცებისთვის, ეს საკითხი მით უფრო მტკივნეულია, რამდენადაც შოუს პიესის მთავარი გმირები სწორედ არიან, ინგლისურის, როგორც ეროვნული ენის, სტანდარტიზების საკითხებით და მისი „სიწმინდის“ შენარჩუნებით დაინტერესებული ცნობილი ენათმეცნიერები.

როგორც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდის ფემინისტური ლინგვისტური ლიტერატურიდან ვრწმუნდებით, წლების მიზანმიმართულმა კრიტიკამ ქალური მეტყველებისა, მიგვიყვანა იმ წერტილამდე, როცა ქალების მეტყველება ნორმირებულად გულისხმობდა აბსოლუტურულ კორექტულობას, დახვეწილობასა და ზრდილობიანი მიმართვის ფორმების გამოყენებას, მაშინ, როცა მამაკაცის მეტყველების პატერნი (მახასიათებლები) საგრძობლად შეიცვალა და როგორც ემპირიული მასალის ანალიზმაც გვიჩვენა, უკანასკნელი ორი საუკუნის ტექსტებში მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაში საგრძობლად მომრავლდა სლენგის, სკაბრეზული გამონათქვამებისა და გრამატიკული წესების დარღვევის ტენდენციები.

იესპერსენის (Jespersen, 1989: 98) კიდევ ერთი ჰიპოთეზა გენდერულ მეტყველებასთან დაკავშირებით, პარატაქსისა და ჰიპოტაქსის გამოყენების გენდერულ მარკირებულობას უკავშირდება. პარატაქსი - ეს არის თანწყობა, ანუ რთულ წინადადებაში თანაბარი ძალის მქონე წინადადებების არსებობა, რომლებიც

ერთმანეთს შეიძლება ებმოდნენ კოორდინაციის გზით, მაგრამ ერთმანეთზე არ იყვნენ დამოკიდებული, მაგალითად (“მე გავიღვიძე”, “მე ავდექი”, “მე წავედი სამსახურში” ან “მე გავიღვიძე, ავდექი და წავედი სამსახურში”). ეს მოვლენა შეიძლება პირდაპირ იზომორფიზმად მივიჩნიოთ, რადგან ზუსტად ინარჩუნებს გრამატიკულ სტრუქტურას თარგმანის დროს, როგორც ქართულიდან ინგლისურად, ასევე პირიქით: “I woke up”, “I got up”, “I went to work” ან “I woke up, got up and went to work”. კონკრეტული ინგლისურენოვანი საანალიზო მასალის საფუძველზე იკვეთება, რომ ქალი მოსაუბრეებისთვის უმეტესწილად დამახასიათებელია პარატაქსი ანუ შედარებით უფრო მარტივი წყობა წინადადებისა, ხოლო მამაკაცები მეტად მიმართავენ ჰიპოტაქსს ანუ ქვეწყობას და ურთიერთდამოკიდებული მრავალი წინადადების გამოყენებას ერთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. იესპერსენის აზრით, ჰიპოტაქსი შედარებით, უფრო აღმატებული ფორმაა წინადადებისა, რადგანაც უფრო რთულია და აქედან გამომდინარე, ის ქალ და მამაკაც მოსაუბრეებს შორის გრამატიკულ წესზე დაფუძნებულ ემოციურ განსხვავებულობაზე აპელირებს. ორი სხვადასხვა სქესის მეტყველებას თუ შევადარებთ ჩინურ ყუთსა და მარგალიტის მძივს შორის არსებულ განსხვავებას: ერთ ყუთში მეორე და მასში მესამე და ასე დაუსრულებლად დევს ყუთები, ხოლო მძივი მარტივად ერთმანეთის გვერდით განლაგებული მარგალიტებისგან შედგება.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე წერის სტანდარტებმა, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში, იესპერსენის (Jespersen, 1922) ეპოქისგან განსხვავებული მოთხოვნები წამოაყენა. ციფრული წყაროების განვითარებამ და აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამარტივებულმა ხელმისაწვდომობამ, შეცვალა მოთხოვნებისმიერი შინაარსის ტექსტის (მხატვრული, საქმიანი, სამეცნიერო, ზღაპრის ენა დას ხვა) მიმართ. მთავარი მოთხოვნაა, მარტივად და გასაგებად აზრის გადმოცემა, რაც თანაბრად ეხება როგორც ქალ, ისე მამაკაც ავტორებს და მათ პერსონაჟებს. მაგრამ, სანამ ამ ეტაპამდე მოვიდოდა, ქალურმა და მამაკაცურმა წერის მანერამ გამოიარა ეპოქა, როცა ითვლებოდა, რომ ქალს ან საერთოდ არ სჭირდება განათლება, ან “ქალისთვის ერთი ენაც საკმარისია” (Milton, 1985: 18), იმ დროს, როცა თავად მამაკაცები კლასიკურ ენებს ბერძნულსა და ლათინურსაც ეუფლებოდნენ

მშობლიურის გარდა და რიტორიკაშიც იწაფავდნენ ენას. გარდამტეხი იყო მოსაზრება, რომ ქალებსაც უნდა მიეღოთ საფუძვლიანი განათლება და გაწაფულიყვნენ საკუთარ ენაზე კითხვაშიც და წერაშიც, რათა აღარ მოესმინათ ისეთი ბრალდებები, როგორსაც არ იშურებდნენ მათი თანამედროვე მამაკაცები, მაგალითად ჟან ჟაკ რუსო (Rousseau, 1956: 98) წერდა: „მათი (ქალების) ნაწერი ისეთივე ცივი და მშრალია, როგორც მათი ავტორების სილამაზე, მათ შეუძლიათ გადმოსცენ დიდი გამბედაობა, მაგრამ არა სული“. მხოლოდ ორი საუკუნის შემდგომ შეიცვალა სამყაროს ანდროცენტრულმა ვექტორმა საყრდენი წერტილი, ეს მოხდა, მაშინ, როცა ვირჯინია ვულფმა გაბედა და თქვა: „სანამ ქალი შეძლებს ზუსტად ისე წეროს, როგორც მას უნდა, კიდევ ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდება. ერთი არის ტექნიკური სირთულე: მას უხდება ისეთი წინადადების გამოყენება, საკუთარი აზრების გადმოსაცემად, რომელიც მამაკაცმა შექმნა და რაც მისი ცნობიერების ნაკადს არ ასახავს. ის მეტისმეტად მოუხერხებელია, მძიმეა, მოშვებული და ზედმეტად პომპეზური ქალისთვის. რომანში, რომელიც მკითხველისთვისაა განკუთვნილი, ისეთი წინადადებები უნდა მოინახოს, რომელიც მარტივად გადაიყვანს მკითხველს გმირის სამყაროში, ბუნებრივად გადავა ერთი თავიდან მეორეზე. ქალის ამოცანა ამ შემთხვევაში არის ისე მოახდინოს წინადადების ფორმათა ადაპტაცია და ალტერაცია, რომ მისი ფიქრებისთვის ბუნებრივი ფორმა მისცეს, თან იმდაგვარად, რომ ეს ფიქრებიც არ გაანადგუროს“ (Woolf, 1979: 48).

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, რომელიც ფსიქოლინგვისტიკის, გენდერლექტის, ნეიროლინგვისტიკისა და სხვა თანამედროვე ლინგვისტური სისტემების განვითარების პარალელურად ხორციელდება, განაპირობა ენობრივი სინტაქსის ციფრულ სინტაქსად ინტერპრეტირება, დაიწერა ისეთი კომპიუტერული პროგრამები, რომლებსაც ავტორის სქესის ამოცნობის ფუნქცია და უნარი აქვს. ამ პროგრამის შექმნას საფუძვლად დაედო მე-20 და 21-ე საუკუნეების მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები ენისა და გენდერის სფეროში. განსაკუთრებული მნიშვნელობა გენდერული დისკურსის ანალიზმა ქალი და კაცი მოსაუბრის მიერ ენობრივი საშუალებების, კერძოდ, გრამატიკული, ლექსიკური, ფონეტიკური და სინტაგმატიკური სისტემების გამოყენების ტენდენციების შესწავლის პროცესში

შეიძინა. მსგავსი პროგრამების სიზუსტე ინგლისურენოვანი ტექსტებისთვის 90%-ს უახლოვდება. სამწუხაროდ, ანალოგიური სისტემა ქართული ენისთვის ჯერ ჯერობით შექმნილი არ არის, თუმცა, ქართულენოვან საანალიზო ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით და მათ თარგმანებზე დაკვირვებით TEXTSTAT-ის გამოყენებით, ჩვენ მივედით სავარაუდო დასკვნამდე, რომ ანდროცენტრიზმის კანონი - „The Androcentric Rule“, რასაც ჯენიფერ ქოუთსი (Coats, 1988) საყოველთაო, ზოგადად აღიარებულ კანონზომიერებას უწოდებს, ქართველ ავტორებსა და მათ პერსონაჟებზეც ვრცელდება. ქოუთსი წერდა: „მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებას ანუ ლინგვისტურ ქცევას, ახასიათებს ტენდენცია, რომ იგი ავტორის მიერ მართებულად იქნეს მიჩნეული და „სასურველის“ ან „აღმაფრთოვანებელის“ განმარტებაში ჯდებაოდეს, მაშინ როცა, ქალი პერსონაჟის მეტყველება იმავე წარმატებით შეიძლება წარმოაჩინოს ავტორმა, როგორც ნეგატიური, გახადოს იგი კრიტიკის საგანი და გააფერმკრთალოს. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ მხატვრული ტექსტების ჩვენ მიერ შესწავლილ კორპუსში ქალების მეტყველებაში ჭარბობს უარყოფითი ემოციის გამომხატველი ენობრივი საშუალებების გამოყენება მამაკაცებთან შედარებით, მაგალითად: **მწუხარების, სინანულის, ტრაგიკულობის გამომხატველ** ლექსიკას ისინი უფრო ხშირად იყენებენ საუბარში, ვიდრე მამაკაცები ერთსა და იმავე სიტუაციაშიც კი. ამ დროს, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ტექსტებში გვხვდება სიტყვათა ფონოსემანტიკურ სახეცვლილებები უარყოფითი ემოციების გამომხატვის მიზნით ქალ და მამაკაც პერსონაჟთა საკომუნიკაციო აქტებში.

ქალი იყენებს ისეთ სიტყვებსა და გამონათქვამებს, როგორცაა: **„მე ხომ ბედი არა მქონია“**, **„უბედურ ვარკსვლავზეა გაჩენილი“**, **„ვაი, შე უდღეურო“**, **„ვაი შენს დედა უბედურს“**, **„ბეჩავო, მოგიკვდეს ჩემი თავი“**. ეს და მსგავსი ფრაზები, უფრო მეტად ქართული ტექსტებისთვისაა მახასიათებელი, ისინი შემთხვევით შერჩევის მეთოდით რამდენიმე ქართული ორიგინალი ტექსტიდან ამოვკრიბეთ, და შემთხვევათა 90 % პროცენტში მათ ქალი პერსონაჟი წარმოთქვამს.

მამაკაცი იყენებს: **„ვერ გადამირჩება“**, **„სიცოცხლეს გავემწარებ“**, **„თავბედს აწყველინებს“**, **„ამისთვის პასუხს აგებს.“**

არის ფრაზები, რომლებსაც, შესაძლებელია, საპირისპირო სქესის პერსონაჟები სამეტყველო აქტში თანაბარი სიხშირით გამოიყენებენ, თუმცა საანალიზო წყაროების მიხედვით იკვეთება შემდეგი ტენდენცია: ქალური შეფასება უფრო თვითდათრგუნვაზეა ორიენტირებული და ნაკლებად ახასიათებს შეტევითი, აგრესიული განწყობა, რაც მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში იყო უფრო შესამჩნევია.

საინტერესოა, უარყოფითი კონტექსტის შემთხვევაში მამაკაცი პერსონაჟის გამოყენებულ ლექსიკას დავუპირისპიროთ ნეიტრალურ ან დადებით კონტექსტში ქალი პერსონაჟის მიერ გამოყენებული ენობრივი ერთეულები. აქაც საინტერესო არის ის, რომ ქალთა ლექსიკა უფრო მრავალფეროვანი, კრეატიული და მოქნილია, ისინი უკან არ იხევენ შექმნან და გამოიგონონ საკუთარი, უნიკალური ფრაზები და გამონათქვამები: „ჩემო თვალის ჩინო“, „ჩემო ბალის კუნწულავ“, „სიყვარულის ნატეხო“, „ჩემო გულის ვარდო“ და სხვა. მსგავსი ფრაზეოლოგიით მდიდარია, როგორც ინგლისურენოვანი, ისე, ქართული ორიგინალი ტექსტები. სამწუხაროდ, თარგმანში ვხვდებით გარკვეულ შეუსაბამობებს, რადგან მსგავსი ფრაზების უმრავლესობა ენის კონტექსტისთვის მისაღები წესებით ითარგმნება და ერის მსოფლმხედველობაში ჩადებული ცნებებს იყენებს, თუმცა რაოდენობრივად პოზიტიური ემოციების გამომხატველი ლექსიკა უფრო ქალ პერსონაჟთა ატრიბუტია, ვიდრე მამაკაცთა და ეს თითქმის თანაბრადაა განაწილებული ქართულ და ორიგინალ ტექსტებში. თარგმანში ისინი 95% შემთხვევაში ზუსტად გადადის.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად ერთი საინტერესო ისტორიული ფაქტის გახსენებაც კმარა. მე-18 საუკუნის ინგლისში, როცა ენის ფორმაციისა და სტანდარტული ინგლისურის ჩამოყალიბების საკითხი იდგა დღის წესრიგში, სქესების მიერ ენის განსხვავებულ გამოყენებაზე საუბარი პოპულარული იყო. რიჩარდ კემბრიჯმა 1754 წლის 12 დეკემბრის “The World”-ის გამოცემაში დაწერა, რომ ქალების საუბრის მეტად ეფემერული ხასიათი გამოწვეული იყო იმით, რომ რასაც ისინი ამობდნენ არ იყო მნიშვნელოვანი. “სწორედ მათ (ქალებს) უნდა ვუთხრათ მადლობა იმისთვის, რომ ჩვენ მიერ ასეთი მონდომებით შექმნილი სიტყვები, რითაც სტანდარტული ინგლისური ენა უნდა შექმნათ, დავიწყებას ეძლევა და ისინი რაღაც ახალი და გურკვეველი სიტყვებით ანაცვლებენ მათ.... სწორედ ისინი ჩვენ

ქალბატონები...“ (Cambridge, 1754: 87). ასე კიცხავდა ქალებს მე-18 საუკუნის ჯენტლემენი, რომელიც მთელი მონდომებით ცდილობდა დაემკვიდრებინა და ჩამოეყალიბებინა საბოლოოდ კლასიკური ინგლისური ენა სპეციალური კოდიფიკაციის საშუალებით და სისტემაში მოქცევით, თუმცა ენის ლექსიკონი ამ მცდელობას ყველაზე ნაკლებად ემორჩილებოდა. როგორც მოგვიანებით, მეოცე საუკუნეში დანიელი ლინგვისტი ოტო იესპერსენი (Jaspersen, 1922) სიამაყით წერდა „მამაკაცები სწორედ და არა დედაკაცები არიან ცვლილების ინიციატორები ენაში, რადგან მათ შემოაქვთ ახალი გამოთქმები და სიტყვები“ და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სწორედ იმ საქციელის გამო ასხამდა ხოტბას მამაკაცებს, რასაც ორი საუკუნით ადრე უპატიებელ ცოდვად უთვლიდნენ ქალ მოსაუბრეებს. იმავე ჟურნალში „The World“ უცნობი ავტორი წერდა: „ასეთია ჩვენი თანამედროვე ქალების ხუმტურები მეტყველებაში, რომლებიც ისე ამახინჯებენ ნატიფ ბაგეებს, რომ გულგრილად დატოვება არ შეიძლება. ნაცვლად ორიგინალი სიტყვებისა, ისინი ყოველდღიურად იგონებენ ახალ შესატყვისებს ერთი დადგენილი ფორმისა და ქალების მეტყველებისთვის დამახასიათებელ არეულობას ქმნიან. რა საჭიროა ერთი სიტყვის ნაცვლად 5 შესატყვისი გამოყენება: “დიდი”, “ვრცელი”, “განუზომელი”, “უსასრულო”, “აურაცხელი” - “vastly”, “horribly”, “abominably”, “immensely”, “excessively” ყველა ეს სიტყვა ახალი იყო მე-18 საუკუნის ინგლისურისთვის, მაგრამ თანამედროვე ინგლისური ამ სიტყვების გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

ეს სარკაზმი, რასაც ანდროცენტრულ წესს უწოდებს ქოუთსი (Coats, 1986: 17) სულაც არ გახლდათ მამაკაცი ავტორების პრეროგატივა. მე-19 საუკუნეში ჯეინ ოსტინი თავის წიგნში “ნოტინგენის სააბატო” (Austin, 1813: 56) ისაბელა თორპის პირით მსუბუქად დასცინის ქალების მეტყველების ამ თვისებას, რომ უხვად შეამკოს ერთი და იგივე მოვლენა ან საგანი სხვადასხვა ფორმებით:

“My attachments are always excessively strong” (Austin, 1813:56) რაც ქართულ თარგმანში ასე ჟღერს:

„ჩემი გრძნობები ყოველთვის მეტისმეტად მძლავრი იყო მის მიმართ.“ (ოსტინი, თარგმანი)

აშკარაა, რომ ავტორი დასცინის იზაბელას, რომელსაც მოიხსენიებს, როგორც “ეგოისტ” - “Egocentric”, “ზედაპირულ” “Shallow” და “ქარაფშუტა” “light-minded” ადამიანად, ხოლო ქეთრინი, რომელიც ნაწარმოების გმირი და ავტორის ფავორიტია, სიტყვის სიმცირითა და თავდაჭრილობით გამოირჩევა. ეს იყო საზოგადოების არჩევანი, მწერლის სტილით გადმოცემული, იმ მკითხველის საამებლად, რომელიც თვლიდა, რომ ზმნიზედური ფორმების მსგავსი გამოყენება და არსებითი სახელისგან წარმოებული იმ დროს ქალთა ლექსიკონის თვისება იყო და მაღალ ტონად არ ითვლებოდა.

მე-18 საუკუნის შუა პერიოდში „The World“-ის გამოცემაში, მთელი პარაგრაფი აქვს დათმობილი ერთ სიტყვას ”vastly“. ავტორი შეშფოთებული აღნიშნავს, რომ „vastly“ გამოიყენება ისეთ კონტექსტში როგორცაა “Vastly Big” - „მეტადრე დიდი“, “Vastly Offended” „მეტადრე შეურაცხყოფილი“, “Vastly Glad” „მეტად გახარებული“, “Vastly Happy” „მეტად ბედნიერი“, უფრო მეტიც ის ქმნის ისეთ მეტონიმიას, როგორცაა “Vastly Pretty” – „დიდად მშვენიერი“, “Vastly Little” – „დიდად მცირე“ ქალებისთვის არის დამახასიათებელი და ნორმიდან გადახვევად მიიჩნევა.

ინგლისური ენის მსგავს ცვლილებებზე დაკვირვების საშუალება საბედნიეროდ გვაქვს, რადგან მისი ლექსიკონი საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა და თითქმის ყოველწლიურად გამოდიოდა განახლებული სახით, სამწუხაროდ, ქართული გენდერული მეტყველების დიაქრონულ ჭრილში ასეთი აკადემიური და ხანგრძლივი დაკვირვების საშუალება არ მოგვეცა, რამდენადაც მე-20 საუკუნის დასაწყისამდე არ შექმნილა ლიტერატურა, რომელიც ასახავდა ქართული ენის განვითარების ადრეულ ეტაპებს, თუ არ ჩავთვლით სულხან საბას განმარტებით ლექსიკონს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლინგვისტიკაში უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო კვლევები მიმდინარებს ბოლო წლებში, გენდერული ენის დიაქრონული შესწავლის განვითარების საინტერესო პერსპექტივები მაინც არსებობს.

თანამედროვე ინგლისურისა და ქართულისათვის დამახასიათებელი გენდერული განსხვავებები უკავშირდება ჩვენ მიერ განხილულ ტანენისა და ლაკოფის (Tannen, 2004: 345) განსხვავებულობების თეორიებს უფრო მეტად, ვიდრე პრიმიტიული კულტურებისთვის დამახასიათებელ გენდერულად მარკირებულ

ლექსიკას, ფონეტიკას თუ მორფოლოგიურ განსხვავებულობებს. მაგალითად საპირი (Sapir, 1968: 95) აღწერს კალიფორნიაში მცხოვრები იანას ტომის ენას, სადაც ქალები და მამაკაცები სხვადასხვაგვარად საუბრობენ: ქალი-ქალი, კაცი-კაცი ჯგუფებში, და კიდევ უფრო განსხვავებულ ლექსიკას იყენებენ ქალსა და კაცს შორის ინტერაქციაში. კერძოდ, მამაკაცები ერთმანეთთან საუბრისას იყენებენ სიტყვების უფრო გრძელ ფორმას. თუ სიტყვა ბოლოვდება ხმოვანზე, დიფთონგზე ან თანხმოვანზე მამაკაცები ამ შემთხვევაში ამატებენ სუფიქსს / -na /. მაგალითად / -ba / (ჩაქოლვა) /bana/; au (ცეცხლი) - /auna/. თუმცა, რიგ შემთხვევებში მსგავსი ნიშან-თვისებაც შეიმჩნევა თანამედროვე ინგლისურში ქალ და მამაკაც მოსაუბრეებს შორის ლექსიკის განსხვავებულად გამოყენების თვალსაზრისით; მაგალითად, მამაკაცებს ახასიათებთ ისეთი სიტყვების სრული ფორმით გამოყენება, როგორცაა “Omnibus”, “Refrigerator”, “Autobus”, “Bicycle”, “Telephone”, მაშინ, როცა ემპირიული დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქალები უმეტესად იყენებენ ამავე სიტყვების შემოკლებულ ვარიანტს: “Bus”, “Fridge”, “phone”, “bike”. ქართულ ენაში ანალოგიურ გენდერულ-ლექსიკურ ვარიაციას არ ვხვდებით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს სიტყვა თავისთავად ქართულ ენაში შემოვიდა ევროპული ან რუსული ენებიდან და ქართულის ბუნებრივი ფლექსიური სისტემის ნაწილი არ გამხდარა. შესაბამისად, ისინი: „ომნიბუსი, ავტობუსი, ველოსიპედი, ტელეფონი“ ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანების აღქმაში ჯერ კიდევ ნეოლოგიზმად ითვლება, ხოლო სიტყვა „მაცივარი“ - ზუსტი ქართული შესატყვისით ითარგმნა, თუმცა, არც მისი შემოკლებული, არაფორმალური ვერსია დამკვიდრებულა ქართულში.

ინგლისურ ენაში მსგავსი განსხვავებულობა შეიძლება მიეწეროს ენის განვითარების ეტაპსა და საზოგადოების ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციებს. კერძოდ, ქალები ბრიტანეთში უმეტესად იყენებენ სტანდარტულ ინგლისურთან მიახლოებულ ფორმებს, ხოლო კაცები მეტწილად არასტანდარტულ ფორმებს, რაც უკავშირდება წერა კითხვის გავრცელებამდე, არაინდუსტრიალიზებული საზოგადოების წევრების მეტყველების განსხვავებულობას განათლებული, ინდუსტრიალიზებული საზოგადოების წევრების მეტყველებისაგან, რომელიც სქესობრივ სეგრეგაციას იწვევდა, ხოლო თანამედროვე

მაღალტექნოლოგიური, სოციალური ქსელებით გაერთიანებული ადამიანების მეტყველებაში ნაკლებად შეიმჩნევა მსგავსი გენდერულად მარკირებული ლექსიკური განსხვავებები.

ეს არ გამორიცხავს მხატვრული ტექსის შიგნით სტრუქტურულ და ფონოლოგიურ განსხვავებებს, როცა საქმე ეხება მამაკაც და ქალ პერსონაჟებს. მაგალითად, დიკენსის მამაკაცი გმირების ბარკისისა და დევიდის დიალოგი (1) შევადართო დევიდის ძიძასა და დედას შორის გამართულ დიალოგს (2):

“It’s a beautiful day, Mr. Barkis,” I said, as an act of politeness.

“It ain’t bad,” said Mr. Barkis, who generally qualified his speech, and rarely committed himself.

“Peggotty is quiet comfortable now, Mr. Barkis,” I remarked, for his satisfaction. “Is she, though?” said Mr. Barkis. After reflecting about it, with a sagacious air, Mr. Barkis eyed her, and said: “Are you pretty comfortable?” Peggotty laughed, and answered in the affirmative.

“But really and truly, you know. Are you?” growled Mr. Barkis, sliding nearer to her on the seat, and nudging her with his elbow. “Are you? Really and truly comfortable? Are you? Eh? At each of these inquiries Mr. Barkis shuffled nearer to her, and gave her another nudge.

“I say,” growled Mr. Barkis,

“It was all right.” I looked up into his face, and answered, with an attempt to be very profound: “Oh!” “It didn’t come to an end there,” said Mr. Barkis, nodding confidentially.

“It was all right.” Again I answered, ‘Oh!’ “You know who was willing,” said my friend. “It was Barkis, and Barkis only.” I nodded assent.

“It’s, all right,” said Mr. Barkis, shaking hands; “I’m a friend of yours. You made it all right, first. It’s all right” (Dickens, 2004: 198).

„მშვენიერი დღეა, მისტერ ბარკის“ ვთქვი მე ზრდილობისთვის.

„არ არის ცუდი“ თქვა მისტერ ბარკისმა, მას ჩვეოდა ზედაპირული საუბარი და არასოდეს მიდიოდა სიღრმეებში

„პეგოტი თავს კომფორტულად გრძნობს მისტერ ბარკის“, აღვნიშნე მე, რომ მისთვის მესიამოვნებინა.

„ვითომ? ნამდვილად ბედნიერია?“ ეჭვის თვალით გადახედა მისტერ ბარკისმა პეგოტის „კარგად ხარ?“ პეგოტიმ თანხმობის ნიშნად გაუღიმა.

„სიმართლე თქვი, მართლა ბედნიერი ხარ?“ ეკითხებოდა ბარკისი და უფრო და უფრო უახლოვდებოდა პეგოტის, სანამ ისე არ მიუახლოვდა, რომ პეგოტი უხერხულობისგან შეიშმუშნა, მისი დაჟნებული კითხვები თავს აბეზრებდა.

„მიპასუხე!!“ - დაიგრგვინა ბარკისმა - „მე ჯერ დამისრულება, ჩვენ ამ ამბავს ისევ დავუბრუნდებით“ (დიკენსი, 2011:58).

მე ბარკისის დამშვიდება ვცადე და ვთხოვე, რომ მეგობრებად დავრჩენილიყავით“

დიკენსის ორი ნაწარმოების „დევიდ კოპერფილდი“ და „დიდი მოლოდინები“ („David Copperfield“; „Great Expectations“) კორპუსიდან გამოცალკეველ მონაკვეთებში საინტერესო დიალოგია ორ მამაკაც პერსონაჟს შორის, სადაც ქალი პერსონაჟი პასიური მოპასუხის როლშია, თარგმანში კი ეს პასიურობაც გაფერმკრთალებულია, და ემოციური ექსპრესიულობის ზოგიერთ ხერხი, რომელიც მოსაუბრე პერსონაჟის ხმის ტემბრსა და უარყოფით ემოციას გამოხატავს გარკვეულ წილად შესუსტებულია. თუმცა ადგილზე არის ყველა ის სამეტყველო ტექნიკა, რაც მამაკაცებს ახასიათებთ: **დარწმუნება, კონკრეტული ინფორმაციის გადაცემა და მოთხოვნა**, განსხვავებით ქალ პერსონაჟთა შორის გამართული დიალოგისგან, რომელშიც კომუნიკაციის მონაწილეები ეძებენ: **მხარდაჭერას, თანადგომას** და ამისთვის იყენებენ ისეთ ენობრივ საშუალებებს, როგორცაა: წინდებულები, შორისდებულები, მხარდამჭერი სიტყვები:

“Well?” said Miss Betsey, coming back to her chair, as if she had only been taking a casual look at the prospect”.. and when do you expect – “

“I am all in a tremble,” faltered my mother. “I don’t know what’s the matter. I shall die I am sure!” “Of course it will,” said Miss Betsey. “It’s nothing but fancy. What do you call your girl?”

“I don’t know that it will be a girl, yet, ma’am,” said my mother innocently (Dickens, 2004: 198).

„აბა“ უთხრა მის ბეტსიმ, - „როდის მოელით?“

„აჰ, არ ვიცი! თქვენა გგონიათ, რომ ეს ჩემთვის სასარგებლო იქნება?“ - ჰკითხა დედაჩემმა საბრალო ხმით

„რასაკვირველია, სასარგებლო იქნება“, უპასუხა მის ბეტსიმ. ყოველივე ეს აღლევებისაგან მოგდით... „რა ჰქვია თქვენს ქალს?“

„მე, სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცი, ქალი იქნება თუ ვაჟი, ქალბატონო,“ გულუბრყვილოდ უპასუხა დედაჩემმა“ (დიკენსი, 2011: 98).

მოცემული მონაკვეთი (2) მისი წინამორბედისგან (1) განსხვავდება ისეთი ელემენტების ხშირი გამოყენებით, როგორცაა: “Well” – „აბა” “of course” - „რასაკვირველია“, “I am all in tremble” – „ძალიან ვღელავ“, ასევე პუნქტუაციის მრავალფეროვნებით და მისი ვარიაციებით თარგმანში. მოცემული მონაკვეთი საინტერესო სტრუქტურული და ექსპრესიული განზოგადების საშუალებას იძლევა გენდერული იზომორფიზმებისა და ალომორფიზმების თვალსაზრისით ინგლისური და ქართულ სამეტყველო საშუალებათა ტიპოლოგიურ ანალიზში.

საინტერესო განსხვავებას ვხვდებით ქალი და მამაკაცი მოსაუბრის მიერ ფერთა გამის აღწერაში: კერძოდ, ქალები ჩვენ მიერ შესწავლილი 195 ფერის აღმნიშვნელი სიტყვიდან იყენებენ დაახლოებით 95%-ს ხოლო მამაკაცები დაახლოებით 30%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტატისტიკა დამახასიათებელია, როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი ტექსტებისათვის და თარგმანებიც აღნიშნულ ენობრივ მახასიათებელს სრულყოფილად ასახავენ, თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც არ ითარგმნება, ან ზუსტი შესატყვისი არ მოიძებნება და საწარმოებლად ვიყენებთ ძირითადი ფერის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძეს ან მის კომბინაციას სხვა ფერის ფუძესთან. **იხილეთ დანართი 2 - ფერთა გამა პერსონაჟთა მეტყველებაში ცხრილის სახით.** მასში 195 სხვადასხვა ფერის ქართულ-ინგლისური შესატყვისი და წარმოქმნილ ფერთა მახასიათებლებია მოცემული, რომლებსაც ქალი და მამაკაცი პერსონაჟები სხვადასხვაგვარად იყენებენ საკომუნიკაციო აქტის დროს.

საანალიზო მასალის მიხედვით შევისწავლეთ ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მიერ ფერთა გამოყენების ტენდენციები და ჩამოვაყალიბეთ ერთი დასკვნა, რომელიც შესაძლებელია საერთო მახასიათებლად - იზომორფიზმად მივიჩნიოთ ქართული და ინგლისურენოვანი ტექსტებისთვის: ქალი პერსონაჟების დისკურსში წამყვან როლს

ასრულებს ფერთა მრავალრიცხოვანი გამა, მაგალითად, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ერთი ფერის მრავალი ფორმით მოხსენიებას სხვადასხვა საგნის აღსანიშნად, ხოლო მამაკაცი მოსაუბრეებისათვის მნიშვნელოვანია ფერის აღმნიშვნელმა სიტყვამ თუნდაც მიმსგავსებულად, მაგრამ მაინც გადმოსცეს მის მიერ აღქმული საგნის ფერი, ის ხშირად სუბიექტური შეიძლება იყოს: მაგალითად ის რაზეც ქალი იტყვის: „აკვამარინი ანუ ზღვისფერი “aquamarine” ან ზურმუხტისფერი “emerald”, ან კიდევ „ღია ცისფერი“ – “sky blue“, მამაკაცი მოსაუბრისთვის შეიძლება იყოს ლურჯი ან მწვანე.

ფონოსემანტიკური თვალსაზრისით ქართული და ინგლისური ფერის აღმნიშვნელი სიტყვები კიდევ ერთი მახასიათებლით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა მას გენდერული თვალსაზრისით განსხვავებულ გამოყენებასთან საერთო არაფერი აქვს. კერძოდ, ქართულად ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა ფუძეში ჭარბობს ფერის „ნიშანი“, მარკერი (რასაც იგი არის მიმსგავსებული) + ლექსემა - „ფერი“-ს კომბინაცია, მაგალითად: (ცის+ფერი, ზღვის+ფერი, ნარინჯის+ფერი), წარმოდგენილი რთული ფუძით, სადაც სიტყვის ძირი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება „ზღვ-ის+ფერი“, „ც-ის+ფერი“, ან ხშირ შემთხვევაში შედგენილი ზედსართავი სახელის ფორმით „თუთისფერი თეთრი“. გვაქვს შემთხვევები, როცა ღია, ბაცი, ძირითად ფერთან მიახლოებული გამის აღსანიშნავად გამოიყენება პრეფიქს-პოსტფიქსი: „მო - ო“ „მო-ყვითალ-ო“, „მო-წითალ-ო“, „მო-ყავისფრ-ო“, „მო-მწვან-ო“ და ასე შემდეგ, რასაც ინგლისურში მხოლოდ - “ish” პოსტფიქსი გამოხატავს და ის ნაწილობრივი სტრუქტურული ანალოგიით ითარგმნება: „yellow-ish“, “red-ish”, “green-ish”, “brown-ish” etc. ეს ლინგვისტურ ალომორფიზმად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულისა და ინგლისურისთვის, ერთადერთი მსგავსება, რაც მათ შორის იკვეთება, არის ის, რომ ფერთა გამა მიმსგავსებული აღნიშვნით, რომელიც ასეთი ფორმულით აღვწერთ: **მო+ფერი+ო - color+ish**, ქალების მეტყველების მახასიათებელი უფროა, ვიდრე მამაკაცების.

ვერსად ვხვდებით მსგავსებას ორ საანალიზო ენას შორის, ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელის ფუძეში მორფემის: „ფერი“ შესატყვისი -“color” გამოყენების

თვალსაზრისით. ინგლისურ ენაში ზედსართავი სახელი ანალოგიურ ერთეულს არ გამოიყენებს და იგი მარტივფუძიანი სიტყვის სახით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე კომპოზიტის სახით. ხშირია ქალების მიერ ფერის გადმოცემა შედგენილი სიტყვით, თუ ერთ ფერი რამდენიმე ფერის კომბინაციას ან მის სხვადასხვა ხარისხს აღნიშნავს: „Dark Brown“ – „მუქი ყავისფერი“, „light green“ - ღია მწვანე, „deep blue“ - მუქი ლურჯი, „navy blue“ – „სამხედრო ლურჯი“ და სხვა, რაც ორივე ენისთვის საერთოა და ალომორფიზმად კვალიფიცირდება.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ქართულში ფერის აღმნიშვნელი რთული სიტყვები (ცისფერი, ზღვისფერი, ხოხბისყელისფერი), რომლებშიც ფიგურირებს ლექსიკური ერთეული: „ფერი“, შედგება ორი ან მეტი სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვისაგან და წარმოადგენენ კომპოზიტთა ჯგუფს. ინგლისურში კი, „ფერის“ - „Color“ აღმნიშვნელი ერთეული არსად გვხვდება, როგორც წარმოქმნილი სიტყვის ნაწილი (sky – color = ცის ფერი), რაც იზომორფიზმად შეიძლება მივიჩნიოთ.

2.1.1. ენის ფუნქციათა გენდერული ვარიაციები საკომუნიკაციო აქტებში

როგორც ცნობილია, ენას ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: საობიექტივაციო - ექსპრესიული და საკომუნიკაციო - ურთიერთობის დამყარების ანუ მიმართებითი ფუნქცია, რომელიც რეფერენციული ფუნქციის სახელითაც მოიხსენიება. როგორც დაკვირვება და ანალიზი გვიჩვენებს, განსხვავებული სქესის მოსაუბრეები ენის საკომუნიკაციო ფუნქციას სხვადასხვაგვარად იყენებენ. განსხვავებას ძირითადად განაპირობებს პრაგმატული პრესუპოზიცია (შეფარული მნიშვნელობა), რომელიც განსაზღვრავს საკომუნიკაციო აქტის შინაარსს, მის ეფექტურობას და იგი განსხვავებულია ლოკუციის აქტის მონაწილეთა სქესის, ასაკისა და სოციალური

სტატუსის მიხედვით. საობიექტივაციო ფუნქციის შრეებს ენაში წარმოადგენს მიმართებითი (რეფერენციული), ექსპრესიული, ფატიკური, აპელაციური და მეტალინგვისტური ქვეჯგუფები, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენი კვლევის საგანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს საკომუნიკაციო ფუნქცია, რომლის შრეებს ქმნიან ლოკუციური, ილოკუციური და პერლოკუციური სამეტყველო აქტები, რაც ცალ-ცალკე გვაქვს განხილული.

„საკომუნიკაციო აქტის პროცესში კომუნიკატორები ცდილობენ არა მარტო ობიექტურად არსებული ფაქტები და მოვლენები აღწერონ, არამედ მიაღწიონ გარკვეულ მიზანს – საკომუნიკაციო აქტში მონაწილე აქტიორ(ებ)ი, ანუ ადრესატ(ებ)ი დააჯერონ, დაარწმუნონ, უბრძანონ, განაცხადი გააკეთონ, პირობა დადონ, ვალდებულება აიღონ და ა.შ.“ - როგორც შესწავლილი საანალიზო წყაროებიდან ამოკრეფილი გენდერული კომუნიკაციის ამსახველი მონაკვეთებიდან ირკვევა, ამისათვის ქალი და მამაკაცი პერსონაჟები ხშირად იყენებენ ერთმანეთის მსგავს მიდგომებს, მაგრამ მათ შორის მაინც შეინიშნება გარკვეული განსხვავებები ენდოფორული (ტექტის შიგნით დაფარული) და ანაფორული (გამოხატული) მნიშვნელობების მიხედვით. დავაკვირდებით საკომუნიკაციო აქტის თეორიის სამ კატეგორიას: **ლოკუცია** (რაიმეს თქმა), **ილოკუცია** (სათქმელის მიმართ მთქმელი სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა, რომლის მიზანია ინტერაქციის განხორციელება, წარმოადგენს პროპოზიციულ აქტს და შეიცავს ინტენციას (განზრახვას) და **პერლოკუცია**, რაც ილოკუციის სახეა, რომელიც გარდა სათქმელის მიმართ **მთქმელის** სუბიექტური დამოკიდებულებისა, შეიცავს მსმენელის დარწმუნების მეტამესიჯს. არსებული კლასიფიკაციის საფუძველზე ერთმანეთისგან განვასხვავებთ ქალი და მამაკაცი პერსონაჟების საკომუნიკაციო მოტივაციები. ორი ენის ლიტერატურულ კორპუსში შესწავლილი სამეტყველო ტექნიკის მიხედვით საკომუნიკაციო აქტის მახასიათებლები გენდერულ ჭრილში ამგვარად წარმოვადგინეთ **ცხრილის სახით # 3**

ცხრილი # 3 - საკომუნიკაციო აქტის მახასიათებლები გენდერულ ჭრილში

ქალი პერსონაჟები	მამაკაცი პერსონაჟები
ლოკუცია	წარმოთქმა, პროპოზიცია, ასერცია (დარწმუნება)
<ul style="list-style-type: none"> - წვიმს, - It is raining - იწვიმებს - It will rain 	<ul style="list-style-type: none"> - იწვიმებს - Will rain
ილოკუცია	ილოკუცია
<ul style="list-style-type: none"> - მიხარია, რომ იწვიმებს; - I am happy it will rain - რა ცუდია, რომ ხვალ იწვიმებს; - It is too bad that it will rain - ვშიშობ, რომ ხვალ იწვიმებს; - I am afraid it will rain tomorrow - წარმოგიდგენია, ხვალაც იწვიმებს ?! - Can you imagine, it will rain tomorrow - თქვენ ფიქრობთ, რომ ხვალ იწვიმებს?! - Do you think it will rain tomorrow? or - It will rain tomorrow, don't you think so?? 	<ul style="list-style-type: none"> - ალბათ იწვიმებს- It might rain - დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ იწვიმებს; - I am sure it will rain - ცუდია, ხვალ იწვიმებს; - Too bad, it will rain - “I say! Peggotty! She can't live by herself you know.” (Dickens, David Copperfield, Pg 23) - „-კარგი, პეგოტი, ოღონდ აი რას გეტყვით: - ვუთხარი მე. მერე ჩვენ რომ აქედან წავალთ, დედა რას იზამს? ხომ არ შეუძლია მარტოკა დარჩეს?“ (გვ45, დიკენსი, დევიდ კოპერფილდი)

პერლოკუცია	პერლოკუცია
<ul style="list-style-type: none"> - თქვენც ხომ არ ფიქრობთ, რომ ხვალ იწვიმებს, ნეტა? - Do you think it will rain tomorrow? - მე ვარ ლამაზი, დევი? -შეჰყვირა პეგოტიმ. - კარგი, ჩემო საყვარელო! მაგრამ რამ მოგაგონა ასეთი კითხვა? - Lord, Master Davy,” replied Peggotty. What’s put marriage in your head? 	<ul style="list-style-type: none"> - გარწმუნებთ ხვალ იწვიმებს - I assure you it will rain - “Where you ever married, Peggotty?” says I. You are a very handsome woman, an’t you? - მითხარით, იყავით გათხოვილი, პეგოტი? გავიმეორე მე. თქვენ ხომ ძალიან ლამაზი ხართ? (გვ. 36)


აქედან დასკვნა ერთია, ნეიტრალური ლოკუციის დონეზე (ფაქტის ობიექტური აღწერა), როცა მშრალი ფაქტია გადმოსაცემი, ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველების ტაქტიკა თითქმის არ განსხვავდება “It will rain (f) – Will rain (m)” „იწვიმებს“, მაგრამ საგრძნობი განსხვავებები დასტურდება ილოკუციურ (საკომუნიკაციო აქტში მსმენელზე ზეგავლენის მოხდენა ასერციით და სხვა საშუალებებით) და პერლოკუციურ დონეზე (საკომუნიკაციო აქტში მსმენლის რეაქციის მოლოდინი დარწმუნების ტექნიკის გამოყენების შემდგომ), რადგან ორივე დონე შეიცავს გარკვეულ მიზნობრიობას (Intention): როგორცაა, მაგალითად, საკუთარი თავის გამოხატვა ან მოსაუბრეზე შთაბეჭდილების მოხდენა, რასაც ქალი და მამაკაცი მოსაუბრე სხვადასხვა სამეტყველო ტაქტიკის, ენობრივი ერთეულებისა და ფონო-სემანტიკური საშუალებებით ცდილობს. მაგალითად, ქალი პერსონაჟების მეტყველებაში ჭარბობს ისეთი ელემენტები, როგორცაა: „ვფიქრობ“, „ვშიშობ“, „სამწუხაროა“, „ხომ არ გგონიათ“ “I think, I suppose”, “I am afraid”, “Don’t you think so?”, “You think so, do you?” ხოლო მამაკაცი პერსონაჟის მეტყველების მანერაში შეიმჩნევა თავდაჯერებულობა, რაც გამოხატულია ტენდენციით, გამოიყენოს შემდეგი ფრაზები: „დარწმუნებული ვარ“, „მჯერა“, „სავსებით ბუნებრივია“, „ნეტა შემეძლოს“ “I am pretty sure that..”, “I am positive it will happen”, “I wish I could,”.

შინაარსობრივი და იერარქიული დამოკიდებულება საკომუნიკაციო აქტის კატეგორიებს შორის გამოვსახეთ გრაფიკულად დიაგრამა # 4-ის სახით:

დიაგრამა # 4

თქმა	პროპოზიცია	ილოკუცია	პერლოკუცია
	თქმის სპეციალური სახე	პროპოზიცია + ინტენცია	ილოკუცია + შედეგის მოლოდინი

თქმა →
 → თქმის სპეციალური სახე = **პროპოზიცია** →
 → პროპოზიცია + ინტენცია = **ილოკუცია** →
 → ილოკუცია + შედეგის მოლოდინი = **პერლოკუცია**



ჯ. ოსტინისაგან (Austin, 1998) განსხვავებით, ჯ. სერლი (Searle, 1999) ერთმანეთისაგან განასხვავებს (წარმო)თქმასა და პროპოზიციას (შეთავაზებას) (ოსტინის კატეგორიზაციაში გამოყენებულია ლოკუცია, რომელიც ორივეს მოიცავს). წარმოთქმაში განიხილება საკომუნიკაციო აქტი, რომელიც ფიზიკურ-აკუსტიკური სიგნალისაგან შედგება და არ არის აუცილებელი, რომ შინაარსის შემცველი იყოს, განსხვავებით პროპოზიციისგან. მაგალითად, როგორც შორისდებულები “აუ”, “ვა”, “ჰმ”, “ouch”, “wow”, “hmmm” გამოიყენება განცდების გადმოსაცემად – ისინი პროპოზიციული, ანუ კონკრეტული ინფორმაციული შინაარსისაგან დაცლილია, რეფლექსების გამომხატველი ოდენობებია და მათი გამოყენება ინფორმაციის გაცვლა-გადაცემას არ ისახავს მიზნად. ასეთ შემთხვევაში

საკომუნიკაციო აქტის მიზანი არ არის ინტერაქცია, იგი არ არის მსმენელზე ორიენტირებული აქტი. იგი მთქმელის დამოკიდებულების გადმოცემას ისახავს მიზნად და არა ობიექტურ რეალობაში არსებული ფაქტის, მოვლენის ან სიტუაციის აღწერას.

დავაკვირდით, როგორ გამოიყენებენ მსგავს ელემენტებს ქალი და მამაკაცი პერსონაჟები საკომუნიკაციო აქტებში და ორივე ენის ლიტერატურული კორპუსის ანალიზის შედეგად საერთო დასკვნამდე მივედით: ქალთა საკომუნიკაციო აქტებში ლოკუცია და ილოკუცია მიზნად ისახავს საბოლოო შედეგზე გასვლას ანუ კომუნიკაციის დამყარებას მსმენელთან დამატებითი ექსპრესიული საშუალებებით, კითხვითი სიტყვებით, ემოციის გამომწვევი ელემენტებით, მათ შორის, შორისდებულებითა და წინდებულებით, ხოლო მამაკაცი მოსაუბრე იმავე მიზანს აღწევს ასერციის - დარწმუნების გზით, რისთვისაც იყენებს შესაბამის ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც პირდაპირი მნიშვნელობით შეესაბამება დარწმუნებას: „გარწმუნებთ“ – “I assure you”, „დანამდვილებით შემძლია გითხრათ“ – “I am totally sure and can tell you that..”, „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს აუცილებლად მოხდება!“ “Be sure, it will happen!” და სხვა.

როგორც, თითქმის, ყველა სხვა მიგნება ჩვენს კვლევაში, ესეც ტენდენციის ხასიათს ატარებს და ვერც მას მივაკუთვნებთ მყარ უნივერსალიას, თუმცა, რაოდენობრივი ანალიზის შედეგად მიღებული მაჩვენებელი ლიტერატურული კორპუსიდან ამ ტენდენციებს კიდევ უფრო ამყარებს. რა თქმა უნდა, გვხვდება გამონაკლისი შემთხვევები, გამომდინარე კონტექსტიდან, ნაწარმოების ჟანრიდან და პერსონაჟის ადგილიდან ნაწარმოებში. ანუ, შესაძლებელია, რომ პერსონაჟთა მეტყველებაში შეგვხვდეს ქალის მიერ ასერციის/დარწმუნების საშუალებათა გამოყენების შემთხვევები, ისევე როგორც ცალკეული შემთხვევები მამაკაცის მიერ ჰეჯირებისა (კონფლიქტის მოგვარება) და მოდერიების საშუალებათა გამოყენება საკომუნიკაციო აქტებში.

რაოდენობრივმა კვლევამ დაადასტურა, რომ შორისდებულების გამოყენების სიხშირე და მრავალფეროვნება საკომუნიკაციო აქტებში უფრო ქალი პერსონაჟთა პრეროგატივაა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მამაკაცი პერსონაჟები საერთოდ არ იყენებენ

შორისდებულებს. რაოდენობრივი კვლევით დადასტურდა, რომ შორისდებულები სხვა ელემენტებთან შედარებით, წინადადებაში ხშირად იკარგება, იცვლება (ძლიერდება ან სუსტდება) თარგმანის დროს. ამან ცოტა გაართულა კონტრასტული რაოდენობრივი შედარება, თუმცა, შემდეგ ცხრილში მოცემული მაგალითები ტენდენციის მართებულობას სრულყოფილად ასახავს:

ცხრილი # 4 - შორისდებულების გამოყენების გენდერული მაჩვენებელი

	ქალი პერსონაჟი	მამაკაცი პერსონაჟი
ქართული ორიგინალი	მაშ, წამოიღებ? ჰკითხა თინამ აჰ, ერთი, ამას დამიხედეთ! - თქვა დედამ (ინანიშვილი, რ. 1986:45) (შორისდებული გამოყენებულია მთელს კრებულში 119 ჯერ)	შორისდებული გამოყენებულია 7 ჯერ
ინგლისური თარგმანი	Oh look at her!- said mom	
ქართული თარგმანი	აჰ დევი! მითხრა დედამ წყენით აჰ რას მბობთ! შესძახა დედამ	ჩემო ბიჭო! მითხრა ჯენტლმენმა
ინგლისური ორიგინალი	Oh Davy! Remonstrated my mother Ohh, why do you say that ? –cried mothers (შორისდებული გამოყენებულია 47)	Dear Boy! said the gentleman (Dickens, 2004)

იმდენად, რამდენადაც პროპოზიზია ჯ. სერლის საკომუნიკაციო აქტის თეორიის მიხედვით (Theory of speech act) წარმოადგენს “საკომუნიკაციო აქტის შინაარსს, რომელიც მიემართება/ასახავს რეალურ სამყაროს – რეალურ ან წარმოსახვით ობიექტს (ფაქტს, მოვლენას, პროცესს)” (Serlie, J. 1999), პროპოზიციები შეიძლება გადმოიცეს მარტივად, ერთი სიტყვის მეშვეობით, მაგალითად: (1) “იწვიმებს” - “It

will rain”) ან რთული სინტაქსური კონსტრუქციით: (2) “ხვალ იწვიმებს” – “It will rain tomorrow”; (3) “ხვალ ძლიერ იწვიმებს” – “It will rain hard tomorrow”; (4) “ამინდის ბიურომ გადმოსცა, რომ ხვალ ძლიერ იწვიმებს” “the weather forecast says, it will rain tomorrow” და ა.შ.


შესწავლილი კორპუსის მიხედვით ამ კატეგორიაშიც საინტერესო ტენდენციები იკვეთება გენდერულ ჭრილში, კერძოდ, ქალი პერსონაჟები უფრო მეტად მიმართავენ აზრის ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების გადმოსაცემად დესკრიფციულ, საფუძვლიან და დამატებითი ინფორმაციის შემცველ კონსტრუქციებს, ვიდრე მამაკაცი მოსაუბრეები: ანუ (1) და (2) ტიპის კონსტრუქცია უმეტესად ახასიათებს მამაკაც პერსონაჟებს, ხოლო (3) და (4) ქალ პერსონაჟებს რაც ჩვენ მიერ შესწავლილ შემთხვევათა 80% -ში მართებული აღმოჩნდა.

პროპოზიციულ საკომუნიკაციო აქტს, შესაძლოა, ახლდეს სპეციფიკაცია. ამგვარი საკომუნიკაციო აქტის შინაარსი არა მარტო აღწერს ობიექტურ სამყაროში არსებულ ფაქტს, მოვლენას, პროცესს, არამედ მთქმელის პოზიციას მასთან (ფაქტთან, მოვლენასთან, პროცესთან) მიმართებით. (იხილეთ დიაგრამა # 5).

დიაგრამა # 5

<i>თქმა</i>	<i>პროპოზიცია</i>	<i>ილოკუცია</i>
	თქმის სპეციალური სახე	პროპოზიცია + ინტენცია

ანუ



როგორც აღვნიშნეთ, ილოკუციის შემთხვევაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ილოკუციის გადმოცემის ექსპლიციტურ (შედარებით ძლიერ) და იმპლიციტურ (შედარებით სუსტ) შემთხვევებს, რაც სქესთა შორის კომუნიკაციაში იცვლება იმის მიხედვით, თუ ვინ მონაწილეობს ლოკუციის განხორციელებაში, რა ურთიერთობაში იმყოფებიან კომუნიკაციის წევრები ერთმანეთთან, შერეული გენდერული ჯგუფია თუ ჰომოგენური, ქალი მიმართავს ერთ ქალს, ქალთა ჯგუფს, ერთ მამაკაცს,

მამაკაცთა ჯგუფს თუ პირიქით, მამაკაცი მიმართავს ერთ მამაკაცს, მამაკაცთა ჯგუფს, ერთ ქალს თუ ქალთა ჯგუფს. ვთანხმდებით, რომ საკომუნიკაციო აქტი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ილოკუციური აქტი მაშინაც კი, როდესაც იგი ექსპლიციტურად არ არის გადმოცემული წინადადებაში. გავანალიზოთ წინადადება „ძალიან დავიღალე“ - “I am too tired”.

მოცემულ წინადადებას შეგვიძლია განსხვავებული ინტერპრეტაციები მივანიჭოთ, იმის მიხედვით, თუ როგორია მთქმელის ინტენცია, ვინ არიან კომუნიკაციის მონაწილეები და რისი გადმოცემა სურს მთქმელს. მთქმელის განზრახვის დასადგენად განვიხილეთ პროპოზიცია „ძალიან დავიღალე“ ოთხი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით: კონტექსტი, განზრახვა, მნიშვნელობა და აქტის სახე და თითოეულს სხვადასხვა კონტექსტი შევურჩიეთ. შედეგად მივიღეთ, რომ პროპოზიციამ: „ძალიან დავიღალე“ სემანტიკურად 12 სხვადასხვა მნიშვნელობა გადმოსცა.

ცხრილი # 5

კონტექსტი	განზრახვა	მნიშვნელობა	აქტის სახე
მეგობარი მეკითხება, თავს როგორ ვგრძნობ სამუშაო დღის შემდეგ	დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა	დადებითი ვარ	ფაქტის კონსტატაცია
კოლეგა, რომელიც არ მესიმპატიურება, მთავაზობს საღამო ერთად გავატაროთ	უარის თქმა	არ მსურს მასთან ერთად საღამოს გატარება	გადაწყვეტილების მიღება
უკვე ერთი საათია ფეხბურთის მატჩს ვუყურებთ მე და ჩემი მეუღლე ტელევიზორში	სიტუაციის გამოცვლა	მინდა, რომ ტელევიზორი სხვა პროგრამაზე გადავართო	სურვილი
გვიანია და ბავშვებს უნდათ, რომ გავაგრძელოთ თამაში	ბავშვების დასაძინებლად გაგზავნა	დასაძინებლად წადით	განკარგულება

იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზანს ემსახურება მთქმელის მიერ წარმოთქმული ფრაზა, ილოკუციური აქტის ხუთი ქვეტიპი შეიძლება გამოიყოს:

(და)მადასტურებელი ილოკუცია (assertive illocution) – მისი მიზანია საკომუნიკაციო აქტში მონაწილე აქტიორ(ებ)ის დაჯერება, დარწმუნება რეალობის სხვადასხვა ხარისხის გათვალისწინებით. მაგ.:

- „აღმოჩნდა, რომ“ ...-It looks like
- „გაირკვა, რომ“ - We found out

- „როგორც დადასტურდა“ ...As proved

დირექტიული ილოკუცია (directive illocution) – საკომუნიკაციო აქტის მიზანია მსმენელის გააქტიურება, მოქმედების გამოწვევა. მაგ.:

- „გთხოვთ“ ...- I plead you
- „გეკითხებით“ ... I ask you
- „მიპასუხეთ“ ...Answer me
- „გიბრძანებთ“ ...I order

ვალდებულებითი ილოკუცია (obligatory illocution) – მთქმელი ვალდებულებას იღებს, მომავალში განახორციელოს რაიმე ტიპის ქმედება. ამ აქტს ახლავს მთქმელის მხრიდან თავისუფალი ნება.

- „ვფიცავ“ ...I swear
- „გპირდები“ ...I promise
- გარანტიას გაძლევთ, ...I guarantee
- პირობას ვდებ, ...I give you my word

ექსპრესიული ილოკუცია (expressive illocution) – მთქმელი გამოხატავს თავის ემოციურ დამოკიდებულებას პროპოზიციისადმი (მადლიერება, მილოცვა, ბოდიშის მოხდა, თანაგრძნობის გამოხატვა, მისამძიმრება). მაგ.:

- გმადლობთ, რომ ... / მადლიერება მინდა გამოვხატო ...Need to express my gratitude
- გილოცავთ ...Congratulations
- ბოდიში, რომ ...I apologize for
- უკაცრავად, ...Excuse me
- ვწუხვარ ...I am sorry to

მტკიცებითი ილოკუცია (declarative illocution) – საკომუნიკაციო აქტი დეკლარირების გადმოსაცემად (განცხადების გაკეთება, სხდომის გახსნა, ოფიციალური წერილის დასაწყისი, იურიდიული ხელშეკრულების ფორმულები და ა.შ.)

- ვაცხადებ, რომ ...I declare
- სხდომა/ფესტივალი/კონკურსი გახსნილად ცხადდება! The meeting is open
- ვიწყებთ კლასიკური მუსიკის კონცერტს! – We start the concert

- განაჩენი მიღებულია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. – The
- თავს ვალდებულად ვთვლი, გაცნობოთ, რომ ...I feel responsible to notify you
- ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ...Hereby confirming with our signature

პერლოკუციის ფორმები, განსხვავებით ილოკუციის ფორმებისაგან, უკავშირდება მთქმელის მოლოდინებს მსმენელის რეაქციასთან მიმართებით. საანალიზო წყაროებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ პერლოკუციის გამოყენების გენდერული ასპექტი თანამიმდევრულია ქართულში და ინგლისურში, ანუ მამაკაცი და ქალი მოსაუბრე ერთნაირად იყენებს მას.

1. **მადასტურებელი პერლოკუციის (Assertive Illocution)** შემთხვევაში მთქმელი ელოდება, რომ მას დაუჯერებენ. მაგალითად: ორივე სქესთან გვხდება: ა) **ექსპლიციტურად გამოხატული პერლოკუცია** გადმოცემული **ხომ ან მაშ** ნაწილაკით, რასაც ინგლისურში ე.წ. კუდიანი კითხვა შეესაბამება “Tag Question” - (isn't it? aren't you? Will you? etc) ან დადასტურების შორისდებულებით- “Right?” - “ასე არ არის?”, „საბოლოოდ **ხომ** დადასტურდა თვითმხილველთა მიერ, რომ“...“ It was finally confirmed by the witness that, .. wasn't it ?” თუ ამას შევადარებთ ილოკუციურად გადმოცემულ ფაქტს წინადადებაში: „თვითმხილველთა მიერ დადასტურდა, რომ...“, „**მაშ** რა გეგონათ?“ „როგორ იფიქრეთ, რომ .../ ნუთუ გჯეროდათ, რომ ...“ - What did you think? How could you think, thatDid you actually believe that და ბ) **იმპლიციტურად გამოხატული პერლოკუცია**: „სხვა რამეს ელოდით?!“ What else did you expect? What did you anticipate? „ეს (ხომ) მოსალოდნელი იყო, რომ ...“ - It was pretty much anticipated“

2. **დირექტიული პერლოკუციის (Directive Perlocution)** შემთხვევაში მთქმელი ელოდება, რომ შესრულდება მის მიერ გაცემული განკარგულება, რომელიც ასევე ორივე სქესის მეტყველებას ახასიათებს თითქმის თანაბრად, კერძოდ: ა) **ექსპლიციტურად გამოხატული პერლოკუცია**, რომელიც გადმოცემულია მოდალური ფრაზით „**ყოველი მიზეზის გარეშე**“ და მოდალური ნაწილაკით „**უნდა**“ მაგალითად, „ყოველი მიზეზის გარეშე **უნდა** მომიტანოთ გამოკვლევის შედეგები“, და ბ) **იმპლიციტურად გამოხატული პერლოკუცია** გადმოცემული კითხვითი წინადადებით: „**მომიტანენ გამოკვლევის შედეგებს?**“, პერიფრაზი: „მე ველოდები,

რომ ბოლოს და ბოლოს მომიტანენ გამოკვლევის შედეგებს“, შედარებისთვის ილოკუციურად გადმოცემული განკარგულება: „მომიტანეთ გამოკვლევის შედეგები!“ ან ექსპლიციტური პერლოკუცია (შესაფერისი ინტონაციით წარმოთქმული): „იქნებ მომიტანონ შედეგები!“

3. ვალდებულებითი პერლოკუციის შემთხვევაში მთქმელი ელოდება, რომ მისგან მოელიან აღებული ვალდებულების შესრულებას: „მერწმუნეთ, არ დაგაღალატებთ“ – Trust me I will not let you down”.

4. ექსპრესიული პერლოკუციის, მაგალითად, ქების შემთხვევაში მთქმელი ელოდება, რომ გაუხარდება მას, ვისაც აქებენ. ორივე სქესის პერსონაჟებთან თანაბრად დაკავშირებული ორივე ტიპის: ა) ექსპლიციტურად გადმოცემული პერლოკუცია: „თქვენ ხომ არაჩვეულებრივად ქარგავთ!“ “You do have great knitting skills!” და ბ) იმპლიციტურად გადმოცემული პერლოკუცია: „არაჩვეულებრივი ნახატია!“ – “It’s a great piece of painting”

5. დეკლარაციული პერლოკუციის (Declarative Perlocution) შემთხვევაში, მაგალითად, სხდომის გახსნის დროს, მთქმელი ელოდება, რომ კომუნიკატორები (საკომუნიკაციო აქტის მონაწილე აქტიორები, ანუ სხდომის წევრები) შესაბამისად მოიქცევიან – გამორთავენ მობილურ ტელეფონებს, გადაშლიან სხდომის მასალებს და მოემზადებიან სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. აქაც გენდერულად ნეიტრალური კომუნიკაცია გვაქვს და მას თანაბარი რაოდენობით და სიხშირით მიმართავენ ქალი და მამაკაცი მოსაუბრეები, საკუთარი როლიდან გამომდინარე. ა) ექსპლიციტურად გამოხატული პერლოკუცია: „ყურადღება, სხდომას გახსნილად ვაცხადებ!“- “I declare the meeting open” „ჩუ, ბავშვს სძინავს!“ – “Please be quiet, the child is sleeping” • „ფრთხილად, კარები იკეტება!“ - “Be careful, the door is closing”.ბ) იმპლიციტურად გამოხატული პერლოკუცია: „ეზოში ავი ძაღლია!“ – “There is a dog in the yard, Danger!”

საკომუნიკაციო აქტი, როგორც წესი, პერლოკუციურ აქტს წარმოადგენს. მთქმელის მოტივაცია საკომუნიკაციო აქტში არა მარტო ფაქტების, მოვლენებისა და პროცესის აღწერა-კონსტატაციაა, არამედ საკუთარი სუბიექტური დამოკიდებულების გამოყენებით საკომუნიკაციო აქტის

მონაწილეებზე(კომუნიკატორებზე) გავლენის მოხდენა, მათი ქცევის გააქტიურება, რაც, რიგ შემთხვევებში იდენტურია და რიგ შემთხვევებში განსხვავებული ქალი და მამაკაცი მოსაუბრის სქესიდან გამომდინარე.

საკომუნიკაციო აქტებზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით საკომუნიკაციო აქტსა და კომუნიკაციის სიტუაციურ ასპექტს შორის არსებულ კავშირს. ორივე საანალიზო ენაში არსებული სიტყვების მარაგი არის განსახიერება იმ განსხვავებებისა, რაც ადამიანმა საჭიროდ ჩათვალა, გამოევიდნა მის ირგვლივ მყოფი სამყაროს შემადგენელი ნაწილების აღნიშვნისა და მარკირებისთვის, აგრეთვე, აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის დამყარებული კავშირების წესების და ძირითადი პატერნების (კანონზომიერების) ჩამოყალიბების მიზნით. “რადგან ამ სისტემამ საუკუნეებს გაუძლო, ეს ნიშნავს, რომ ენის განვითარებას არ ამოუწურავს საკუთარი თავი და მე და თქვენ კიდევ ბევრი ალტერნატიული მეთოდი შეგვიძლია მოვიგონოთ, ისე რომ სავარძლიდანაც არ ავგდეთ ” (Austin, 1961: 182).

საკომუნიკაციო აქტების თეორიის პრაქტიკული გამოხატულება შემდეგში მდგომარეობს: როცა გვესმის სიტყვა «I» “მე” ეს ნიშნავს, რომ მოსაუბრე პირი საკუთარ თავზე მიგვითითებს, ხოლო სიტყვა “Now” ”ახლა” აღნიშნავს, რომ მეტყველების მომენტი არის აწმყო. თუ ჩვენ გვესმის წინადადება “I name this ship the Queen Elizabeth” „მე ამ გემს ვუწოდებ „დედოფალ ელიზაბეტს“ ეს ნიშნავს, რომ საკომუნიკაციო სიტუაცია აწმყოა და მთქმელსა და მსმენელს შორის კომუნიკაციის მიზანია ნომინირება და იგი განსხვავდება სხვა სამეტყველო სიტუაციებისაგან. ოსტინის სამეტყველო აქტის თეორიის თანახმად, წინადადების წარმომთქმელი ცდილობს, მსმენელს მიუთითოს კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაზე. რამდენად წარმატებით ან წარუმატებლად ახერხებს ამას, დამოკიდებულია ლოკუციის მონაწილეთა პერცეფციაზე, მათ სუბიექტურ აღქმაზე და იმ ელემენტებზე, რომლებსაც ოსტინი უწოდებს “facility condition”, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც „წინაპირობა“. თავისი მნიშვნელობით იგი ახლოსაა პრესუპოზიციასთან და ეხმარება ან ხელს უშლის გადმოცემული ინფორმაციის აღქმასა და ათვისებას. გენდერულ კომუნიკაციაში სამეტყველო აქტის თეორიის ეს ნაწილი, ანუ, პრესუპოზიცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რათა შედგეს კომუნიკაცია ორ

საპირისპირო სქესს შორის, რომელსაც ხშირად ორ განსხვავებულ კულტურას შორის კომუნიკაციასაც უწოდებენ. პრესუპოზიციის გარდა ოსტინი (Austin, J. 1961: 182) თვლის, რომ წარმატებული კომუნიკაციის გარანტი, შეიძლება იყოს კონვენციურობა (კონკრეტული ლინგვისტური ერთეულის გავრცელებული გამოყენება), აქტუალობა ანუ კონკრეტული ქცევები და საპასუხო რეაქციები მოყვანილი მოქმედებაში, და ინტენციის ასპექტი (სამეტყველო აქტის მიზანი). „თუ ოთხივე ელემენტი წარმატებით თანაარსებობს, მაშინ სახეზე გვაქვს შემდგარი კომუნიკაცია“ (Austin, 1961: 184). ერთი რომელიმე პირობის დარღვევამ ან არ არსებობამ, შეიძლება გამოიწვიოს მისინვოკაცია (“misinvocations”) ანუ კომუნიკაციის დარღვევა, რასაც შედეგად მოყვება არასათანადო რეაგირება და საკომუნიკაციო აქტის ჩავარდნა. იმისათვის, რომ მსგავსი რამ თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია, არსებობდეს წინაპირობა (facility condition - ხელსაყრელი გარემოება), რომელიც გასაგები იქნება როგორც მოსაუბრის, ასევე, მსმენელისათვის. მაგალითად შემდეგი ფრაზა “I divorce you, I divorce you, I divorce you” - “გმორდები! გმორდები! გმორდები!” სწორად იქნება აღქმული და სათანადო რეაგირების მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს მთქმელს, თუ სამეტყველო აქტის მონაწილეები არიან მუსლიმები - (მეტყველების სიტუაცია), ესმით განქორწინების ტრადიციის შინაარსი (პრესუპოზიცია) და მოქმედებენ შესაბამის კონტექსტში (კონტექსტი). მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგება კონვენციური შედეგი განქორწინების სახით.

მსგავს საკომუნიკაციო სიტუაციაში მნიშვნელოვანი ფაქტორია წინადადების წარმოთქმის **ინტონაცია** და **ექსპრესია**. მაგალითად, შესაბამისი ინტონაციით წარმოთქმული: “I divorce you, I divorce you, I divorce you” - “გმორდები! გმორდები! გმორდები!”, დასრულდება შესაბამისი აქტით (აკრძალვა ან სხვა ქმედება) მეტყველების მხოლოდ ისეთ გარემოებაში, სადაც მოსაუბრე და მსმენელი იზიარებენ ლინგვისტურ კონვენციას. მოსალოდნელი ქმედებისგან თავის შეკავება, შეიძლება, გახდეს კრიტიკის საგანი, ხოლო პიროვნება, რომელიც არ დაემორჩილება ამ აკრძალვას, საჯაროდ იქნება შერცხვენილი თავისი მოვალეობების არ შესრულების გამო. ამის მსგავსია ფრაზა: “telling someone off” = scolding „გამათრახება“, „გამევება“ იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს მსგავსი ქმედების მანდატი, დასრულდება

კონვენციური შედეგით, განსხვავებით იმ სიტუაციისაგან, როცა არაშესაბამისი მანდატის და ძალაუფლების მქონე პირი გამოხატავს კრიტიკას, ბრალდებას ან ბრძანებას, რომელიც უშედეგოდ შეიძლება დასრულდეს.

1. "I reprimand you for your negligence."
2. "I baptize thee in the name of Father, Son, and Holy Spirit."
3. "I order you to release the prisoners."
4. "I welcome you"
5. "I promise to support you."

მსმენელის რეაქცია, კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს "Yes, Sir" ან ნულოვანი რეაგირება იმ შემთხვევაში, თუ წარმოთქმულ წინადადებას ერთი ან რამდენიმე კომპონენტი სამეტყველო აქტების თეორიიდან აკლია: **სიტუაცია, პრესუპოზიცია, კონტექსტი და კონვენცია.**

ყველა ზემოხსენებული მაგალითის ქართული და ინგლისური ვერსიების შედარების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენის სხვადასხვა ფუნქცია, ერთგვარად რეალიზდება ქართულ და ინგლისურ ტექსტებში, გენდერული ასპექტიც პირდაპირპროპორციულად აისახება თარგმანში, განსხვავებებს ვხვდებით, მხოლოდ ფონო-სემანტიკურ და ზოგჯერ ლექსიკურ დონეზე, რაც ენათა შორის არსებული სტრუქტურული განსხვავებულობით აიხსნება. ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი, შედარებითი და ფაქტობრივი ანალიზი. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალი და მამაკაცი პერსონაჟები ენის სხვადასხვა ფუნქციას განსხვავებული ინტენციით იყენებენ, რაც გამოიხატება მათ მიერ ისეთი ენობრივი ერთეულების განსხვავებულ გამოყენებაში, როგორცაა ლოკუციის, ილოკუციისა და პერლოკუციის გამომხატველი საშუალებები. მაგალითად, ქალი პერსონაჟები უფრო აქტიურად იყენებენ შორისდებულებს და ილოკუციის აქტიურ მომხმარებლებად გვევლინებიან დიალოგში, ხოლო, მამაკაცი მოსაუბრეები მეტწილად მიმართავენ პერლოკუციის სხვადასხვა ფორმას: **განკარგულებით, ექსპრესიულ დეკლარაციულ პერლოკუციას** თანამოსაუბრის დარწმუნების მიზნით, თუმცა, კომუნიკაციური აქტის ეფექტურობას განაპირობებს, არა იმდენად ძლიერი ექსპრესიული საშუალებები, არამედ მათი სწორად გამოყენება სამიზნე ჯგუფთან.

ენის ფუნქციის შემადგენელ ელემენტთა თარგმანის საკითხიც არაერთგვაროვანია და მას დიდწილად განაპირობებს ქართულ და ინგლისურ ენებს შორის სტრუქტურული განსხვავება.

2.1.2 გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ქართულ და ინგლისურენოვან ნაწარმოებთა სათაურებსა და მათ თარგმანებში

ანთროპონიმების საკითხი სათაურებსა და ნაწარმოებებში ტექსტის გენდერული ანალიზის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. როგორც ქალ, ასევე, მამაკაც ავტორებთან ვხვდებით ისეთ სათაურებს, რომლებშიც ფიგურირებს საკუთარი სახელი ან მისი სახელი გამოყენებული არის სათაურად. ნიმუშისთვის, იხილეთ ქვემოთ მოცემული ანთროპონიმების შემცველ ნაწარმოებთა სათაურების ცხრილი.

ცხრილი #6 - ანთროპონიმები სათაურებში

	Male - კაცი	Female - ქალი
Georgian ქართული	„დარისპანის გასაჭირი“ - დავით კლდიაშვილი	„მაგდანას ლურჯა“ - ეკატერინე გაბაშვილი
English ინგლისური	“Hamlet –Prince of Denmark” – William Shakespeare King Lear – Willian Shakespeare “The Hacklebry Fin and Other Stories” – Emily Dickinson “The Notorious Jumping frog of Canaveras” - Mark Twaine	“Emma” – Sharlota Bronte “Jane Ayre” – Sharlota Bronte ”Editha” William Dinn “My Anthonia” Willa Cather “Madonna Of the Evening Flowers”

	<p>“How Mr. Rabbit was Too Sharp for Mr. Fox” Joel Chandler Harris “The Goopheerd Grapevine” – Charles W. Chestnut</p>	<p>Amy Lawel “Alice in Wonderland” – Lewis Carrol</p>
--	--	--

როგორც ვხედავთ, სათაურებში გამოყენებული ანთროპონიმები ძირითადად მარტივფუძიანი სახელებია, რომლებიც სახელობით (Nominative) ან ზოგ შემთხვევაში კუთვნილებითი (Possessive) ბრუნვის ფორმით გვხვდება - უმეტესად ქართულში. სათაურების თარგმანი შემთხვევათა უმეტეს ნაწილში პირდაპირია და ბრუნვაც ზუსტად ითარგმნება, როგორც ორიგინალი ინგლისურენოვანი ნაწარმოებიდან ქართულად, ასევე, ქართულიდან ინგლისურად თარგმნის დროს. გვაქვს ისეთი გამონაკლისებისა, როგორცაა: “ჯინსების თაობა” თარგმანში - “Flight from the USSR”, რაც შინაარსობრივ თარგმანს წარმოადგენს და მასში მოხსენიებული გეოგრაფიული ანთროპონიმის აბრევიატურა საერთოდ არ ითარგმნა. ბევრი ავტორი სათაურად გმირის გვარს, ან სახელს და გვარს ერთდროულად იყენებს და ეს ტენდენცია თარგმანში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: მაგალითად, The Forsyte Saga - ითარგმნა როგორც “ფორსაიტების საგა”. მიუხედავად, იმისა, რომ ორიგინალში გვარი ფორსაიტი მხოლოებითის ფორმითაა (The Forsyte და არა Forsytes’), რამდენადაც იგი აღნიშნავს მთელ ოჯახს, გნებავთ კლანს ერთ დიდ გვარს, რომლის თაობათა ისტორიას მოგვითხრობს გოლზუორთი თავის ტრილოგიაში და ქართულად მრავლობითის ფორმით გადმოითარგმნა.

პირის აღმნიშვნელ სახელთა ძირითადი ნიშანი არის ის, რომ ისინი, მსგავსად სახელისა, ექვემდებარება ენაში არსებულ მორფოლოგიურ ნორმებს, მაგრამ ვერ აწარმოებენ მრავლობით ფორმას, რაც ქართულისა და ინგლისურისთვის იზომორფიზმს წარმოადგენს. ასევე იზომორფიზმია საკუთარი სახელის მრავლობითში გამოყენების სემანტიკურ-ექსპრესიული ხერხი, როცა ავტორი ცდილობს კონკრეტული ადამიანის ტიპაჟის განზოგადებას მისი მრავლობით რიცხვში მოხსენიების გზით: მაგალითად: “He saw Jolions in each and every old man passing by in the park” - “პარკში მოსიარულეებს შორისაც კი ჯოლიონები

ელანდებოდა, ყველა გამვლელ მოხუცში თავის ბებერ პაპას ხედავდა”. პირის სახელთა ერთი სპეციფიური ნიშანი მისი კნინობით-ალერსობითი ფორმით გამოხატვას, რაც პირდაპირ უკავშირდება ანთროპონიმთა მთავარ ფუნქციას - “მიმართვა-დამახების დანიშნულებას” (კობახიძე, 2016: 13). ეს გავლენას ახდენს პირის სახელთა მორფოლოგიურ სტრუქტურაზე, მაგრამ ნაწარმოებთა სათაურებში მსგავს ვარიაციებს თითქმის ვერ ვხვდებით და როგორც აღვნიშნეთ, იგი ძირითადად მარტივი ფორმით: ნომინატივსა და გენტივშია წარმოდგენილი. მორფოლოგიური შედგენილობის მიხედვით, ქართულშიც და ინგლისურშიც გამოიყოფა ანთროპონიმთა სამი ჯგუფი: **მარტივი (ძირეული)** - ირინე, თეო, კატო, ლაშა, ბექა, აკაკი, ბადრი, Irene, Joshua, David, Derryn, **წარმოქმნილი**: ანგელინა, აგრაფინა, ანტონინა, ფიქრია, ვაჟიკა, მგელიკა, Oscar, Friday, Tuesday, და **შეერთებული**: ვარდისახარი, ანა-მარია, ლაშა-გიორგი, გულნაზი, გულთამზე, თუმცა ბოლო ორი ჯგუფი, თავის მხრივ, ქვეჯგუფებად ცალკევდება ორივე საანალიზო ენაში, გამოიყოფა ხმოვან და თანხმოვანფუძიანი სახელები, ხოლო შეერთებულ სახელებში გვხვდება ისეთი დამოკიდებულება, როგორცაა, მაგალითად მსაზღვრელ-საზღვრულსა და საზრღვრულ-მსაზღვრელს შორის. ეს უკანასკნელი უფრო ქართული ანთროპონიმებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა, ინგლისურენოვან სამეცნიერო-ფანტასტიკის და ფენტესის ჟანრის ნაწარმოებებში, მაგალითად, ჯ. როულინგის “ჰარი პოტერი” უხვად ვხვდებით ისეთ წარმოქმნილ სახელებს, რომლებიც პერსონაჟის თვისებებსა და მის ხასიათს აღწერს: მაგალითად ბათშედა ბაბლინგი - Bathsheda Babbling - რუნულის მასწავლებელი, რომლის სახელიც მის რთულ პროფესიას უკავშირდება, ბატილდა ბაგშოტი მაგიის ისტორიის წიგნის ავტორი - Batilda Bagshot და სხვა. ჟანრის თავისებურებიდან გამომდინარე, „ჰარი პოტერი“ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ჟანრის ნაწარმოებები, მაგალითად, სოციალური რომანი ან ნოველა, შეიცავს ანთროპონიმების ასეთ მრავალფეროვან სპექტრს და თითქმის უკლებლივ ყველა გარკვეულ შინაარსობრივ დატვირთვას ატარებს. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება ზღაპრებში და სხვა მხატვრულ ტექსტებში, სადაც გმირის სახელი პერსონაჟის ხასიათს, სოციალურ კლასს ან პროფესიას უკავშირდება პირდაპირ თუ ირიბად: მაგალითად მოხუცი ჯოლიონი, პაპიდა ენი, აირინი, ბოსინი -

ყველა ეს სახელი ისე ბუნებრივად ერწყმის გმირის ხასიათს, რომ მკითხველისთვის წარმოუდგენელია მათ სხვა სახელი ჰქონდეთ მინიჭებული. ხსენებული მოვლენა სუბიექტურ აღქმასაც შეიძლება დავუკავშიროთ და იმ ფაქტსაც, რომ ეს სახელები უკვე გამჯდარია ჩვენს წარმოდგენაში, თუმცა იკვეთება, რომ ანთროპონიმთა საკითხი დამოუკიდებელი კვლევის საგანია. რადგან ჩვენი კვლევის ობიექტი პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ანალიზია, ამიტომ შემოვიფარგლეთ ზოგიერთ ანთროპონიმთა ეტიმოლოგიის და მნიშვნელობის ანალიზით და შევქმნით სპეციალური განმარტებების ცხრილი, რომელიც წინამდებარე დისერტაციას ერთვის დანართის სახი: **დანართი # 1 ანთროპონიმების განმარტებები.**

ანთროპონიმთა ანალიზმა და ლინგვოკულტუროლოგიურმა შედარებამ გამოავლინა შემდეგი უნივერსალური წესი: ინგლისური საკუთარი სახელები, მიუხედავად იმისა, ფუძემოვნიანია თუ ფუძეთანხმოვნიანი, ქართულ თარგმანში აუცილებლად დაიმატებს სახელობითი ბრუნვის დაბოლოებას -„ი“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი გვართან ერთად არის მოხსენიებული: მაგალითად Sairus - საირუს - ი, Nigelus - ნიგელუს - ი; Black - ბლექ - ი; ხოლო ერთად წარმოითქმის ქართულად - საირუს ნიგელუს ბლექი.

სათაური სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრით ტექსტის მაინტეგრირებელი ელემენტია, რომელიც ტექსტის კონცეპტს გამოხატავს. საკამათო არ არის, რომ ავტორისთვის ნაწარმოების სათაური ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საკითხია ექსპრესიის თვალსაზრისით, თუმცა, აქ მრავალფეროვანი არჩევანის და რთული ლინგვისტურის კომბინაციების ან სტრუქტურული განლაგების დიდი სივრცე არ არის. ყველაზე მძლავრი და კრეატიული სათაურიც კი საბოლოოდ დაიყვანება ისეთ მარტივ უნივერსალიამდე, რომელზეც აღწერილი გვაქვს ქვემოთ და სადაც წარმოვადგინეთ დასკვნები ჩვენ მიერ შესწავლილი ანთოლოგიებში მოცემულ ნაწარმოებთა სათაურებზე დაყრდნობით.

John Grisham

- The Litigators (2011)- „ადვოკატი“
- The Rainmaker, (2012) – „წვიმის ღმერთი“
- The Runaway Jury (2008)- „გაქცეული მოსამართლე“

Tim Weaver

- Vanished (2012) – „გაუჩინარება“

Anita Shreve

- The Pilot's Wife (2011) – „მფრინავის ცოლი“

Joyce Carol Oats

- The Gravediggers Daughter – „მესაფლავის ქალიშვილი“
- Them (1969) – „ისინი“
- What I Lived For (1994) – „ჩემი ცხოვრების მიზანი“
- Blonde (2000) - ქერათმიანი ქალი,

Charles Dickens

- Oliver Twist (1837-39) - ოლივერ ტვისტი
- Nicholas Nickleby (1838-39) - ნიკოლას ნიკლბი
- The Old Curiosity Shop (1840-41) - ანტიკვარული მაღაზია
- Barnaby Rudge (1841) ბარბაზი რუჯი
- Martin Chuzzlewit (1843) - მარტინ შაზელვიტი
- Dombey and Son (1846-48) - დომბი და შვილი
- David Copperfield (1849-50) - დევიდ კოპერფილდი
- Bleak House (1851-53) - ბლეიქის სახლი
- Hard Times (1854) - მძიმე დროება
- Little Dorrit (1855-57) - პატარა დოროთი
- A Tale of Two Cities (1859) - ორი ქალაქის ისტორია
- Great Expectations (1860-61) - დიდი მოლოდინი
- Our Mutual Friend (1864-65) - ჩვენი საერთო მეგობარი
- The Mystery of Edwin Drood (1869-70, დაუსრულებელი რომანი) - ედვინ დრუდის საიდუმლო

Lewis Carrol - Charles Dogson

- Alice's Adventures in Wonderland (1865)- ალისა საოცრებათა ქვეყანაში
- Through the Looking Glass (1872) - სარკის მიღმა
- Phantasmagoria (1869) ფანტასმაგორია
- The Hunting of the Snark (1876) - სნარკის ნადირობა
- A Tangled Tale (1885) მოღუნული კუდი
- Sylvie and Bruno (1889) სილვია და ბრუნო

ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია ჩვენ მიერ შესწავლილი მხატვრული ტექსტების სათაურებისა და უნდა ითქვას, რომ ნაწილიც კი საკმარისი აღმოჩნდა გამოგვეკვითა ძირითადი ტენდენციები და გაგვეკეთებინა დასკვნები:

1. ნაწარმოებების სათაურებში ჭარბობს მამაკაცთა სახელები - გამონაკლისებს წარმოადგენენ ქალი ავტორები (მაგალითად ოსტინი, ბრონტეები) თუმცა, ისინი ცნობილ მწერალთა სიის 2% - საც არ ქმნიან.
2. როცა სათაურში ქალის სახელია გამოყენებული, იგი უმეტესად შედგენილი წინადადების ნაწილს წარმოადგენს და მოხსენიებულია, როგორც ვინმეს ქალიშვილი, ცოლი ან იკვეთება გარკვეული ტიპის დამოკიდებულება რომელიმე მამაკაც პერსონაჟთან. "The Gravediggers Daughter" (მესაფლავის ქალიშვილი), "The Pilot's Wife" – (მფრინავის ცოლი), "Captain's Daughter" – (კაპიტნის ქალიშვილი) არსებობს .
3. ისეთ სათაურებში, სადაც ქალი და მამაკაცი პერსონაჟის სახელი ფიგურირებს სქესების რიგითობა რაიმე წესს არ ემორჩილება, თუმცა შესწავლილ შემთხვევათა უმრავლესობაში "ქალი - კაცი" - (1) წყობა აღემატება რაოდენობრივად "კაცი - ქალი" - (2) წყობას, რომელსაც მამაკაცური სქესის უპირატესობის კანონსაც ვეძახით და ანდროცენტრული თეორიის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. ჩვენ მიერ შესწავლილ ანთოლოგიებში იკვეთება, რომ ვარიანტი (2) გვხვდება 10 შემთხვევიდან თითქმის 6 -ში: "Romeo and Julliet", "Troilus and Cressida", "Antonio and Cleopatra" (Shakespeare, 1856), "Snowwhite and Seven Dwarfs", "Women and Men" (Melroy, 1987).

4. სათაურებში გამოყენებული ზედსართავები რაოდენობრივად უმეტესად ქალ პერსონაჟებს ახასიათებს და თუმცა შეიძლება იყოს მამაკაცის მახასიათებელიც: „My Fair Lady“ (Show, 1987), „Charlot’s Web“ (White, 2012), „A Great and Terrible Beauty“. (10 შემთხვევიდან მხოლოდ 2 სათაური დაახლოებით).

2.1.3 გენდერული მეტყველების ფონოლოგიური და მორფო-სინტაქსური თავისებურებანი (აგლუტინაციის ინდექსის გავლენა სინთეზურ და ანალიზურ ენებში გენდერულ მეტყველებაზე)

სინტაქსი და მორფოლოგია გრამატიკის დარგებია, რომელთაგან პირველი - შეისწავლის ენაში დამკვიდრებული სიტყვათაშეხამების წესებს, ხოლო მეორე - ენაში არსებულ სიტყვათა ჯგუფებს. ტერმინი „გრამატიკა“ ხშირად მხოლოდ სინტაქსთან და მორფოლოგიასთან მიმართებით გამოიყენება, ჩვენ კი მას ლინგვისტური კომპეტენციის სხვა ასპექტებსაც ვუკავშირებთ ეს არის აზრობრივი გრამატიკა, რომელსაც ვიყენებთ იმ შემთხვევაში, როცა ენაში ჩამოყალიბებულ წესებთან და ნორმებთან ერთად გრამატიკა იძენს ექსპრესიულ დატვირთვას და საინტერესოა ლინგვო-კულტუროლოგიური თვალსაზრისით. გრამატიკა, როგორც ენის აღწერის საშუალება, ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე ეთნიკური ჯგუფის საზიარო ცოდნასაც გულისხმობს. ამის მიუხედავად, ორ ისეთ ადამიანსაც ვერ შეხვდებით, რომელთაც ერთმანეთის სრულად იდენტური აზრობრივი გრამატიკა ჰქონდეს. ეს განსხვავება განსაკუთრებით იგრძნობა ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაში: მათ მიერ გამოყენებული სიტყვების მორფო-ფონოლოგიურ წყობაში, მიმართვის ფორმებსა და სინტაქსურ თავისებურებებში საინტერესო იზომორფიზმები და ალომორფიზმები იკვეთება ქართულ და ინგლისურ ლიტერატურულ ტექსტებში, ასევე ყოველდღიურ სამეტყველო ლექსიკაში. განსაკუთრებით მკაფიო და საინტერესო გრამატიკულ მსგავსება-განსხვავებებს ვხდებით განსხვავებული სქესის პერსონაჟთა

პუბლიცისტურ ნაშრომებში, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვენი კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს. ამდენად, ყურადღება გავამახვილეთ ლიტერატურული ტექსტებიდან ამოკრეფილ, ქალ და მამაკაც პერსონაჟთა წერილობით სტილზე, განსაკუთრებით ისეთ ეპისტოლარულ ნაწარმოებში, როგორცაა ჯეინ ვებსტერის „გრძელფეხება მამილო“ – (Webster, 1856) „Daddy Long Legs“, რომელიც 2012 წელს გამოიცა ქართულ ენაზე. დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია - ქალი პერსონაჟების მეტყველებას ახასიათებს ჰიპერკორექტული გრამატიკა, გრამატიკული წესების ზედმიწევნით დაცვა, როგორც ფორმალურ, ასევე, არაფორმალურ გარემოებებში, რა თქმა უნდა, იმ წინაპირობით, რომ პერსონაჟის სოციალური კუთვნილება და განათლების დონე ადეკვატურია. კარგი განათლების გარდა, ქალის მეტყველების კორექტულობას განაპირობებს საზოგადოებაში გავრცელებული წარმოდგენა, რომ ქალის სწორად მეტყველება ეს არის ნორმა, რაც ყველაზე ნათლად ლიტერატურულ კორპუსშია ასახული. შესაბამისად, ქალი პერსონაჟები, როგორც ქართულ, ისე, ინგლისურენოვან ორიგინალ ტექსტებში, უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცი პერსონაჟები, გრამატიკული წესების დაცვით, სალიტერატურო ნორმების შესაბამისად მეტყველებენ. ისინი ნაკლებად არღვევენ სინტაქსის პრინციპებსა და სიტყვათა წყობას, მაგალითად:

Mary: I went to Diana's today for lunch. - მე დღეს დიანასთან ვიყავი

Bud: what takes you there - იქ რამ მიგიყვანა (წარსულის ნაცვლად აწმყო, თუმცა თარგმანში არ აისახა)

Mary: I ran into your mom in the grocery shop - დედაშენი შემხვდა მაღაზიაში.

Bud: Ran into who? (სიტყვათა წყობის არევა) - ვინ შეგხვდა?? (ქართულში გრამატიკული წესის დარღვევა არ იკვეთება)

Mary: Your Mom, She did not even know who I was - დედაშენი, მან არც კი იცის მე ვინ ვარ

Bud: Be right back (სიტყვა-დაკლებული კონსტრუქცია ნაცვლად I will be right back) - დამელოდე (ქართულ თარგმანში ერთი სიტყვით გადმოდის და არაფორმალური ელფერი არ გააჩნია, განსხვავებით ინგლისურისგან)

Mary: I followed her all the way to the exit, but then stopped - მე მას გასასვლელამდე გავდევენე, მაგრამ ბოლოს შევჩერდი.

დიალოგში აშკარაა განსხვავება კორექტულ ქალურ საუბარსა და ნაკლებ კორექტულ, სიტყვათა გადანაცვლებებით, საჭირო ერთეულთა გამოტოვებით და შემოკლებებით სავსე მამაკაცურ საუბარს შორის. პერსონაჟთა კონტექსტი საერთოა და თანამოსაუბრეები ერთ სოციალურ ფენას განეკუთვნებიან, უფრო მეტიც, ისინი მეგობრები არიან.

ქართულ თარგმანში იგივე დიალოგი იდენტურად გადმოდის, თუმცა, ქალი მოსაუბრის კორექტულობა და მამაკაცის ნაკლებ კორექტულობა ისეთი ცხადი არ არის, როგორც ინგლისურ ორიგინალში, რადგან თავად ქართული ენის სტრუქტურა უფრო ფორმალურია და ნაკლებ განსხვავებებს შეიცავს ფორმალური ან არაფორმალური გრამატიკული წესების არსებობის თვალსაზრისით.

ასევე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ინგლისურისთვის არის დამახასიათებელი ქალი პერსონაჟების მეტყველებაში დომინანტი ემფატიკური მარკერები, რომლებიც ნაკარნახევია ზედმეტი თავაზიანობითა და ჰიპერკორექტულობის მოტივით:

“Oh gosh, What a beautiful Dress”! „რა მშვენიერი კაბაა!“

“Give me a break, do you have cream puffs in this country or do you just call them “profiteroles?”

„თქვენ ამ ქვეყანაში მხოლოდ კრემიანი ფუნთუშები გაქვთ, და მათ ეძახით პროფიტეროლს?“

ქალი მოსაუბრეები ხშირად იყენებენ დამაზუსტებელ შეკითხვებს, „კუდიანი შეკითხვის სახით“ და მათ შორის სამი ტიპის დაზუსტება გამოიყოფა:

ა) მიმართებითი - ანუ რეფერენციული: „Cream puffs are different things are not they“

ბ) ფასილიტაციური: Has it got a star sign in it? No it does not.

გ) შემარბილებელი: I must admit they are fairly new pictures. They are, aren't they?

ქართულ თარგმანში ხსენებული წინადადებები უცვლელად და თითქმის ანალოგიური ლექსიკურ-გრამატიკული წყობით გადმოდის, მაგრამ დაზუსტების მოტივაციის ისეთივე ძლიერი ექსპრესია, როგორც ინგლისურშია, ქართულ თარგმანში არ იგრძნობა, შესაბამისად, კლასიფიკაციაც აზრს მოკლებულია.

ინგლისური ენის ლინგვისტური ხერხები, რომლებსაც დაზუსტების ფუნქცია გააჩნიათ, მის სამ ქვეჯგუფთან ერთად (მიმართებითი, ფასილიტაციური და შემარბილებელი) შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ალომორფიზმი აღნიშნულ კატეგორიაში.

როგორც ვხედავთ, მეტად თავაზიანი და გამორჩეულად კორექტული მეტყველება ახასიათებთ ქალ მოსაუბრეებს, თუმცა, ამ წესიდან უამრავ გამონაკლისს ვხვდებით ბერნარდ შოუს პიესაში: „პიგმალიონი“ (Show, B. *Pigmalion*), სადაც მთავარი გმირი - ყვავილების გამყიდველი ელიზაბეტ დულიტილი, გვევლინება, როგორც ენის ნორმათა დამრღვევი და ამის გამო ლამის დამნაშავედ აღიარებული პერსონაჟი, რაც კონკრეტულ სოციალურ და ენობრივ ჯგუფზე კუთვნილებით აიხსნება. მის სამეტყველო ლექსიკაში ხშირად ისმის ისეთი არამართებული გამონათქვამები როგორცაა: “Nah then, Freddy: look wh' y' gowin, deah.” – Whos trying to deceive you? I called him Freddy or Charlie same as you might yourself if you was talking to a stranger and wished to be pleasant” (Show, G. B. 1968:79) „ვის რათ უნდა თქვენი მოტყუება? სულ ერთი არ არის, ფრედის დაუმახებდი თუ ჩარლის?“ Ow, eez ye-ooa san, is e? Wal, fewd dan y' de-ooty bawmz a mather should, eed now bettern to spawl a pore gel's flahrzn than ran awy athaht pyin. Will ye-oo py me f'them? „დარდი ნუ გაქვს, „კაპიტანო“ თუ მართლა მაგრა დასცხო, მალე გადაიღებს. იყიდეთ, ყუაილები, იყიდეთ საწყალი გოგონასაგან“; ვიტომ რა მოხდა, თუ ჯენტლემენს დაველაპარაკე? მე ასეთ ადგილებში ყუაილების გაყიდვის უფლება დიახვაც რომ მაქვს. (ისტერიულად). მე წესიერი გოგო ვარ, მიშველეთ, დამეხმარეთ. ამის მეტი რა ვუთხარი, ყუაილი-იყიდე მეთქი“ (შოუ, ჯ.ბ. 2011: 34).

აღნიშნული ნაწარმოების ინგლისური ორიგინალისა და ქართული თარგმანის შედარება კომპლექსური პროცესია, რადგან აქ არა მხოლოდ გენდერული ასპექტია საყურადღებო, არამედ თავად გმირის სოციალური კუთვნილება და ინგლისური ენის დიალექტიზმის საკითხი. ამდენად, ნიშანდობლივია და ბუნებრივიც, რომ გადმოქართულებულ ტექსტში შედარებით ადეკვატურად არის ყველა იმ გმირის საუბარი, რომელიც სტანდარტულ ინგლისურთან მიახლოებული ენით საუბრობს, ხოლო ელიზაბეტ დულიტილის მეტყველების თავისებურებანი სათანადო სიცხადით და ექსპრესიით არ ითარგმნება. არის მცდელობები დამახინჯებული კუთხური

ქართულის გამოყენების, მაგალითად: „ყუაილები“, „რათ მინდა“, „მაგრად დასცხებს“, მაგრამ ეს სრულფასოვნად ვერ ასახავს გმირის სპეციფიური მეტყველების ექსპრესიას, მის მიერ ჰიპერკორექტულობის წესის არათუ დარღვევას, არამედ სრულ უგულებელყოფას, რადგან პერსონაჟი ქალისთვის მოცემულ მომენტში ალტერნატიული მეტყველების სტილი უცნობია. ეს ის შემთხვევაა, როცა პერსონაჟის მეტყველება განპირობებულია კლასზე კუთვნილებით. მეტყველების მანერა პერსონაჟს ძირითადი (მეინსტრიმული) კულტურისგან მარგინალიზაციას უკეთებს და საზოგადოებრივ იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხურზე აყენებს.

ბერნარდ შოუს პიესა - „პიგმალიონი“, ინგლისური ენის სტანდარტიზების ეპოქის საკულტო ნაწარმოებია, რომელშიც დიდი დრამატურგი და ლინგვისტი აკრიტიკებს საზოგადოების სხვადასხვა ფენაში არსებულ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ენის მიმართ. “ზოგმა შეიძლება ისეთი სიტყვები იცოდეს, რომელიც სხვისთვის უცნობია: ერთს შეიძლება საკუთარი, სხვათაგან გამორჩეული წესი ან გამოთქმის თავისებურება გააჩნდეს, მაგრამ რაკი ეს ადამიანები ერთმანეთს ესაუბრებიან, ერთმანეთის ესმით, მაშასადამე, არსებობს რაღაც საერთო ცოდნა, რასაც ჩვენ მათ აზრობრივ გრამატიკას ვუწოდებთ” (ფრომკინი , ვ. 2009:89).

როდესაც ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მიერ სინტაქსური სტრუქტურის გამოყენებაზე ვსაუბრობთ და მათ შორის მსგავსება-გასხვავებას ვანალიზებთ, უნდა დავუბრუნდეთ მეტყველების ხარისხთან დაკავშირებულ ტერმინს: “Powerful” და “Powerless” ანუ ძალაუფლების მქონე - “გავლენიანი” (Powerful) და ძალაუფლების არ მქონე - „სუსტი“ (Powerless), რაც მეტყველების მანერას აღწერს და შედარებით ახალი მოვლენაა ლინგვისტურ ანალიზში. ამ ორთაგან, ბუნებრივია, პირველი მამაკაც მოსაუბრეებს მიეწერება უმეტესწილად, ხოლო მეორე - ქალის მეტყველებას აღწერს. სწორედ ეს სტილისტური განსხვავებულობა განაპირობებს წინადადების სინტაქსურ სტრუქტურასთან დაკავშირებულ განსხვავებულობებს ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებას შორის, ასევე, განსაზღვრავს პუნქტუაციის თვისებებებს. ენობრივი სისტემის ეს ორი მახასიათებელი საერთოა ქართული და ინგლისურენოვანი ტექსტებისთვის. უბრალოდ, აქამდე თავად ტერმინი იყო უცხო ქართული ენათმეცნიერული ლიტერატურისთვის და ჩვენ მოკრძალებულად ვცადეთ მისი

დამკვიდრება მაქსიმალურად მიახლოებული ქართული შესატყვისით. აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა ის განმასხვავებელი ნიშანი, რაზეც ვსაუბრობთ ქალური და მამაკაცური მეტყველების სტილის ანალიზის დროს, არც სრულყოფილია და არც აბსოლუტური. ეს მტკიცებულება ეხება “Powerful” და “Powerless” მეტყველების მანერებსაც. როგორც კვლევები გვიჩვენებს, გვაქვს გარკვეული გამონაკლისებიც, რაც უკავშირდება ავტორის სქესს, ნაწარმოების შექმნის ეპოქას, პერსონაჟთა ადგილს სოციალურ იერარქიაში და სხვა ლინგვო-კულტუროლოგიურ ასპექტებს. საანალიზოდ შევარჩიეთ ჯ. როულინგის ეპოქალური ნაწარმოები “ჰარი პოტერი” (Rowling, 2011) და გავანალიზოთ დამბლდორის (ჰოგვორთის სკოლის გავლენიანი და პატივცემული პროფესორი) და მაკგონაგალის (პროფესორი ქალი, მკაცრი და შეუვალი, რომელსაც სტუდენტები შიშით და სიფრთხილით ეკიდებიან) მეტყველების მანერა. აღმოჩნდა, რომ მაკგონაგალს, ისევე როგორც დამბლდორს, ავტორი ხშირად ახასიათებს ისეთი სიტყვებით, როგორცაა: “snorted”, “barked”, “said tartly”, “said sharply”, “voice cracked like a whip” – „დაიგრგვინა“, „დაიყეფა“, „უხემად წამოისროლა სიტყვა“, „ხმამ შოლტივით გაიღვა“. მაკგონაგალის მეტყველება ყოველთვის სავსეა თავდაჯერებულობით, ძალაუფლების შეგრძნებით და მისი მეტყველების მანერა მამაკაცისას წააგავს. ეს ემოციურ-ექსპრესიული საშუალებები მომენტალურად იკარგება მისი ლექსიკონიდან მაშინ, როდესაც დამბლდორს კლავენ, ხოლო ჰარი პოტერი სასიკვდილო სარეცელზე წევს, მისი მეტყველების მანერაში ჩნდება უსუსურობის გამომხატველი ყველა ელემენტი: გაწყვეტილი წინადადებები, ჰეჯირება (“I can’t believe it”, “I mean”, “I don’t think” – „ვერ ვიჯერებ“, „არა მგონია“, „ვერ ვფიქრობ“), გამოთქმები, რომლებიც პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას გავს, (“I don’t know exactly how”... „არ ვიცი ეს როგორ მოხდა“...), ეჭვები, სემანტიკური და ლექსიკური გამეორებები, თვითბრალდებები, მობოდიშება და ახსნა-განმარტებები. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ ქალი და მამაკაცის მეტყველების სტრატეგიები პირდაპირ პროპორციულად განიმარტება, როგორც უძღური და ძალაუფლების მქონე მხარეების მეტყველება.

ჩვენი კვლევის უმთავრესი ობიექტის - ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ მიუხედავად ორი ენის

ლინგვისტურ სისტემაში არსებული განსხვავებულობებისა, თარგმანში მკვეთრად და თითქმის სრულყოფილად გადმოვიდა მოსაუბრეებს შორის დამოკიდებულების ამსახველი ემოციური ლექსიკა, რომელიც მათ მდგომარეობას, კერძოდ, ძალაუფლებას ან მის ნაკლებობას გამოხატავს. თუმცა, ერთი რამ ცხადად იკვეთება: თავად ნაწარმოების ავტორები, მიუხედავად სქესისა, ცდილობენ მათ მიერ გადმოცემული ტექსტი შეიცავდეს გავლენიანი მეტყველების ტექნიკას - („Powerful Speech Technique”) და მის ყველა ელემენტს, რადგან ნებისმიერი ავტორის (განურჩევლად სქესისა) მოტივაცია და მიზანი (განსხვავებით პერსონაჟებისაგან) არის მკითხველზე ზეგავლენის მოხდენა და სათქმელის ოსტატურად მიტანა აუდიტორიამდე.

ამ მიზნის მიღწევაში ენის სინტაქსი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს და ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევადარეთ თუ რა მსგავსებან-განსხვავებები არსებობს სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მიერ მისი გამოყენების თვალსაზრისით. შინაარსის მიხედვით ქართულ და ინგლისურ წინადადებათა სახეობებს შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება: ორივე ენაში გვხვდება თხრობითი, კითხვითი, კითხვა ძახილის და ბრძანების წინადადებები, მცირეოდენი განსხვავებებით ქვეჯგუფებში. ლიტერატურული კორპუსის ანალიზის პროცესში არ გამოკვეთილა მკვეთრი გენდერული უნივერსალები მათი გამოყენების თვალსაზრისით ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურული კორპუსის შედარებით. ყველაზე საყურადღებო კატეგორია, სადაც გენდერულ თავისებურებებზე შეგვიძლია გავამახვილოთ ყურადღება ეს არის (1) **ელიპტიკური წინადადების**, იგივე უსრული წინადადების გამოყენების ტენდენცია ინგლისურში და მისი ქართულად თარგმნის საკითხი, ასევე (2) **დამოკიდებულ წინადადებათა** ტიპები ქართულ და ინგლისურ ტექსტებში გენდერულ ჭრილში.

როგორც საანალიზო წყაროებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ელიპტიკურ წინადადებებს უმეტეს შემთხვევაში მიმართავენ მამაკაცი პერსონაჟები და მისი გამოყენების წინაპირობა არის საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა შორის არსებული ფორმალური თუ არაფორმალური ურთერთობის ხარისხი. რაც უფრო არაფორმალურია დამოკიდებულება მოსაუბრეებს შორის, მით უფრო მაღალია

ალბათობა იმისა, რომ მოსაუბრეები გამოიყენებენ ხსენებულ ფორმას და კიდევ უფრო მაღალია - თუ ეს პირები მამაკაცები არიან:

“What time is it?” - Timothy asked – “Two o’clock” replied Jef (Grisham, J. 2011: 234).

„რომელი საათია?“ - იკითხა ტიმოთიმ - „ორი“ - მიუგო ჯეფმა (თარგმანი)

“What time is it? asked the teaher – It is 6 am Miss Thomson.” (Grisham, J. 2011: 234).

„რომელი საათია?“ - იკითხა მასწავლებელმა - „მის ტომსონ, დილის 6 საათია“ (გრიშემი, ჯ. 2011: 234. თარგმანი).

„Is that Clear? – Quite“ - „გასაგებია? - სრულიად“ (Goslworthy, J. 2004: 387) (გოლზუორთი, ჯ. 2004 : 456).

“Feel a bit tired? – “Pretty Much” - დაღლილი ხარ? - საკმაოდ

„ნუთუ არასოდეს შეგიმჩნევიათ, რომ ხატვა უყვარდა მისტერ სტრიკლენდს?“ –

„სანამ გავყვებოდი, მახსოვს, რომ ხანდახან თავს იქცევდა საღებავებით“ - უპასუხა მის სტრიკლენდმა (ქალი)

„მატერობა მხოლოდ საბაბია“ - ჩაერია უმცროსი სტრიკლენდი (მოემი, 2009: 67).

“Have you ever noticed that he was so fond of painting?”

Before we got married I saw him playing with colors, but did not think it was serious” – responded Ms. Stricklend

“Arts is just an excuse” - interferred Stricklend junior (Maugham, S. 1977: 85-86).

მოცემულ დიალოგში ქალი და მამაკაცი მოსაუბრე სხვადასხვაგვარად იყენებს პასუხის ტექნიკას, ქალი - სრულყოფილი პასუხებით გამოირჩევა, ხოლო მამაკაცი მოსაუბრე მოკლე პასუხით - ელიპტიკური წინადადების ფორმით.

„თქვენ მაინც ვერ გამიგეთ?“

„ბოლომდე ვერა“ - უპასუხა მაკ- ენდრიუმ

„განა ის არ იგულისხმეთ, რომ ვინმე ქალის გულისთვის არ მიმატოვებდა?“ იკითხა მის სტრიკლენდმა“ (მოემი, 1989: 45).

You still did not get me right?

“Not quite” - answered Mac Andrew

“Did not you mean that he would not abandon me for another woman? – asked Mrs. Strickland (Maugham, 1989: 85-86).

აქ კიდევ ერთი განსხვავებაა ქალი და მამაკაცი მოსაუბრეების პასუხებს შორის, მამაკაცი ისევ არასრულ პასუხს იძლევა და იყენებს ელიპტიკურ წინადადებას, ქალი კი კითხვაზე კითხვით პასუხობს? ამ მოვლენას ხშირ შემთხვევაში თან ერთვის ქალი პერსონაჟების მეტყველებაში ხშირად გამოყენებული ფუნქციური სიტყვები, რომლებსაც მამაკაცები ნაკლებად იყენებენ. მაგალითად, მეტყველების ნაწილებს კავშირი, წინდებული, ნაცვალსახელი: “for” („რადგან“) “with” („თან“), “about” („შესახებ“, „თითქმის“), up to/about to („სადაცაა“) he, she, it. საინტერესო განსხვავება შეინიშნება ნაცვალსახელების გამოყენების მხრივ ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში: მათ ქალები უფრო ხშირად იყენებენ ვიდრე მამაკაცები, რომელთა საუბარში უფრო ხშირად ვხდებით სახელდებას, ანუ კონკრეტული საგნის საკუთარი სახელის ფორმით მოხსენიებას, ქალი პერსონაჟები კი დაახლოებით 2-3 ჯერ უფრო ხშირად მოიხსნებენ ნაცვალსახელებს. მონაცემი ეყრდნობა ჩვენს მიერ TEXTSTAT-ის მეშვეობით ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევას, რომლის დახმარებით გავანალიზეთ დაახლოებით 3 ქართული და 3 ინგლისურენოვანი ნაწარმოები.

რაც შეეხება წინადადების ტიპებს ფორმის მიხედვით, საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა გენდერულ ჭრილში დამოკიდებული წინადადების გამოყენების თვალსაზრისით. იასპერსენი (Jaspersen, 1975: 345) პარატაქსისა და ჰიპოტაქსის გენდერულ ასპექტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და თვლიდა, რომ პარატაქსი უფრო ქალების მეტყველებისთვის დამახასიათებელი თვისებაა, ხოლო ჰიპოტაქსი, როგორც უფრო რთული და კომპლექსური ფორმა წინადადებისა, მამაკაცების. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ორი საინტერესო რამ გამოიკვეთა:

ა) ჰიპოტაქსური წყობა ქართულისთვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე ინგლისური ტექსტებისათვის, ანუ ქართველ ავტორებს უფრო მეტად ახასიათებთ რთული ქვეწყობილი და თანწყობილი წინადადებების გამოყენება, ხოლო თანამედროვე ამერიკელი და ინგლისელი მწერლების ტექსტებში უმეტესად გვხვდება მარტივი წინადადებები ან რთული თანწყობა ანუ პარატაქსი. ეს შეიძლება იმითაც ავსხნათ, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში განსაკუთრებით

განვითარდა ინგლისური საქმიანი წერის სტილი, მედია ენა, რომელიც თანაბრად მოითხოვს მარტივი და გასაგები წინადადებებით წერასა და მეტყველებას.

„თუმცა ის არ იყო მკვლელი და იყო მესაფლავე, რადგან მკვლელი რომ ყოფილიყო, კი არ დაიმახსოვრებდა დამარხვის ადგილს, არამედ დაივიწყებდა“.

“He was a mere grave digger. Had he been a killer, he would make sure to forget the immense, unremarkable field.”

„მას კი ახსოვდა ზუსტად ის ბალახი უშველებელ ტრიალ მინდორზე, რომლის ქვეშაც უნდა ყოფილიყო გეგა კობახიძე. ტრუმენ კაპოტეს ბალახის ვერცერთი ჩანგი ვერასოდეს მიგაგნებინებს თხუთმეტი წლის წინ ამოთხრილ ორმოს და ვერც შექსპირისა და გალაკტიონის რომელიმე მესაფლავე დაიტირებს რომელიმე მკვდარს ასეთი თავგანწირვით. თუმცა ის არ ტიროდა, უბრალოდ საფლავს თხრიდა ნოემბრის იმ ცივ ღამეს და მთვარის შუქზე იმახსოვრებდა საიდუმლოს, რომელიც თხუთმეტი წლის შემდეგ ჩურჩულით გაუმჟღავნა გეგა კობახიძის დედას.“

“He thought he remembered the exact place where Gega Kobakhidze was buried years back. As opposed to the poets shedding tears over the graves, he didn’t weep that November night, trying to remember the spot in the moonlight. He had kept the secret for a long time only to share it fifteen years later with Gega’s mother.”

„ქალბატონ ნათელას განსაკუთრებით უცნაურად მოეჩვენა ერთი მისთვის უცნობი სტუმარი, რომელიც რესტორანში შემოსვლაზე გეგამ ვერ დაითანხმა. ისინი იდგნენ კარებში და საკმაოდ დიდხანს, საკმაოდ ემოციურად საუბრობდნენ. ქალბატონ ნათელას, რა თქმა უნდა, არ ესმოდა მათი ხმა, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი შვილი თითქოს იმ ვიღაცას ეკამათებოდა, თითქოს რაღაცას უხსნიდა, მაგრამ უცნობი სტუმარი არ ეთანხმებოდა სიძეს და ბოლოს ისე წავიდა, როგორც მოვიდა - რესტორანში შემოუსვლელად.

„The behaviour of one guest, Giorgi, seemed especially strange to Natela. She hadn’t met him before. Gega was unable to convince him to join them in the restaurant, so they stood in the entrance talking for quite a long time, quite emotionally. Natela, of course, couldn’t hear their voices, but she could feel that her son was arguing with that person, as if explaining something to him, but the stranger wouldn’t agree with the groom and finally left, just like he had arrived-without entering the restaurant.“

აღნიშნული ტენდენცია ცხადად დასტურდება და თითქმის ყველა ტექსტში ვხვდებით. ამას ჩვენ ვუწოდებთ „ჰიპოტაქსური პრეფერენცია“ ქართულ ტექსტებში, თუმცა, საინტერესოა, რომ ამ პრეფერენციას ინგლისური თარგმანები არ ასახავს. ქართულიდან ინგლისურად თარგმნის დროს ჰიპოტაქსური პრეფერენცია ისეთი წყობით გადადის, როგორც ეს თანამედროვე ინგლისურისთვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი, ანუ პარატაქსული კონსტრუქციით, ნაცვლად ჰიპოტაქსისა. ანალიზმა გვიჩვენა, რომ მსგავსი ხერხი თარგმანში არც შინაარსს კარგავს და არც ექსპერსიულობას, იგი წინადადების სწორ სტრუქტურირებას უზრუნველყოფს და მოცემულ შემთხვევაში ინგლისურენოვანი მკითხველისთვის ბევრად უფრო მარტივი აღსაქმელია.

ბ) ინგლისურენოვან ტექსტებში ქალი პერსონაჟები უფრო ხშირად იყენებენ პარატაქსს, ვიდრე ჰიპოტაქსს. მამაკაცი პერსონაჟები მეტად იყენებენ ისეთ დამოკიდებულებით წინადადებებს, როგორიცაა **ქვემდებარული, დამატებითი და შემასმენლური დამოკიდებულება**, ხოლო ქალები უფრო ხშირად იყენებენ **განსაზღვრებით და გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებს**. შედარებისთვის ავიღოთ ისევ ბერნარდ შოუს მეტად ექსპრესიული პიესა „პიგმალიონი“ ორიგინალისა და თარგმანის ანალიზით, სადაც საინტერესოდ და თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი პერსონაჟთა მეტყველების სწორედ ეს ასპექტი .

Flower Girl: “Then what did you take down my words for? How do I know whether you took me down right? You just shew me what youve wrote about me.”

ყვავილების გამყიდველი გოგო: „ოჰ, სერ. უთხარი ასეთ რამეს ნუ მაბრალებენ. ნუთუ არ იცით, რას ნიშნავს ეს ჩემთვის? თქვენთან დალაპარაკებისთვის ცუდ სახელს მომაკერებენ და ქუჩაში გამაგდებენ. ისინი...“

Flower Girl: “I aint done nothing wrong by speaking to the gentleman. Ive a right to sell flowers if I keep off the kerb. (*Hysterically*) I'm a respectable girl: so help me, I never spoke to him except to ask him to buy a flower off me.”

ყვავილების გამყიდველი გოგო: „არაფერი ცუდი არ ჩამიდენია. მე მაქვს უფლება გავყიდო ყვავილები. (ისტერიკაში) მე პატიოსანი გოგო ვარ დამეხმარეთ, მე მისთვის სხვა არაფერი მითქვამს გარდა იმისა რომ იყიდე ყუაილი - თქვა მან“

The note Taker: “Live wherever you want to live, just stop crying please.”

კაცი წიგნაკით: „სადაც გენებოს იქ იცხოვრე, ოღონდ ტირილი შეწყვიტე.“

უფრო მეტად მამაკაცისთვის დამახასიათებელი დამოკიდებულება

Subject Clause: ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

“That I will come tomorrow is quite clear” – ის რომ მე ხვალ აუცილებლად მოვალ, ცხადია - ცხადია, რომ მე ხვალ აუცილებლად მოვალ. (შოუ, 1986:168)

ქართულ თარგმანში იკარგება ექსპრესიულობა, თუმცა ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ძალაში რჩება. ფრაზა გენდერულად ნეიტრალურია ქართულში.

Predicative Clause: შემასმენლით დამოკიდებული წინადადება

“This is what I told you yesterday” – „ეს არის ის, რაც მე გუშინ გითხარი“

“The fact is that he promised to do it” – „საქმე ისა არის, რომ ის დაგვპირდა ამის გაკეთებას“

The Objective Clause - დამატებით დამოკიდებული წინადადება

“He says that he is busy” – „ის ამბობს, რომ ძალიან დაკავებულია“ (ქალი პერსონაჟი)

“He says he is busy” – “ის ამბობს რომ დაკავებულია” (კაცი პერსონაჟი)

პირველი ვარიანტი ქალი პერსონაჟების მეტყველებისთვის მეტად დამახასიათებელია ინგლისურ ტექსტებში, ხოლო ქართულში შეინიშნება დამატებით დამოკიდებული წინადადების გენდერულად ნეიტრალური გამოყენება.

Attributive Clause: განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში

The man whom you see there is our teacher - კაცი, რომელსაც იქ ხედავ, ჩვენი მასწავლებელია.

It was the year when I began attend the music school - ეს იმ წელს იყო, როცა მე მუსიკალურ სკოლაში სიარული დავიწყე.

Adverbial Clause: გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში

I go home when the lessons are over. They stopped where the river ran into each other.

არსებობს კიდევ ერთი ქვეტიპი დამოკიდებულების ანუ ქვეწყობისა, რომელიც ინგლისურშიც გენდერულად ნეიტრალურია და მას თითქმის თანაბრად იყენებენ ქალი და მამაკაცი პერსონაჟები, ეს არის პირობითი დამოკიდებული წინადადება:

“If I have time, I shall go to the theater.” – „თუ დრო მექნება, თეატრში წავალ“

იგივე ტენდენცია დასტურდება ჯეინ ვებსტერის (Webster, 1923: 45) ეპისტოლარული ჟანრის რომანში „Daddy Long Legs“ („გრძელფეხება მამილო“), რომელშიც 18 წლის ჯერუმა აბოტი მისთვის უცნობ ადამიანს - მეურვეს, უყვებას საკუთარი ცხოვრების შესახებ. მისი მიმართვის ფორმები, საინტერესო სტრუქტურულ კანონზომიერებებსა და მორფო-სინტაქსურ მახასიათებლებს შეიცავს, კერძოდ ის ხშირად იყენებს შედგენილ სახელებს, როგორც მიმართვის ფორმას: „Dear Kind-Trustee-Who-Sends-Orphans-to-College“ – „კეთილო მეურვევ-ბავშვების-კოლეჯში-გამგზავნელო“ (Webster, 1923: 18).

„Dear Kind-Trustee-Who-Sends-Orphans-to-College, Here I am! I travelled yesterday for four hours in a train. It's a funny sensation, isn't it? I never rode in one before. College is the biggest, most bewildering place--I get lost whenever I leave my room. I will write you a description later when I'm feeling less muddled; also I will tell you about my lessons. Classes don't begin until Monday morning, and this is Saturday night. But I wanted to write a letter first just to get acquainted “ (Webster, 1923: 18).

„ძვირფასო კთილო-მეურვევ-რომელიც აგზავნის ობლებს კოლეჯში. აი ესეც მე! გუშინ თითქმის ოთხი საათი მატარებლით ვიმგზავრე. ეს საოცარი რამაა არაა??. მე არასოდეს ვმჯდარვარ მატარებელში. კოლეჯი უდიდესი და მეტად დამთრგუნველი ადგილია - ყოველ ჯერზე, როცა ოთახიდან გამოვდივარ, ვიკარგები. მე დეტალურ აღწერილობას მოგვიანებით მოგწერ როცა თავს უკეთ ვიგრძნო და დაბნეულობაც გამივლის. გაკვეთლების შესახებაც მოგიყვები. გაკვეთილები ორშაბათამდე არ იწყება და ახლა შაბათი საღამოა. მაგრამ ჯერ მინდოდა წერილი მომეწერა პირველ რიგში, რათა გაგცნობოდი“ (ვებსტერი, 2012: 26).

I don't think I can stand much more of Lock Willow. I'm thinking of moving. Sallie is going to do settlement work in Boston next winter. Don't you think it would be nice for me to go with her, then we could have a studio together? I would write while she settled and we could be together in the evenings” (Webster, 1923: 18).

„არა მგონია კიდევ დიდხანს გავუძლო ლოქ ვილოუს. მინდა რომ გადავიდე. მომავალ ზამთარში სალიც გადავა ბოსტონში. არ გგონია, რომ ჩემი წასვლაც სასარგებლო

იქნება თუ მასთან ერთად გადავბარდები? სანამ ის განსახლების საკითხებით იქნება დაკავებული, მე ამასობაში შემემლება ვწერო“ (ვებსტერი, 2012: 26).

ქართულში, როგორც აღვნიშნეთ, საპირისპირო ტენდენციაა ორიგინალ ტექსტებში: კერძოდ, მამაკაცი პერსონაჟების მეტყველება შედარებით მარტივი და კონკრეტული კონსტრუქციით გამოირჩევა ანუ პარატაქსს აქვს უფრო ხშირად ადგილი, ხოლო ქალთა მეტყველებაში ჰიპოტაქსი ჭარბობს და განსაკუთრებით აქტიურად რთულ ქვეწყობას იყენებენ. ქვეწყობის ანუ დამოკიდებულების სახეები ქართულში გენდერულად მარკირებული არ არის, ინგლისური ტექსტების საფუძველზე კი მსგავსი მარკირება გამოიკვეთა. მოცემულ მონაკვეთში დამუშავებული გვაქვს ნაწყვეტები დ. ტურაშვილის „ჯინსების თაობიდან“, თუმცა მსგავსი ტენდენციით ხასიათდება საანალიზო წყაროდ შერჩეული თითქმის ყველა ქართული ორიგინალი ტექსტი.

გეგა: უნდა გადაწყვიტო. აქ აღარ დავბრუნდებით!

თინა: უკვე გადაწყვეტილი მაქვს

გეგა:სხვა რამეს გეუბნები

თინა: ყველაფერი გადაწყვეტილი მაქვს

გეგა: მაგრამ შენ ხომ არ გინდოდა

თინა: არც ახლა, მინდა მაგრამ მოვდივარ

გეგა:რატომ არ გინდა?

თინა: იმიტომ, რომ რასაც აპირებთ იმას გამართლება არა აქვს..

გეგა: რატომ?

თინა: იმიტომ, რომ ყველაფერი გაუმართლებელია რასაც შეიძლება რომელიმე ადამიანის მსხვერპლი მოჰყვეს..

გეგა: მსხვერპლი არ იქნება.. იარაღი მხოლოდ მფრინავების შესაშინებლად მოგვაქვს

თინა: მსხვერპლი ყველაგან არის, სადაც იარაღია და იმ ადამიანებს კი, ვინც შეიძლება მოკვდეს, არაფერი დაუშავებიათ ჩვენთვის (ტურაშვილი, 2008: 68).

Gega: “You’ve got to make up your mind. We aren’t coming back.”

Tina: “I already have.”

Gega: “I’m talking about something else.”

Tina: “I’ve decided for myself.”

Gega: "But you didn't want to."

Tina: "I still don't want to, but I'm coming."

Gega: "Why?"

Tina: "Why what? Why I don't want or why I'm coming?"

Gega: "You don't want to, but you're still coming."

Tina: "I don't want to, but I'm coming with you."

Giga: "Why don't you want to?"

Tina: "Because what you intend to do cannot be justified."

Gega: "Why?"

Tina: "Because anything that might cause human death is unjustifiable" (Turashvili, 2008: 81).

დიალოგი თინასა და გეგას შორის ისე ვითარდება, რომ ორივე სქესის პერსონაჟი იყენებს პარატაქსულ კონსტრუქციას, თუმცა, თინა ორჯერ მიმართავს ჰიპოტაქსურ წყობას და მოსაუბრეებს შორის დასმული საკითხების მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე საუბრობს. იგივე დიალოგი ინგლისურად მხოლოდ პარატაქსული კონსტრუქციებითაა ნათარგმნი და არსად ჩანს გენდერულად მარკირებული წინადადების სტრუქტურა - ანუ ჰიპოტაქსი, რომელიც ქართულ ორიგინალ ტექსტში ქალი მოსაუბრის მახასიათებლად იკვეთება.

მომდევნო მაგალითიც ჰიპოტაქსის პრეფერენციის დასტურია ქართულში. იგი გენდერულ ჭრილში არაა წარმოდგენილი, თუმცა, აქაც, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ დიალოგში, ქართული ორიგინალიდან ჰიპოტაქსი ინგლისურში პარატაქსული კონსტრუქციითაა გადასული.

“შეიძლება სხვა მიზეზიც არსებობდა, მაგრამ ფაქტია, რომ საფლავის მიწა ერთადერთი საკუთრება იყო, რაც ხალხისთვის არ ენანებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და საბჭოთა ქართველის დეგრადირებაც აქედან დაიწყო. ქართველის გემოვნებაც სწორედ საბჭოთა პერიოდში გადაგვარდა, რადგან ერთადერთი, რაც მის საკუთრებას წარმოადგენდა, საფლავი იყო და ისეთი საფლავების შექმნა დაიწყო, როგორც მას არასოდეს ჰქონია ”

“There might have been other reasons, but the fact is that a grave was the only property people owned. Such political attitude marked the start of altering Georgian taste for the worse. For centuries, the traditional Georgian graveyards were simple and modest, while

in the soviet times the graves became overly decorated, adorned with marble tables and benches, statues, bikes and even cars. The Soviet Georgians were confident in one thing only – the grave belonged to them, so they were taken care of and zealously protected. People built and decorated them as they'd do if they had real estate property” (Turashvili, 2008: 81).

რაც შეეხება ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველების ფონოსემანტიკურ თავისებურებებს, საანალიზო ენების სტრუქტურიდან გამომდინარე ქართული ენა უფრო მდიდარია და მეტად მკვეთრია გენდერული მარკირებულობა, ვიდრე ინგლისურში. ქართული ენა, როგორც ანალიტიკური ენა გამოირჩევა ფონოსემანტიკური ასპექტების ურთიერთმიმართებათა სიუხვით. როგორც ცნობილია, დიფერენციალურ ნიშანთა დაპირისპირებით ქართველურ ენებში გადმოიცემა ბგერწერითი შინაარსები: საგნის სიდიდე, წონა, სიმკვრივე, სუბიექტის ქცევის რაგვარობა, ობიექტის რაგვარობა, ინტენსივობა, გზისობა, ლოკალურობა, ინსტრუმენტის ხასიათი, ხმის რიტმი, სიმაღლე, მოქმედების თანმხლები ხმის ხასიათი. ამგვარი მიმართებები სხვადასხვა სემანტიკის ჯგუფებს ქმნიან, მაგალითად: 1) ცემა/[და]რტყმა/კვრა/გატყლაშუნება; 2) ჭამა/ლეჭვა/ღრღნა; 3) ლაპარაკი/საუბარი/მეტყველება;/ 4) ჭორაობა/ლაქლაქი/ლაიალაი; 5) სიარული/გაბიჯება/გალაჯება; 6) სიცილი/ღიმილი/კისკისი; და სხვა. გენდერული დისკურსის კონტრასტულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ქალი და მამაკაცი პერსონაჟები განსხვავებულად იყენებენ ქართული ენაში აღწერილ და დადგენილ ცალკეულ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს (სემებს) ასევე, კონობრივ სემურ მოდელებს. მაგალითად, ქალი პერსონაჟები უფრო ხშირად იყენებენ ნეიტრალურ და ფორმალურ მოდელებს, ხოლო მამაკაცები წარმოქმნილ, ონომატურ და ხმაბაძვით მოდელებს. ეს ტენდენცია ქართულ ენაში წარმოვადგინეთ ცხრილის სახით. (ცხრილი # 7)

ცხრილი # 7

ქალი პერსონაჟის ლექსიკაში	კაცი პერსონაჟის ლექსიკაში
ცემა, კვრა	[და]რტყმა, გატყლაშუნება
ჭამა, ღეჭვა	ღრღნა
ლაპარაკი, საუბარი, მეტყველება	ლაპარაკი
ჭორაობა	ლაქლაქი/ლაილაი
სიარული	გაბიჯება/გალაჯება
სიცილი, ღიმილი	კისკისი

სემანტიკურ ნიშანთა კონაში საინტერესო გენდერული ნიშნებით ხასიათდება, სვანური, ვინაიდან აქ „ქალურობისა“ და „მამაკაცურობის“ დაპირისპირებას ფონოსემანტიკურ ლექსიკაში სისტემის სახე აქვს, შეიძლება ითქვას, რომ სვანური მოდელებისთვის გენდერის აღნიშვნა ერთგვარი სემანტიკური მარკერიც კი არის და მასში შეინიშნება ლექსიკურ ერთეულებს შორის განსხვავებები იმ ფაქტის მიხედვითაც კი ქალი იყენებს მას მამაკაცის მისამართით, თუ მამაკაცი ქალის მისამართით, თუ ნეიტრალურია ეს გამოყენება, რითაც სვანური უახლოვდება შუმერულ და ზოგიერთ აზიურ ენას (ტაილანდური, იაპონური, მანდარინ ჩინური). მაგალითად სვანური: „**იპლიჭყრლ** - ცუდად დადის, ძალიან სუსტი ქალი დადის - შეიძლება თქვა ქალმა ქალზე, **იბიჭყანალ** - ცუდად, გაპარჭყულად დადის, ძალიან სუსტი ქალი დადის მამაკაცი იტყვის ქალზე, **ისტლანალ** - მსუქანი დიდმუცელა ქალი დადის“ (გერსამია და სხვები, 2016: 594) შეიძლება თქვას ქალმაც და მამაკაცმაც ქალზე. მსგავსი განსხვავებები არ იძებნება მეგრულსა და ქართულში, შესაბამისად, არც ლიტერატურულ პერსონაჟთა მეტყველებაში იკვეთება, თუმცა, კუთხურობისა და ხალხურობის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ზოგიერთი ავტორი იყენებს სიტვათა ისეთ ფონოსემანტიკურ მოდელებს, რომელიც შეიძლება მხოლოდ ქალს ან მხოლოდ მამაკაც პერსონაჟს ახასიათებდეს: მაგალითად: ბრაციბრუცი - ბარბაცი, მთვრალი კაცის უხეირო სიარული; ზივზივი - სინაზე, კოხტაობა ქალის; თათხუნი - ქალის ან ბავშვის მოუფრთხილებელი სვლა ტალახიან გზაზე; მეგრული: ტაჯალი - ქალის უშნოდ, ცუდად (იგულისხმება ყოფაქცევა) სიარული, ჩარხალი - კაცის

მამალაყინწური, სწრაფი, მოუსვენარი სიარული; სვასვალი - ნაზი ქალის კოხტა და წყნარი სიარული/ლაპარაკი (ლინგვისტური კორპუსი GNC).

მსგავსი ფონოსემანტიკური მოვლენების შესწავლა ინგლისურის საფუძველზე შედარებით რთული აღმოჩნდა და იგი ჩვენი სამომავლო კვლევის საგნად დავისახეთ. მაგრამ არის საინტერესო ტენდენცია იმისა, რომ ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნ ტექსტში მთარგმნელმა გამოიყენოს ქართულში ესოდენ უხვად ხელმისაწვდომი სემანტიკური კონეხი. მაგალითად:

“As I say, the question of your future was brought up and your record was discussed--thoroughly discussed” (Webster, 1921: 34).

„როგორც მოგახსენეთ, თქვენი მომავლის საკითხი წამოვწიეთ და თქვენი დოკუმენტაცია დეტალურად შევისწავლეთ, მეტისმეტი ყურადღებით“ (ვებსტერი, 2012: 87).

ამ მოვლენის ახსნა შესაძლებელი გახდა კვლევის პროცესში, მას შემდეგ რაც, გამოიკვეთა პასუხი მთავარ კვლევით კითხვაზე: ხომ არ ახდენს ენის აგლუტინაციური ინდექსი, ანუ მისი უნარი რაც შეიძლება მეტი და რთული ფორმები აწარმოოს ერთი სიტყვისაგან მასზე სხვა მორფემ/ების დართვის გზით, გავლენას პერსონაჟთა მეტყველების გენდერულ მარკირებულობაზე, რაც ჩვენ დისერტაციას დაედო საფუძვლად.

როგორც ზემოხსენებული მაგალითებიდან ვრწმუნდებით, ქართულსაც და მის მონათესავე ენებსაც (სვანური, თუშური, მეგრული) ინგლისურთან შედარებით მაღალი აგლუტინაციის ინდექსი აქვს (ქართულის - 0.56, ინგლისურის 0.30, შევადაროთ თურქულს - 0.67 ერთ-ერთი ყველაზე მაღალი აგლუტინაციის ინდექსის მქონე ენა მსოფლიო ენებს შორის - (გამყრელიძე, & სხვები. 2003: 399-432), თუმცა, იგი თანამედროვე ქართულში შედარებით ნაკლებადაა გამოხატული. შედარებით მაღალი აგლუტინაციური ინდექსი განაპირობებს ქართულ ორიგინალებსა და ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნ ტექსტებში პერსონაჟთა მეტყველების შედარებით მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებებით გადმოცემის ტენდენციას. შესაბამისად, ინგლისურიდან ქართულად გადმოთარგმნილი ტექსტი უფრო მაღალი ექსპრესიულობითა და მხატვრულობით ხასიათდება, ვიდრე ქართულიდან

ინგლისურად თარგმნილი ან თავად ორიგინალი ინგლისურენოვანი ტექსტი სამეტყველო და საკომუნიკაციო ექსპრესიული საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით.

როგორც აღვნიშნეთ, ქართულის მონათესავე ტომობრივი ენები და დიალექტები კიდევ უფრო ღრმა აგლუტინაციის პირობებში, მეტ მრავალფეროვნებას გვთავაზობენ, რაც დასტურდება სტანდარტულ ქართულსა და ინგლისურს შორის შედარებით. ინგლისური დიალექტები, რომლებშიც აგლუტინაცია უფრო ძლიერია ვიდრე თანამედროვე ინგლისურში, ამ ეტაპზე არ იყო ჩვენი შესწავლის ობიექტი, თუმცა, ქართული დიალექტების მსგავსი გენდერული განსხვავებულობები არც იკვეთება იმ ტექსტებში, რაც გავაანალიზეთ კვლევის პროცესში (მაგალითად ჩოსერის პიესები). რამდენადაც, ჩვენი საკვლევი თემის ამოსავალი შეკითხვა ეხება აგლუტინაციის ინდექსს და მის კავშირს პერსონაჟთა მეტყველების გენდერულ მარკირებულობასთან, ამიტომ ვცადეთ, სიღრმისეულად შეგვესწავლა აფიქსების განსხვავებული გამოყენება ქართულსა და ინგლისურში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სინთეზური ენაა და ინგლისური - ანალიზური, საინტერესო მსგავსება-განსხვავებები გვხვდება პერსონაჟთა მეტყველების გენდერული დიფერენციაციის პროცესში აფიქსაციის თვალსაზრისით. საანალიზო მასალის რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ცხრილი, სადაც პირველ რიგში წარმოვადგინეთ ის სიტყვათწარმოების წესი და აფიქსების გამოყენება, რომელიც უფრო მეტად მახასიათებელია ქალი პერსონაჟებისთვის, რასაც შევუპირისპირეთ მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში აფიქსაციის ტენდენცია. ამის მიზეზი ისიც გახლდათ, რომ, როგორც კვლევის ადრეულ ეტაპზე დავადგინეთ, ქალები უფრო ხშირად იყენებენ ნაცვალსახელებს, კავშირებს და წინდებულებს. ეს ტენდენცია, რა თქმა უნდა, უფრო ცხადად ინგლისურის მაგალითზე ვლინდება, ხოლო ქართულის შემთხვევაში გვაქვს აფიქსაციის კანონზომიერება (პატერნი), რომელიც უფრო მეტად ქალს ახასიათებს. ჩვენს ნაშრომში იგი წარმოვადგინეთ #8 ცხრილის სახით გენდერულ ჭრილში.

ცხრილი # 8

აფიქსი	ერთვის	ქმნის	მაგალითად	რომელის სქესის მეტყველებისთვისაა მეტად მახასიათებელი
Anti	არს. სახელებს	არს. სახელებს	anti-matter, anti-aircraft anti-democratic	
Un	ზედს. სახელებებს	ზედს. სახელებებს	un-happy, un-lucky un-bridle, un-lock	მდედრ
Re	ზმნებს	ზმნებს	re-establish, re-assure	მდედრ
Dis	ზმნებს	ზმნებს	dis-enfranchise, dis-own	მამრ
	ზედს. სახელებებს	ზედს. სახელებებს	dis-ingenuous, dis-honest	მდედრ-მამრ
Ment	ზმნებს	ზმნებს	establish-ment, amaze-ment	მდედრ
Ize	ზმნებს	ზმნებს	burglar-ize, Mirand -ize	მდედრ
	ზმნებს	ზმნებს	steril-ize, Islamic-ize	მდედრ
Ism	არს. სახელებს	არს. სახელებს	Ito-ism, gangster-ism real-ism, American-ism	მამრ
ful	ზედს. სახელებებს	ზედს. სახელებებს	care-ful, soul-ful, master-ful	მდედრ
ly	ზმნიზედებს	ზმნიზედებს	carefu-ly, nice-ly, angri-ly	მდედრ
Er	ზედს. სახელებებს	ზედს. სახელებებს	fair-er, angri-er	მამრ
S	არს. სახელებს	არს. სახელებს	friend-s, girl-s, cat-s	მდედრ/მამრ

ზემოთ ჩამოთვლილ ზოგიერთ აფიქსს დამატებითი, ნაკლებ გავრცელებული ისეთი ფუნქციაც გააჩნია, რომელთა გამოყენება გენდერული განსხვავებულობის ტენდენციის გამოკვეთის შესაძლებლობას გვაძლევს: მაგალითად, ქალი პერსონაჟების მეტყველებას, ისევე როგორც ქალი ავტორების სტილს, ახასიათებს მორფოლოგიური სისტემის შემდეგი ელემენტების გამოყენება: „un“, „ize“, „fy“, „er“, „un-tie“ შემდეგი ტიპის გამონათქვამებში: un-tie „გამოხსნა“, „un-leash“ – „ჯაჭვის მოხსნა“, „institutional -ize“ – „ინსტიტუტციონალ - იზ-აცია“, „modi-fy“ – „მოდ-ფიკ - აცია“, „Glori-fy“ – „ხობის შესხმა“, „ampli-fy“ – „გავრცობა“, „administ -er“ „ადმინისტრ-ირება“ etc. ქართულ თარგმანში, კონკრეტულად ნასესხებ ტერმინებში, ზოგიერთი ეს მორფემა უცვლელად ან მცირედი მოდიფიკაციითგადმოდის, მაგალითად: „..ize“ – „იზაცია“, „..fy“ – „..ფიკაცია“.

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ირკვევა, ჰომოფონები ანუ სიტყვები, რომლებიც ერთნაირად ჟღერს, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობები აქვს და ხშირ შემთხვევაში განსხვავებული მეტყველების ნაწილებიც არიან, შესაძლებელია განვასხვაოთ იმის მიხედვით, თუ რომელი სქესის პერსონაჟები უფრო ხშირად იყენებენ. ამ დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა ჩვენ მიერ ლიტერატურულ ტექსტებზე ჩატარებულმა რაოდენობრივმა და ხარისხობრივმა კვლევამ.

მაგალითად Fair (მშვენიერი) ზედსართავიცაა, რომელიც ქალ პერსონაჟთა წინადადებებში მრავალფეროვანი მნიშვნელობით გვხვდება, მას დიალოგის შემანარჩუნებლის ფუნქციაც აქვს: მაგალითად, „fair enough“. მისი ზუსტი თარგმანი არ მოგვეპოვება, სიტყვასიტყვით კი ნიშნავს „სამართლიანია“ და იგი ქალი პერსონაჟების მეტყველებაში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე - მამაკაცი პერსონაჟების. იგივე სიტყვა სხვა კონტექსტში გამოიყენება, როგორც არსებითი სახელი და აღნიშნავს „სადღესასწაულო ბაზრობას“ და უმეტესად მამაკაც პერსონაჟთა ლექსიკაში დარეგისტრირდა. ქართულ ენაში ამის მაგალითია, ვთქვათ, სიტყვის „ბარი“ განსხვავებული მნიშვნელობები: 1) სამუშაო იარაღი; 2) გეოგრაფიული მდებარეობა, დაბლობი, 3) გასართობი ადგილი -კაფე. პირველი ორი

მნიშვნელობით იგი თანაბრად გამოიყენება როგორც ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაში, ხოლო მესამე მნიშვნელობა უფრო მამაკაც პერსონაჟებთან გვხვდება.

ქალთა მეტყველებაში შეიძლება რამდენიმე, განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვების მაწარმოებელი აფიქსიც შეგვხვდეს, რომლებსაც ერთნაირი ფორმა აქვთ. მაგალითად, ზედსართავის შედარებითი ხარისხის მარკერი სუფიქსის –“er”-ის (“bigg-er”, “thin-er”, “strong-er”) გარდა, არსებობს იმავე ფორმის სუფიქსი, რომელიც ზმნებს ერთვის და სახელებს წარმოქმნის, მაგალითად: “reader”, “teacher”, “runner”. რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ პირველი შემთხვევა უფრო ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება, ხოლო მეორე დანიშნულებით „er“ სუფიქსს მეტწილად მამაკაცი მოსაუბრეები იყენებენ.

მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი –“S” სუფიქსი გარდა იმისა, რომ სახელებს ერთვის და მრავლობითს აწარმოებს, ამავდროულად, III პირის მხოლოდობითი რიცხვის ზმნებს ერთვის და მარკირებას ახდენს: (he, she) “promises”, “establishes”, “denotes” და ამ ელემენტს თითქმის თანაბრად იყენებენ ორივე სქესის პერსონაჟები, ორივე მნიშვნელობით და არსებითი განსხვავება არ გამოიკვეთა.

ამ ეტაპზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა სინთეტიკურია თუ ანალიტიკური ესა თუ ის ენა, აგლუტინაციის ინდექსი მის ფონეტიკურ და მორფო-სინტაქსურ სისტემაზე ახდენს გავლენას და რიგ შემთხვევებში (ქართულის დიალექტები) გენდერულ მარკირებულობასაც ანიჭებს და უფრო მრავალფეროვანს ხდის მას. შესაბამისად ქართულ და ინგლისურენოვან ტექსტებში პერსონაჟთა მეტყველების სტრუქტურის შედარებისას აგლუტინაციის გავლენას აუცილებლად ვითვალისწინებთ. კვლევის ეს ნაწილი დაგვეხმარა დაგვედგინა და განგვეზოგადებინა ორი ენის პერსონაჟთა გენდერული დისკურსში არსებული მსგავსება-განსხვავებანი, რაც დასკვნით ნაწილში გვაქვს შეჯამებული.

2.1.4 წინადადების სტრუქტურისა და პუნქტუაციის ზოგიერთი

საკითხისათვის

წინადადების სტრუქტურა და პუნქტუაცია ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებული კავშირების სინტაქსური გამოხატულებაა, რაც ერთმანეთთან აკავშირებს წინადადების წევრებს. (შანიძე, 2010: 7). თავად წინადადება, არის ძირითადი ენობრივი ერთეული, რომლითაც ხორციელდება ადამიანის აზრის მატერიალურ ენობრივ გარსში გამოხატვა. შეთანხმებული გრამატიკული წესებით, მათ შორის წინადადების სტრუქტურითა და პუნქტუაციით აზრის გადმოცემა არის გარანტი სრულყოფილი კომუნიკაციისა ორ მხარეს შორის. როდესაც ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველების გრამატიკულ ასპექტებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, გრამატიკა განხილულ იქნეს მისი ჩვეული გაგებისაგან განსხვავებულად, კერძოდ შევისწავლოთ, როგორც სიტყვათაწყობა, პუნქტუაცია და წინადადების სტრუქტურა, ასევე გრამატიკა, როგორც აზრობრივი სისტემა. ამის საფუძველი არის ის ფაქტი, რომ გრამატიკას განვიხილავთ, როგორც მოსაუბრის ლინგვისტური ცოდნის გამოხატულებას. ამავდროულად, იგი აზრობრივი სისტემაა, გონების კოგნიტური ნაწილი, რომელსაც თუ ადამიანის პირველ, ანუ მშობლიურ ენაზე გვაქვს საუბარი, ბავშვი საგანგებოდ შესწავლის გარეშე, ბუნებრივად ითვისებს.

პუნქტუაცია და წინადადების სტრუქტურა პერსონაჟთა მეტყველების ის ნაწილია, რომელიც ერთ შეხედვით, თითქოს, რთულია განასხვავო გენდერულ ჭრილში. თუმცა კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს მეტად საინტერესო განსხვავებები ამ მხრივ ორ ენას შორის, რომელმაც გამოხატულება პოვა ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველების პროცესში. პუნქტუაციას და წინადადების სტრუქტურას, შინაარსობრივის გარდა მნიშვნელოვანი ექსპრესიული დატვირთვა აქვს. პუნქტუაცია, ბუნებრივად ებმის წინადადების სტრუქტურას და ქართულ ენაში მას განსაკუთრებული ყურადღება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ექცევა. მნიშვნელოვანია ერთგვარშემასმენლიანი და რთული თანწყობილი წინადადების პუნქტუაცია ზოგადად, თუმცა, იგი უფრო მეტად ქართულის მახასიათებელია, ვიდრე ინგლისურის. მაგალითად: “We shall have everything in readiness, in case he comes in

time.“ – “ჩვენ ყველაფერი მზად უნდა გვქონდეს იმ შემთხვევისთვის, თუ ის მოვიდა.”
ორივე ენაზე შექმნილ ტექსტში მთავარი წინადადება დაქვემდებარებულისგან გამოყოფილია მძიმით და მას გენდერულად ნეიტრალური სტრუქტურა აქვს. ჩვენი დაკვირვებით, პირობით დამოკიდებული წინადადებები გენდერულად დიფერენცირებული არ არის არც ერთ საანალიზო ენაში.

პირობით დამოკიდებულ წინადადებაში, პირობის შემდეგ ვსვამთ მძიმეს ორივე საანალიზო ენაში, განსხვავებით, ზმნისზედით ან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებისაგან. ქართულში ისინი მძიმითაა გამოყოფილი, ხოლო ინგლისურში არა: „ჩემი და, რომელიც რუსთავში ცხოვრობს, ექიმა“ – “My sister who lives in Rustavi is a doctor”; მე წავალ სახლში, როცა ლექციები დასრულდება – “I will go home when the lectures are finished”. ეს მოვლენა შემდეგი ფორმულით შეიძლება აღვწეროთ:

English Structure: Main Clause + Subordinate Clause + Main Clause

Georgian Structure: Main Clause, Subordinate Clause, Main Clause

როგორც აღვნიშნეთ, ბოლო ორი ტიპის დამოკიდებულებითი წინადადების გამოყენება უფრო მეტად ქალ პერსონაჟებთან გვხვდება ინგლისურ ტექსტებში, აქედან გამომდინარე, აღნიშნული პუნქტუაციური წესიც, უფრო ქალთა მეტყველებისა და წერის მახასიათებელია. თუმცა, ეს მოსაზრება თანაბრად არ ვრცელდება ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ ქალ პერსონაჟთა მეტყველებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ არც ქართულში და არც ინგლისურში არ არსებობს სინტაქსური წესი, რომელსაც მხოლოდ ქალები ან მხოლოდ მამაკაცები იყენებენ, მაინც იკვეთება გარკვეული გენდერული მახასიათებლები, რომელთაგან ყველაზე ნიშანდობლივი და მკვეთრი განსხვავება, ეს არის დიალოგის დროს გამოყენებული გრამატიკული ხერხი ე.წ. “კუდიანი შეკითხვა” Tag Question” ანუ კითხვითი წინადადებით დაბოლოებული თხრობითი წინადადება, რომელსაც, ჩვენი დაკვირვებით, უმეტესად ქალები იყენებენ და მამაკაცების მეტყველებაში იგი ნაკლებად ფიგურირებს. ამას ლაკოფი (Lakoff, 2004: 87) “Tag Question Formation Rule”-ს („კუდიანი” - დამაზუსტებელი შეკითხვის ჩამოყალიბების წესს) უწოდებს და

თვლის, რომ მისი გამოყენება განპირობებულია სოციალური კონტექსტით, კერძოდ, მოსაუბრის პოზიციით საზოგადოებაში და მისი დამოკიდებულებით მსმენელისადმი. სამეტყველო აქტების თეორიის მიმდევრები, ისევე როგორც ლაკოფი, ამას ქალ მოსაუბრეთა პრეროგატივად მიიჩნევენ და თვლიან რომ ის მოტივირებულია მსმენელზე/ებზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილით.

„Tag Question“ დამაზუსტებელი შეკითხვის გამოყენების ზოგადი წესის თანახმად იგი წარმოადგენს შუალედურ განცხადებას მტკიცებით წინადადებასა და “კი/არა” პასუხის მქონე კითხვით წინადადებას შორის: მაგ: ორივე კითხვითი წინადადების შემთხვევაში: “John is there? – ჯონი იქ არის?” და “Is John there? არის ჯონი იქ?” არსებობს ალბათობა, რომ მოსაუბრემ მიიღოს უარყოფითი პასუხი. ხოლო, “John is there is not he? – ჯონი იქ არის, არა?” ფორმულირება უარყოფითი პასუხის ალბათობას გამორიცხავს. იგი მოსაუბრის მიერ წარმოთქმული აზრის, გნებავთ ფაქტის მტკიცებულების გამყარების მცდელობაა და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსაუბრე ხელში იღებს დიალოგზე სრულ ინიციატივას. როგორც მთლიანად ლიტენგვისტური კორპუსის საანალიზო მასალამ, ქართულ და ინგლისურ ენაზე, გვიჩვენა, ეს მოსაზრება შესაძლებელია განავაზოგადოთ თითქმის ყველა ორიგინალი ინგლისურენოვან ტექსტზე და მათ თარგმანში ასახულ ენობრივ დისკურსზე. ქართული ორიგინალი ტექსტების პერსონაჟთა მეტყველებაში ის შედარებით სუსტადაა გამოხატული, მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ჰიპოთეზა სრულად დასტურდება ზემოთ განხილული საანალიზო ტექსტის - ჯონ გოლზუორთის ფორსაიტების საგას თარგმანის მიხედვით და მისი კორპუსის ლინგვისტური ანალიზით. გვაქვს საფუძველი დავამტკიცოთ, რომ “კუდიან შეკითხვებს”, ისევე როგორც ალერსობით მიმართვას “ძვირფასო, ძვირფასი” ამ ნაწარმოებში ძირითადად იყენებენ ქალი პერსონაჟები. ჩატარებული რაოდენობრივი ანალიზის მიხედვით, საგას ხუთივე ტომში “კუდიან შეკითხვას” 24 შემთხვევაში იყენებს ქალი პერსონაჟი და არც ერთხელ მამაკაცი პერსონაჟი. შედარებისთვის:

ცხრილი # 9

ცხრილი # 9

	ქალი პერსონაჟი	მამაკაცი პერსონაჟი
ორიგინალი	She's got too many children. Four, isn't it? – said June	Old Jolyon said quickly: "I saw you at the opera the other night; you didn't notice me."
თარგმანი	მას ოთხი შვილი ჰყავს, ასე არ არის? თქვა ჯუნმა	მოხუცმა ჯოლიონმა სწრაფად უპასუხა; „იმ დღეს ოპერში დაგინახე, შენ ვერ შემამჩნიე“

საყურადღებოა ასევე, რომ ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში სტატისტიკურად დამაზუსტებელი “კუდიან შეკითხვების” (“Tag Question”) შემდეგ, ყველაზე ხშირად ვხვდებით კითხვით და კითხვა ძახილის წინადადებებს, რაც ნიშანდობლივია ორივე საანალიზო ენისთვის. შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კითხვითი ნიშნები, და ძახილის, ასევე დამაზუსტებელი კითხვის გამყოფი მძიმე უფრო ხშირად ქალ პერსონაჟთა ზეპირი ან წერილობით კომუნიკაციის ატრიბუტია.

“Why should I grant him freedom, may be he loves me not any more” (Maugham, 1989: 84)?

„კი მაგრამ, რატომ უნდა მივანიჭო თავისუფლება, განა იმიტომ რომ აღარ ვუყვარვარ“ (Maugham, 1989: 84)?

“If I got you right you said that if he abandoned you for another woman you would forgive, but would never forget it if he betrayed you for an idea. Probably you think you would fight him back from a woman but not from an idea, am I right” (Maugham, 1989: 84)?

„მგონი ასე თქვით: ვინმე ქალის გულისთვის რომ მივეტოვებინე, ვაპატიებდი, თუ რაიმე იდეის გულისთვის - არაო. ალბათ ფიქრობთ, რომ ქალს დაამარცხებთ, იდეას კი ვერ შეებრძოლებით, არა“ (მოემი, 1984: 167)?

აღნიშნული ორი პასაჟის თარგმანის პროცესში წინადადების სტრუქტურულ ცვლილებასთან ერთად პუნქტუაცია თითქმის ყველგან შეიცვალა, გარდა ბოლო დამაზუსტებელი კითხვისა „არა?“, “am I right?”, რაც მოწმობს, რომ ხსენებული სინტაქსური საშუალება იზომორფიზმია და ორივე ენაში მნიშვნელოვანი ექსპრესიული, ასევე სტრუქტურული მნიშვნელობა აქვს.

2.2 გენდერული მეტყველების განმაპირობებელი ზოგადი ფაქტორები (ეპოქა, პერსონაჟის ადგილი ნაწარმოებში, სოციალურ-კლასობრივი მდგომარეობა)

როგორც საანალიზო წყაროებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, გენდერული მეტყველების თავისებურების გარდა, სხვადასხვა სქესის პერსონაჟების მეტყველებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ეროვნული, კულტურული, სოციალური და გეოპოლიტიკური, რაც აისახება ლიტერატურულ ტექსტებში პერსონაჟთა მეტყველებაზე გამომდინარე კონტექსტიდან, ქვეტექსტიდან, პრესუპოზიციდან და საერთო ინტერესებით დაკავშირებულ მიზნობრივ ჯგუფზე ან სამეტყველო ჯგუფზე კუთვნილებიდან, იგივე რაც Communities of Practice (CoP). CoP არის თანამედროვე სოციოლოგიაში დამკვიდრებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანების ჯგუფს, რომლებსაც აერთიანებთ საერთო ინტერესები და ერთად ცდილობენ ისწავლონ ერთობლივად გადარჩენის წესები, მაგალითად, ინჟინერთა ვიწრო ჯგუფი, რომელიც ცდილობს გააუმჯობესოს საინჟინრო პრაქტიკა, შრომის უსაფრთხოება, ან საჯარო მოხელეები, რომლებიც ერთობლივად ცდილობენ გააუმჯობესონ მმართველობის პრაქტიკა, ან ქუჩის დაჯგუფებები თუ სხვადასხვა სუბკულტურები. ლიტერატურულ კორპუსში პერსონაჟებს შორისაც ფიქსირდება მსგავსი ჯგუფების არსებობა და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ავტორის წერის მანერა განსხვავებულია, გარკვეული მსგავსება მაინც შეინიშნება პროფესიული ჯგუფების, ინტერესთა ჯგუფებისა და სხვა საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის, მაგალითად:

❖ პედაგოგთა მეტყველება

“I trust that you are properly grateful for this very rare good fortune that has befallen you? Not many girls in your position ever have such an opportunity to rise in the world. You must always remember”

“I--yes, ma'am, thank you. I think, if that's all, I must go and sew a patch on Freddie Perkins's trousers” Webster, 2002: 98).

ვფიქრობ სათანადოდ აფასებ ამ მეტად იშვიათ პრივიეგიას, რომლის ღირსიც შენ აღმოჩნდი? შენი წრის ბევრ გოგოს არასოდეს ჰქონია მსგავსი შესაძლებლობა წინსვლისა და წარმატების. ეს ყოველთვის უნდა გახსოვდეს (ვებსტერი, 2012: 24).

❖ მფრინავების მეტყველება

მოცემული დიალოგი ანიტა შრევის (Shreve, 2012: 86) რომანიდან “პილოტის ცოლი” (The Pilot’s Wife) ასახავს გამოცდილ მფრინავ - ჯეკ ლაიონსსა და მის ცოლს ქეთრინს შორის გამართულ დიალოგს. მოსაუბრეებს მარტივად ესმის ერთმანეთის მესიჯები **start-up airline, jointly owned, international route**. ცხადია ორივე მხარემ იცის რაზე საუბრობენ და რას ნიშნავს ამ შემთხვევაში „საერთაშორისო რეისი“ დამწყები ავიაკომპანია და სხვა პროფესიისთვის სპეციფიური ტერმინი.

- I got a call from Vision, he says at once
- Vision?
- A **start-up airline, British and American, jointly owned**. Fast growing, out of Logan. In a few years I could get an **international route**. I will have **layovers in Portsmouth**.
- You’ll commute in Boston ? she asks
- I’ve timed it fifty minutes. (Shreve, 2011: 67)
- ვიჟენიდან დამიკავშირდნენ..
- ვიჟენი?
- დამწყები ავიაკომპანიაა ბრიტანულ-ამერიკული, ერთობლივი. საკმაოდ მზარდი და ლოგანისგან მოშორებით. რმადენიმე წელიწადში საერთაშორისო რეისებსაც მომცემენ. პორტსმუთში მექნება შესვენებები.
- ბოსტონში უნდა იარო სამუშაოდ? (კომპუტირება სპეც ტერმინი, რომელიც არ ითარგმნება ზუსტად)
- გამოვითვალე, სულ 15 წუთი დამეხარჯება გზაში.

❖ მედიკოსთა მეტყველება

„He takes deep breath and says: **Geena got cancer**. It is a bad cancer, cancer of bones and it might take her quickly. We will do all we can. First and foremost you should support her and be available for her. Medication is the least important in this process“ (Frey, 2012: 195).

მან ღრმად ჩაისუნთქა და თქვა: **გენას კიბო აქვს**, კიბოს უმძიმესი ფორმა, ძვლის კიბო და ეს მას მალე მოუღებს ბოლოს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენს ხელთაა.

უპირველეს ყოვლისა მას თქვენი მხარდაჭერა სჭირდება. მედიკამენტები ეს ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია ამ პროცესში“ (ფრეი, 20120: 195 თარგმანი).

მხოლოდ პროფესიონალისთვის დამახასიათებელი სიმტკიცით და პირდაპირობით ნათქვამი მწარე სიმართლე, არც ერთი სიტყვა სენტიმენტით, ყველა მხოლოდ საჭირო, მოზომილი და პირდაპირი.

❖ **ლიბერალი უფლებადამცველთა ჯგუფის მეტყველება**

„This **public education was geared toward grooming citizens**, not preserving seperatness of tribe, the sanctity of the faith, or **whatever happened to be the prejudice of the day**. Today however, many schools and campuses in the West have **opted to be more “considerate”** of the faith, customs. And habits of immigrant students they find in their classrooms. Out of misguided politeness the refrain from openly challenging the beliefs of muslim children and their parents“ (Hirsiali, 2009: 7).

„საჯარო განათლება მოქალაქეების აღზრდაზე იყო ორიენტირებული და არა სეპარატიულობის, რწმენის, ან რა წინასწარგანწყობებიც არსებობდა იმ დროში, ყველა მათგანის ხელშეუხებლობის დაცვაზე. სამწუხაროდ დღეისთვის ბევრი სკოლა და უმივერსიტეტის კამპუსი ცდილობს უფრო მეტი „ყურადღებით მოეკიდოს“ ფრწმენას, ტრადიციებს, და მიგრანტი სტუდენტების ნორმებს, რასაც ისინი სკოლაშიც ამჟღავნებენ. აბსოლუტურად უსარგებლო ზრდილობის გამო ისინი თავს იკავებენ ღიად დაუპირისპირდნენ და გამოწვევა გაუკეთონ მშობლებსა და მათ შვილებს, რომლებიც ღიად აკეთებენ საკუთარი რწმენის დემონსტრირებას“ (ჰირსიალი, 2009: 7).

ცნობილი, უფლებადამცველი ქალის (ყოფილი მუსლიმის) აიან ჰირსი აღის მოხსენება, დასავლეთში სეკულარიზმის პრინციპების რღვევის შესახებ ბოლო პერიოდში, რასაც მოჰყვა მუსლიმთა დეზინტეგრაცია. იგი იყენებს გავრცელებულ ტერმინებს, რაც დამკვიდრდა ამ სამეტყველო პრაქტიკის მქონე ჯგუფის შიგნით, და შესაძლოა ჯგუფის გარეთ, კონტექსტიდან მოწყვეტით, იგი შეურაცხყოფელად შეიძლება აღიქვას სხვა კულტურული ქვე-ჯგუფის წარმომადგენელი ადამიანებისთვის

“Amira and Muna, like many Muslim Girls, were seen by their families as little more than incubators for sons” (Hirsiqli, 2009: 145).

„ამირასა და მუნას, ამ ორ პატარა მუსლიმ გოგონას, საკუთარი მშობლები უყურებდნენ, როგორც, არც მეტი არც ნაკლები, მომავალი ვაჟების ინკუბატორებს“ (ჰირსიალი, 2009: 145 თარგმანი).

❖ ელიტისტური ჯგუფების მეტყველება

ნიუ იორკის ელიტური წრის წარმომადგენელი ორი და დებრა და ქეითი საუბრობენ თავიანთ ყოფით პრობლემებზე ლიბერალური შეხედულებებით და ოდნავ ცინიკური ტონით (Pearson, 2002: 153).

Debra Richardson: Why is it so difficult to find men who are sensitive, careing and good-looking?

Kate: They all have boyfriends already. **How U.**

Debra: **Completely Mental. Literally. Life of the body a distant memory.** Am now just brain on a stick. **About to pitch for 5 digit account with** terrified trainee who thinks Geoffrey Chaucer is a rap artist (Pearson, 2002: 153).

დებორა: რატომ არის ასე რთული მზრუნველი, მგრძნობიარე და სიმპატიური კაცების პოვნა?

ქეითი: იმიტომ რომ მათ უკვე ჰყავთ ბოიფრენდები. **შენსკენ რა ხდება?**

დებორა: **სრულად შეშლილი. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სხეული ცოცხლობს შორეული მოგონებებით.** უბრალოდ ჯობზე წამოცმული თავი ვარ სადაც ტვინი სულ ჩართულია. ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, რომ მზად ვარ მთელი ცხოვრება ისეთ უვიცს დავუკავშირო, რომელსაც მთავარია ფული ჰქონდეს, თორემ ჯეფრი ჩოსერი თუ რეკ პოეტი ეგონება პრობლემა არ არის.“ (თარგმანი)

❖ ნაკლებ პრივილეგირებული ჯგუფების მეტყველება

- „I love this watch and your silly glasses

- They are Gucci

- I don't care what they are, they are silly“ (Frey, 2012: 156).

- „ძალიან მომწონს შენი საათი და სულელური სათვალეები.

- ორივე გუჩია.

- არ მაინტერესებს გუჩია თუ რააა, ჩემთვის სულელურია (ფრეი, 2012: 156 თარგმანი).

ტერმინის: სამეტყველო ჯგუფები (Communities of Practice - CoP) განმარტება მნიშვნელოვანია გენდერული დისკურსის ანალიზის სწორი გზით წარმართვისათვის, რამდენადაც სქესთა შორის კომუნიკაციის განხილვა მხოლოდ გენდერულ ჭრილში ჩიხში შეგვიყვანს, თუ არ გავითვალისწინებთ თითოეული მათგანის კუთვნილებას სხვადასხვა ჯგუფზე და ამ კუთვნილების სამ ძირითად განზომილებას: **სივრცე, თემი, პრაქტიკა**, რაზეც ასევე ზეგავლენას ახდენს სამი ენობრივი სიბრტყე (დომენი): **კონტექსტი, ქვეტექსტი და პრესუპოზიცია**. ამას ადასტურებს ჯენიფერ ქოუთსი (Coats, 1986: 167), რომელიც თვლიდა, რომ სხვადასხვა ავტორი, ქალს შეიძლება ახასიათებდეს განსხვავებულად, რაც შესაძლებელია, გამომდინარეობდეს პერსონაჟის ასაკიდან, სქესიდან და კულტურული თუ სოციალური კუთვნილებიდან. როცა სხვადასხვა ენაზე განსხვავებული სქესის ავტორების მიერ შექმნილ ტექსტებს ვაძარებთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეს წინაპირობა. თუმცა, როგორც ნარატიული დისკურსის ანალიზით, ასევე ლიტერატურული კორპუსის შესწავლით ვრწმუნდებით, საყოველთაოდ გავრცელებული კანონზომიერება (პატერნი) ქალსა და კაცს შორის ინტერაქციაში არის მამაკაცის დომინირება, ინტერაქციები (საუბარში ჩარევა/თანამოსაუბრის საკომუნიკაციო აქტის შეწყვეტინება) ხოლო, ქალი მოსაუბრე გვევლინება კოოპერაციულ, ურთიერთობის დამყარების მცდელობის ფლანგზე, რისთვისაც იგი ხშირად იყენებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა : „მე ვფიქრობ“ “I think”, „ხომ არ ფიქრობთ“ “Don’t think so”, თვით უარყოფით კონტექსტშიც კი იმიჯის გადარჩენის მცდელობასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, „ხომ არ გეჩვენებათ, რომ ცოტა გადააჭარბეთ“, განსხვავებით მამაკაცი მოსაუბრისგან, რომელიც ინტერაქციის ორივე ფორმის შემთხვევაში, მამაკაცი-მამაკაცი ან მამაკაცი-ქალი, გვევლინება შეჯიბრების პროცესში და კონკურენტულობით და გავლენის მოხდენის მოტივაციით გამოირჩევა: მაგალითად: “What you just said **is stupid!**” “**I do** question your integrity” “I order you take it with you” – „რაც ახლა თქვი სრული სისულელეა!“, „მე ეჭვი მეპარება შენს ერთგულებაში“, „ახლავე წაიღე და წადი!“ და ქალი მოსაუბრის ნარატივისთვის

დამახასიათებელი მხარდამჭერი ელემენტების გამოყენებით არ ხასიათდება. (იხ. ცხრილი # 1 - ე.წ. ტანენის ცხრილი და ცხრილი # 3 – ქალი და მამაკაცი პერსონაჟების საკომუნიკაციო მოტივაციები).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც პერსონაჟთა მეტყველებაზე ახდენს გავლენას და გენდერული დისკურსის ანალიზს უფრო საინტერესოს ხდის, არის სამეტყველო ლექსიკის ძირითადი წესების - ტენდენციებისა და კანონზომიერებების განხილვა ტრანსფორმაციული გრამატიკის ჭრილში. მისი ფუძემდებელი ნაომ ჩომსკი (Chomski, 1957: 563) და სტრუქტურალური ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი - ფერდინანდ დე სოსიური (Sossieur, 1968), თვლიდნენ, რომ როგორც ენა - „Parole“ განსხვავდება „Langua“ - ენობრივი კომპეტენციებისგან, ასევე განსხვავდება კომპეტენცია ენობრივი აქტისგან, სადაც კომპეტენცია არის ინდივიდის „სწორი“ წარმოდგენა ენაზე, ხოლო ენობრივი აქტი ანუ „პერფორმანსი“, ეს არის მისი გამოყენების სპეციალური გზა. როგორც ცნობილია, ჩომსკიმ ერთმანეთისგან გამიჯნა დესკრიფციული და პრესკრიფციული გრამატიკა, რამაც ლინგვოკულტუროლოგიისა და ენის ფსიქოლოგიური კვლევებისათვის მნიშვნელოვანი ნიადაგი მოამზადა. მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან, კერძოდ 60-70-იანი წლებიდან, როცა სოციოლინგვისტიკა ჩამოყალიბდა როგორც დარგი, ხოლო სხვადასხვა ფემინისტურმა თეორიამ ასახვა პოვა ლინგვისტურ თეორიებში, ამერიკასა და ევროპაში დაიწყო გენდერული ლინგვისტიკის განვითარება და ჩამოყალიბდა მისი ქვე-დარგი - გენდერული კომუნიკაცია, რომლის შესწავლას საფუძვლად დაედო ტანენისა (Tannen, 1989: 87) და ლაკოფის (Lakoff, 1996: 90) მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქალსა და მამაკაცს შორის კომუნიკაცია კულტურათაშორისი კომუნიკაციის ტოლფასია და იგი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. როდესაც ამ ტიპის კომუნიკაციას განვიხილავთ სტრუქტურალიზმის ჭრილში და ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებას შევადარებთ ერთმანეთს, ეს მნიშვნელოვნად დაგვეხმარება გავიაზროთ ჩომსკის (Chomsky, 1967: 98) მიერ ჩამოყალიბებული განსხვავება დესკრიფციულ და პრესკრიფციულ გრამატიკას შორის. კერძოდ, ის მოგვცემს მიმართულებას, დავადგინოთ ქალურ და მამაკაცურ საუბრის მანერაში გრამატიკის რომელი ტიპი

უფრო ჭარბობს ანუ წესებს ქალი პერსონაჟები უფრო მეტი სიზუსტით იცავენ თუ მამაკაცი პერსონაჟები, და რამდენად უფრო პოპულარულია პრესკრიფციული ანუ მინიჭებული წესების გამოყენება ერთი ან მეორე სქესის პერსონაჟთა მეტყველებაში.

ჩვენს საზოგადოებაში, ისევე როგორც ბევრ სხვა დასავლურ კულტურაში, დღემდე ფესვგადგმულია მცნებები „ქალური“ და „კაცური“ საქციელებისა, რაც უმეტესად გამოიხატება მათ მეტყველებაში. ამ მეტყველების მეცნიერული შესწავლა ლინგვოკულტუროლოგიის საგანი გახდა მე-20 საუკუნის ბოლოდან. თუმცა, საინტერესოა საკითხის გაშუქება ლინგვისტიკის შედარებით ახალი და ჯერჯერობით მოყვარულთა დონეზე განვითარებული ფოლკლინგვისტიკის თვალსაზრისით. მას ფსევდო ლინგვისტიკის სახელითაც მოიხსენიებენ. იგი ინტერესდება ადამიანის მიერ „თანდაყოლილი“ ენის ბუნებრივად ათვისებისა და დასწავლის საკითხებით.

ქალური და კაცური მეტყველების შესახებ მოსაზრებები და მის მიმართ დამოკიდებულებები თვალსაჩინოდ აისახა კულტურული ეტიკეტის შესახებ შექმნილ ლიტერატურაში, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებულად პოპულარული იყო. ისეთი წიგნები, მაგალითად, როგორცაა: „წიგნი ქალებისათვის: ყველაფერი რაც ქალმა უნდა იცოდეს“ ჯეკი და შტრაუსი (Jack, & Strauss, 1911: 576) დეტალურად აღწერს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ქალი და უკვე მეოცე საუკუნის ბოლოს. 1978 წელს ენ ჩეპმენმა და მაურინ რანკმა შექმნეს სტატიების კრებული ქალების როლზე „ჭკვიანი ქალები მარტივად წყვეტენ“ (Chapman, & Rank, 1977: 57). წიგნი წარმოადგენს მოძველებული რწმენისა და ტრადიციების გადააზრების მცდელობას თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამ წიგნებში სრული სიცხადითაა გადმოცემული, თუ როგორ ხედავს ქალს საზოგადოება და მათი რეალური მიზანი ქალის ქცევაზე ზეგავლენის მოხდენაა, მაშინ როცა „მამაკაცის ქცევა ტრადიციულად მიღებულია, როგორც ნორმა და მას რაიმე განსაკუთრებული რჩევა, მოდიფიკაცია და ყურადღება არ სჭირდება“ წერდა იესპერსენი (Jaspersen, 1976: 98). სწორედ ეს წინასწარი განწყობა იმის შესახებ, რომ ქალი გარკვეული აზრით წარმოადგენს ნორმიდან გადახვევას და მისი ქცევა, შესაბამისად, მეტყველებაც, არასრულფასოვნად მოიაზრება, ამიტომაც მის მიმართ მოლოდინი იზრდება. აქედან გამომდინარე, მას უფრო დახვეწილად მეტყველება

მოეთხოვება. ქალის ლექსიკაში ნაკლებად შეხვდებით სალანძღავ სიტყვებსა და გინებას, მაშინ, როცა, თუ მამაკაცი მოსაუბრე მიმართავს იმავე ხერხებს, მას ბრალი დაედება ქალურ მეტყველებაში და უმაღლესი დაცინვის საგანი გახდება.

ეს შეხედულება სრულად აღწერს იმ განწყობას, რაც მე-20 საუკუნის დასაწყისში დომინირებდა საზოგადოებრივ დისკურსში ქალისა და კაცის როლების, შესაბამისად, მათი მეტყველების მანერის შესახებ, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოსთვის, როდესაც უკვე მრავალჯერ გადაისინჯა და გადაფასდა ქალის როლი და ადგილი საზოგადოებაში, საზოგადოებრივი აზრიც მისი მეტყველების თავისებურებებზე რადიკალურად შეიცვალა. უკვე მე-20 საუკუნის ბოლოს, რობინ ლაკოფი (Lakoff, 1975) აქვეყნებს ნაშრომს, სადაც ყოველდღიურ დისკურსზე დაკვირვების და ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ „ქალური“ და „მამაკაცური“ მეტყველება ეს კულტურული ფენომენია და არა ნორმიდან გადახრა ან ნორმატიულობა რომელიმეს მხარის სასარგებლოდ. სწორედ ამ დაკვირვებამ გაუხსნა გზა შემდგომში ახალ თეორიებს, მათ შორის, ტანენის „განსხვავებულობის თეორიას“ და მის თანმდევ აღმოჩენებს, მაგალითად „Report“ და „Rapport“ საუბრის მანერა, რომელთაგან პირველი ახასიათებს მამაკაც მოსაუბრეებს და მეორე - ქალებს და ამის მაგალითებს უხვად ვხვდებით ჩვენ მიერ შესწავლილი ლიტერატურული კორპუსის ფარგლებში, რაც დეტალურად აღვწერთ წინამდებარე ნაშრომში.

მხატვრული ლიტერატურის საფუძველზე გენდერლექტის შესწავლას ტიპოლოგიურ ჭრილში უფრო საინტერესოს და შესაძლებელს ხდის ტექსტის პოეტიკა ანუ ლიტერატურული ქმნილების შინაგანი - თავისთავადი ღირებულება (გამყრელიძე, 1986: 445), რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ ლიტერატურული ნაწარმოები, როგორც აბსტრაქტული სტრუქტურის ერთ-ერთი რეალიზაცია, რომლის ამოცანაა ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურისა და ფუნქციონირების თეორიის აგება. რობინ იაკობსონის (Jacobson, 201: 851-858) ცნობილი ფორმულის თანახმად, ტექსტის პოეტიკა არის ლინგვისტიკის ნაწილი, რომელიც ენის ფუნქციებს შეისწავლის მის პოეტურ ფუნქციასთან ერთად, ხოლო ენის ფუნქციების გამოყოფა, გამყრელიძის თანახმად, უკავშირდება სამეტყველო აქტის სხვადასხვა კომპონენტის წინ წამოწევას, სახელდობრ: ენის რეფერენციული

ფუნქციის - ანუ შეტყობინების კონტექსტი, აპელაციური ფუნქციის - მიმღები, ფატიკური ფუნქციის - გამგზავნისა და მიმღების ურთიერთდამოკიდებულება, მეტალინგვისტური ფუნქციის - ანუ ენობრივი კოდი, რომლითაც შეტყობინება გადაიცემა.

ერთი საინტერესო თვისება, რითაც ქალური და კაცური მეტყველების და წერის სტილი შეიძლება განვასხვავოთ ერთმანეთისგან არის წინადადების მოქნილობა, ანუ „ელასტიურობა“, როგორც ამას ვირჯინია ვულფი უწოდებს (Wolf, 1990: 72). მისი აზრით, ტრადიციული ტექსტი, ზოგადად, მასკულინურია, მაგრამ ქალი მწერლების სტილს იგი ასე ახასიათებს: „ქალის მიერ დაწერილი წინადადება ბევრად უფრო ელასტიური ქსოვილით ხასიათდება, ვიდრე ძველი, მამაკაცური წყობა იყო. მას შესწევს უნარი გაიჭიმოს უკიდვანოდ, ჩაიტოს უმცირესი დეტალი საკუთარ თავში და შემოსაზღვროს თვით უხილავი ფორმები“ (Wolf, V. 1990: 72). ამით გარკვეულწილად ვულფი აკრიტიკებს ტრადიციულ ლიტერატურულ ტექსტს და თავად ცდილობს ახალი, უფრო მსუბუქი ენა დაამკვიდროს, განსხვავებული ედუარდის ეპოქის ენისგან. ამ პროცესში წინადადებამ განიცადა ფრაგმენტიზაცია, დაკარგა პრედიკატები, სინტაქსმაც დაიწყო გაბუნდოვანება და მივიღეთ რეალობა, როდესაც ინგლისურში დაიწყო ჰიპოტაქსის უპირატესობის დამლევის მცდელობა, ხოლო ქართულში ჰიპოტაქსი ისევ შენარჩუნდა გავრცელებულ ფორმად პარატაქსთან შედარებით, თუმცა, იგი ორივე სქესისთვის ერთნაირად დამახასიათებელი არ არის.

2.3 კოლოკვიალური ლექსიკა ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში

მოცემულ ნაწილში განხილული გვაქვს ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მიერ კოლოკვიალური, ანუ გადატანითი მნიშვნელობის მქონე ლექსიკის (პროფესიონალიზმების, სლენგის, ჟარგონის ვულგარიზმებისა და მნიშვნელობის არ მქონე მხატვრული გამონათქვამების) გამოყენების ტენდენციები. ვიდრე შესასწავლი

საკითხის შედეგებს განვიხილავთ, აუცილებელია, განვმარტოთ თავად ტერმინი „კოლოკვიალიზმი“. სამწუხაროდ, მისი ზუსტი ქართული შესატყვისი და შესაბამისად, განმარტებაც ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში არ გვხვდება, ამიტომ ინგლისურენოვან წყაროებს დავეყრდენით, რომლის მიხედვითაც „კოლოკვიალიზმი“ ეს არის სიტყვა ან ფრაზა, რომელიც არაფორმალურ მეტყველებაში გამოიყენება და ხშირად მაიდენტიფიცირებელ გამონათქვამს წარმოადგენს. კოლოკვიალური მეტყველება, იგივე არაფორმალური მეტყველება, ძირითადად ზეპირმეტყველებას ახასიათებს და არა წერილობითს. თუმცა, კოლოკვიალიზმები მხატვრულ ტექსტებში გამოიყენება, როგორც ექსპრესიის საშუალება და განსაკუთრებით საინტერესოა მათი შესწავლა გენდერულ ჭრილში მხატვრული დისკურსის ანალიზის საფუძველზე.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქალი და მამაკაცი პერსონაჟები ენას სხვადასხვაგვარად იყენებენ. როგორც ცნობილია, ამ განსხვავებულობის საფუძველზე სოციო-ლინგვისტებმა ტანენმა (Tannen, 1984: 98) და ლეიკოფმა (Lakoff, 1988) შექმნეს განსხვავებულობის თეორიები, რომლებიც აღწერენ ქალი და მამაკაცი მოსაუბრის ლექსიკურ, გრამატიკულ-სტრუქტურულ ფონეტიკურ იზომორფიზმებსა და ალომორფიზმებს, თუმცა, ცალკე კოლოკვიალიზმების გამოყენება გენდერულ ჭრილში, მით უფრო კონტრასტულად, შესწავლილი არ არის.

სანამ კოლოკვიალიზმების მხატვრულ დისკურსში გამოყენების ტენდენციებს აღვწერთ, საინტერესოა, განვიხილოთ, რა განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება საპირისპირო სქესის პერსონაჟების მეტყველება და წინადადების სტრუქტურა ერთმანეთისგან, როგორ ლინგვისტურ, სტილისტურ და სოციალურ ვარიაციებს მიმართავენ ისინი დიალოგებში, რისთვისაც გამოვიყენეთ სპეციალური საანალიზო პროგრამა TEXTSTAT-ი, სადაც შევიტანეთ მონაკვეთები საანალიზო წყაროებიდან და მიღებული შედეგები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით **ცხრილი #10**.

ცხრილი # 10 ტანენის და ლაკოფის თეორიის მიხედვით

მამაკაცი პერსონაჟის მეტყველების სტრუქტურა	ქალი პერსონაჟების მეტყველების სტრუქტურა
ქალთან შედარებით მეტი ვერბალური და არავერბალური ინტერაქციის ინიცირება	კომუნიკაციის ინიცირების ნაცვლად დიალოგის მხარდაჭერა და მისი შენარჩუნება კითხვების გზით
მხარეებთან საუბარში ახალი თემების/საკითხების შემოტანა	თანამოსაუბრის წახალისება და შეკითხვებზე პასუხების გაცემა
საუბარში ჩარევა უფრო ხშირად, დამახასიათებელია ერთმარცვლიანი პასუხების გაცემა	მამაკაც მოსაუბრესთან შედარებით უფრო პოზიტიური მიმართულების მიცემა დიალოგისთვის და უხვსიტყვიანობა
სხვისი აზრის იგნორირება და საკუთარი აზრის პირდაპირ, მკვეთრად და რაციონალურად ჩამოყალიბების ტენდენცია	უფრო ემოციური დატვირვა ვიდრე ობიექტური რეალობის აღწერა
მეტი დოგმატურობა და ჩაკეტილობა	ნაკლები დოგმატურობა და გახსნილობა

ქალ და მამაკაც პერსონაჟთა სამეტყველო სტრატეგიები, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისაგან ვმიჯნავთ ქალური და მამაკაცური საუბრის მანერას, გარდა წინადადების სტრუქტურისა, ლექსიკური, ფონოლოგიური და არავერბალური საშუალებების გამოყენებას გულისხმობს. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ქალი პერსონაჟების მიერ არჩეული სამეტყველო სტრატეგია უფრო მეტად ეყრდნობა პროსოდიკულ საშუალებებს: ხმის ტემბრი და ინტონაცია, არავერბალური საშუალებების (ჟესტ-მიმიკა, კორპორალური სიტყვები) გამოყენება, მაშინ, როდესაც მამრობითი სქესის პერსონაჟები იმავე სიტუაციაში უფრო მეტად მიმართავენ გრამატიკული სისტემის გამოყენებას ემოციის გაძლიერების მიზნით. რაც შეეხება ლექსიკისა და სინტაქსური სისტემის, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს კოლოკვიალური ლექსიკა, გამოყენებას, მამაკაცები უფრო ხშირად მიმართავენ სლენგს, უხამს სიტყვებს, ასევე წინადადების არასწორ, გრამატიკულ წესებთან შეუთავსებელ ფორმირებას, ვიდრე ქალები. ამის საპირწონედ, ქალი პერსონაჟების მეტყველებაში უფრო ხშირად ვხვდებით ეფექტის მომხდენ ემოციურ სიტყვებს

(gorgeous, awesome – „დიდებულია“, „შეუდარებელია“), წამოძახილს („მაგარია“, „აჰ“, „ოჰ“, „wow“, „Ah“, „Ohh“), გამაძლიერებლებს („ამდენად“, „ისეთი როგორცაა“ „იმდენად რამდენადაც“, „so“, „such“, „as much as“, etc.), აგრეთვე, საალერსო სიტყვების კნინობით ფორმებს, დიფერენციალურ ნიშნებს, სოციალურად პრესტიჟულ ლექსიკურ და სინტაქსურ ვარიაციებს, ზრდილობიან მიმართვებს, კუდიან შეკითხვებს, მაკოორდინირებენ და მაქვემდებარებელ სინტაქსურ სტრუქტურას.

თანდართულ ცხრილებში (ცხრილი # 11, 12, 13, 14, 15) გადმოვიტანეთ საანალიზო წყაროებიდან სპეციალური პროგრამის საშუალებით ამოკრეფილი კოლოკვიალიზმები, დავალაგეთ ისინი გენდერული ჯგუფების მიხედვით და გავავლეთ პარალელები ორიგინალსა და თარგმანს შორის ლექსიკურ-სემანტიკური და მორფოლოგიური შეპირისპირების გზით.

ცხრილი #11

ჯ. როულინგი, ჰარი პოტერი 2006			
ქალი პერსონაჟი	N	ორიგინალი	თარგმანი
პროფესიონალიზმები	15	Expertise Conclusion	ექსპერტიზა დასკვნა
სლენგი	52	I have called you a muggle and have blessed you as a magician	მე შენ მაგლი გიწოდებ და ჯადოქრად შეგრაჯებ
ჟარგონი	5	Dialectics His diet is a total failure	დიალექტიკაში დიეტის საქმე ვერ მიდის კარგად
დიალექტიკაში			
ვულგარიზმი			
მამაკაცი პერსონაჟი	N		
პროფესიონალიზმები	14	Experts report Convict Evidence	ექსპერტიზის დასკვნა ექვმიტანილი მტკიცებულება
სლენგი	8	You dumb For the love of God, stop complaining	ყვეეჩო ღვთის გულისათვის

		Jesus Christ, look at the size of that thing	შეწყვიტე წუწუნი ღვთის გულისათვის ეს რამოდენაა რამაა
ჟარგონი	9	He is so stupid	რა შტერია
დიალექტიზმი	10	I will cast a spell on them	წყევლას მოვუვლენმათ
ვულგარიზმი	5	He got banged up for two years for GBH.	ორი წლით გამოამწყვდიეს ციხეში

ცხრილი #12

ჩარლზ დიკენსი, დევიდ კოპერფილდი, 1998			
ქალი პერსონაჟი	N	ორიგინალი	თარგმანი
პროფესიონალიზმი	38	Epitaph Fillister Real Estate Dealer, Stock Market Partner	ეპიგრამა ფილისტერი მაკლერი ბირჟა პარტნიორი
სლენგი	3	Move your ass	გაფხაკურდით
ჟარგონი	18	He's a Nark	ის ნამდვილი მოენეა, შპიონი
ვულგარიზმი	8	“even the cow tries to get rid of extra milk, ain't no pleasure to walk with ”	„ძროხასაც უნდა გათავისუფლდეს რძისგან, რა სასიამოვნო გატიკილი ცურით სიარული“
მამაკაცი პერსონაჟი	N		
პროფესიონალიზმები	30	World of artists Buy our goods Advertise	ლიტერატურული სამყარო „ჩვენი საქონლის აღება“ რეკლამის გაკეთება
სლენგი	15	I stared at him Untainted	მივაშტერდი ურიოშო/ხალასი
ჟარგონი	21	Bootsie ' You bootsie old tramp' Beak Her Indoors Him Indoors	მოხეტიალე მოსამართლე ცოლი ქმარი
ვულგარიზმი	39	You are total full	მთლად სულელი

ო		Damn Shit You are looking for a kick in the Jacobs! Knees up Don't mind me, I'm only pulling your plonker mate'	ყოფილხართ დალახვროს ჯანდაბა შარს ეძებ ! კარგი დროს ტარება ნუ მიჯავრდები, მე მხოლოდ ვხუმრობ
---	--	---	--

ცხრილი # 13

დავით ტურაშვილი, ჯინსების თაობა, 2001			
ქალი პერსონაჟი	N	ორიგინალი	თარგმანი
პროფესიონალი იზმები	23	„მოლბერტი“ „კონტურები მოავლე“ საჰაერო ესკორტი ნავიგაცია	Easel Draw the frame Aircraft Escort navigation
სლენგი	96	იქ ყველაფერი თავსაყრელად აქვთ, ტკბილეულიც არ ინერვიულო, ყველაფერი გადასარევადაა	'They've got cotchels of sweets in that shop' Don't worry everything is cushty
ჟარგონი			
ვულგარიზმი			
მამაკაცი პერსონაჟი			
პროფესიონალი იზმები	19	კურსი შეიცვალა მანევრი ცეცხლის გახსნა	Changed the direction The action Opened a fire/fired
სლენგი	9	ნაღდი	genuine Brahma
ჟარგონი/ბარბარიზმი	19	„პახმელია“ „შპიონი“ კაგებეშნიკი	Hangover Espionage KGB guy
ვულგარიზმი	7	ერთი მანქანას შემიხედე	'Take a dekkko at my car, something's wrong with it.'

ცხრილი # 14			
დავით ტურაშვილი, სხვა ამსტერდამი, 2010			
ქალი პერსონაჟი	N	ორიგინალი	თარგმანი
პროფესიონალიზმები	18	ექიმის დანიშნულება ფარმაცევტული სასწაული ქიმიური ექსპერიმენტი	Doctor's Assignment Pharmacy Miracle Chemical experiment
სლენგი	87	ძალიან მაგარია შენი ახალი მანქანა “მოსაწევი” კანაფი	'Your new car's mint, mate' Puff
ჟარგონი	86	მაიმუნის უკანალივით სახე ჰქონდა	He was as a peeling as the Baboons butt
ვულგარიზმი	82	მისმა ნათქვამმა მწყობრიდან გამოიმყვანა აბსოლუტური სისულელე	The was he spoke to me was bang out of order Numpty
მამაკაცი პერსონაჟი	N		
პროფესიონალიზმები	23	მწერალთა სიმპოზიუმი სტილი პირველი კონტაქტი კომპიუტერთან გაცვლითი პროგრამა მიღება საელჩოში	Symposium of Writers Style First contact with Personal Computer Exchange program Embassy Recetpion
სლენგი	9	გამმარცვეს ოფიციალურად დააბრუნე ბებიაჩემის	They screwed me our of money Return back my granny's bycycle that your grandpa

		ველოსიპედი ბაბუაშენმა რომ წართვა ომის დროს	stole in WW2
ჟარგონი	11	დროის მოკვლა	Kill the time
დიალექტიზმი	0		
ვულგარიზმი	34	You are like some ugly dog, crawling under everybody's feet Where the hell you disappeared	„უჯიშო ძაღლივით ყველას ფეხებში უნდა ჩაუგორდე“ “სად ჯანდაბაში დაიკარგე“

ცხრილი # 15			
ფრეი, ჯეიმს, მილიონი პატარა ნატეხი, 2003			
ქალი პერსონაჟი		ორიგინალი	თარგმანი
პროფესიონალიზმები	36	Possession, Possession with Intent to Distribute Filling the teeth	შენახვა (იგულისხმება ნარკოტიკი) შენახვა გაყიდვის მიზნით კბილის დაპლომბვა
სლენგი		Scuse me, just gotta pay a visit to the Khazi Homecoming	უკაცრავად საპირფარეშოში უნდა შევირბინო / იქ უნდა წავიდე სადაც მეფენი თავისი ფეხით დადიან შინდაბრუნების წვეულება
ჟარგონი		Are you on Bail	გირაოთი გათავისუფლდი?
ვულგარიზმი		“I am not cleaning your fucking toilets”	„არ ვაპირებ თქვენი დედააფეთქებული


			ტუალეტების წმენდას“
მამაკაცი პერსონაჟი		I am piloting We hunt and fish together Neighbourhood council Prevent the crime	მე საჭესთან ვარ თავისუფალ დროს ერთად ვატარებთ სამეზობლო საბჭო დანაშაულის პრევენცია
პროფესიონალიზმები	35	Vandalism and Destruction of Property charges, Assault with a deadly weapon	ვანდალიზმისა და ქონებაზე ზიანის მიყენების ბრალდებით სიკვდილის იარაღის შენახვის ბრალდება
სლენგი		Junky I don't want you to die you dumb little fucker	ნარკომანი არ მინდა რომ მოკვდე შე დეგენერატო
ჟარგონი		You are the worst thing to happen to the world	ყველაზე საშინელი არსება ხარ ამჟვეყნად
ვულგარიზმი			

კვლევაში გამოყენებული საანალიზო წყაროების რაოდენობრივი მონაცემის საფუძველზე, შევადგინეთ კოლოკვიალიზმების გამოყენების ამსახველი გრაფიკული გამოსახულება, რომელშიც გენდერულ ჭრილშია წარმოდგენილი პროფესიონალიზმების, სლენგის, ჟარგონის, ვულგარიზმის გამოყენება პერსონაჟთა მეტყველებაში. შესწავლილი მასალის ანალიზი დიაქრონულ ჭრილში გვამღევეს იმის თქმის საფუძველს, რომ შედარებით ადრეული ნაწარმოებებში (მაგ. დიკენსის დევიდ კოპერფილდი) ქალი პერსონაჟების მეტყველება ცდილობდა, დაეკმაყოფილებინა საზოგადოების სტანდარტი და ყოფილიყო ბევრად უფრო დახვეწილი, ვიდრე მამაკაცი პერსონაჟისა, მაშინ როცა უკვე მე-20 საუკუნის და უფრო თანამედროვე ნაწარმოებებში, როგორც ქართულ, ისე, ინგლისურენოვან ორიგინალებში, თითქმის თანაბარი დოზით ვხვდებით კოლოკვიალურ ლექსიკას ორივე სქესის პერსონაჟებში,

მათ შორის სლენგის, ჟარგონის და ტაბუირებული სიტყვების. ლინგვისტი ჯენიფერ ქოუსი (Coats, J. 1986) ამბობდა: “ვულგარულობა, კულტურული კონსტრუქტია, რომელიც შუა საუკუნეებში ენისთვის სიახლეს წარმოადგენდა ზრდილობიანი ფორმის და კეთილშობილური საუბრის მანერის გვერდით, ბუნებრივად ყალიბდებოდა ვულგარიზმი, რომელიც საზოგადოების შედარებით დაბალი ფენების საკუთრება იყო და რომელთა გამოყენება მამაკაც მოსაუბრეებს განსაკუთრებით ეკრძალებოდათ ქალების თანდასწრებით”.


დიაგრამა # 6

კოლოკვიალიზმები ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში




დიაგრამა #7

კოლოკვიალიზმები კაც პერსონაჟთა მეტყველებაში



დიაგრამა # 8

კოლოკვიალიზმები ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში
შედარება



დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საანალიზო წყაროდ აღებულ მხატვრულ ტექსტებში ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მიერ კოლოკვიალური ლექსიკის გამოყენების ტენდენციები განსხვავებულია: ისინი თითქმის თანაბარი რაოდენობით იყენებენ პროფესიონალიზმებსა და პროფესიონალიზმთან დაკავშირებულ ლექსიკას: მაგალითად, დიკენსის „დევიდ კოპერფილდ“- ში: 39 შემთხვევაში ქალი პერსონაჟი მოიხსენიებს ასეთ ტერმინს და 33 შემთხვევაში მამაკაცი პერსონაჟი, შედარებით თანამედროვე ნაწარმოებში, როგორცაა ჯეიმს ფრეის „მილიონი პატარა ნატეხი“ - 36-ჯერ ქალი პერსონაჟის საუბარში ვხვდებით პროფესიულ ლექსიკას, ხოლო 32-ჯერ - მამაკაცი პერსონაჟის საუბარში. იმავეს ვერ ვიტყვით სლენგისა და ჟარგონის გამოყენებაზე, რაც გარკვეული სუბ-კულტურების ან სოციალური ჯგუფების საკუთრებაა. განხილული ექვსი საანალიზო წყაროდან ხუთში ქალები თითქმის არ იყენებენ სლენგსა და ჟარგონს, მაშინ როდესაც მამაკაცი პერსონაჟები იყენებენ ინტენსიურად და საშუალოდ დაახლოებით 30 შემთხვევაში თითოეულ ნაწარმოებში. მხოლოდ ერთ საანალიზო ნაწარმოებში - „მილიონი პატარა ნატეხი“, რომელიც ამერიკელი ავტორის ჯეიმს ფრეის 2003 წლის ბესტსელერია, ვხვდებით ქალი პერსონაჟების მიერ სლენგისა და კონკრეტული სოციუმისათვის დამახასიათებელი ჟარგონის გამოყენებას, დაახლოებით 15 შემთხვევაში, მაშინ, როდესაც, იმავე ლექსიკას ნაწარმოების გმირი მამაკაცები მიმართავენ დაახლოებით 20 შემთხვევაში.

საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა ზემოხსენებულმა ანალიზმა კოლოკვიალური ლექსიკის თარგმანის თვალსაზრისითაც. შემთხვევათა მხოლოდ 70%-ში გვაქვს შესაძლებლობა, რომ ორიგინალში გამოყენებული კოლოკვიალური გამონათქვამი, თარგმანშიც შესაბამისი კატეგორიის ტერმინით ითარგმნოს, დანარჩენ შემთხვევათა დაახლოებით 30%-ში კოლოკვიალური გამოთქმა ორიგინალიდან თარგმანში ნეიტრალური მნიშვნელობის მქონე ტერმინით გადავიდა, რაც უკავშირდება ენის სტრუქტურას, სლენგის ან ჟარგონის ექსპრესიულ დატვირთულობას ორიგინალში და დიდწილად მთარგმნელის სუბიექტურ სტრატეგიაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად საჭიროდ ჩათვლის იგი ამ სიმძაფრის შენარჩუნებას თარგმანში, ისე რომ შინაარსიც არ დაიკარგოს. მაგ. “I am not cleaning

your fucking toilets” - „არ ვაპირებ თქვენი ტურტლიანი ტუალეტების წმენდას“. გადმოქართულების დროს ქართველმა მთარგმნელმა ვულგარული გამონათქვამის შედარებით „რბილი“ ვარიანტი არჩია და ორიგინალში გადმოცემული სიმძაფრე შედარებით შეარბილა. არის შემთხვევები, როცა მსგავსი ვულგარიზმები სრულად იკარგება და თარჯიმნის სტრატეგია ვულგარული გამონათქვამის ნეიტრალური ტერმინით ინტერპრეტირებას გულისხმობს: მაგ “Are you on Bail?” - წარმოადგენს სლენგს ინგლისური პროფესიული სასამართლო ტერმინისა: “Have you been released with Collateral” ან “Are you on probation?”, მაშინ, როდესაც ქართულ თარგმანში ტერმინი ჩვეულებრივი პროფესიონალიზმით - სასამართლოს პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებული ნეიტრალური ტერმინით ითარგმნა: „თავდებით გათავისუფლდი?“

ზოგადად, კოლოკვიალიზმების გამოყენება მხატვრულ დისკურსში და მათი ასახვა თარგმანში შესაბამისად, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ესენია: სოციალური ფაქტორი, კომუნიკაციის მონაწილე მხარეთა როლები ნაწარმოებში, მათი განათლების დონე, პროფესიული კუთვნილება, წარმოშობა, ფინანსური სტატუსი და მათ შორის დისტანცია. მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კოლოკვიალური ლექსიკის გამოყენების სიხშირესა და ექსპრესიულობაზე იმ ფაქტსაც, თუ რამდენად ფორმალური ან არაფორმალურია კონტექსტი, როგორია ავტორის წერის მანერა. ნაწარმოების გმირი შესაძლებელია, ცვლიდეს სასაუბრო სტრატეგიას იმის მიხედვით, თუ რა განწყობაზეა, როგორ ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ მდგომარეობაში იმყოფება, თუმცა, კოლოკვიალური ლექსიკის შერჩევის გენდერულად მარკირებული სტრატეგიები, მიუხედავად გუნება-განწყობაში მომხდარი გრადაციებისა, ტენდენციურად იგივე რჩება: ანუ ნაკლებად ემოციურ კონტექსტში ქალი პერსონაჟები პროცენტულად მაინც იმდენივე სლენგს, ჟარგონსა და ვულგარიზმს იყენებენ, რამდენსაც უარყოფითი დამოკიდებულების, ბრაზის თუ მნიშვნელოვანი ტკივილის გადმოცემის დროს, და იგი საგრძნობლად ნაკლებია იმავე სიტუაციაში მამაკაცების მიერ გამოყენებულ კოლოკვიალიზმებზე.

თავი III

გენდერული მეტყველების სემანტიკური ასპექტები ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებსა და თარგმანებში

3.1 გენდერული ექსპრესიის ზოგადი მახასიათებლები

ენის ექსპრესიულობა მისი რეფერენციული, ფატიკური, აპელაციური, მეტალინგვისტური და პოეტური ფუნქციების გვერდით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომელსაც გამოკვეთილი გენდერული ასპექტი აქვს განსხვავებით სხვა ზემოჩამოთვლილი ფუნქციებისაგან (კიკვიძე, ზ. 2010). საანალიზო წყაროებზე დაკვირვების დროს შევისწავლეთ ემოციების გამოხატვის ექსპრესიული ფორმები ქალ და მამაკაც პერსონაჟთა სამეტყველო ლექსიკაზე დაყრდნობით და დავყავით ისინი დადებითი და უარყოფითი გრძნობების გამომხატველ ჯგუფებად, რასაც ამ თავის ქვეთავებში დეტალურად განვიხილავთ გენდერულ ჭრილში.

სპეციფიკური ლექსიკური ერთეულების გარდა, ქალისა და მამაკაცის მეტყველებას შორის ხშირად გვხვდება ისეთი ნაწილაკების განსხვავებული გამოყენება, რომელსაც გრამატიკოსები ხშირად “მნიშვნელობის არმქონე” ან მეტალინგვისტურ ერთეულებს უწოდებენ.

ქალი: Oh dear, you've put the peanut butter in the refrigerator again.

ღმერთო ჩემო (ძვირფასო), ისევ მაცივარში შეგინახავს მიწისთხილის კარაქი.

მამაკაცი: Shit/Damn, you've put the peanut butter in the refrigerator again.

ეშმაკმა დალახვროს, ისევ მაცივარში შეგინახავს მიწისთხილის კარაქი.

ამ ელემენტებს (Oh Dear, Sheet/Damn/Hell) ინგლისურენოვან ტექსტებში მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა აქვთ და ხშირად არის მოსაუბრესა და მსმენელს შორის არსებული დამოკიდებულების ინდიკატორი. რაც უმთავრესია, კონკრეტულ სოციუმში მიღებული ლინგვისტური ნორმები ქალ მოსაუბრეს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს და სთხოვს, იყოს უფრო “რბილი” და “პოზიტიური”

ნეგატიური ემოციის გამოხატვის დროსაც კი, ვიდრე მამაკაცს, რომელსაც შეუძლია იგივე ემოცია საგრძნობლად უფრო უხეში ენობრივი ეკვივალენტით გამოხატოს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ქართული სამეტყველო ლექსიკის ბაზაზე არ მოგვეპოვება მსგავს ენობრივ მოვლენებზე დაკვირვების თვისობრივი თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგები, თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილულ მაგალითებს ზუსტი თარგმანი მოეძებნება ქართულ ენაში, ისე რომ არ ირღვევა არც წინადადების სტრუქტურა და არც ემოციური ექსპრესია, თავისთავად, მოწმობს, რომ ეს ჰიპოთეზა ქართულისთვისაც აქტუალური შეიძლება აღმოჩნდეს.

ამავე მოვლენაზე დაკვირვება საანალიზო ენების ლიტერატურული კორპუსის მეშვეობით, ბევრად უფრო ეფექტური, მრავლისმომცემი და მეცნიერულად მიზანშეწონილი აღმოჩნდა. კვლევის პროცესში შევისწავლეთ და პარალელები გავავლეთ ორიგინალ ტექსტსა და მის თარგმანს შორის დადებითი და უარყოფითი ემოციის გამომხატველი საშუალებების გადატანის თვალსაზრისით და შევაპირისპირეთ ისინი გენდერულ ჭრილში. მაგალითად, ავიღეთ გოლზვორთის „ფორსაიტების საგა“ და მისი თარგმანი და შევაპირისპირეთ სხვადასხვა სქესის გმირების მიერ გამოყენებული ემოციური ექსპრესიის გზები, რამდენად ზუსტად აისახა ისინი თარგმანში და რა დამატებითი ხერხები მოითხოვა ენათა სისტემების განსხვავებულობის გამო.

“George, on **hearing the story, grinned.** The hat had obviously been worn as a practical joke! He himself was a connoisseur of such. “Very haughty!” he said, “the wild Buccaneer.”

And this mot, the ‘Buccaneer,’ was bandied from mouth to mouth, till it became the favourite mode of alluding to Bosinney. Her aunts reproached June afterwards about the hat.

“We don’t think you ought to let him, dear!” they **had said. June had answered in her imperious brisk way, like the little embodiment of will she was:** “Oh! what does it matter? Phil never knows what he’s got on” (Golsworthy, J. 2014: 876)!

„ჯორჯმა რომ ქუდის ამბავი მოისმინა, თავისთვის ჩაიცინა და ჩაილაპარაკა: ცხადია, კარგად მოფიქრებული ტლანქი ოხუნჯობააო!. მას თვითონაც უყვარდა ასეთი ხუმრობები. - მეტად დიდგულა და მარჯვე მეკობრე ყოფილა, - თქვა მან და ჯორჯის ეს მოსწრებული ეპითეტი “მეკობრე” მანამ ეკერათ პირზე, ვიდრე ბოსინის

მეტსახელად არ იქცა. ქუდის ამბავზე პაპიდებმა საყვედურებით აავსეს ჯუნი. -ჩვენ თუ გვკითხავ, მუდამ ლაგამამოდებული უნდა გყავდეს, თავის ნებაზე არ უნდა მიუშვა იგი, ძვირფასო! - **მტკიცე ნებისყოფის თავნება ჯუნმა** კი მბრძანებლურად განუცხადა პაპიდებს: - რას ამბობთ! რა მნიშვნელობა აქვს ამას? ფილი სულაც არ ფიქრობს ჩაცმა-დახურვაზე“ (გოლზუორთი, 2012: 11)!

მოცემულ მონაკვეთში ჯორჯის სარკასტულ მანერას, პაპიდების დამრიგებლურ-სნობურ მეტყველებასა და ჯუნის თავდაჯერებულ-ცინიკურ რემარკას თუ გავანალიზებთ, ცხადი გახდება შემდეგი: პერსონაჟთა მეტყველებას განაპირობებს მათი სოციალური კლასი და გავლენა საზოგადოებაში ასევე, მოსაუბრისადმი დამოკიდებულება, რაც მოტივირებულია კონტექსტით, პრესუპოზიციით ანუ წინასწარი ვარაუდით, გარკვეული წინაპირობით და გააჩნია ქვეტექსტი. კერძოდ, ბოსინის, რომელიც ფორსაიტების კლანისთვის უცხო დანამატია, დიალოგის მონაწილე ყველა სუბიექტი საკუთარი გადმოსახედიდან ახასიათებს და მის გულგრილობას მაღალი სოციალური წრის საზოგადოების მიერ დაწესებული მოთხოვნებისადმი (მაგალითად, ჩაცმულობა) თავისებურად აფასებს: ჯორჯი – დასცინის, პაპიდები – ცდილობენ ზეგავლენის შენარჩუნებას და მის დაუფარავად დამცირებას “We don’t think you ought to let him, dear!”- „ჩვენ თუ გვკითხავ, მუდამ ლაგამამოდებული უნდა გყავდეს, თავის ნებაზე არ უნდა მიუშვა იგი, ძვირფასო!“ (გოლზუორთი), ხოლო შეყვარებული და თავნება ჯუნი – ბოსინის ამ თვისებებს ხაზს უსვამს, როგორც მის უპირატესობას. ქართულ თარგმანში არა თუ არ დაიკარგა ეპითეტების “Very Haughty” (=arrogantly superior and disdainful)! და “The Wild Buchaneur” მნიშვნელობა, არამედ ქართულისთვის ბუნებრივი ემოციური ექსპრესიის დატვირთვა შეიძინა და პრაქტიკულად იდენტური ეპითეტები მივიღეთ თარგმანში: “მეტად დიდგულა” და “მარჯვე მეკობრე”. ერთადერთი რაც თარგმანში დაიკარგა, არის კონკრეტული სასვენი ნიშანი, კერძოდ ძახილის ნიშანი “Very Haughty!”- “მეტად დიდგულას” შემდგომ, რაც განპირობებულია სხვადასხვა სისტემის ენებს შორის თარგმანში წარმოქმნილი ტრანსპოზიციით, ლექსიკურ-ფონოლოგიური ერთეულების ადგილმონაცვლეობით წინადადებაში, რომლის შესახებ მოგვიანებით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. მნიშვნელოვანია, კიდევ ერთი

საინტერესო პერსონაჟის - მოხუცი მეეტლეს მიერ ბოსინის დამახასიათებელ გავანალიზოთ. მისი მეტყველება ორიგინალში მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი გმირების მეტყველებისაგან, რამდენადაც იგი დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენელია. თუმცა, მის მიერ ბოსინის შეფასება, ისეთივე აროგანტული და უნდობლობის შემცველია, როგორც მისი ბატონების მიერ წარმოთქმული ყველა სიტყვა:

“Old Jolyon’s coachman, after driving June and Bosinney to the theatre, had remarked to the butler: **“I dunno what to make of ’im. Looks to me for all the world like an ‘alf-tame leopard.”** „მოხუცი ჯოლიონის მეეტლემ, რომელმაც ჯუნი და ბოსინი ერთხელ თეატრში წაიყვანა, უფროს მსახურს უთხრა: - **ვერ გაუგებ რა კაცია, გამშაგებულ ავაზასავით იყურება.**“

ამ შემთხვევაში, თარგმანში სრულად დაიკარგა სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ხერხები: “Dunno” - “Do not Know”- ის ნაცვლად, “what to make of ’im” – what to say about him“-ის ნაცვლა და ‘alf-tame ნაცვლად “half-tamed”-ისა. მეეტლის მიერ საუბარში გამოყენებული სიტყვის შემოკლება აპოსტროფის გამოყენებით, იგივე contraction, არ არის დამახასიათებელი ქართული ენისთვის და ამ პერსონაჟის მიერ წარმოთქმული გრამატიკულად გაუმართავი წინადადება, რომელიც ინგლისურ ორიგინალში ზუსტად ასახავს გმირის სოციალურ კუთვნილებას, ქართულ ვერსიაში არ იგრძნობა, არ გადმოვიდა ბუნებრივად, შესაბამისად, მისი სიტყვები ქართულ თარგმანში ისევე მედიდურად და დახვეწილად ჟღერს, როგორც ფორსაიტების ოჯახის წევრთა მიერ გამოთქმული აზრი ამავე საკითხზე.

აქვე, ყურში გვხვდება პაპიდა ენის მიერ წინადადებების დაბოლოება კითხვითი წინადადებით ე.წ. “თაგებით” („კუდიანი“ დამაზუსტებელი შეკითხვა) (Tag Questions) “You do not need that, do you? You will not go, will you?” და ალერსობითი მიმართვები ძვირფასო, საყვარელო (Dear/Darling/Honey) - მეორე პირში, ასევე პესამე პირში მოკითხვის დროს: ჯუნის, აირენის და მისთვის ჯერ კიდევ უარყოფითი პერსონაჟის - ბოსინის მისამართითაც კი. - “Very nice for the young man,” she said; “and he’s a good looking young fellow; but I doubt he’s quite the right lover for der June.” – “მაგ

ახალგაზრდა კაცისთვის შესანიშნავი ამბავია”, - თქვა მან, - თვითონაც კარგი გარეგნობის ყმაწვილია; ოღონდ იმას ვფიქრობ, ჩვენი ძვირფასი ჯუნის შესაფერი თუა. - “Your’ so clever with all those things,” said Aunt Ann. “And how is dear Irene?” – “მაგ საქმეში შენ ყველაფერი მშვენივრად გესმის და ძალიანაც ჭკვიანად ირჯები, - წარმოთქვა პაპიდა ენმა, - როგორაა ძვირფასი აირენი“ (გოლზუორთი, ჯ. 2011:598)?

პირველ ქვეთავში ზოგადად შევხებით გენდერული ექსპრესიის ასპექტებს, ხოლო უფრო დეტალურად გენდერული ექსპრესიის იზომორფიზმებსა და ალომორფიზმებს კონტრასტულ ჭრილში განვიხილავთ მომდევნო ქვეთავებში.

3.2 ქალ პერსონაჟთა მეტყველების ექსპრესიის ასპექტები ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებსა და თარგმანებში

გენდერი, როგორც სოციო-კულტურული ფენომენი, ბუნებრივი სქესის საზოგადოებრივი პროეცირების ნაყოფია და ქალთა და მამაკაცთა ენობრივ პრიორიტეტებში განსხვავებული შტრიხები იკვეთება, რაც ყველაზე ნათლად ენის გენდერული ექსპრესიულობის კვლევის დროს გამოვლინდა. რა თქმა უნდა, ფიზიოლოგიური მახასიათებლებით გამოწვეული სქესობრივი განსხვავებები არსებობს, მაგალითად, სახმო სიმების მდებარეობა და მასთან დაკავშირებული ტემბრი, ფიზიკური მონაცემები და გარეგნული შტრიხები, მაგრამ ქალი და მამაკაცი პერსონაჟის ან ქალი და მამაკაცი ავტორის მიერ გამოყენებული ენობრივი ექსპრესია, უმეტესწილად განპირობებულია საპირისპირო სქესისათვის დამახასიათებელი განსხვავებული მოტივაციებით. ეს ცვლის კომუნიკაციის სტილსა და მიზნებს, რაც ტანენის თეორიაშიც ზუსტად არის სტრუქტურირებული.

საანალიზო წყაროების საშუალებით ვცადეთ წარმოგვეჩინა, თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება ავტორმა გამოიყენოს ამა თუ იმ სქესთან დაკავშირებული ლექსიკა, ფონეტიკა და ლინგვისტური ექსპრესიული ხერხები აზრის გამოხატვის, გმირის ხასიათისა და თვისებების გადმოცემის მიზნით.

ამავდროულად, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ცალკე აღებული ბუნებრივი სქესი, როგორც განმასხვავებელი ნიშანი, ვერ შეძლებდა წარმოექმნა ის ენობრივი ცვლადები, რაც შესწავლილი ავტორების მიერ გამოყენებული ენობრივი ექსპრესიის საშუალებათა კვლევის მიხედვით გამოიყო, რომ არ არსებობდეს ობიექტური სოციალური გარემო პირობები, რომლებიც ამ განმასხვავებელ ნიშნებს სოციალურ რელევანტურობას ანიჭებს.

როგორც ქალი, ასევე, მამაკაცი პერსონაჟების მეტყველების ექსპრესიის ასპექტების კვლევამ სხვადასხვა რაკურსით უფრო მეტად დაგვარწმუნა ტანენის განსხვავებულობის თეორიის ვალიდურობასა და შესაბამისობაში ორივე ენისთვის. ამ თეორიის თანახმად, როგორც ცნობილია, ქალისთვის მნიშვნელოვანია: **მხარდაჭერა, თანაგრძნობა, გრძნობები - ურთიერთობის დამყარება, შეთავაზება:** ქალი მოლოდინს აფიქსირებს ქალი გეტყვით, “ხომ არ დახურავდი კარს?” “რა მოხდება რომ კარი დახურო?”; **კომპრომისი** ქალები არგუმენტების დროს ცდილობენ თავიდან აიცილონ კონფლიქტი, შეარბილონ ლექსიკა და ინტიმურობა შესძინონ მას. ქალი მოსაუბრესთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში რჩევის მიცემას უფრო არამატერიალური მნიშვნელობა აქვს და თანამოსაუბრის მიმართ ინტიმურობის შეგრძნებას, დახმარების მოტივაციას გამოხატავს. საანალიზო წყაროებიდან ამოვკრიბეთ ყველა ის ენობრივი საშუალება, რომელიც გამოყენებულია ქალ პერსონაჟთა ლექსიკაში, რაც ადასტურებს ზემოხსენებულ მოსაზრებას. ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვყავით ქალი პერსონაჟების მეტყველების ათი ძირეული სტრატეგია რომელსაც ისინი იყენებენ ზემოხსენებული კომუნიკაციური მიზნების მისაღწევად:

სიტყვათა მარაგი - სიტყვაუხვობა, მისთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებული ლექსიკის ხშირად უადგილო, მაგრამ ძირითადად, ეფექტის მოსახდენად გამოყენების ტენდენცია:

“Now everything is finished for me, I wish him die in poverty and rags, he is a complete stranger to me, I wish he dies so that nobody is around him to give last shelter, I wish he gets so seek that he never survives (Maugham, 1987:90).

„ახლა კი, ახლა ყველაფერი გათავდა, მინდა სილატაკეში ამოხდეს სული, ის ჩემთვის უცხოა, ნეტა წყლის მომწოდებელი არავინ ჰყავდეს. ვნატრობ, რომ რაიმე საშინელი სენი შეეყაროს“ (მოემი, 1989: 85).

სხვადასხვა სახის ჰეჯირების - განმუხტვის /ყურადღების გადატანის საშუალებათა გამოყენება:

“You could add a little bit of lemon if you like, but I would prefer just letting it cook like this .. and then add lemon juice if you like the taste of lemon...right before you are gonna drink it”

„შეგიძლია ცოტაოდენი ლიმონი ჩაამატო, თუმცა მე დავიცდიდი შენს ადგილად, და ლიმონს ბოლოს ჩავამატებდი“

ჰიპერკორექტული გრამატიკა

You had to live in those days when women were servants and men their masters (Maugham, 1987: 90).

“შენ მაშინ უნდა გეცხოვრა, როცა ქალები მხევლები იყვნენ, მამაკაცები კი ბატონები” (მოემი, 1989: 85).

ზედმეტად რდილობიანი მიმართვები:

“Can I ask you something dear? Honey are you following me”

„შეიძლება რაღაც გთხოვო ძვირფასო?, საყვარელო მისმენ?“

ხუმრობისა და სარკაზმის ნაკლებობა

- “Be good, Joanie.”

- “Wait for me, you guys. This is gona come back.”

ხაზგასმული ფრაზები - ინტონაცია

“I’d like you to meet my partner, Chris.”

ინტენსიური “so” - “ამრიგად”

“Well, and so they are!” said June.” „ძალიან კარგი, ასეც უნდა იყოს!“ - თქვა ჯუნმა

უშინაარსო ზედსართავების გამოყენება divine, charming, cute, charming

“I’ll try, mom, to make you proud of me. That’s divine to me.” – „დედა ვეცდები ჩემით იამაყო, ეს ჩემთვის უზენაესი მიზანია!“

ინტონაციური პატერნების ფართო სპექტრი

“Jill said she’d talked with the professors in the department.” „ჯილმა თქვა რომ ის ესაუბრა ფაკულტეტის პროფესორს“ (აღმავალი ინტონაცია)

“It’s the welfare queens who undermine the system.” – „სწორედ მისნაირი მომხვეჭელები აკნინებენ ამ სისტემას“ (დადმავალი ინტონაცია)

“Hey, lady-watch where you’re going!” – „ქალბატონო, გაიხედეთ წინ ვიდრე ნაბიჯს გადადგამთ.“ (აღმავალი ინტონაცია)

კითხვითის გამოყენება მტკიცებითი წინადადების ნაცვლად

“When are you guys going to supper?” – „როგორც ვხედავ, არ აპირებთ ვახშობას“

“Have you seen my sister?” - „ვიცი, რომ უკვე შეხვდი ჩემს დას!“

3.2. 1 დადებითი ემოციის ექსპრესიულობა ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში

როგორც ცნობილია, ლინგვისტიკაში არსებობს მოსაზრება, რომ ენა არის მამაკაცთა საჭიროებებზე მორგებული ფენომენი და ის ქალის მიმართ დისკრიმინაციულ ელემენტებს შეიცავს. ლიტერატურული ტექსტების ანალიზით და ტიპოლოგიური შეპირისპირებით ეს თეორია ნაწილობრივ დასტურდება, თუმცა ის უფრო ტენდენციების დონეზე განიხილება და არ გააჩნია მკაცრი ლინგვისტური ნორმის ფორმა. ასეთივე ტენდენციის დონეზე განვიხილეთ დადებითი ემოციების გამოხატვის საშუალებები, რომლებიც მხოლოდ ქალ პერსონაჟებს ახასიათებთ. ეს უფრო პრესკრიპტიული მოვლენაა, რომელიც გვამღევეს ჩარჩო წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ერთი ან მეორე სქესის მიერ გამოყენებული ლექსიკა და რა მსგავსება განსხვავებები შეიძლება არსებობდეს მათ შორის.

მკვეთრი მასკულიზაციის ტენდენციის შერბილებას ლინგვისტები სხვადასხვა ხერხითა და მეთოდით ცდილობდნენ. მაგალითად, ენის ფილტრაციის მეთოდი, რომელსაც Method of Language Hygiene-ს უწოდებენ და მან სხვადასხვაგვარი გამოხატულება პოვა ქართულსა და ინგლისურში. ხსენებული მიდგომა იმაზე უფრო რთული დასაანერგი აღმოჩნდა მეტყველებაში, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. მაგალითად, რთული აღმოჩნდა „he/she“ და „Ms“ ნაწილაკების დამკვიდრება გენდერულად ნეიტრალურ კონტექსტში, რადგან ბევრად უფრო მყარად გამჭდარი

იყო „მამრობითის პირველობის წესი“ ანუ “mail firstness rule”, რაც თავისთავად ქალ პერსონაჟს მეორე ადგილზე გადასწევდა და მისთვის დამახასიათებელი ექსპრესიული ფორმებიც მხატვრულ ტექსტში უფერულდებოდა. განსხვავებით ამ ტიპის სტრუქტურული კონსტრუქციებისაგან, ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში დადებითი ემოციების გამოხატვის ფორმები და ექსპრესიული საშუალებები, იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, რამდენ ავტორსაც ვიცნობთ. იმისათვის, რომ კვლევა გარკვეულ ჩარჩოში მოგვექცია, ვცადეთ დადებითი ემოციების გადმოცემის ზოგადი კატეგორიზაცია შემდეგ ჯგუფებად:

მადლიერება:

”June clasped her hands behind her neck.”

„ჯუნმა სიხარულისგან ტაში შემოჰკრა ქუდი გაისწორა

“Aunt Juley rose to the full height of her tall figure.”

„დეიდა ჯული მთელი ტანით წამოიძარტა“

ზრდილობიანი მიმართვა:

„Dear Kind-Trustee-Who-Sends-Orphans-to-College, Here I am!.“

„ძვირფასო კეთილო-მეურვევ, რომელიც აგზავნის ობლებს კოლეჯში!“

შეთავაზება:

“He never talks about what doesn’t concern him, **do you still want to talk to him?**” she said.

„ის არასოდეს საუბობს ისეთ საკითხებზე, რაც მას არ ეხება. მაინც გინდა მასთან გასაუბრება? იკითხა მან“

სიხარულის გამოხატვა

„This is unbelievable..no could make me happier“, screamed June (Golsworthy, J. 2004:981)

„დაუჯერებელია, ვერავინ შეძლებდა ჩემს გახარებას ასე ძლიერ“ - შესძახა ჯუნმა

განხილული მაგალითები გავაანალიზეთ თვისობრივად და რაოდენობრივად. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ქალი პერსონაჟები უფრო მოქნილ, ელასტიურ და მრავალფეროვან ხერხებს იყენებენ დადებითი ემოციების გამოსახატად, ვიდრე - მამაკაცები და ეს ექსპრესიული ხერხები და მისი შემადგენელი ელემენტები, უკლებლივ ყველა, თითქმის უცვლელი ექსპრესიით ითარგმნება, როგორც ქართულიდან ინგლისურად, ასევე, პირიქით. ოდნავ

განსხვავებული სიტუაცია, დადებითი ემოციის თარგმანში, შეინიშნება მამაკაც პერსონაჟებთან, თუმცა, ეს მახასიათებლები დისერტაციის შესაბამის ნაწილში ჩამოვყალიბეთ და აქ არ განვავრცობთ. პოზიტიურ მარკერებად ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში იკვეთება შორისდებულები, შემახილები, სახელწმინები გამოყენებული, როგორც შეფასების საშუალება და რაც მთავარია, ინტონაციური გრადაციები. ეს უკანასკნელი უფრო მეტად ინგლისურს ახასიათებს და დიდად არ განსხვავდება უარყოფითი ემოციების გამოხატვის ინტონაციური ვარდენებისაგან.

3.2.2. უარყოფითი ემოციის ექსპრესიულობა ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში

ანალიზის პროცესში ვარჩიეთ სტანდარტულად დაგვეჯგუფებინა უარყოფითი ემოციის გამომხატველი ლექსიკა ქალ და მამაკაც პერსონაჟებთან შემდეგ კატეგორიებად: სალანძღავი ლექსიკა, სკაბრეზული გამონათქვამები, მწუხარების გამომხატველი ლექსიკა და უარყოფა. განვიხილეთ, თითოეული მათგანის ამსახველი პასაჟები ლიტერატურული ტექსტებიდან, სადაც გამოიკვეთა, რომ ქალი პერსონაჟები, რაოდენობრივად, ყველაზე ხშირად მიმართავენ მწუხარებასა და ტრაგიზმთან დაკავშირებულ ლექსიკას, მეორე რიგში დგას სალანძღავი სიტყვები, მესამე ადგილს იკავებს უარყოფის გამომხატველი ენობრივი ხერხები (არა, არ მინდა, ვერა, და სხვა - no, not, do not want etc), თუმცა, ეს მაჩვენებელი მამაკაცებთან უარყოფის გამოხატვის ხერხებს ორჯერ ჩამორჩება. ყველაზე იშვიათად, ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში შეიმჩნევა სკაბრეზული გამონათქვამები, თუმცა ლიტერატურული ჟანრისა და პერსონაჟს სოციალური კუთვნილების მიხედვით, ეს მონაცემიც შეიძლება მკვეთრად ვარიერებდეს. ამის მიუხედავად, იგი ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოებში ორჯერ, ზოგჯერ, სამჯერ ნაკლებია, მამაკაცი პერსონაჟის მიერ სკაბრეზული გამონათქვამის გამოყენების მაჩვენებელზე.

სალანძღავი ლექსიკა:

Irene's eyes made him feel uncomfortable. "You've no business to say such a thing!" she exclaimed. "Why not? Anybody can see it." "They cannot. And if they could, it's disgraceful to say so."

აირენის შემოხედვაზე თავი უხერხულად იგრძნო. „შენი საქმე არ არის ამაზე ისაუბრო!“ წამოიძახა მან (ჯუნმა) შემფოთებულმა. „რატომაც არა, ეს ყველასათვის ცხადია.“ „მათ ამის უფლება არ აქვთ, და კიდევ რომ ჰქონდეთ, ეს უღირსი საქციელია მათი მხრიდან.“

სკაბრეზული გამონათქვამები:

ქალი პერსონაჟები შედარებით ნეიტრალურ სკაბრეზებს იყენებენ, თუმცა ჟანრის სპეციფიკიდან და პერსონაჟს სოციალური სტატუსიდან გამომდინარე შეიძლება ვიპოვოთ უხამსი სკაბრეზული გამონათქვამიც:

“Go, go girl!” – „მიდი მიდი, მიაწეი!“

“How're you doing, tiger?” - როგორ ხარ ვეფხვო?

“Frankly, my dear, I don't give a damn.” - გულწრფელად გითხრა ჩემო, ძვირფასო, ფეხზე მკიდია.

“You fucking idiot.” „სულელო იდიოტო!“

მწუხარების გამომხატველი ლექსიკა

“June was instantly **compunctious**; she ran to her aunt and kissed her.- “I'm **very sorry**, auntie; but I wish they'd **let Irene alone**.” ჯუნს სახე მოელუშა, დეიდასთან მიირბინა და აკოცა: „ძალიან ვწუხვარ დეიდა, ნეტა აირენს თავს დაანებებდნენ“ (Golsowrthy, 1984: 38).

უარყოფა:

“She was **sceptical of Wally** -Judge Bradbary shakedown” – „ის სკეპტიკურად უყურებდა უოლი - ჯუდ ბრედბერის რყევებს“ (Weaver, T. 2012: 68 თარგმანი ჩვენეული).

“She **was incredulous that** her husband would **fork over all his cash to** Iris Klopeck” (Weaver, 2012: 223). „ის ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ მისი ქმარს მთელი მათი დანაზოგი აირის კლოპეკისთვის უნდა მიერთმია.“

“Oscar getting mauled by an angry (female) divorce client“ - ოსკარს თანდათან აღიზიანებდა ბრაზმორეული ქალი, რომელიც განქორწინების საქმეზე იყო მოსული.“

“What a sleaze ball” – „საზიზღარი ტიპი“ (Weaver, 2012: 68 თარგმანი ჩვენეული).

ეს დაჯგუფება უფრო პირობითია, ვიდრე უნივერსალური, რადგან ქალ პერსონაჟთა უარყოფითი ემოციების გამოხატვის საშუალება, ზუსტად იმდენ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ, რამდენ ავტორსა და პერსონაჟსაც შევისწავლით. ეს ხერხები მდიდარი, მრავალფეროვანი და მეტად ექსპრესიულია ქალ მოსაუბრეებში, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ტრაგიკულ მოვლენებს, სამაგიეროდ შედარებით უფრო კორექტულები და სიტყვაძუნწები არიან ქალები სკაბრეზული გამონათქვამების გამოყენების თვალსაზრისით მამაკაც პერსონაჟებთან შედარებით.

საანალიზო წყაროებზე და მათ თარგმანებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ უარყოფით (ასევე, დადებით) ემოციებს სხვადასხვა გენდერული ჯგუფები სხვადასხვაგვარად გამოხატავენ. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას პერსონაჟთა მეტყველებაში წარმოადგენს ტრანსპოზიცია ანუ სიტყვათა ადგილმონაცვლეობა. იგი საინტერესოა ენათა შორის კონტრასტული ანალიზის პროცესში და თარგმანის დროს თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება ფონეტიკური და მორფო-სინტაქსური განსხვავებების ინტერპრეტირების პროცესს. ტრანსპოზიცია ხშირ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც ემოციური ექსპრესიის საშუალება პერსონაჟთა მეტყველების თავისებურების ასახვის მიზნით. ჩვენი დაკვირვებით ექსპრესიის ამ ხერხს უფრო ხშირად ქალი პერსონაჟები მიმართავენ, მიუხედავად იმისა, რომ მორფო-სინტაქსური სისტემის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ნეიტრალურ სიტუაციაში, ქალებს ახასიათებთ ჰიპერკორექტული გრამატიკა და მამაკაცებისგან განსხვავებით არ იყენებენ სიტყვათაწყობის გაუმართავ სტრუქტურას.

“Was it spring tickling her senses — whipping up nostalgia for her ‘clown,’ against all wisdom and outraged virtue? A male scent! A faint reek of cigars and lavender-water not smelt since that early autumn night six months ago, when she had called him ‘the limit.’”

„ნუთუ გაზაფხულმა აუწეწა ნერვები, დარდი აუშალა, ყოველგვარი გონივრული მოსაზრებისა და შეურაცხყოფილი სათნოების მიუხედავად, თავისი „ჯამბაზი“ მოანატრა?! მამაკაცის სუნია! სიგარისა და ლავანდის სუსტი არომატი, რაც მას აგერ

ექვსი თვეა აღარ უგრძნია - ადრეული შემოდგომის იმ ღამის შემდეგ, როცა „ყელში ამომიხვედიო“, დაუძახა.“

საყურადღებოა, რომ უარყოფითი ემოციის გამომსახველი ტერმინის: “The Limit” თარგმანი “ყელში ამომიხვედი”, რომელიც ზუსტად გადმოსცემს ორიგინალ ტექსტში ასახულ ემოციას მის ქართულ თარგმანშიც, მიუხედავად იმისა, რომ მთელს ამ ჩუმ მონოლოგში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ტრანსპოზიციას, თავადაც განიცადა ადგილმონაცვლეობა და პირდაპირი მნიშვნელობით თარგმანიც არ გვაქვს „The Limit” – უფრო შეესატყვისება “კმარა“, მაგრამ კონტექსტი იმდენად მძაფრია ეს მეტად ნეიტრალური თარგმანი საკმარისი არ იქნებოდა ქმარზე გაბრაზებული ცოლის ემოციის გადმოსაცემად.

“Steady!” said Soames, “you’re thoroughly upset. I’ll go back with you.”

“What’s the use?”

“We ought to make terms with him.”

“Terms! It’ll always be the same. When he recovers — cards and betting, drink and!”
She was silent, remembering the look on her husband’s face. The burnt child — the burnt child. Perhaps . . .!

“Recovers?” replied Soames: “Is he ill?”

“No; burnt out; that’s all.”

Soames took his waistcoat from a chair and put it on, he took his coat and got into it, he scented his handkerchief with eau-de-Cologne, threaded his watch-chain, and said: **“We haven’t any luck.”**

„ყოჩად! - უთხრა სომსმა, - რას აფორიაქებულხარ. მე გამოგყვები.

რა აზრი აქვს?

მოველაპარაკები!

მოველაპარაკები! ძველებურადვე დატრიალდება ყველაფერი. ცოტას მოიხედავს და ..
კარტი, დოღი, ლოთობა და...

გაჩუმდა, ქმრის გამომეტყველება მოაგონდა. შეშინებული ძაღლი... შეშინებული ძაღლი..იქნებ.....!!!

მოიხედავსო?? - ჩაეკითხა სომსი, -ავად არის?

არა, დაფეთებულია.

სომსმა სკამიდან ჟილეტი აიღო და ჩაიცვა; მერე სერთუკში გაუყარა ხელები, ცხვირსახოცს ოდეკოლონი დაასხურა, საათის ძეწკვი ღილზე დაიბნია და უნიფრიდს უთხრა: „ბედი არ გვწყალობს“ (გოლზუორთი, 2012: 102-114).

აქაც ვხვდებით ქალი და მამაკაცი პერსონაჟის მიერ ემოციების გამოხატვის თავისებურებებს, მიუხედავად იმისა, რომ ორივენი ერთი საკითხით არიან შეწუხებული და ერთსა და იმავე ოჯახს მიეკუთვნებიან. სომსი უფრო გაწონასწორებულია და კონკრეტულ შეთავაზებებს უკეთებს აღელვებულ დას: „Steady!“ ყოჩად!; „I’ll go back with you.“ „მე გამოგყვები.“ „It’ll always be the same.“ „ყველაფერი ძველებურად დატრიალდება“ „Terms!“ – „მოველაპარაკები!“ (გოლზუორთი, 2012: 227) მისი ფრაზების შემდგომ გამოყენებული პუნქტუაცია მის აუღელვებლობასა და მტკიცე გადაწყვეტილებაზე მიუთითებს, მაშინ როცა ვინიფრედი დაბნეულია, სიტყვებს ვერ ასრულებს და თვალწინ „დაფეთებული“ – „burn out“ და „ძალიანით შეშინებული“ – “the burnt child” (გოლზუორთი, 2012: 568) ქმრის სახე უტრიალებს. აქაც გვხვდება, როგორც ტრანსპოზიცია, ასევე სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობა თარგმანში, თუმცა ემოციური ექსპრესია სრულად არის შენარჩუნებული.

საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ სანალიზო წყაროზე - თანამედროვე ქართველი მწერლის – დათო ტურაშვილის “ჯინსების თაობაზე” და მის ინგლისურ თარგმანზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქალი და მამაკაცი პერსონაჟები შედარებით ნაკლებად იყენებენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ხერხებს იყენებენ დადებითი თუ ურყოფითი ემოციების გადმოსაცემად, თუმცა როგორც კი ამ ემოციების გამოხატვის არავერბალურ საშუალებები გავანალიზებთ, დავრწმუნდით, რომ ხსენებულ ავტორთანაც კი “ქალური” და “მამაკაცური” მეტყველების მანერა, ლექსიკონი, აგრეთვე არავერბალური ხერხები, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამის დასტურად ჩვენს მიერ მოყვანილი დიალოგების შედარებებიც კმარა, რომელთაგან ერთი მიმდინარეობს თინასა და გეგას შორის ტელეფონით ხოლო მეორე გეგასა და ვაჟას შორის პირადად.

თინას მეტყველებაში გამოყენებულია კითხვითი წინადადებები: “რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის შენ ეტლში ზიხარ თუ არა? სად წახვედი? რატომ მოიტყუე?” - ყველა ამ წინადადებაში არის ქვეტექსტი, მაგრამ არა ცინიკური, მისი ხმაც “ანგელოზის ხმას გავს” და იგი „ყველაზე ლამაზი გოგოა მთელს თბილისში”, მაშინ როცა გეგა და ვაჟა სულ რაღაც 10 ხაზიან დიალოგში მოხერხებულად აქსოვენ: ცინიზმს – “ვრანგლერის” მარკის ჯინსის ქურთუკის შესახებ, რომელიც არასოდეს იხევა და რომელიც პაემანზე წასასვლელად უნდა ითხოვოს გეგამ მეგობრისაგან სტატუსის მოსამატებლად; ასევე სკოლაში ვითომდა გაჩენილი ხანძრის შესახებ, რის გამოც ვაჟა არ ესწრება გაკვეთილებს, ასევე სახანძრო მანქანის ვითომდა ხმა, (რომელიც იმ დროის თბილისში, მართლა რომ გადამწვარიყო ქალაქი, აუცილებლად დაიგვიანებდა) და ბოლოს, თავად გეგას მიერ შეთხზული ტყუილი თინასთან პირველივე სატელეფონო საუბარში, რომ ის თითქოს ეტლით მოსარგებლეა.

გეგა: არა, რას ბრძანებთ, არ მინდა შეგაწუხოთ და თანაც...

თინა: თანაც რა?

გეგა: მირჩევნია აკადემიაში მოგაკითხოთ ლექციების შემდეგ.

თინა: როგორ მიცნობთ?

გეგა: თქვენ ხომ ადვილად მიცნობთ, არა მგონია აკადემიის წინ სხვა ჩემნაირს ჰქონდეს პაემანი.

თინა: ხომ გითხარით, რომ თქვენი მდგომარეობა კარგად მესმის...

გეგა: მაგრამ მგონი მაინც არ იქნება სასიამოვნო, თუ ლექციების მერე თქვენსავით ლამაზ გოგოს ვიღაც ხეივანი დახვდება ბორბლებიანი სავარძლით...

თინა: ჩემსავით ლამაზ გოგოს? თქვენ რა იცით როგორი ვარ?

გეგა: არ ვიცი, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოთ, ალბათ მაინც გაუკვირდებათ თქვენს დაქალებს თქვენი ხეივანი თაყვანისმცემლის დანახვა აკადემიის წინ.

თინა: ჩემი ცხოვრება მხოლოდ ჩემი საქმეა.

გეგა: ხვალ?

თინა: რა ხვალ?

გეგა: შეიძლება ხვალ მოვიდე?

თინა: ხვალ სამზე გვიმთავრდება ლექციები.

გეგა: სამისთვის მოვალ, ძეგლთან ვიდგები, უფრო სწორად, ვიჯდები.”

Gega: "Oh no, I don't want to bother you and also..."

Tina: "**Also what?** "I prefer to come to the Arts Academy after your lectures."

Gega: "**How will you recognize me?**"

Tina: "Well, you'll recognize me easily. I don't suppose someone else like me is going to have a date in front of the Academy."

Gega: "I've already told you, I don't care about your physical situation..."

Tina: "But I still think it isn't particularly pleasant that some disabled person in a wheelchair is waiting for a beautiful girl like you, after lectures..."

Gega: "**A beautiful girl like me? How do you know what I look like?**"

Tina: "I don't, but whatever you may look like, your friends will still be surprised to see your disabled admirer in front of the Academy."

Gega: "That's my business."

Tina: "**Tomorrow?**"

Gega: "**Tomorrow what?**"

Tina: "Can I come tomorrow?"

Gega: "Our lectures finish at three tomorrow."

Tina: "I'll come by at three. I'll be standing at the monument, I mean sitting."

Gega: "I'll come as soon as lectures are over "Oh no, don't worry, but I should go..."

Gega was not really tired, but he did not want to continue the conversation, or rather he couldn't continue it, so he said goodbye to Tina and hung up. Then he smiled because of some strange pleasure or joy at discovering that apparently there were completely different girls living in this city, maybe very few of them, maybe only Tina, but still...

3.2.3. კორპორალური (სხეულთან დაკავშირებული) სიტყვები და არავერბალური ექსპრესიული ხერხები ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურულ კორპუსში პერსონაჟები, გარდა ვერბალურისა, უხვად იყენებენ ემოციის გამოხატვის არავერბალურ საშუალებებს: ჟესტებს, მიმიკას, აქსესუარებს. ხშირ შემთხვევაში მათი გამოყენება მოტივირებულია გრძნობების, დამოკიდებულებების და საკუთარი სტატუსით განპირობებული უპირატესობის მტკიცებით. მაგალითად, გოლზუორთის „ფორსაიტების საგა“ განსაკუთრებით მდიდარია ოჯახის წევრებისათვის დამახასიათებელი საერთო თვისებების გამომსახველი მხატვრული ხერხებით, კერძოდ კორპორალური და არავერბალური ექსპრესიული ხერხებით, რომლებიც ხაზგასმით გადმოსცემს ფორსაიტების მესაკუთრე, დომინანტ და მერკანტილურ ბუნებას.

“her eyes roaming through the hall” – „მან თვალის ერთი შევლებით მთელი დარბაზი შეაფასა“

“her (Aunt Anny) inflexible back, and the dignity of her calm old face personifying the rigid possessiveness of the family idea.”

„მისი (პაპიდა ენის) გაშეშებული ზურგი და მისი მშვიდი ბებერი სახის ღირსეული გამომეტყველება მთელი ოჯახის მყიდვე, მესაკუთრე ბუნების განსხეულება იყო“.

“She made no reply, for she rarely spoke, husbanding her aged voice; but to James, uneasy of conscience, her look was as good as an answer.”

„მას (პაპიდა ენის) არ უპასუხია. ის იშვიათად საუბრობდა, რადგან უფროთხილდებოდა ბებერ ხმის იოგებს, მაგრამ ჯეიმსის აფორიაქებული სინდისისთვის, მისი გამოხედვა პასუხზე მეტს ნიშნავდა.“

“Through Aunt Anny’s compressed lips a tender smile forced its way”: „პაპიდა ენის მოკუმული ბაგეებიდან თბილი ღიმილი გამოსჭვივოდა.“

“Aunt Anny shook her head. Over her square-chinned, aquiline old face a trembling passed; the spidery fingers of her hands pressed against each other and interlaced, as though she were subtly recharging her will” (Galsworthy, J.1922: 567).

„მან თავი მრავალმნიშვნელოვნად დააქნია. მის სწორკუთხა ნიკაპსა და წყლისფერ სახეზე თრთოლამ გადაიარა; ობობას ქსელივით დამარღვული ხელები ისე ჰქონდა გადაჭდობილი, თითქოს საკუთარ ნებისყოფას ამოწმებდა.“

კორპორალური სიტყვები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად წარმოვადგინოთ სხეულის სხვადასხვა ნაწილის აღმინიშნელი სიტყვების მიხედვით და შემდეგ განვსაზღვროთ მათი ემოციური ექსპრესიის თავისებურებები ორიგინალსა და თარგმანში. ძირითადად გამოვყავით კორპორალური ლექსიკის შემდეგი ჯგუფები:

თავთან დაკავშირებული:

“It would never have come into my **head!**” „მსგავსი რამ თავში (აზრდაც) არასოდეს მომივიდოდა“; “stood head to head and shoulder to shoulder” – „იდგნენ თავი თავს და მხარი მხარს მიდებული“ - ზუსტის თარგმანიცაა და გამოიყენება არა მხოლოდ ქალის არამედ მამაკაცის აღსანიშნად; “when she took a thing into her head there was no stopping her” (Golsworthy, 2014 : 576).

ხელთან დაკავშირებული:

her little figure quivered gleefully; she raised her hand, and struck a blow at a muslin curtain.“

„მისი პატარა ტანი მხიარულად ცქმუტავდა, ბოლოს ხელი ასწია და აბრეშუმის ფარდა ნაზად დაუშვა“

თვალთან დაკავშირებული:

In truth, June had come in the afternoon with shining eyes and the words Soams is a brick! It’s splendid for Phil the very thing for him!” Irene’s face remaining dark and puzzled, she went on”

„სიმართლე ის იყო, რომ ჯუნი მოვიდა შუადღით თვალეზაცემციმებული და ემოციებს ვერ მალავდა: სომსი ერთობ კარგი ყმაწვილია! ფილისთვის ბრწყინვალე საქმე წამოიწყო. სწორედ ისეთი, როგორც ფილს გულით ეწადა. როცა ჯუნმა აირენის შეფიქრიანებულ და გაოგნებულ სახეს თვალი ჰკიდა, განაგრძო“

ფეხთან დაკავშირებული:

„ემანდ ფეხი არ აგიცდეს, ცუდ გზას არ დაადგე! (ტურაშვილი, 2015 : 98) - ქართულში გვხვდება „ფეხი“ ფრაზეოლოგიაში, თუმცა ინგლისურ ფრაზეოლოგიაში ფეხთან

დაკავშირებული კორპორალური გამონათქვამი არ გვინახავს საანალიზო წყაროებში. იგივე გამონათქვამი ინგლისურშიც გვხდება, როგორც პირდაპირი ასევე გადატანილი მნიშვნელობით და „საქმის ცუდად წასვლას, მარცხს“ ნიშნავს, რაც სრულყოფილად მაინც არ შეესაბამება ფრაზის ქართულ მნიშვნელობას.

3.3. მამაკაც პერსონაჟთა მეტყველების სემანტიკური ასპექტები ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურულ ტექსტებსა და თარგმანებში

ლიტერატურული კორპუსში შემავალი ქართული და ინგლისურენოვანი საანალიზო წყაროების შესწავლამ მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაზე დაკვირვებისა და რაოდენობრივი ანალიზის გზით, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ორივე სქესის პერსონაჟთა მეტყველების ექსპრესიულობაზე ჩვენ მიერ განხილული ყველა თეორია (საკომუნიკაციო აქტების თუ ტანენის განსხვავებულობის თეორია) თანაბრად ზემოქმედებს და გამოხატულებას პოვებს მათი მეტყველების მოტივაციებში, შესაბამისად გავლენას ახდენ სწინადადების სტრუქტურაზე, გამოყენებულ ენობრივ ელემენტებზე, ინტონაციურ მახასიათებლებზე და საბოლოოდ ექსპრესიაზე. დაკვირვების შედეგად და კვლევის საერთო სურათიდან გამომდინარე, მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში იკვეთება შემდეგი განსხვავებულობები:

- ❖ წინადადების სტრუქტურირება ისე, რომ წესების დარღვევას ჰქონდეს ადგილი;
- ❖ პერლოკუციის გამოყენება საკომუნიკაციო აქტში მოსაუბრის დარწმუნებისა და ადეკვატური რეაგირების მოტივაციით;
- ❖ დადმავალი ინტონაციისა და სხვა არავერბალური საშუალებების გამოყენება, რათა მიღწეულ იქნეს მამაკაცი მოსაუბრის საკომუნიკაციო მიზნები

ზეგავლენის მოპოვების, ინფორმაციის გადაცემისა და უპირატესობის მტკიცებულების გზით.

„ისევ მე ვარ, - როგორც იქნა თქვა ტელეფონში ძალიან გაუბედავად და კიდევ ერთხელ ჩაახველა გეგამ.

სად წახვედით? - გულწრფელად გაიკვირვა თინამ

არსად, უბრალოდ გაითიშა.

რას მეუბნებოდით?

როდის?

სანამ გაითიშებოდა.

გითხარით, რომ ხეივანი ვარ და სავარძლის გარეშე სიარული არ შემიძლია.

არაუშავს, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შემიძლია თქვენთან სახლში მოვიდე და ჩემი ნახატებიც მოვიტანო. (ტურაშვილი, დ. 2011: 28)

"Where did you go?" Tina sounded genuinely surprised.

"Nowhere. I simply lost connection."

"What were you saying?"

"When?"

"Before the connection went."

"I said I was physically disabled and that I can't move without a wheelchair."

"That's ok, I can come to your place and bring my paintings, if you don't mind that is" (Turashvili, 2008: 24).

ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული მახასიათებელი, თანაბრად თუ არა ნაწილობრივ მაინც ახასიათებს ორივე ენაზე შექმნილ ნაწარმოებთა მამაკაც პერსონაჟებს, თუმცა იკვეთება ენათა განსხვავებული სტრუქტურებიდან გამომდინარე იზომორფიზმები და ალომორფიზმები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აგლუტინაციის ინდექსი პერსონაჟთა მეტყველების გენდერულ მარკირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და ეს გავლენა უფრო ძლიერი არის ქართული ენის შემთხვევაში, განსაკუთრებით კი მის დიალექტებში. ხოლო ინგლისური, როგორც ანალიზური ენა პერსონაჟთა მეტყველების სტრუქტურულ განსხვავებულობას, სინტაქსურ და ზოგადად გრამატიკულ სახესხვაობებს გვთავაზობს, რითაც მამაკაც

პერსონაჟთა მეტყველება ქართულსა და ინგლისურში სხვადასხვაგვარ ექსპრესიას ატარებს.

კონკრეტული მაგალითების საფუძველზე შევადარეთ მამაკაც პერსონაჟთა საკომუნიკაციო აქტებში გამოყენებული განსხვავებული ემოციების გამოხატვის საშუალებები, დავაჯგუფეთ ისინი და მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია, რომელიც მოცემულია შემდგომ ქვეთავებში.

მესამე თავის მეორე ქვეთავი ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში დადებითი და უარყოფითი ემოციების გამოხატვის ენობრივ საშუალებებს დავუთმეთ. საპირისპიროდ, წინამდებარე თავში გავაანალიზეთ გეგასა და ვაჟას შორის გამართული დიალოგი და შევადარეთ მასში გამოყენებული ექსპრესიული ხერხები ქალ პერსონაჟთა ექსპრესიულ მახასიათებლებს.

„მან ხმამალა დაუძახა ქუჩიდან და დათოს უმცროსმა ძმამ -ვაჟამ გამოიხედა. ვაჟას მეტსახელად პრასტაკას ეძახდნენ, მაგრამ მასაც ძმასავით დიდი გული ჰქონდა. გეგა გადაეხვია:

- როგორ ხარ
- კარგად
- სკოლაში არ უნდა იყო?
- დაიწვა
- როდის?
- ამ დილით, ახლაც იწვის
- აააა. შენი ძმა სადაა?
- არ ვიცი, რომ გავიღვიძე, სახლში არ დამხვდა.
- ალბათ სახანძროების ხმამ გაგაღვიძა...

ორივემ ხმამალა, გულიანად გაიცინა. მერე გეგამ ისევ აუწია ხელი პრასტაკას დამშვიდობების ნიშნად და შეტრიალდა კიდეც, მაგრამ ვაჟა არ მოეშვა:

- წაიღე. სინამდვილეში ჩემია, მამაჩემმა მე ჩამომიტანა და დიდი მომივიდა. დათოსაც დროებით აცვია. მერე მაინც მე დამრჩება. ნამდვილი „ვრანგლერია“ არც გაცვდება და არაფერი...
- გეგას გაელიმა და პრასტაკას ხელი გაუწოდა.

- დღესვე დაგიბრუნებ.
- როცა გინდა, მაშინ დამიბრუნე, ჯერ მაინც დიდი მაქვს. თუ გინდა სანამ გავიზრდები, მანამდე შენ გქონდეს.
- გეგას ახლა ხმამაღლა გაეცინა.
- მერე დათო?
- დათო ბერად მიდის მონასტერში, ჯინსები რაღად უნდა...

ახლა ვაჟასაც გაეცინა ხმამაღლა გეგასთან ერთად. გეგას გაახსენდა, რომ დათოს ვიღაც მეგობარი ბერი მართლა ყავდა რომელიღაც მონასტერში და ამ ბოლო დროს მასთან, მართლაც ხშირად დადიოდა. ერთი-ორჯერ გეგასაც დაპირდა წაგიყვანო, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ პირდებოდა, თუმცა ამაზე ფიქრის დრო ახლა გეგას აღარ ჰქონდა, ვაჟას მადლობა უთხრა და თბილისურად გადაეხვია“ (ტურაშვილი, 2010: 56).

- „He called loudly from the street and Vazha, Dato's younger brother, looked out the window. Vazha's nickname was Simpleton, but he was a young man with an enormous heart, like his elder brother. Gega greeted him with embracing arms:
- "How are you?"
- "Alright."
- "Shouldn't you be at school?"
- "It burned down."
- "When?"
- "This morning, it's still burning."
- "Wow! Where's your brother?"
- "Dunno. He wasn't home when I woke up."
- "You were probably woken up by the fire engines..."
- Both laughed loudly and heartily. Gega waved goodbye to Simpleton and turned round, but Vazha would not let him go:
- "Take it, it's really mine, Dad bought it for me, but it's too large for me right now. Dato wears it temporarily. It's going to be mine eventually anyway. It's a real Wrangler. It's not gonna wear out or anything..." Gega smiled and stretched out his hand to Simpleton.

- "I'll bring it back today."
- "Whenever you want. It's still too large for me anyway. If you want, you can have it until I grow."
- Gega laughed loudly at this.
- "And what about Dato?"
- "Dato's going to be a monk, he won't need denim anymore..."

Now Vazha laughed loudly along with Gega who suddenly remembered that Dato really had a friend at a monastery, who he lately often went to see. Once or twice he had promised Gega to take him with him, but so far these had only been promises. Gega did not have the time to think about this at the moment. He thanked Vazha and gave him a Tbilisi-style hug (Turashvili, 2008: 56).

ავტორი გეგას თანამოსუბრეს - ვაჟას მოიხსენიებს მეტსახელით – „პრასტაკა“ (რუსული ჟარგონის ანალოგი), რომელიც ინგლისურად ითარგმნა, როგორც “Simpleton” (Simpleton 1650, jocular formation from „simple’Dda –„ton“, suffix extracted from surnames. Mariam Webster Dictionary). ეს სიტყვა მე-17 საუკუნეში წარმოიქმნა ძირისგან “Simple” – “მარტივი” და გვარის აღმნიშვნელი დაბოლოებისაგან - “ton”. იგი გამოიყენება, როგორც კნინობით-ალერსობითი ფორმა თავქარიანი, ჭკუასუსტი ადამიანის აღსანიშნად (როგორც რუსულში ასევე ქართულ ჟარგონშიც). აქვე უნდა ითქვას, რომ ნაწარმოების ინგლისურ თარგმანში ეს სიტყვა ინგლისური საკუთარი სახელების კაპიტალიზაციის წესის თანახმად გრაფიკულად მარკირებულია. გმირის პოზიტიური პორტრეტი ავტორმაც და მთარგმნელმაც იდენტური ექსპრესიით გადმოსცეს, შესაბამისი ლინგვისტური ხერხების გამოყენებით.

არანაკლებ საინტერესოა სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული კიდევ ერთი ქართველი მწერლის რეზო ჭეიშვილის ნაწარმოებებში გამოყენებული უარყოფითი ემოციის გამომხატველი ლექსიკა და მათი თარგმანი.

“წადი, დაიკარგე აქედან, რას დამვრები ამ ხარაჩოებზე, რა დაგკარგვია, იქეთ ითამაშე, მაფრთხილებდნენ მუშები” (ჭეიშვილი, 1989: 145).

“Clear off from there, why are you creeping about, what do you have to do there, what have you lost there, play over there," the workers warned me” (Cheishvili, R. 2005: 3).

ნემსის გაგონებაზე ჭკუიდან შევიშალე და ღრიალი მოვრთე. მკითხეს რა მალრიალებდა.

„მტკივა და ვტირი“ ვუპასუხე მე. „ის ლურსმანი არ იყო ჟანგიანი, ახალი იყო და პრიალებდა, ჟანგიანი წერტილიც არ ქონდა“ - ვიძახდი მე.

“ეზოში ჩასული არ დაგინახო!” – მთელი სეროიზულობით დამემუქრა დედა (ჭეიშვილი, 1989:123).

I went mad when I heard mention of an injection, I started yelling. They asked me why I was yelling (Cheishvili, 2005: 3).

- "Of course I'm yelling, I'm in pain," I said. "What's more, that nail was new and shiny, there wasn't a trace of rust on it," I said.

- "Don't let me see you down in the yard again!" Mother threatens me seriously (Cheishvili, 2005: 3).

როგორც განხილული მონაკვეთები და მათი თარგმანები გვიჩვენებს, საანალიზო ენებში თანაბრად და თითქმის იდენტური გზებით: სიტყვების მნიშვნელობები, სიტყვათაწყობა, არავერბალური საშუალებები, გამოიხატება დადებითი და უარყოფითი ემოციები, ასევე ხდება ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი განსხვავებულობების ასახვა თარგმანში.

ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც შეინიშნება განხილული ნაწარმოებების ინგლისური ორიგინალიდან ქართულად გადმოთარგმნილ ტექსტსა და პირიქით, ქართული ორიგინალიდან ინგლისურად თარგმნილს შორის, არის ის, რომ გოლზუორთის მიერ გამოყენებული დადებითი და უარყოფითი ემოციების გამომხატველი ლექსიკა, მხატვრული ხერხები და არავერბალური ექსპრესიული საშუალებები, წარმოდგენილია არა პირდაპირი თარგმანით, არამედ მისი ზუსტი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ხერხებით. საგრძნობლად იცვლება სიტყვათა წყობა, ფრაზეოლოგიზმების, ეპითეტებისა და სხვა მხატვრული ხერხების სტრუქტურა, რაც მთლიანად ნაკარნახევია/განპირობებულია ქართული ენის სტრუქტურული თავისებურებებით. ამის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ როგორც ტურაშვილის, ასევე რეზო ჭეიშვილის ნაწარმოებების ინგლისურენოვან თარგმანში მაქსიმალურად არის შენარჩუნებული სიტყვების მნიშვნელობები,

მთარგმნელებს სწორი მიგნებები აქვთ გაკეთებული, როგორც საზოგადო მნიშვნელობის ტერმინოლოგიის ინგლისური ეკვივალენტების მოძიებაში, ასევე კონკრეტული, 80-იანი წლების ქართველი ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი მეტყველების მანერის, სლენგისა და ე.წ. “ქუჩური მეტყველების” სტილის შენარჩუნების თვალსაზრისით. მაგალითად, “The banned jeans became sweeter than the forbidden fruit” – “აკრძალული ჯინსები უფრო ტკბილი აღმოჩნდა, ვიდრე აკრძალული ხილი.” არ დაკარგულა ორიგინალში გამოყენებული არც ერთი სიტყვა, არც ფრაზეოლოგიზმი და არც ემოციური დატვირთვა, რომელიც ამ სიტყვების, თუ ფრაზეოლოგიზმების უკან დგას.

ამის მიზეზად, პირველ რიგში, შეიძლება დავასახელოთ ის ფაქტი, რომ გოლზუორთის ნაწარმოები შეიქმნა სხვა ეპოქაში და ითარგმნა შედარებით მოგვიანებით ასევე სხვა ქვეყანაში: არსებითად და მკვეთრად განსხვავდება ის პოლიტიკური ფორმაცია ანუ კონტექსტი, რომელიც აღწერილია ფორსაიტების საგაში და ის საზოგადოება, რომელშიც ითარგმნა მსოფლიო ლიტერატურის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი ქართულ ენაზე. სულ სხვაგვარად გვაქვს საქმე ქართულ საანალიზო ორიგინალ ნაწარმოებებთან მიმართებით: დათო ტურაშვილის, ისევე როგორც რეზო ჭეიშვილის ნაწარმოებები დაიწერა და ითარგმნა ერთსა და იმავე ეპოქაში, ავტორების სიცოცხლეში და ავტორებისავე ქვეყანაში, მათთან მჭიდრო კონსულტაციის გზით. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მათში ასახული მოვლენების მონაწილეები სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ცხოვრობდნენ და დღესაც არიან ჩვენ შორის.

სწორედ ამიტომ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, თარგმანში ზუსტადაა დაცული სტილი, სიტყვათაწყობა, ლექსიკური ერთეულების გამოყენება, პუნქტუაცია და სხვა, მათ შორის არავერბალური საშუალებების თარგმნის წესები და ტექტიკა. ექსპრესიულობაზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ავტორის სქესი, რაზეც დისერტაციის პირველ თავში დეტალურად ვისაუბრეთ სტრუქტურული თვალსაზრისით, თუმცა ექსპრესიულობის თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ მამაკაცი და ქალი მწერლების სტილი შეიძლება დაახლოებით ისევე განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, როგორც ჟურნალისტური და მხატვრული

ფოტოგრაფია, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი ქალი ავტორის წერის მანერის შესატყვისი იქნება. ამის დასტურად საკმარისია გავანალიზოთ თეოდორ სტურჯენის ნაწარმოების „ის“ - "It" (Sturgeon, Th. 1998: 107) შესავალი, მოთხრობათა კრებულიდან: „Things Hunting Men“ „ის რაც მას მუდამ თან სდევს“

“At the county fair, someone had once said of Alton Drew that he could shoot at a handful of corn and peas thrown in the air and hit only the corn. Once he split a bullet on the blade of a knife and put two candles out. He had no need to fear anything that could be shot at. That's what he believed” (Sturgeon, Th. 1998: 107).

„საგრაფოს ტრადიციულ ბაზრობაზე ერთხელ ვიდაცამ თქვა, რომ ალტონ დრიუს შეუძლია ჰაერში აგდებულ სიმინდის მარცვალსა და მუხუდოს ესროლოს და გაარტყას მხოლოდ სიმინდს. ერთხელ მან დანის პირით ტყვია შუაზე გაჭრა და თითო ნახევარში სანთელი ჩაარჭო. მას არ ეშინოდა არაფრის რისი გასროლაც შეიძლებოდა. აი რისი სჯეროდა მას“ (Sturgeon, 1998: 107. თარგმანი ჩვენეული).

ეს ტიპური მამაკაცური თემის დემონსტრირება და ნიმუშია, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ქალური და მამაკაცური წერის სტილის შესახებ საუბარი ხშირად სპეკულაციური უფროა, ვიდრე აბსოლუტური, ამდენად, მეტი ყურადღება დავუთმეთ ქალურ მეტყველებასა და წერის სტილს, ასევე სტრუქტურულ მახასიათებლებს, რადგან როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ ენა მამაკაცთა საკუთრება იყო, მასში მამაკაცები დომინირებდნენ საუკუნეების მანძილზე და ქალების მიმართ ის უფრო ნორმატიული იყო. ამ ტენდენციამ რღვევა დაიწყო ბოლო საუკუნეების მანძილზე, რამაც ენის განვითარებაში, განსაკუთრებით ინგლისურის, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ეს პროცესი ვირჯინია ვულფმა ასე აღწერა: ...what I want you to write is the story you've needed to write and couldn't think of an appropriate market for before I contacted you" (Wolf, V. 2006: 95), აღნიშნული ციტატა, თარგმანის ჩვენეული ვერსიის მიხედვით, შემდეგნაირად ჟღერს: „ის რაც მე მინდა, რომ შენ დაწერო არის ისტორია, რის დაწერა შენც გინდა, მაგრამ არ ფიქრობდი, რომ მისი გასაღების ბაზარი არსებობდა, მანამ, სანამ მე არ დაგირეკე“ (Wolf, V. 2006: 95).

მართლაც, მსგავსი მოთხოვნის საპასუხოდ, უნდა ვივარაუდოთ, ისეთი გემოვნებისა და ხარისხის ნაწარმოების შექმნა, რომელიც ახალი ენის გამოგონების

ტოლფასი შეიძლება იყოს, რასაც ქალურ ენას უწოდებენ ან ფემინისტურ ლიტერატურაში ქალური ისტორიების “Herstory”-ს სახელწოდებითა შესული, სწორედ ამის პარალელურად სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის მწერალმა და ლინგვისტმა სუზეტ ჰადენმა გამოიგონა ენა სახელწოდებით ლაადანი, რომელიც ქალური ცნებების და უნიკალური ქალური აზროვნების გამოსახატად ბევრად უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა არსებული ენა სამყაროში. ყველა მოსაზრებას აქვს თავისი ნათელი და ბნელი მხარეები, როდესაც ჩენ ვცდილობთ გენდერული პერსპექტივა გამოვკვეთოთ და გავმიჯნოთ, ადამიანების რეაქცია მძაფრია, რადგან როგორც აღვნიშნეთ ეს გენდერული დისკურსი კულტურათაშორის დისკურსის ანალოგია, ეს კი ყოველთვის ფრთხილ მოპყრობას საჭიროებს. სხვაგვარადაც რომ ვთქვათ, არის ისტორიები, რასაც მამაკაცი არასოდეს მოიფიქრებდა და დაწერდა ისევე როგორც არსებობს თემები, რაც ქალებს საერთოდ არ აღეგებთ, მით უფრო რომ არ გადმოსცემენ მას ფურცელზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავება მარტივი ქრომოსომის დონეზე არ დაიყვანება და მასში ასახულია საზოგადოების მიერ თითოეულისთვის მინიჭებული როლების კომპლექსები რეალიზებული ლინგვისტურ ნორმებში, კომუნიკაციის სტრატეგიებსა და ენის სიტემის განსხვავებულ გამოყენებაში.

3.3.1 დადებითი ემოციის ექსპრესიულობა მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, პერსონაჟების მეტყველების ემოციურობის იმ ასპექტს, რასაც დადებით და უარყოფით დიქტომიას მივაკუთვნებთ, არ ახასიათებს რაიმე მკვეთრი გენდერული განმასხვავებელი ნიშან-

თვისება, თუმცა რაოდენობრივ ჭრილში, ქალები უფრო ხშირად მიმართავენ პოზიტიური გრძნობების აღმნიშვნელი და მასთან დაკავშირებული ლექსიკის გამოყენებას, ვიდრე მამაკაცები, გამომდინარე მათი საკომუნიკაციო მოტივაციებიდან. ქვემოთ წარმოდგენილი ჯგუფები, როგორც ზემოთ განვმარტეთ, პირობითია, თუმცა, რაოდენობრივი განსხვავებები, მაღლიერებისა და ზრდილობიანი ფორმების გამოყენების თვალსაზრისით ქალებთან, ხოლო შეთავაზებისა და სიხარულის გამოხატვის ხერხების სიუხვე მამაკაცებთან, მაინც გახდა შესამჩნევი ლიტერატურული წყაროების რაოდენობრივი ანალიზის მიხედვით.

მაღლიერება/ზრდილობიანი მიმართვები:

Soames peered about the room. “You’re rather high up here,” he remarked. Any information he could gather about the nature and scope of Bosinney’s business would be all to the good. “It does well enough for me so far,” answered the architect. “You’re accustomed to the swells.”

სომსმა ოთახს თვალი მოავლო. „ძალიან მაღლა კი გიცხოვრიათ“ შენიშნა სომსმა. სომსი ცდილობდა დაწვრილებით გამოეძია ყველაფერი ბოსინის შესახებ, მისი ჰორიზონტი, გაქანება და ხასიათი. იმედი ჰქონდა, რომ მისი ცოდნა გამოადგებოდა. „მე ზემო სართულზე მირჩევნია ცხოვრება“ - უპასუხა არქიტექტორმა - „თქვენ კომფორტს ხართ მიჩვეული.

შეთავაზება

“**What do you pay for an office like this?**” said he. “Fifty too much,” replied Bosinney. This answer impressed Soames favourably. “**I suppose it is dear,**” he said. “**I’ll call for you — on Sunday about eleven.**”

„რამდენს იხდით ამ ოთახში?“ – იკითხა სომსმა. „ორმოცდაათს, მაგრამ ხომ ხედავთ, მაგის ნახევარიც არ ღირს“ - უპასუხა ბოსინიმ. ბოსინის პასუხი სომსს ძალიან ხელსაყრელად ეჩვენა. „მეც ასე ვფიქრობ, ძალიან ძვირად გიქირავიათ. კვირას რომ თერთმეტი საათისთვის შემოგიაროთ?

“**If you’ve nothing better to do** on Sunday, come down with me to Robin Hill, and give me your opinion on a building site.” “**Are you going to build?**” “**Perhaps,**” said Soames; “but don’t speak of it. I just want your opinion.” “Quite so,” said the architect.

„თუ კვირადღეს უფრო საინტერესო არაფერი გელოდებათ, რობინჰილში სამოსახლო ადგილის დასათვალიერებლად წავიდეთ თქვენი აზრი ძალიან მაინტერესებს.“

„სახლის მშენებლობა გსურთ დაიწყოთ?“ „შეიძლება დავიწყო“, უპასუხა სომსმა, „მაგრამ ჯერჯერობით ნურავის ეტყვი, მე მხოლოდ თქვენი აზრი მაინტერესებს.“ „როგორც გენებოთ“ დაეთანხმა არქიტექტორი.

სიხარულის გამოხატვა

„What do you think, Daddy? The English instructor said that my last paper shows an unusual amount of originality. She did, truly. Those were her words. It doesn't seem possible, does it, considering the eighteen years of training that I've had“

3.3.2. უარყოფითი ემოციის ექსპრესიულობა მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ქართულსა და არც ინგლისურენოვან ტექსტებში, პერსონაჟთა მეტყველებაში არ იკვეთება მკვეთრი უნივერსალიები, რაც მხოლოდ კაცის ან ქალის უარყოფით დამოკიდებულებებს შეიძლება გამოხატავდეს, თუმცა ზოგიერთ ავტორთან ვხვდებით ისეთ სპეციფიურ, მასკულინურ ლექსიკას, რომელსაც ქალი პერსონაჟი მსგავს სიტუაციაში არ გამოიყენებს, გოლზუორთის ფორსაიტების საგაში მოხუცი ჯოლიონი იყენებს საინტერესო დერივატივს „Husbanding“ “husband” “ქმარი” ძირისგან წარმოქმნილი სიტყვა, რომელიც “მოფრთხილების”, “დაზოგვის”, საკუთარ თავზე გადაჭარბებულად მზრუნველობითი დამოკიდებულების გამოსახატად გამოიყენა ავტორმა და ამით მამაკაცის მიერ ქალზე მზრუნველობის ექსპრესია გადმოსცა მამაკაცი გმირის პირით. მამაკაცური ექსპრესიის ხერხებზე საინტერესო დაკვირვების საშუალებას იძლევა ტურაშვილის გმირი გოგონა - თინა და ის ენობრივი საშუალებები, რომლითაც ავტორი გადმოგვცემს, თუ როგორ აღიქვამს ნაწარმოების მეორე, მთავარი პერსონაჟი ვაჟი გეგა, თინას პიროვნებას.

“თინა ბავშვობიდან თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. ბიჭები თვალს ვერ წყვეტდნენ და სადაც არ უნდა წასულიყო მათი მზერა სულ თან დასდევდა. რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო აღიზიანებდა მისი სილამაზის მიმართ ასეთი დამოკიდებულება... ეჩვენებოდა, რომ ბიჭებს მხოლოდ მისი გარეგნობა ხიბლავდა, თავად კი მიაჩნდა, რომ ბევრად უფრო მეტი ღირსება გააჩნდა ვიდრე სილამაზე იყო. ალბათ სწორედ ამიტომ, თინა არასოდეს ყოფილა შეყვარებული სანამ გეგას არ შეხვდა” (ტურაშვილი, 2010:56)

„Ever since her childhood, Tina was stunningly beautiful. Boys found her incredibly attractive, their eyes following her wherever she went. But as she grew older, it began to irritate her. Her beauty was continuously commented on. It had seemed to Tina that boys were only interested in her beauty, while she believed she had far more interesting characteristics. Possibly for that very reason, before meeting Gega, Tina had never been in love (Turashvili, 2008: 48). გეგასთვის ისევე, როგორც თავად თინასათვის საკუთარი გარეგნობა არ არის პირადი ღირსებების მთავარი ატრიბუტი და ამით გამოირჩევა იგი გეგას წარმოდგენაში მთელი თბილისის გოგონებს შორის, მაშინ როცა გეგა პაემანზე წასასვლელად ქურთუკს ნათხოვრობს, რომელსაც შეიარაღებულ თავდამსხმელებსაც არ უთმობს, იმის შიშით, რომ საკმარისად “მაგარი” არ იქნება პაემანზე, და ასევე სრულიად გაურკვეველად და ცინიკურად ატყუებს გოგონას, რომელიც უკვე უყვარს, რომ ის ეტლით მივა პაემანზე, ამით ახალგაზრდა, დამწყები, მაგრამ უკვე პოპულარული და სიმპატიური მსახიობი, რომელზეც თბილისის “თინეიჯერი” გოგონების უდიდესი ნაწილი იყო შეყვარებული, ქვეცნობიერად საკუთარ არათავდაჯერებულობას და დაუცველობას ამჟღავნებს. აი ასე ახასიათებს მას ავტორი თინასთან მისი პირველი სატელეფონო საუბრის შემდეგ პირველი პაემნის წინ: „გეგა ახალგაზრდა მსახიობი იყო, ნიჭიერი და სიმპატიური, რამდენიმე როლიც ჰქონდა ფილმებში ნათამაშები, რაც იმას ნიშნავდა, რომ უკვე კარგად იყო ცნობილი საქართველოში, განსაკუთრებით პოპულარული კი თბილისელ ყმაწვილ ქალებს შორის. სწორედ ამიტომ ცდილობდა გეგა თავიდან აერიდებინა ურთიერთობა, რომელიც მის პოპულარობასთან იყო კავშირში, ალბათ ამიტომაც მოიგონა ისტორია, რომ თითქოს ხეიბარი იყო.” (ტურაშვილი, 2010: 39) - „Gega was a young actor, talented

and good-looking and although only twenty-two, he had already played many successful parts in films, which meant he was well-known in Georgia and extremely popular in Tbilisi at that time, especially among teenage girls. And that was exactly what Gega was trying to avoid – he did not want to use his popularity to meet new people, and that was why, he supposed, he had invented the story about being disabled (Turashvili, 2008: 28).

საინტერესო ექსპრესიულ ხერხებს იყენებს ავტორი შესავალში, სადაც ერთ-ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი გმირის პირით გვეუბნება: „წარსულს თურმე დაბრუნებაც შეუძლია და განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ იმ წარსულს ჩვენ თვითონაც არ ვშორდებით. ჩვენ კი დავშორდით მხოლოდ დროს და არა იმ ქვეყნის ცნობიერებას, რომელსაც ბოროტების იმპერიას უწოდებდნენ, სადაც სიკეთე ისეთი იშვიათობა იყო, რომ კოსმოსის პირველამთვისებელ ზესახელმწიფოში, ჯინსები ვერ შეკერეს.“ ეს პასაჟი ინგლისურ თარგმანში ასე ჟღერს: „As it turned out, the past can come back to haunt you, especially if we ourselves cannot move from it. We have distanced ourselves from a country and its times, but failed to alter the mindset instilled, while being part of what was called the Empire of Evil, where benevolence was scarce, the space pioneer superpower failed to produce a simple item of clothing such as jeans“ (Turashvili, 2008: 48).

ეს ერთი პატარა მონოლოგი გაჯერებულია სინანულისა და ცინიზმის გამომხატველი ფრაზეოლოგიით, რომელიც ეპოქისადმი გმირის დამოკიდებულას გადმოსცემს: „კოსმოსის პირველამთვისებელი ზესახელმწიფო“ – „The space pioneer superpower“ „ბოროტების იმპერია“ “The Empire of Evil” „სადაც სიკეთე ისეთი იშვიათობა იყო“ - „where benevolence was scarce“. თვალშიმსაცემია, რომ ამ უკანასკნელი ფრაზის ინგლისურ თარგმანში დაკარგულია ხარისხის მაჩვენებელი და ამავდროულად მაქვემდებარებელი კავშირის გამომხატველი განსაზღვრება - „ისეთი“, რომელიც ბოლო წინადადებაში გამოხატულ აზრთან აკავშირებს მას. თითქოს, სიკეთე რომ ნაკლები იყო, სწორედ ამიტომ ვერ შეკერეს ჯინსები, რაც ინგლისურ თარგმანში არ ასახულა.

ეს ფაქტი დაეხმარება მკითხველს, ახსნას, თუ რატომ ითარგმნა ნაწარმოების სახელწოდება, თითქოსდა, სრულიად სახეცვლილი ფორმით, ნაცვლად პირდაპირი თარგმანისა: “The Generation of Jeans”, რომელიც, დიდი ალბათობით, გაუგებარი

დარჩებოდა ინგლისურენოვანი მკითხველისთვის. მთარგმნელმა, სავარაუდოდ ავტორთან შეთანხმებით, არჩია შინაარსობრივი თარგმანი: “Flight from the USSR” ანუ „გაფრენა საბჭოთა კავშირიდან“, რაც კიდევ ერთხელ უარყოფითი ემოციის გამომხატველია და ნაწარმოებში გაკრიტიკებული ეპოქის, მისი სისასტიკისაგან თავის დაღწევის სიმბოლური ლინგვისტურ-ექსპრესიული ხერხია.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში ადგილი აქვს მსგავს ვარიაციებს, მაინც ნაწარმოების გმირთა დიალოგებში საინტერესოდ და ზუსტად არის შენარჩუნებული ქალ და ვაჟ პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებები, გრძნობებისა და დამოკიდებულებების გამომსახველი ექსპრესიული ხერხების გამოყენებით.

“ალო”, თქვა თინამ თავისი ბავშვური ხმით, რომელიც გეგას უკვე მონატრებოდა. მან კიდევ ერთხელ იგრძნო საშინელი დაბნეულობა და უხერხულობა და ჩაახველა, ხმა დაიწმინდა. გეგა უკვე ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ დამწყებ მსახიობად, თუმცა ამ როლის თამაში მისთვის უფრო და უფრო რთული ხდებოდა. მან უეცრად საშინელი იმედგაცრუება იგრძნო იმის გამო, რომ მისი პროფესიონალიზმი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა“ (ტურაშვილი, 2010: 78).

"Hello," said Tina with that childish voice, which Gega was already starting to miss. He felt, once again, lost and awkward, so he coughed to clear his throat. Gega was considered one of the most talented among young actors, but it was quickly becoming difficult for him to play this part. Suddenly he felt frustrated that his professionalism was being brought into question” (Turashvili, 2010: 69).

ზემოხსენებული მხატვრული ექსპრესიის საშუალებები, რა თქმა უნდა, უნივერსალიებს არ წარმოადგენს და ისინი განსხვავებულია ავტორების მიხედვით, თუმცა, საანალიზო წყაროებმა რისი განზოგადების საშუალებაც მოგვცა, ეს იყო უარყოფითი ლექსიკის ზოგადი კლასტერები, რომელთა ნიმუშები სხვადასხვა ავტორის პერსონაჟ მამაკაცთა მეტყველებიდან ავიღეთ და დავაჯგუფეთ:

სალანძღავი ლექსიკა და მიმართვები:

“Oscar getting mauled by an angry (female) divorce client“ - ოსკარს თანდათან აღიზიანებდა ბრაზმორეული ქალი, რომელიც განქორწინების საქმეზე იყო მოსული“ (Weaver, 2012: 68 თარგმანი ჩვენეული).

“What a sleaze ball” – „საზიზღარი ტიპი“ (Weaver, 2012: 68 თარგმანი)

სკაბრეზული გამონათქვამები:

“That bastard didn’t even say hello!”

“Why’re you in such a rush, stuck-up bitch?”

“I don’t,” said old Jolyon, “care a fig for his opinion.”

მწუხარების გამომხატველი ლექსიკა

„ I am broken and do not want to see anybody“ – says he. არავის ნახვა არ მინდა

“I felt like a sqweezed lemon, no feelings no emotions “ –

„გამოწურული ლიმონით ვიყავი, აღარც გრძნობები არც ემოციები.“

უარყოფა:

“How did he get hold of her?” asked Roger presently. “She must cost him a pretty penny in dress! - I am pretty sure he will not. He knows he will never receive any support from me.

“he was half-cracked about her. She refused him five times. James, he’s nervous about it, I can see. - I doubt so, you are probably exagarating in your impressions”

არავერბალური ექსპრესიული ხერხების ანალიზი და აღწერა უმეტესად პერსონაჟის შესახებ მსჯელობის ნაწილია და მათი მეტყველების მახასიათებლად არ გამოდგება, ეს დასტურდება ჩვენ მიერ შერჩეული კორპუსის ანალიზის შედეგადაც. შესაძლებელია, მომავალში კვლევა ამ მიმართულებით, უფრო გავაღრმავოთ, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი უნივერსალია, რაც ამ კატეგორიაში (არავერბალური საშუალებები) გამოიკვეთა, უკავშირდება ხმის ტემბრსა და ინტონაციის აღმავალ-დაღმავალ ვარიაციებს. როგორც ამ ქვე-თავში უკვე განვიხილეთ იგი უფრო ქალთა საუბრის მახასიათებელია, ვიდრე მამაკაცის, ამიტომ მას მომდევნო ქვეთავში აღარ დავუბრუნდით.

3.3.3. კორპორალური (სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული) სიტყვები და არავერბალური ექსპრესიული ხერხები მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში

შესწავლილი საანალიზო წყაროების რაოდენობრივი კვლევა გვიჩვენებს, რომ კორპორალურ სიტყვებს და არავერბალურ ექსპრესიულ ხერხებს მამაკაცები შედარებით ნაკლებად მიმართავენ, ვიდრე ქალი პერსონაჟები თავიანთ კომუნიკაციაში, თუმცა არანაკლებ საინტერესო ტენდენცია იკვეთება, ვიდრე ქალების მიერ სხეულის ნაწილების გამომხატველი სიტყვების გამოყენება. მამაკაცი პერსონაჟები უფრო ხშირად ქალის სხეულთან დაკავშირებულ ლექსიკას იყენებენ და ხშირ შემთხვევაში, მათი საუბრის ობიექტი სწორედ ქალია, თუმცა ასევე სტატისტიკურად უფრო მეტად მაშინ მოიხსენებენ ქალის სხეულის მახასიათებლებს, როცა სხვა მამაკაცს ესაუბრებიან. მაგალითად აირენის ფიგურით აღფრთოვანებული ფილი თავის მეგობარს ეუბნება;

“Too pale for me,” he said, “but her figures capital!” He noted

„მეტისმეტად ფერმკრთალია, მაგრამ დიდებული ფიგურა აქვს!“ შენიშნა მან.

კვლევის დროს შევისწავლეთ ისეთი შემთხვევებიც, რომლებშიც, პერსონაჟის განსხვავებული სოციალური წრისადმი კუთვნილება ცვლის ერთი და იმავე თვისების და მახასიათებლის გამომხატველი ენობრივი საშუალების ექსპრესიულ დატვირთვას, მაგალითად, „ქალბატონი“ - შეიძლება იყოს ცინიკური მიმართვაც და საყოველთაოდ ცნობილი პატივისცემის გამომხატველი ხერხი ქალის მიმართ დისკურსში. ქალი ავტორი ცდილობს ისე გადმოსცეს სათქმელი, რომ გმირის შინაგან სამყარო უფრო ემოციურად დაანახვოს მკითხველს, ვიდრე ამას ვხვდებით მამაკაც ავტორთან, რომელიც უფრო გმირის თვისებების კარტოგრაფირებას ახდენს, ვიდრე მასა და მკითხველს შორის ემოციური კავშირის წახალისებას.

“Let women into your plans,” pursued Soames, “and you never know where it’ll end.” “Ah!” Said Bosinney, “women are the devil!” This feeling had long been at the — bottom of Soames’s heart; he had never, however, put it into words. “Oh!” he Mattered, “so you’re beginning to. . . .” He stopped, but added, with an uncontrollable burst of spite: “June’s got a temper of her own — always had.” “A temper’s not a bad thing in an angel.” Soames had never called Irene an angel.

„თუ ქალს საიდუმლოს გაანდობ, - განაგრძო სომსმა, - მერე თავსა და ბოლოს ვედარაფერს გაუგებ. „ოჰ!“ -წამოიძახა ბოსინიმ, - „ქალი და სატანა ერთია!“ ეს აზრი დიდი ხანია სომსსაც გულში ედო, მაგრამ ხმამაღლა არასოდეს წამოსცდენია. „ოჰ!“ - წაიბურტყუნა სომსმა - „იკვე იწყებთ, არა?“ - მერე ერთხანს შეჩერდა, მაგრამ შემდეგ

თავშეუკავებლად გადმონათხია ღვარძლი: „ ჯუნიც კარგი კაპარჩხანაა, მუდამ სიანჩხლით გამოირჩეოდა.“ „ ანგელოზისთვის გულფიცხოზა დიდი ნაკლი არ არის!“ სომსს არასოდეს უწოდებია ანგელოზი აირენისთვის.

თავთან დაკავშირებული:

მამაკაცების საუბარში ასევე მამაკაცებზე საუბარში ხშირად შეხვდებით ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც თავს უკავშირდება და ექსკლუზიურად მამაკაცს აღნიშნავს: “Head of the Family” “ოჯახის უფროსი“, „his dome-like forehead“ – „გუმბათისებური შუბლი“; „თავი შესწირა“, „თავი მოაქვს“, „თავი კიტრი ჰგონია“ ამ უკანასკნელი სამი ფრაზეოლოგიური ერთეულის ზუსტი ანალოგი ინგლისურში არ მოიპოვება და იგი შეიძლება ახასიათებდეს როგორც ქალ ასევე მამაკაც პერსონაჟს.

ხელთან დაკავშირებული

„His sleek hair under the brim of the tall hat had a sheen like the hat itself; his cheeks, pale and flat, the line of his clean-shaven lips, his firm chin with its greyish shaven tinge, and the buttoned strictness of his black cut-away coat, conveyed an appearance of reserve and secrecy, of imperturbable, enforced composure”

თვალთან დაკავშირებული

„Soames, glancing at her beneath his eyelids, nodded, and he saw Irene steal at him one of her unfathomable looks

but his eyes, cold — grey, strained — looking, with a line in the brow between them, examined him wistfully, as if they knew of a secret weakness.“

ფეხთან დაკავშირებული

მსგავსი ლექსიკა ფრაზეოლოგია საანალიზო მასალის მიხედვით მხოლოდ სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებთან კავშირში გვხვდებოდა უმეტესად და არა ფრაზეოლოგიაში.

“Twisting his long, thin legs, James went on.” (Golsworthy, J. 2004: 654)

„ჯეიმსმა ერთმანეთზე გადაილაგა თავისი გრძელი ფეხები და განაგრძო“ (გოლზუორთი, ჯ. 2011: 187).

“Cicked the ball and the dog out simultaneously” (Gilbert, E. 2006: 98)

ცალკე უნდა განვიხილოთ ქართულში სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, რადგან მათი მორფო-სინტაქსური და ეტიმოლოგიური ასპექტი ქართულში ოდნავ განსხვავებულია ინგლისურისგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი პირდაპირ კავშირშია ენის აგლუტინაციის იდექსთან. კერძოდ, “ქართულ ენაში წარმოქმნილი ფიზიონომიასთან დაკავშირებული სიტყვა-გამონათქვამები და ფრაზეოლოგია ბევრად უფრო მრავალფეროვანია და მათი ფუძეები შეიძლება გადმოიცეს როგორც მასდარებით ასევე მიმღეობებით“ (გერსამია & სხვები 2016: 350) იგი შეიძლება იყოს ზმნის, ზედსართავის, ზმნიზედის ან მეტყველების სხვა ნაწილის შემადგენელი ერთეული და გადატანითი მნიშვნელობაც შეიძლება შეიძინოს დამატებით. შესწავლილი მასალის საფუძველზე, მკვეთრი გენდერული განსხვავებები არ დაფიქსირებულა, თუმცა, კონკრეტულ განმასხვავებელ ნიშნებს სქესობრივ ჭრილში შეიცავენ და ისინი ცალკე გამოვყავით. “თუ მასდარი იწ უფიქსიანი, ნიშან-თვისების გამომხატველი ფორმა ალ> ა|| - ერ-ია/ ერ-ე/ ე სუფიქსიანია, სემანტიკური კომპონენტები გადამკვეთია” (გერსამია & სხვები 2016: 350).

სახე თვალეზი:

ბიდინი - აბდლური მზერა, გამომეტყველება; ბირჯინი - გულუბრყვილო მიამიტი მზერა უსუარისა (ბიჭი ბავშვის); ბირდდინი მიმნდობი მზერა უსუარისა (ბიჭი ბავშვი); ბირინი - უბირის, გაოგნებულის მზერა (უმეტესად მამაკაცზე იტყვიან); ბირჯინი - თვინიერი, უწყინარი, არ-ცხარი გამოხედვა სახენათელი კაცისა; ბიტინი - უაზრო უბირი გამოხედვა; რჯგიმინი - - ჯგიმვა, გამარჯვებული იერი; რსხიმინი- რცხიმინი - “მკვირცხლი მზერა” ბრიალი (ქალზე); რწკიმინი - უკმეხი გამოხედვა - ქალზე (გერსამია და სხვები, 2016:546).

ტუჩები, ცხვირი

სიპინი - შეუვალი, უემოციო გამომეტყველება (ქობ 593); ჯვიტინი - დრუნჩას გამომეტყველება, განაწყენებულობა - კაცზე; ცვინგინი - გრძელცხვირას დაჟინებული მზერა, სხვის საქმეში ცხვირი ჩაყოფა ინფ (ქალზე, კაცზე); ძღვირინი - წვრილთვალას უამური მზერა, ჭროლა, მოწკურვა (ქალზე); წკვიპინი - უკმეხი გამომეტყველება ქალის კაცის, წვრილსახიანი ადამიანის, გადატანითი - ამპარტავანი, ხეპრე; ძგვინტინი - გრძელცხვირას უკმეხი გამომეტყველება - კაცის

კბილები

რისინი - დიდი მაგარი კბილების გამოჩენა, ღიმილი, ელვარება მაგარი კბილების;
რისალი - კბილების ღრჭენა, დამუქრება **კაცის მახასიათებელი**; რიჩალი - ეშვიანი
კბილჩენა; წკვიწკვინი - წვრილი კბილების ჩენა, უკმეხი გამომეტყველება

ტანის აღნაგობა

თინგინი - სიმაღლე სიდიდე; ჭყვერთელე - აშოლტილი; მსუქანის აღმნიშვნელი
რამდენიმე მასდარი გვაქვს მეგრულში - გვიდალი ჩასუქებული, გიდალი - ღიპიანი,
მუცელგაბერილი, გვიზალი - ჩასუქებული, გვიზინი - ღიპიანობა,
ჩამრგვალებულობა, **(კაცის მახასიათებელი)** ფიხვინი - აფუებულობა, სიფაფუკე
(ქალის მახასიათებელი), ფიშქვინი - გაფურჩქნულობა - **ქალის მახასიათებელი**,
ფიღვალი - ღაბუა, აბუზული - **ბავშვზე**; ძვიძვინი ზონზროხას, გაჩეჩილის იერი -
ქალზე; ხვეხვერია - გაფუებული, ნასუქი **კაცი/ქალი**; ხვირალი - მრგვალი,
ჩაგოდრებული **ქალი/კაცი**, ტიღვალი - მკვრივი, ჩაფსკვნილი - **(ბავშვზე) (გერსამია და
სხვები, 2016: 498)** .

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული ლექსიკური ერთეულები ტომური
ენების საკუთრებაა, მათ ხშირად არ ვხვდებით მხატვრულ დისკურსში, მხოლოდ
იშვიათად, ისიც შესაბამისი კუთხის ტრადიციებისა და ყოფის ამსახველ
ლიტერატურულ ტექსტებში. ამ საშუალებათა გამოყენება პერსონაჟთა მეტყველებაში,
ჩატარებული რაოდენობრივი კვლევი მიხედვით, გვხვდება კუთხეების ხასიათის
გადმოცემის ან მის ბინადართა ექსპრესიულობის გაძლიერების მიზნით. მათი
დაახლოებით 20% სხვადასხვა დროს მოხსენიებული არის ქართულ
ლიტერატურულ კორპუსში შემდეგ ავტორთა ნაწარმოებებში: ალექსანდრე ყაზბეგის,
ვაჟა-ფშაველას, ჯემალ ქარჩხაისა და გოდერძი ჩოხელის.

„ვინ გაგაჯავრა, ძიავ, ვინ? - ვკითხეთ ჩვენ ციხელს.

ვინა? - მოიბრუნა იმან პირი ჩვენკენ, თითქოს ეხლა-ღა დაგვინახა:

ოჰო, ბიჭებო, თქვენც აქა ჰყოფილხართ? ოთხმოცის წლის კაცი ვარ და ჯერ ეგრე
არაფერს, არავის დაუღონებივარ, როგორც იმან დამაღონა - გამიშვიო და გამიშვიო,
მეხვეწება. - წარმოსთქვა ციხელმა და მწვანეზე შემოწვა“ (ვაჟა-ფშაველა, 2010: 67).

„თქვენ **ძოდან საცდელადა გკითხეთ**, გავათავისუფლო თუ არა კურდღელი და
კაკაბიო. თქვენ რო კიდევ გეთხოვათ და შამხვეწნიყავით - გაუშვი, გაანთავისუფლეო,

მაგას არ ვიზამდი... თუ გავუშვებ, იმ პირობით გავუშვებ, მარგონ რამა, როგორც წინათ ურგია ჩემთვის კაკაბს და კურდღელსა. ვიცი, რო ესენიც ბედსა მწევენ..." (ვაჟა-ფშაველა, 2010:67).

3.4 გენდერული მეტყველების თარგმანის სემანტიკური ასპექტები

ჩვენმა კვლევამ ცხადყო, რომ ყველა ეპოქაში ჰქონდა ადგილი ქალთა მეტყველების „დემონიზების“ მცდელობას სხვადასხვა კულტურაში. ამის დასტურად ცნობილი აფორიზმებიც კმარა, როგორც მტკიცებულება სხვადასხვა ენის, ამ შემთხვევაში ქართულისა და ინგლისურის, წიაღში დამარხული სტერეოტიპების, ქალთა დისკრიმინირებისა და მათი მეტყველების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების:

“Women’s and Child’s Opinion” „ქალის აზრი და ბავშვის აზრი ერთი და იგივეა“

“A woman’s tongue spreads gossip fast” – „ქალის ენა ჭორს აჩქარებს“ (თარგმანი)

“Men talk like books, women lose themselves in details”

„მამაკაცები საუბრობენ როგორც წიგნებში, ქალები იკარგებიან დეტალებში“ (თარგმანი)

“Never listen to a woman’s words.”

„მოუსმინე ქალს და გააკეთე საწინააღმდეგო“ (ქართული ანდაზა)

“Inches of a woman’s tongue can slay a man six feet tall“

„ქალის პატარა ენას შეუძლია მაგარი კაცის გაწკეპვლა“ (თარგმანი)

საინტერესოა, ქართული ზეპირსიტყვიერებაც ამ თვალსაზრისით, მასში ხშირ შემთხვევაში, ქალისადმი მოწიწების, პატივისცემის და გაფეტიშების ელემენტებს ვხვდებით, განსაკუთრებით აფხაზურ ანდაზებში, რაც თავისთავად დისკრიმინაციულ, ქალის დამაკნინებელ აფორიზმთა არსებობას არ გამორიცხავს, მაგალითად, ქართულში მშვიდად თანაარსებობენ ისეთი გამონათქვამები,

როგორცაა: „გოგონა თავისი ოჯახის სტუმარია“, „როცა ქალიშვილი ასაკს მიაღწევს ან გაათხოვე ან მიწას მიაბარეო“, „ერთი კარგი ქალიშვილი ორ ცუდ ვაჟიშვილს უდრისო“ და უკვდავი: „ვეფხვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვალია“, რომელსაც თავისი აქტუალობა ცხრა საუკუნის შემდეგაც პირველყოფილი სიცხადით აქვს შენარჩუნებული.

ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველების ექსპრესიის საშუალებათა ანალიზში მნიშვნელოვანი განზოგადების საშუალებას იძლევა შუა ინგლისურსა და სტანდარტულ ინგლისურში არსებული ენობრივი საშუალებები და მათი თარგმანების შედარება. მაგალითად, ჩოსერთან ქალის აღმნიშვნელი ლექსიკა ექსპრესიულად დატვირთულია და მას ამკობს ისეთი ეპითეტებით როგორცაა: frailty - ამაოება, არარაობა, ცოდვილი, wrath - the vengeance - ძალაუფლება Powers და მან ასევე კარგად იცის, რა უნდათ ქალებს მიწიერ სურვილთაგან ყველაზე უფრო Some saide women loven best richés, Some saide honour, some saide jollinesse “ზოგნი ამბობენ ქალს უნდაო ბევრი ქონება, ზოგიც დიდებას, ზოგიც პატივს დაუკავშირებს” - ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში დასმული შეკითხვა ამ რაკურსით, თუ რა სურთ ქალებს მიანიშნებს, რომ ქალთა საკითხი არაერთმნიშვნელოვნად იდგა იმ ეპოქაშიც კი, როცა შექსპირმა განაცხადა “Frailty thy name is woman” (Shakespeare, 1856: 569) “არარაობავ დედაკაცი უნდა გერქვას შენ” (შექსპირი, 1986: 118) ყველაზე უფრო დამაკნინებელი, რაც კი შექსპირის რანგის ჰუმანისტს შეიძლებოდა ეთქვა ქალზე. საბოლოოდ თავად ჩოსერი (Chaucer, 1986: 75) კითხვაზე, თუ რა სურთ ქალებს მეტად მხატვრულად და საკმაოდ ლიბერალურად სცემს პასუხს: იხილეთ, ხსენებული ნაწარმოების სიტყვასიტყვითი თარგმანი ცხრილის სახით:

ცხრილი #16

“My liege lady, generally,” quoth he,	ჩემი წრის ქალებს, ზოგადად - მითხრა მან
“Women desiren to have Sovereigntee,	უნდათ თავისუფლება და
As wel over their husband as their love	ძალაუფლება თავიანთ ქმრებზე, ასევე

	თავიანთ საყვარელ ადამიანებზე
And for to be in mastery them above.”	და სურთ რომ იყონ ყველა მათგანის ბატონ პატრონი
It is quite true: the women themselves acknowledge it:	თავადაც კარგად იციან ქალებმა ეს
In al the court there was not wif or mayde	და არც ერთი ცოლი ან ქვრივი ქალი არ მეგულება,
Or widow that contraried what he saide.	რომელიც უარს იტყოდა ამ გავლენის ხელში ჩაგდებაზე
But he hastens elsewhere to apologise:—	მიუხედავად ამისა არ მეგულება კაცი, რომელიც უარს იტყვის მათ სიყვარულზე
I can no harm of no woman divine.	და რაიმე ფორმით ავნებს ქალს - ამ უზენაეს არსებას
When I bete my knaves	როდესაც მე ჩემს მსახურ ბიჭებს ვუსწორდები (knaves – boys)
She bringeth me forth the grete clobbed staves	მას მოჰყავს კიდევ უფრო მეტი მსახური (Staves – Staff)
And crieth, “Slay the dogges every one	და დამყვირის: გაროზგე ყველა, ძაღლისშვილები
And break them bothe back and every bone.	დაუმტვრიე ყველა ძვალი და გატეხე ხერხემალში
Allas,” she saith, “that ever I was shape	და აღმოხდება სასოწარვეთილს რა მასალისგან ვარ შექმნილი
To wed a milksop or a coward ape.	ხომ არ ჯობდა დავქორწინებულიყავი რაიმე არარაობაზე ან მხდალ მაიმუნზე
By corpus bonæ I will have thy knife	უმჯობესია მე დამითმო შენი ხმალი
And thou shalt have my distaff and go spinne.”	შენ კი გქონდეს ჩემი სართავი და ამ საქმეს მიხედე

ეს არის სიტყვასიტყვითი თარგმანი ჩოსერის „ლეგენდა მშვენიერ ქალზე“ (Chaucer, The Legend of Good Woman) შუა ინგლისურში, სწორედ ჩოსერთან, გვხვდება სიტყვა “Engendered” - რომლის თანამედროვე მნიშვნელობა “Generate” - “წარმოქმნას”, “წარმოშობას”, “დაბადებას” უკავშირდება, უფრო ახალი დატვირთვით Engandered - ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასთანაც არის დაკავშირებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ქალის მიერ სიცოცხლის წარმოქმნის თვისებასთან ეტიმოლოგიური კავშირით აიხსნება. ასევე ნიშანდობლივია ამ პერიოდის ინგლისურისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების, წელიწადის თვეების, დროებისა და ციური სხეულების გენდერული მარკირება, მაგალითად: “April” – „აპრილი“ მამრობითი სქესს განეკუთვნებოდა, მარტი და მაისი მდედრობითი სქესის ნაცვალსახელით იყო მოხსენიებული, ივნისი ივლისი და აგვისტო ასევე მამრობითი სქესის, იანვარი და დეკემბერიც he ნაცვალსახელთან მიმართებით აქვს მოხსენიებული ჩოსერს. რაც შეეხება ციურ სხეულებს „მზე“ – “Sun” - მდედრობითი ნაცვალსახელის გვერდით დგას, „მთვარე“ – “Moon” - მამრობითის, გემი - “Ship” და „ცხვარი“ - “Sheep” შუა პერიოდის ინგლისურში მდედრობით სქესს განეკუთვნებოდა. ძველ ქართულში, ასევე მეგრულსა და სვანურშიც შეიმჩნევა მსგავსი გენდერული მარკირებულობა, რაც თანამედროვე ქართულს არ აქვს შემონახული, თუმცა, ის რაც შემოინახა ქართულის დიალექტებმა ასევე მეგრულმა, სვანურმა და ხშირ შემთხვევაში წოვა თუშურმა, ეს არის ქალისა და კაცის მოქმედებების მახასიათებელი ზმნები და მათი მორფო-სინტაქსური ვარიაციები, ასევე ონომასტიკასთან დაკავშირებული სიტყვათწარმოება.

რუსუდან გერსამიამ და ზაალ კიკვიძემ გზა გახსნეს სემანტიკური ნიშნების გენდერული მახასიათებლების შესწავლის მიმართულებით, როდესაც დააჯგუფეს ლექსიკური ერთეულები გენდერული ნიშნით. ჩვენ ეს ენობრივი საშუალებები გავაანალიზეთ პერსონაჟთა მიერ მათი გამოყენების ტენდენციების თვალსაზრისით გენდერულად, რამაც ენის გენდერულ მარკირებულობაზეც აგლუტინაციის ინდექსის გავლენის შესახებ მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა. ემპირიულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულის თითქმის ყველა დიალექტში არსებობს ისეთი ლექსემები,

რომლებიც უმთავრესად ქალს ან მამაკაცს მიემართება, შესაძლებელია ასაკის გარჩევაც (მოხუცი თუ ბავშვი) ასევე ფიზიკური მახასიათებლების (მსუქანი ან გამხდარი). მაგალითად **გვანგვალ** -ი (ლექს) კარგად, ლამაზად, მოკლე ნაბიჯებით სიარული დაბალი ჩამრგვალებული ადამიანისა **ქვანქვალ**-ი ქალის შნოიანი სიარული, მოკლე ნაბიჯით სვლა **ზივზივი** - (თუშ) სინაზე, კოხტაობა ქალისა **სხინჭილი** - (ლექს) გადაჭარბებული და სწრაფი ლაპარაკი ქალიშვილისა. **ქვირქვილი** (იმერ) - ტირილი, ქვითინი, მოქვირქვილე ქალები **დუნდრუცი (გურ)** - ულაზათოდ მოყვანილი, დიდი უხეში ტანის ქალისა; (გერსამია და სხვები, 2016: 547)

მხოლოდ **კაცთან მიმართებით** გვხვდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები ქართული ენის სხვადასხვა დიალექტებში, რომელიც ზოგ შემთხვევაში ლიტერატურულ ენაშიც იმკვიდრებს თავს: **ბაჯაჯღანა** (ქართლ., ქიზიყ) - უსახური, დაბალი ტანისა, დაბალი სქელი და უსახური კაცი, ჯუჯა კაცი (ლლონტი, 1984: 66); **ყირზალი** - ბუდიდან ამოვარდნილი თვალები, თვალებგადმოკარკლული, გაყვიზინებული (კაცი) მის ფუძეს უკავშირდება; **ყირზუა** - ბლომად, ხარბად სმა ღვინისა, გაღუმვა, შესაბამისი ზმნური ფორმებით: **ყირზუნს** - “თვრება” და **ოყირზუნს** - “ათრობს”. რადგან თავად თრობა, როგორც აქტი მამაკაცს უკავშირდება ქართულ კულტურაში, შესაბამისად ყველა სიტყვა, რომელიც “ყირზ” ფუძეს შეიცავს - მაგალითად “ღირზალი” - “ამრეზილი”, “უხეში”, “ახმახი”, ღერზელი - “ბრაზიანი, გაღიზიანებული” - მამაკაცთან კავშირშია (ლლონტი, 1984: 453).

ვცადეთ, ზემოხსენებული ლექსიკური მახასიათებლების შესაბამისი ინგლისური ანალოგების მოძიება ლიტერატურულ კორპუსში პერსონაჟთა მეტყველების მაგალითზე, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: ინგლისურენოვან ტექსტებში არ მოიძებნება ერთი და იმავე მოვლენის, საგნის, პიროვნების ან მისი მეტყველების მახასიათებელი მრავალფეროვანი სინონიმური წყვილები, შესაბამისად, არც გენდერულად მარკირებული სამეტყველო სემანტიკური ერთეულები იკვეთება ინგლისურენოვან ნაწარმოებების პერსონაჟთა მეტყველებაში, განსხვავებით ქართული ტექსტებისაგან.

მაგალითად, სიტყვას “Walk” – „სიარული“ ინგლისურ ენაში ათეულობით სინონიმი აქვს, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება. გავაანალიზეთ

თითოეული მათგანი გენდერულ ჭრილში და ვცადეთ ლინგვისტური უნივერსალების გამოვლენა, თუმცა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. რაც, ნამდვილად გამოიკვთა ყველა ჩვენ მიერ გაანალიზებულ ზმნაში, ეს იყო, დადებითი და უარყოფითი ემოციის, კონოტაციის გამოხატვა, ასევე ფორმალური, არაფორმალური და სასაუბრო კოლოკვიალურ სინონიმების ჯგუფები, რომლებსაც განსხვავებულა იყენებენ სხვადასხვა სქესის პერსონაჟები.

Walk „სიარული“- pussyfoot, slouch, move, mince, hitch, go, flounce, shamble, swag, mosey, tramp, somnambulate, slog, falter, footslog, march, tramp down, stomp, strut, foot, stroll, coggle, stagger, shlep, stump, tittup, scuffle, creep, toddle, lurch, paddle, flounder, walk about, leg it, ruffle, waddle, dodder, step, hobble, sleepwalk, amble, stride, tippytoe, keel, careen, clump, shuffle, limp, clomp, wade, hoof, stumble, sashay, tread, stamp, plod, tread down, hoof it, swagger, toe, totter, bumble, ambulate, locomote, reel, skulk, hike, trudge, spacewalk, prowl, tiptoe, pace, lumber, stalk, cock, pound, tap, process, take the air, mouse, gimp, traipse, travel, tip, trample. pad, walk around, slink, sneak, promenade, prance, saunter, perambulate, lollop, რომელთაგან სულ რამდენიმეს თუ გამოვარჩევთ, როგორც ერთი რომელიმე სქესის მოქმედების აღმნიშვნელს (მაგ promenade - მისეირნებს გამომწვევად, prance - გაჯგიმული დადის), მაგრამ ესეც ძალიან პირობითი იქნება და ძირითადად მათ შორის განსხვავება უფრო კონტექსტუალურია, შესაძლებელია განსხვავდებოდეს სულიერის ან უსულოს აღმნიშვნელით, მაგრამ გენდერულად მარკირებულ მნიშვნელობებს ნაკლებად ვხვდებით. იგივე შეიძლება ითქვას ზმნაზე **Talk** “საუბარი” = intercommunicate, carry on, monologuise, soliloquise, rap, dogmatize, gossip, talk, own, speak, coquet, proceed, soliloquize, romance, discourse, philander, go on, butterfly, orate, dish the dirt, dogmatise, converse, communicate, spiel, talk turkey, hold forth, dally, chat up, level, cheek, coquette, mash, flirt, continue, pontificate, monologuize, dissertate giggle, laugh nervously express joy, titter, express mirth, laugh

აღნიშნული ინგლისურენოვანი ზმნები TEXTSTAT-ის მეშვეობით ვცადეთ დაგვეწყვილებინა საანალიზო მასალის ლექსიკასთან. სამწუხაროდ, თითქმის არც ერთი მათგანი არ გადმოსცემს მხოლოდ ქალი ან კაცის მეტყველების მახასიათებელს, ან თავად ქალის და მამაკაცის მახასიათებელ თვისებას, განსხვავებით ქართულის

რამდენიმე ზმნისაგან (ბიდინი, ფარჩხალი, სვარსვალი და სხვა), რომელიც მხოლოდ ქალის თვისებას ან ქალის მეტყველებას ან ორივეს ერთად უკავშირდება. თითქმის არც ერთი გამონაკლისი არ შეგვხვდრია საანალიზო მასალის დამუშავების დროს. ეს გვამღევეს საკმარის საფუძველს ვიფიქროთ, რომ გენდერული მარკირება არის უმთავრესი განსხვავება ქართულ და ინგლისურ ზმნას შორის და შეგვიძლია ის გამოვყოთ, როგორც ალომორფიზმი ინგლისურსა და ქართულს შორის. ჩვენ შევისწავლეთ, ასევე, თავად მდებდრობითი და მამრობითი სქესის აღმნიშვნელ ძირითად დიქტომია: „ქალი-კაცი, გოგო-ბიჭი“ – “woman -men; girl – boy”.

Girl - Gibson girl, flapper, tchotchkeleh, doll, soubrette, sexpot, young woman, May queen, chit, valley girl, gamine, wench, hoyden, mill-girl, colleen, tshatshke, miss, tchotchke, tsatske, ring girl, belle, peri, maid, missy, lassie, queen of the May, sweater girl, young lady, tomboy, dame, woman, babe, maiden, bimbo, party girl, skirt, gal, baby, shop girl, sister, lass, sex kitten, working girl, romp, sex bomb, young girl, rosebud, bird, jeune fille, fille, adult female, chick, chachka - ზოგიერთი სინონიმი უცხო ენიდანაა შემოსული, ზოგიერთი სლენგს განეკუთვნება, ზოგი მეტისმეტად დისკრიმინაციულიცაა, მაგრამ მაინც ვერსად ვხვდებით ქართულის ზოგიერთი დიალექტისთვის - მაგალითად სვანურისთვის მახასიათებელ თვისებას, სადაც სხვადასხვა სქესის პირი ან ოჯახის წევრი სხვადასხვაგვარად მოიხსენიებს, მაგალითად ძმა დას - „დაჩუირ“, ქმრის ოჯახი რძალს - „თელღურა“, ძმის ცოლს - „მეყერუა“ ან რძალი, ძალუა, ბიცოლა; და დას - „უდილ“, და ძმას - „ჯემილ“ და ძმა ძმას - „მუხუბე“.

Boy - ball boy, sonny, plowboy, catamite, male child, sonny boy, lad, Scout, shop boy, altar boy, laddie, male person, farm boy, cub, Fauntleroy, bat boy, male, ploughboy, Little Lord Fauntleroy, schoolboy. რაც შეეხება ბიჭის აღმნიშვნელ ან ბიჭთან დაკავშირებულ ლექსიკას ინგლისურენოვან ტექსტებში, იგი შედარებით ნეიტრალური ხასიათის მატრებელია და ნაკლებად დისკრიმინაციულ ან სარკასტულ შინაარს შეიცავს, ვიდრე გოგოს აღმნიშვნელი იგივე კტეგორიის ლექსიკური ერთეულები. მათი უმრავლესობა მარტივი სახელია, გვხვდება შედგენილი სიტყვებიც მაგალითად: “ploughboy” – პიდაპირი თარგმანით „მხვნელი ბიჭი“, რასაც ქართულში საინტერესო შესატყვისით ვთარგმნით - „გუთნის დედა“ და როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ ის მხოლოდ

მამაკაცის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულია. ეს აღბათ ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევაა არა მხოლოდ ქართულ არამედ ზოგადად ლინგვისტიკაში, რომ მამაკაცის პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა ქალის მორფემითაა გადმოცემული, რაც საქართველოში ხვანა-თესვისა და მიწათმოქმედების უძველეს კულტურას უკავშირდება, რომლის მფარველი ღმერთი ქალი იყო და ზოგადად პრე-ქრისტიანულ ქართულ კულტურაში უამრავ ქალ-ღმერთს ვხვდებით, როგორცაა „დიდი დედა“, „ადგილის დედა“, ბარბაღე, დალი და ასევე დღემდე შემორჩენილი მეტად საინტერესო ფენომენის მადასტურებელი სკულპტურა - ორსქესიანი ღმერთისა.

Woman - adult, bridesmaid, nursemaid, divorcee, ravisher, woman's body, smasher, cat, flirt, bas bleu, deb, bachelor girl, Cinderella, lulu, nymphet, old woman, girlfriend, enchantress, whore, siren, woman of the street, virago, jezebel, peach, vamp, Wave, inamorata, tart, matriarch, gravid, bawd, mother figure, grass widow, ex-wife, heroine, prostitute, temptress, looker, wife, coquette, ball-buster, fille, mantrap, shiksa, lady friend, lady of pleasure, adult female, grownup, nullipara, bluestocking, kept woman, nurse, dominatrix, Black woman, houri, jilt, nanny, ball-breaker, mistress, gold digger, unmarried woman, tease, bachelorette, femme fatale, nymph, white woman, Cyprian, minx, debutante, adult female body, Wac, eyeful, female, miss, maid of honor, geisha girl, working girl, geisha, missy, fancy woman, young lady, cocotte, dame, sweetheart, sylph, mestiza, maenad, matron, prickteaser, stunner, vamp, Delilah, lady, yellow woman, ma'am, sporting lady, wonder woman, B-girl, materfamilias, married woman, amazon, baggage, shikse, harlot, vestal, donna, gentlewoman, widow, madam, widow woman, knockout, young woman, dish, female person, bar girl, Girl, beauty, broad,

Man – bluejacket, noncombatant, military unit, force, serviceman, skilled workman, military volunteer, occupier, cannoneer, commander, sailor, machine gunner, military officer, vet, voluntary, skilled worker, enlisted person, veteran, gunner, military group, military personnel, air force officer, volunteer Marine, ex-serviceman, devil dog, draftee, veteran soldier, artilleryman, military force, military man, conscript, striper, ranger, sailor boy, trained worker, inductee, navy man, shipboard, soldier, leatherneck, commandor.

კლასიფიკაციურმა ანალიზმა გამოვლინა, რომ ქალისა და მამაკაცის აღმნიშვნელი სიტყვების და მათთან დაკავშირებული სინონიმები, ასევე, გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვები ინგლისურში მკვეთრად დიფერენცირებულია და ხასიათდება ქალისა და კაცის როლების შესახებ საზოგადოებაში დადგენილი შეხედულებების დომინირებით მათ პროფესიაზე, თვისებებსა თუ ადგილზე სოციუმში. მაგალითად ქალის სინონიმებად გვხვდება ისეთი სიტყვები როგორცაა: nursemaid, femme fatale, amazon, baggage, shikse, harlot, ხოლო მამაკაცთან ისეთი პროფესიების და როლების აღმნიშვნელ სიტყვები, როგორცაა, commander, sailor, machine gunner, military officer, vet, voluntary, skilled worker და სხვა.

გენდერულ დისკურსში მსგავსება - განსხვავების დადგენის მცდელობა ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურული ტექსტების მიხედვით, ჩვენი კვლევის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა და მონაპოვარია. უნდა ითქვას, რომ ყველაზე საინტერესოდ ისინი იდიომატურ გამონათქვამებსა და ანდაზებში აისახა. საგულისხმოა, რომ ქალთან დაკავშირებული ოცდაათამდე ანდაზა ქართული და ინგლისური, როგორც ფორმით, ასევე, შინაარსით დიდწილად ემთხვევა ერთმანეთს, რვა (8) თითქმის ზუსტად იმეორებს შინაარს. რაც შეეხება კაცებს ანდაზებსა და ზეპირსიტყვიერებაში, პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთ ენაში არ გვხვდება ცნობილი ანდაზა ან გამონათქვამი სპეციალურად კაცზე და მის თვისებებზე. შედარებით უფრო გავრცელებულია გამონათქვამები ქმარზე, რომელიც ქართულში ხშირად „კაცის“ სახელწოდებითაა მოხსენებული. ასევე ორივე ენისთვის საერთო ტენდენციაა ის, რომ კაცი ანდაზებში გვხვდება, ზოგადად ადამიანის მნიშვნელობით და კაცს, როგორც განსხვავებული სქესის წარმომადგენელს არ გულისხმობს.

- “არ ვარგა ქალი მეჭორე, სოფლად – ვაჟკაცი მკვეხარი”;
- “გაყიდა ხარი – ითხოვა ქალი”;
- “თავის ქალი ვინ აქოო – და წირპლიანმა დედამაო”;
- “ზრდილი ქალი ვისიაო? ვინც აირჩევს მისიაო”;
- “ლამაზი ქალი კაცის გულს ახარებს, მახინჯი — ქალისას.”

„The heart of her husband trusts in her, and he will have no lack of gain“ საუბარია ქალის მიმართ ნდობაზე, რაც ქმრისთვის მომგებიანია, ქართულში ანალოგი ვერ დავებნეთ, Her children rise up and call her blessed; her husband also, and he praises her: “Many women have done excellently, but you surpass them all”. - ქალის პოზიტიური როლია ოჯახურ ცხოვრებაში ხაზგასმული

რაც შეეხება იდიომატურ გამონათქვამებს, ინგლისურშიც და ქართულშიც გვხვდება გენდერულად მარკირებული ფორმები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ქალის მიმართ დისკრიმინაციულია. ეს ტენდენცია თანაბრად შესამჩნევია ორივე საანალიზო ენაში. ქალის დახასიათება ან ქალის მეტყველების მახასიათებელი სიტყვები ამ ტიპის გამონათქვამებში უმეტესად არის ნეგატიური, გააჩნია შეფარული სექსუალური და მორალური იმპლიკაციები, ხოლო, ქმარზე (რადგან, კაცზე არ მოგვეპოვება) შექმნილ ხალხური გამონათქვამები უფრო ნეიტრალურია ან დადებითი კონოტაციით ხასიათდება. მაგალითად, ქალი ან დედა შეიძლება მოხსენიებული იყოს როგორც „light of the house“ „სახლის სინათლე“ ან „paradise lies under mothers' feet“ „დედის ფეხებთან სამოთხეა გაშენებული“, ამავდროულად კი გვექონდეს გამოთქმა, რაც ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ვაჟების არათანაბარ მდგომარეობას გამოხატავდეს: “Saying to a woman is the same as telling to a devil”- „გინდა ქალისთვის გითქვამს საიდუმლო და გინდა სატანასთვის“.

ბუნებრივია, ზემოხსენებული დამოკიდებულებები იცვლებოდა და კვლავ იცვლება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. მსგავსი ენობრივი ცვლილებები ჩვენს ნაშრომში განვიხილეთ, როგორც დიაქრონული ვარიაციის ერთ-ერთი ფორმა და კვლევის პროცესში დავადგინეთ, რომ დროთა განმავლობაში ენის წიაღში წარმოქმნილი ენობრივი მოვლენები სინქრონულ ვარიაციებს უნდა დავაკავშიროთ, რაც წარმოადგენს ვარიაციებს დროის მოცემულ მომენტში და ლინგვისტური კვლევების უმთავრეს დომენს (განზომილებას) ქმნის. მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე სინქრონული ვარიაცია მოიცავდა ენასა და სქესს, რომელთა შორის დამოკიდებულება განიხილებოდა ისეთივე ჭრილში, როგორშიც სოციალურ კლასსა და ნათქვამს შორის კავშირი ან ენასა და ეთნიკურ ჯგუფს შორის დამოკიდებულება. 70-იანი წლებიდან ეს მიდგომა შეიცვალა და მას შემდეგ გენდერი

მიიჩნევა დამოუკიდებელ სინქრონულ ვარიაციად, რომელშიც წინა პლანზე წამოიწია ქალისა და მამაკაცის მეტყველებას შორის კავშირებმა, მსგავსება - განსხვავებებმა და ისტორიულმა ასიმეტრიამ, რომლის დაძლევაც თანამედროვე ლინგვისტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

დასკვნა

პერსონაჟთა მეტყველების გენდერული ურთიერთმიმართებების კვლევამ კონტრასტულ ჭრილში (ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურული კორპუსის მიხედვით) და მათ შორის არსებული ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებების ანალიზმა, შემდეგი დასკვნების ჩამოყალიბების საშუალება მოგვცა:

- ❖ რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ლიტერატურულ კორპუსში ქალი პერსონაჟები უფრო ნაკლებად არიან წარმოდგენილი, ვიდრე კაცები. ქალი პერსონაჟი საკუთარი სახელით თითქმის ორჯერ ნაკლებადაა მოხსენიებული, ვიდრე მამაკაცი პერსონაჟი და ეს ციფრები განსხვავებულია სხვადასხვა სქესის ავტორთა ნაწარმოებების მიხედვით. ზოგადი ტენდენციით ქალ ავტორებთან მეტი ქალი პერსონაჟი გვხვდება, ვიდრე მამაკაცებთან.
- ❖ ენის კორპუსის ანალიზის პროცესმა ცხადყო, რომ პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებებს, სქესის გარდა, ბევრი სხვა ფაქტორი განაპირობებს, მაგალითად: ეპოქა, ავტორის გემოვნება, ლიტერატურული ჟანრის მოთხოვნები, ენის სტრუქტურა (სინთეზურობა, ანალიზურობა, აგლუტინაცია), თარჯიმნის სტილი და თარგმანის ეპოქა. ტექსტის პრაგმატული ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როცა გენდერულ დისკურსში კონტექსტი გავლენას ახდენდა სიტყვის მნიშვნელობაზე.
- ❖ ექსპრესიის სემანტიკური გამოხატვის თვალსაზრისით, გამოიკვეთა ქალებში წინდებულების, შორისდებულებისა და ნაცვალსახელების უფრო ხშირი გამოყენება, ვიდრე მამაკაც პერსონაჟებში, ხოლო მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში -სკაბრეზული გამონათქვამების, სლენგისა და უარყოფით ემოციების გამომხატველ ენობრივ საშუალებათა სიხშირე.
- ❖ რაოდენობრივი და შედარებითი კვლევის საფუძველზე, გამოვლინდა დადებითი და უარყოფითი ემოციების ექსპრესიული განსხვავებანი ქალ და მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაში. კერძოდ, ქალები უფრო ხშირად იყენებენ მწუხარების, გლოვისა და ტრაგიზმის გამომხატველ ლექსიკას, ვიდრე მამაკაცები, ხოლო

მამაკაცები უფრო ხშირად მიმართავენ კორპორალურ ლექსიკას, განსაკუთრებით ქალის შესახებ ჰომოგენურ (კაცსა და კაცს შორის) კომუნიკაციაში.

- ❖ მორფო-სინტაქსური თვალსაზრისით, გამოვლენილ იზომორფიზმებსა და ალომორფიზმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიპერკორექტული გრამატიკა და გრამატიკული წესების შესაბამისი სიტყვათაწყობის გამოყენება ქალ პერსონაჟებში უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცებთან, ინგლისურენოვან ტექსტებში. ქართული ტექსტებისთვის სინტაქსის მსგავსი გენდერული მარკირება არ არის დამახასიათებელი, რადგან ქართული ზმნა-შემასმენელი და შესაბამისად წინადადების სტრუქტურაც, ინგლისურთან შედარებით მყარად განსაზღვრულია და მისმა ცვლილებამ, შესაძლებელია, შინაარსობრივი ცვლილებაც გამოიწვიოს.
- ❖ საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა ჰიპოტაქსისა და პარატაქსის გენდერული მარკირებულობის თვალსაზრისით ქართულსა და ინგლისურში: ქართულენოვან ტექსტებში ქალი პერსონაჟები უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცი პერსონაჟები, მიმართავენ ჰიპოტაქსს, ხოლო ინგლისურში პირიქით: ქალები შედარებით გამარტივებულად საუბრობენ ვიდრე, მამაკაცები. თანამედროვე ინგლისურში იკვეთება წინადადებების გამარტივებისა და პარატაქსული კონსტრუქციების დამკვიდრების ტენდენცია, რაც საქმიანი ენის განვითარებით აიხსნება. ქართულ გენდერულ დისკურსში, და ზოგადად ენაში, მსგავსი ცვლილებების განხორციელება უნივერსალიების დონეზე ენის სამომავლო განვითარების საკითხია.
- ❖ ქართული ენის კორპუსში შემავალი მონათესავე ენების: მეგრულის, სვანურის და თუშურის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აგლუტინაციის ინდექსი გავლენას ახდენს პერსონაჟთა მეტყველების გენდერულ მარკირებაზე, რაც დასტურდება მათში გენდერულად განსხვავებული ლექსიკური ერთეულების არსებობით: გენდერულად მარკირებული ზმნები და მასდარი. ინგლისურში, როგორც ანალიზურ ენაში, რომლის აგლუტინაციის ინდექსი ქართულთან შედარებით დაბალია, ისეთი ენობრივ-ექსპრესიული საშუალებები (მაგალითად მოქმედების აღმნიშვნელი), რომლებიც მხოლოდ ერთ ან მეორე სქესს შეიძლება ახასიათებდეს, არ მოიძებნება.

- ❖ ტიპოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალი და მამაკაცი პერსონაჟები ენის სხვადასხვა ფუნქციას განსხვავებული მიზნით იყენებენ, რაც გამოიხატება მათ მიერ ისეთი ენობრივი ერთეულების განსხვავებულ გამოყენებაში, როგორცაა: ლოკუციის, ილოკუციისა და პერლოკუციის გამოიხატველი საშუალებები. მაგალითად, ქალი პერსონაჟები უფრო აქტიურად იყენებენ ილოკუციას დიალოგში, ხოლო - მამაკაცი მოსაუბრეები მეტწილად მიმართავენ თანამოსაუბრის დარწმუნების სხვადასხვა ხერხს: განკარგულებით, ექსპრესიულ დეკლარაციულ პერლოკუციას, თუმცა, კომუნიკაციური აქტის ეფექტურობას განაპირობებს არა მხოლოდ ექსპრესიული საშუალებების სიუხვე, არამედ მათი კონტექსტუალური გამოყენება სამიზნე ჯგუფთან.
- ❖ ქართულ და ინგლისურ ენებში ქალი და მამაკაცი მოსაუბრის მეტყველება გენდერულად მარკირებულია და, ხშირ შემთხვევაში, ფონოლოგიური განსხვავებითაა გამოხატული, თუმცა, ეს უფრო შესამჩნევია ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში: ჰიპერკორექტული გრამატიკა, მართებული პუნქტუაცია, დამაზუსტებელი („კუდიანი შეკითხვები“) და წინდებულების, შორისდებულების და ზედსართავების გადაჭარბებული გამოყენება.
- ❖ როგორც ცნობილია, მსოფლიო ენები იმყოფებიან მუდმივი ცვალებადობის პროცესში ფონეტიკის, სინტაქტიკის, ლექსიკის და გენდერული დისკურსის თვალსაზრისით, თუმცა ყველა ენა ამ ცვლილებას სხვადასხვა ტემპით განიცდის. ჩვენმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ინგლისურ ენაში ცვალებადობა გამოიხატა ისეთი ფენომენის ჩამოყალიბებით, როგორცაა ენის **ფემინიზაციის ტენდენცია**, როგორც მხატვრულ, ისე სოციალურ დისკურსში. ეს ცვლილებები განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ქართულისა და ინგლისურის ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირების დროს. ერთი და იგივე მოვლენა ერთ ენაში შეიძლება იყოს გენდერულად მარკირებული, ხოლო მეორეში - არა. აქედან გამომდინარე, ცვლილებები ენის გამოყენების წესებს შეეხო და საინტერესო იზომორფიზმები და ალომორფიზმები გამოიკვეთა.
- ❖ ტიპოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეტყველების გენდერული ასპექტი შეიძლება შევადაროთ სხვადასხვა კულტურებს, ასევე, სოციალურ კლასებსა და

პროფესიულ ჯგუფებს შორის არსებულ კომუნიკაციას. ნიშანდობლივია, რომ იმ ენობრივ ნიშანთა სინქრონული ვარიაციები, რომლებიც მეტად „დაწინაურდება“ და ახდენს გავლენას დიაქრონულ ვარიაციაზე, განაპირობებს ენისა და გენდერის ურთიერთიმართებას მოცემულ მომენტში. სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მეტყველების ტიპოლოგიური შეპირისპირების პროცესში გამოვლინდა, რომ ენობრივი ინოვაციებისა და ახალი ტერმინების დამკვიდრება უფრო ქალ მოსაუბრეთა პრეროგატივაა, ვიდრე მამაკაცების, რადგან ეს უკანასკნელნი უფრო კონსერვატიულად უდგებიან ენის გამოყენებას, ვიდრე ქალები. შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით დავრწმუნდით, რომ აღნიშნული ტენდენცია უფრო მეტად დამახასიათებელია ევროპული ენებისთვის, მათ შორის ინგლისურისთვისაც, სადაც ქალები უფრო მეტად გვევლინებიან ენობრივი ცვლილების ლიდერებად. ქართულში მსგავსი ტენდენცია არ იკვეთება.

- ❖ ლიტერატურულ პერსონაჟებში გამოკვეთილი „ენობრივი ჯგუფების“ ცნებამ, რომელიც ინგლისურად ცნობილია, როგორც „speech communities“, კონცეპტუალურად შეცვალა „მოსაუბრეთა“ განმარტება და სხვა რაკურსით გავანალიზეთ გენდერული მეტყველება. კონკრეტულად, მეტყველების ანალიზი გენდერული ჭრილიდან გადავიტანეთ „ენობრივი ჯგუფები“-ს ანუ „Communities of Practice“ ჭრილში. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ერთი და იმავე სამეტყველო ჯგუფის წევრი საპირისპირო სქესის წარმომადგენლები, უფრო მეტი ალბათობით, იდენტურად იყენებენ ენობრივ სისტემას, ვიდრე სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის წევრი ორი ქალი ან ორი მამაკაცი.
- ❖ ლიტერატურული კორპუსის შედარებით-შეპირისპირებითმა კვლევამ გამოავლინა, რომ მოსაუბრეთა გენდერულად არაერთგვაროვან ჯგუფებში გამოიყოფა მთავარი და პერიფერიული ანუ მეორეხარისხოვანი წევრები. საკომუნიკაციო აქტის პერიფერიული მონაწილეები კომუნიკაციის ცენტრალური წევრების მხრიდან ასერციის (დარწმუნების), საკუთარი აზრის თავს მოხვევის ან ზეგავლენის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდნენ. ამ მოვლენის გენდერული ასპექტის ანალიზში დაგვეხმარა კომუნიკაციის აქტის თეორია, რომლის თანახმადაც, ლოკუცია/ილოკუცია უფრო ქალ პერსონაჟთა მეტყველებაში

შეიმჩნევა, ხოლო მამაკაცები მიმართავენ პერლოკუციას, შედარებით იშვიათად ილოკუციას რათა ზეგავლენა მოიპოვონ საკომუნიკაციო აქტში, რისთვისაც ეფექტურად იყენებენ ასერციის ლინგვისტურ საშუალებებს.

- ❖ შესწავლილი ტექსტებით დადასტურდა თეზისი, რომ ქალ პერსონაჟთა მეტყველება ორიენტირებულია მხარდაჭერასა და თანაგრძნობაზე, კავშირის დამყარებაზე, ხოლო მამაკაცი პერსონაჟებისა - ინფორმაციის მიწოდებაზე, გავლენისა და უპირატესობის მოპოვებაზე. სიღრმისეულმა ანალიზმა მოგვცა გარკვეული განსხვავებები ქართულ და ინგლისურ ენაზე შექმნილ ორიგინალ ნაწარმოებებს შორის, რაც ორი ენის სტრუქტურული განსხვავებულობით აიხსნება.
- ❖ ენობრივ ცვლილებათა უმრავლესობა დაუგეგმავად წარმოიქმნება ისე, რომ მასზე სრულყოფილი წარმოდგენა არც კი აქვთ საზოგადოების წევრებს ან, უარეს შემთხვევაში წინააღმდეგობას უწევენ მათ და ნორმის დარღვევად თვლიან, როგორც მაგალითად მე-16 საუკუნის ინგლისში ქალების მიერ ახალი ლექსიკის გამოყენებას და ზედსართავი სახელების მრავალფეროვანი ფორმებით მოხსენიებას მიიჩნევდნენ ენის სიწმინდის შეზღავანად. ენის განვითარების ისტორიის დიაქრონული ანალიზის მეთოდით მივედით დასკვნამდე, რომ მსგავსი მიზანმიმართული ინტერვენცია ენის საწყისი ფორმების შენარჩუნებისა, პრაქტიკულად მიუღებელია, ხოლო ქალების მიერ მოგონილმა ლექსიკამ რეალურად ენას სიმდიდრე, მოქნილობა და მეტი ხალხურობა შესძინა. მიუხედავად იმისა, რომ „ენა არის ცოცხალი ორგანიზმი“ და მუდმივად ცვალებადი, მაინც მსგავს ბუნებრივ ცვლილებას აუცილებლად ესაჭიროება შეგნებული გააზრება, ენობრივი კოდირება და ინსტიტუციონალიზაცია. ამ ტიპის ინტერვენცია ენათა უმრავლესობაში, მათ შორის ქართულსა და ინგლისურში, უკვე განხორციელდა ადრეულ ეტაპებზე გრამატიკოსების, ენათმეცნიერებისა და ლექსიკოგრაფების მიერ, რასაც ემყარება ამ ენათა ლინგვისტური სისტემები.
- ❖ მიუხედავად სკრუპულოზური მცდელობისა, გამოგვეკვეთა გენდერული უნივესალიები ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაში, რაც ზოგიერთ

კატეგორიაში, მაგალითად: საკომუნიკაციო აქტების თეორია, ზეგავლენათანამშრომლობის მოტივაცია, შესაძლებელიც აღმოჩნდა, მაინც ეს განსხვავებები უფრო ტენდენციებამდე დაიყვანება, ვიდრე აბსოლუტურ უნივერსალიებამდე და ერთი კონკრეტული წესის ჩამოყალიბება, თუნდაც, ერთ გრამატიკულ კატეგორიაზე (მაგალითად, ქალებისთვის დამახასიათებელი ჰიპერკორექტული გრამატიკა), საკმაოდ კომპლექსური პროცესი აღმოჩნდა.

- ❖ ქალები ორიენტირებულნი არიან პროცესზე, პერცეფციასა და იმპლიკაციებზე და სწორედ ამ მოტივაციაზეა აგებული მათი მეტყველების სტრატეგიები, ხოლო მამაკაცებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ქმედება, იდეა და ანალიზი, ანუ „კაცები უფრო მეტად საუბრობენ საკითხებზე, ხოლო ქალები მათ მიმართ დამოკიდებულებაზე“, რაც, ჩვენი დაკვირვების თანახმად, ლოკუციური აქტის გენდერულ მახასიათებლებამდე დაიყვანება.
- ❖ ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ინგლისურენოვან არამხატვრულ ლიტერატურულ ტექსტებში და ოფიციალურ დოკუმენტებში “he/she” კომბინაციას იყენებენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული გენდერული ნიშნით ლექსიკური დისკრიმინაცია, როდესაც იგულისხმება ქალი ან კაცი ობიექტი. მაგრამ მხატვრულ ტექსტში უფრო მიღებული და მამაკაცი ავტორებისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა სწორედ პარადოქსული მესამე პირის მხოლოდითი “They”, რომელიც კლასიკური გრამატიკული წესების მიხედვით მრავლობითის მესამე პირის ნაცვალსახელი გახლავთ და ითარგმნება როგორც “ისინი”. განსხვავებით ინგლისურისგან, ქართულ ენაში მსგავსი პრობლემა არ დგას, რადგან მესამე პირის ნაცვალსახელები, ისევე როგორც არც ერთი სხვა ნაცვალსახელი ქართულში, გენდერულად მარკირებული არ არის და როგორც მხოლოდითი “ის”, ასევე, მრავლობითი “ისინი” შეიძლება აღნიშნავდეს, როგორც ქალს, ასევე, მამაკაცს ან მათ ჯგუფს.
- ❖ შესწავლილი საანალიზო წყაროებისა და ქალ და მამაკაც ავტორთა ნაშრომების შედარებისას გამოვლინდა, რომ ქალების ემოციური ექსპრესიულობა არ შემოიფარგლება, მხოლოდ ქალური თემებით, „ფანტაზიებით ციცქნა ბაჭიებზე და ეულ მარტორქებზე“, როგორც ეს შეიძლება მიიჩნეოდა მე-16 მე-17 საუკუნეების

მიჯნაზე, როცა ქალი ავტორები ჯერ კიდევ ფეხს იკიდებდნენ სამწერლობო ასპარეზზე. ისინიც ისევე წერენ პოლიტიკის, სოციალურ და ყოფით პრობლემებზე, როგორც მამაკაცები, იყენებენ მხატვრულ ხერხებს, თუმცა, მათი წერის მანერა განსხვავდება მამაკაცი ავტორების მანერისაგან, რომელიც ხასიათდება შემდეგი ხერხებით: **ელიპტიკური წინადადებები, სიტყვათმონაცვლეობა, მცირესიტყვაობა, აღწერისა და საგანთა დახასიათების შედარებით მარტივი ხერხების გამოყენება/მოხსენებითი სტილი, წინადადების ჰიპოტაქსური და პარატაქსული სტრუქტურის გენდერულად განსხვავებულ გამოყენებით, რომელიც ალომორფიზმს წარმოადგენს ქართული და ინგლისურენოვანი ტექსტებისთვის.**

- ❖ საყურადღებო განსხვავება გამოიკვეთა ფერთა გამის გამოყენების თვალსაზრისით, მამაკაცი ავტორებიც და კაცი პერსონაჟებიც ბევრად უფრო ნაკლებად იყენებენ ენაში არსებულ ფერის აღმნიშვნელ ლექსიკას და მის მრავალფეროვნებას, ვიდრე ქალი ავტორები, რომელთა პერსონაჟებს ფერთა გამის შედარებით უხვი გამოყენება ახასიათებს.

ამდენად, გენდერული მეტყველების შესწავლა მეტად საინტერესო და თითქმის ამოუწურავი საკითხი აღმოჩნდა. კვლევის პროცესში დავრწმუნდით, რომ საკითხის სიღმისეული შესწავლისათვის უმნიშვნელოვანესია სწორად შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია და საანალიზო მასალის მოცულობა. ამიტომ, გარდა, თანამედროვე კვლევის ძირითადი მეთოდებისა (შედარებით-შეპირისპირებითი, აღწერითი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი) გამოვიყენეთ შედარებით ახალი მიდგომა - დისკურსის კრიტიკული ანალიზი, რაც ეფექტური აღმოჩნდა სპეციალურ რაოდენობრივი კვლევისთვის შექმნილ ლინგვისტურ საანალიზო კომპიუტერულ პროგრამასთან TEXTSTAT-ი ერთად. ის დაგვებმარა, შერჩეულ საანალიზო მასალაზე დაყრდნობით, გამოგვევლინა სხვადასხვა სქესის პერსონაჟთა მეტყველებაში გამოყენებული ლექსიკური, ფონეტიკური და ტროპული საშუალებები, განგვესაზღვრა მათი ზუსტი რაოდენობები. ამავდროულად, შევძელით გაგვეანალიზებინა, თუ რამდენად არის გამოყენებული ზოგიერთი დიალექტური თუ ტომური ენის ლექსიკა ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებში, რაც არ შეგვისწავლია

ინგლისურის საფუძველზე, რადგან ეს არ წარმოადგენდა ჩვენი კვლევის მიზანს ამ ეტაპზე. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მომავალში სწორედ ამ მიმართულებით განვავრდოთ კვლევა. როგორც ცნობილია, გენდერული კვლევები ძირითადად სოციალურ, ფსიქო-ლინგვისტურ და სოციო-ლინგვისტურ ჭრილში მიმდინარეობს. ლიტერატურული წყაროების ისეთი ანალიზი, როგორც ჩვენ განვახორციელეთ, ხელს შეუწყობს ლინგვისტური კვლევების გადრმავებას გენდერლექტივის სფეროში, რაც შედარებით ახალი დარგია და გზას გაგვიხსნის სამომავლოდ უფრო მნიშვნელოვანი კვლევებისთვის გენდერულად მარკირებული რეალიების შედარება-შეპირისპირების მიმართულებით. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომით ხელს შევუწყობთ, გაუმჯობესდეს მთარგმნელობითი პრაქტიკა და მოხდეს კულტუროლოგიური და კულტურათაშორისი კომუნიკაციის თეორიებისა და პრაქტიკის ახლებური გააზრება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფრიდონიძე, შ. (1986). სიტყვათაგანლაგება ახალ ქართულში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
2. ბახტაძე, დ. (2010). ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები, გერმანული და ქართული ენების სტრუქტურა. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
3. გაბადაძე, მ. (2016). მხატვრული ტექსტის სათაური როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ტიპოლოგიური დინამიკა ინგლისური პროზის კონტექსტში. ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. გამყრელიძე, თ (1986). ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.
5. გამყრელიძე, თ. კიკნაძე, ზ. შადური, ი. და შენგელაია, ნ. (2003). თეორიული ენათმეცნიერების კურსი, ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. გაჩეჩილაძე, გ. (1966). მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
7. გაჩეჩილაძე, ს. (1957). ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი. მეხუთე გამოცემა. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.
8. გელდიაშვილი, ნ. (2013). ნიკო ლორთქიფანიძის ზოგიერთი ენობრივი თავისებურების შესახებ („შელოცვა რადიოთი“ - მასალზე დაყრდნობით). ნიკო ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.
9. გელდიაშვილი, ნ., რჩეულიშვილი, ი. (2014). შედარების გადმოცემის გრამატიკული შესაძლებლობები და ძირითადი ემოციური დისკურსები ჯონ გოლზუორთის შემოქმედებაში. სამეცნიერო - რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“ N12:34-39.
10. გერსამია, რ. კიკვიძე, ზ. ლომია, მ. მამისეიშვილი, ნ. სალღიანი, მ. (2016). ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

11. გერსამია, რ., კიკვიძე, ზ., ლომია, მ., მამისეიშვილი, ნ., სალღიანი, მ. (2016) ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
12. გოცირიძე, დ. (1978). ქართული სათაურის სტრუქტურულ-ფუნქციონალური განვითარების საკითხისათვის. ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები. თბილისი: გამომცემლობა "მეცნიერება".
13. ვებერი, ჯ. (2012). გრძელფეხება მამილო.
14. ვულფი, ვ. (2013). სახლი მოჩვენებებით. თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა.
15. კვაჭაძე, ლ. (2010). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „ცოტნე“.
16. კიკვიძე, ზ. (2007). ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალები. თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი.
17. კიკვიძე, ზ. (2010). ენა, გენდერი, საზოგადოება. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
18. კობახიძე, მ. (2016). ანთროპონიმთა მორფოლოგიური შედგენილობის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულსა და ინგლისურში. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“ N15: 57-68.
19. კობახიძე, მ. (2016). გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ტიპოლოგიურ ჭრილში (ქართული და ინგლისური ენების შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი). ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ი. გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი.
20. კობახიძე, მ., ღარიბაშვილი მ. (2015). ანთროპონიმთა სემანტიკური ურთიერთმიმართებანი ქართულსა და ინგლისურში. თელავი: გამომცემლობა „მერიდიანი“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“ შრომების კრებული III: 291-301.
21. კოდუხოვი ვ. (1982). ზოგადი ენათმეცნიერება. (რ.ენუქაშვილი, მთარგმნელი). თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

22. კოშორიძე, ე. (2005). მწერლის ენისა და სტილის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
23. ლაზვიაშვილი, შ., გელდიაშვილი ნ., ღარიბაშვილი, მ. (2014). დრო-კილოთა ფორმოზრივი და ფუნქციური მიმართებანი ქართულ და ინგლისურ ენებში. თბილისი: გამომცემლობა „ემ-პი-ჯი“.
24. ლემონჯავა, ნ. (1993). მწერლის ენის საკითხები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
25. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები. (1972) მამია დედუჩავას საერთო რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
26. მეგრელიშვილი, მ. (2009). კონტრასტივიკა - კერძო ტიპოლოგიის დარგი. გამომცემლობა „ქუთაისი“. სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“ N1. 45-54.
27. მირცხულავა, ლ. (2010). პოსტმოდერნიზმი - ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
28. ნადირაძე, ი. (2015). ნოველის ენის ტიპოლოგიური მიმართებანი ქართულ და ინგლისურ ენებში. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „მერიდიანი“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“ IV: 501-507.
29. რადიანი, შ. (1953). ლიტერატურული პორტრეტები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.
30. სანიკიძე, თ. (1999). ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
31. სანიკიძე, თ., სანიკიძე, ი. (2009). ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
32. სიგუა, ს. (2007). მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა, თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“.
33. სოსიური, ფ.დ. (2002). ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი: „დიოგენე“.
34. ტალიაშვილი, თ. (2012). სათაურის ფუნქცია, სტატუსი, ინტერპრეტაცია. სემიოტიკა, N11.

35. ფოჩხუა, ბ. (1974). ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
36. ღლონტი, ალ. (1984). დიალექტური მეტყველების ზოგიერთი საკითხისთვის, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
37. ღლონტი, ალ. (1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, მესამე გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
38. ყიფიანი, ს. (2013). ვარაუდის გამომხატველი მოდალობა ინგლისურსა და ქართულში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ I. შრომების კრებული. გამომცემლობა „მერიდიანი“.
39. შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
40. შანიძე, ა. (2010). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
41. ჭიკაძე, რ. (1995). წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
42. ჭიკაძე, რ. (2013). გენდერის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები ქართულში. თელავი: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ გამომცემლობა „მერიდიანი“ სამეცნიერო შრომების კრებული II:551-555.
43. ჭიკაძე, რ. (2014). შიო არაგვისპირელის თხზულებათა სათაურების სახელდების ექსპრესია. თელავი: შიო არაგვისპირელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები.
44. ჭილაია, ა., ჭილაია, რ. (1984). ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
45. ჭოლოკავა, ნ. (1986). ლიტერატურული თეორიის საფუძვლები. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
46. Aaliss, L., & Borisoff, D. (1993). Challenges and Changes. USA: Harcourt Brace College Publishers.
47. Антрушина, Г.Б., Афанасьева, О.В., Морозова, Н.Н. (2004). Лексикология английского языка, Дрофа.

48. Арнольд, И. В. (1986). Лексикология современного английского языка. Издание третье. Москва: «Высшая школа». Виноградов, И. (1936, Июль). О Теории Новеллы, «Литературная Учёба», N7: 34-59.
49. Атанасова И. В. (2016). Род Несклоняемых Названий Животных, Птиц, Рыб. Кутаиси: Фонд Развития Гуманитарных и Педагогических Наук. Научный Журнал «Язык и Культура». #15. стр.17
50. Гальперин, И. Р. (2006). Текст как объект лингвистического исследования. Москва: «КомКнига».
51. Каушанская, В. Л., Коврев, Р. Л., Кожевникова, О. Н., Прокофьева, Е. В., Райнес, З. М., Сквирская, С. Е., Цырлина, Ф. Я. (2008). Грамматика английского языка. 5-е издание, исправленное и дополненное. Москва: Айрис Пресс.
52. Корсакова, Ю. С. (2010). Синонимия – Универсальное языковое явление. Филологические науки. Вопросы теории и практики, № 1 (5), часть 2. Тамбов: Грамота.
53. Ламзина, А. В. (2014). Заглавие. <http://studopedia.org/1-44464.html> (მოდებულის 03.08.16).
54. Лебедева, О. В. (2004). Английская Новелла в Теоретической Проекции. Вестник Новгородского Государственного Университета, № 29: 55-59.
55. Розенталь, Д.Э., Голуб, И.Б., Теленкова, М.А. (2002). Современный русский язык. М.: Айрис-Пресс.
56. Темкина В. Л., Семинина О. А. (2013). Современные подходы к анализу языка художественной литературы, Оренбургский государственный университет. Вестник ОГУ N11 (160) Ноябрь.
57. Трубникова Ю. В. (2010) Текст и его заголовок: проблема структурного и семантического взаимодействия <http://cyberleninka.ru/article/n/tekst-i-ego-zagolovok-problema-strukturnogo-i-semanticheskogo-vzaimodeystviya.pdf> (მოდებულის 25. 05. 2015).
58. Шарафутдинова Н. С (2009). Лингвистическая типология и языковые ареалы. Ульяновский государственный технический университет, Ульяновск.
59. Эйхенбаум, Б., О. (1923). Генри и Теория Новеллы, «Звезда», N6 (12): 291-308.
60. Aaliss, L., Borisoff, D. (1993). Challenges and Changes. Harcourt Brace College Publishers
61. Adamson, L.G. (1998). Literature Connection to American Hisotry. Greenwood Publishing Group. Engelwood. Colorado.

62. Alkalay Gat, K. (2006) "If Mark Twain Had a Sister": - Gender Specific Values in Daddy-Long Legs <http://onlinelibrary.wiley.com/wol1/doi/10.1111/j.1542-734X.1993.t01-1-00091.x/abstract> (მომიხილეს 23.04.2017)
63. Austin, J. (2006). *Speech Act Theory and the Speech Situation*. Oxford.
64. Bertens, H. (2001). *Literary Theory, the Basics*. New York: Routledge publishing.
65. Bertens, W., & Wessel, D.J. (1997). *International Postmodernism - Theory and Practice*. UK London: John Benjamin's Publishing.
66. Bertens, W., Wessel, D.J. (1997). *International Postmodernism - Theory and Practice*. John Benjamins Publishing. London. UK.
67. Bertens, W., Wessel, D.J. (1997). *International Postmodernism - Theory and Practice*. John Benjamins Publishing. London. UK.
68. Brown, J.D. (1980). *Doing Second Language Research*. London: Oxford University Press.
69. Brown, J.D. (2003). *Doing Second Language Research*. London: Oxford University Press.
70. Cameron, D.; Frazer, E. (1987). *The lust to kill: a feminist investigation of sexual murder*. New York: New York University Press. ISBN 9780814714157.
71. Cameron, Deborah (2012). *Verbal hygiene. Classics in Linguistics (Reprint ed.)*. London New York: Routledge. ISBN 9780415696005.
72. Chapman, A. & Rank, M. (1975) *Smart Women Keep it Simple*. Mineapolis, Minnesota: Bethany House Publishers.
73. Chapman, A. & Rank, M. (1977) *Smart Women Keep it Simple*. Mineapolis, Minnesota: Bethany House Publishers.
74. Chomsky, N. (1976). *Recent Contributions to the Theory of Innate Ideas*, The Hague: Mouton.
75. Coats, J. (1986). *Women, Men and Language*. USA: Longman Inc NY.
76. Collins, H. (1996). *You Just Don't Understand: Women and Men in Conversation*
77. Comrie, B. (1981). *Universals and Linguistic Typology*. Oxford.
78. Comrie, B. (1989). *Language Universals and Linguistic Typology*. UK. Oxford. 2
79. D'Agostino, F. (1986). *Chomsky's System of Ideas*.UK. Clarendon Press. Oxford.
80. Fisherman, J. (1974). *Advances in language planning*. The Hague: Mouton

81. Fisherman, J. (1976). Bilingual education: an international sociological perspective. Rowley, Mass.: Newbury House.
82. Fisherman, J. (1978). Advances in the Study of Societal Multilinguism. The Hague: Mouton.
83. Flowerdrew, J. (1994). Academic Listening Research Perspectives. Cambridge University Press. UK
84. Gee, J. P. (2011). How to do Discourse Analyses. NY: Rutledge Park Square.
85. Gee, J.P. (2011). How to do Discourse Analyses. NY USA:Rutledge Park Square.
86. Helinger, M. (2014). Gender and Language Guide. Frankfurt: Goethe University Press
87. Hering, S. (1996). Computer Mediated Communication. John Benjamins Publishing Company. University of Texas Arlington
https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=W3IajVswsK0C&oi=fnd&pg=PR1&dq=Suza+n+Hering&ots=Ktpk51VsGk&sig=8KZ7-IWcJXiGsLRrkdqPpaCXW8I&redir_esc=y#v=onepage&q&f=false (მოდებულის 28.05.2016)
88. Holmes, J. (1994). Inferring Language Change from Computer Corpora: some methodological problems. International Computer Archive of Modern English Journal 18. <http://hit.uib.no/icamei/ij18> (მოდებულის 22.05.2016)
89. Holmes, J., Meyerhoff, M. (2006) Language and Gender Handbook. Blackwell Publishing. Oxford UK
90. Jacobson, R. (1998). "Two Types of Linguistic Disturbances" Leeds, UK: University of Leeds Publishing House
91. Jacobson, R. (2011) "Linguistic and Poetics" - The Critical Tradition. London: Oxford University Press. Pg 852-858.
92. Klaus, P. Sch. (1988). Small Talk: Analysing Phatic Discourse. Marburg: Hitzroth
93. Lakoff, R. T. (1975) - Language and Woman's Place – Text and Commentaries. London: Oxford University Press. I:
94. Lakoff, R. T. (1991) - Women, Fire, and Dangerous Things: What Categories Reveal About the Mind. London&NY: Longman

95. Lakoff, R. T. (2004) – Queering Semantics – Language and Sexuality. Palo Alto, CA: CSLI Publications.
96. Lakoff, R. T. (2010). Language and Woman's Place – Text and Commentaries. London: Oxford University Press. V
97. Lakoff, R. T. (2010). Language and Woman's Place – Text and Commentaries. London: Oxford University Press. VII Pg 36
98. Larie, P. Borisoss, J. Deboragh, T. (1994). Women and Men Communicating, Challenges and Changes. Clarendon Press. Oxford.
99. Lathbury, R., Phillips, J. (2006). American Modernism.1910-1945 V. IV, Infobase Publishing. London. UK
100. Lathbury, R., Phillips, J. (2006). American Modernism.1910-1945 V. IV, Infobase Publishing. London. UK.
101. Lathbury, R., Phillips, J. (2006). American Modernism.1910-1945 V. IV, Infobase Publishing. London. UK.
102. Lee, T. (2002) For the Love of Language.Oxford Unviersity Press
103. Maanen, V. J. (1995). Style as Theory. Organization Science, Vol. 6. Moscow: INFORMS Publishers.
104. McKenzy, A. (2012). Role of Contextual Restriction in Refference Tracking. PHD Theses Amherst: University of Massachusets
105. McKenzy, A. (2014). Switch-Refernece and Austinian Topic Situation. Amherst: University of Massachusets Press.
106. Moshenbacher, H., & Helinger, M. (2010). Gender and Language Across Cultures. NY: John Benjamin Publishing Company.
107. Pearson, A. (2002). I Don't Know How She Does It?. UK London: Chato and Windus. Vintage
108. Pellegrini, L. (1997). Relationships, individual differences, and children's use of literate language. Cardif: University of Wales.
109. Roach, P. (2001). English Phonetics and Phonology. London UK: Oxform Univeristy Press.

110. Roach, P. (2007). *English Phonetics and Phonology*. London UK: Oxford University Press.
111. Rousseau, J. J. (1956). *Public Consent*. Stanford Encyclopedia of Philosophy. USA: Stanford Library Press.
112. Saussure, F. (1984). "Nature of the Linguistic Sign". *The Critical Tradition*. Paris: American University Press. 2: 842-845.
113. Saussure, F. (1997). "Binary Oppositions". *The Critical Tradition*. London: Oxford University Press. 4: 638-789.
114. Spender, D. (1984) – *Language, Men and Woman's Place – Text and Commentaries*. London: Oxford University Press.
115. Spender, D. (1980). *Man Made Language*. Canberra. Australia: Rutledge and Kegan Publishing. Australian National University Press.
116. Spender, D. (1984). *Man Made Language*. Canberra. Australia: Rutledge and Kegan Publishing. Australian National University Press. III:233-196.
117. Stoller, R. (1968). *Sex and Gender - On the Development of Masculinity and Femininity*, London UK: Science House.
118. Stoller, R. (1968). *Sex and Gender, On the Development of Masculinity and Femininity*. NY: Science House.
119. Talbot, M. (2010). *Language and Gender*. London: Cambridge University Press
